ცესკო მაინც ჯიუტობს A2

გერმანიას უმძიმესი ფინანსური კრიზისი ელის A4

ჩაფიქრებული და შეშფოთებული მთაწმინდელები A6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 27 ივლისი, 2002 წელი. №55

ფასი 50 თეთრი

## ორი მილიონი ქართველი გლეხი მიწის მესაკუთრეა

სოფო კვინტრაძე

*65 წლის ახალგორელი ქალბატონი* რუსუდან პავლიაშვილი *საქართველოში რიგით მეორმილიონე მიწის მესაკუთრე ხდება. გუშინ ახალგორის რაიონში მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი შედგა. ახალგორელებმა ამერიკელ და თბილისელ სტუმრებს უმასპინძლეს.*

საზეიმო ცერემონიალს აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი, USAID-ის აღმასრულებელი ადმინისტრატორი ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებში კენტ ჰილი, USAID-ის კავკასიის მისიის დირექტორი მაიკლ ფარბმანი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაცია "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის" წევრები დაესწრნენ.

მიწის ბაზრის განვითარების პროექტს, რომელიც USAID-ის ხელშეწყობით ხორციელდება, "მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაცია" უწევს ადმინისტრირებას. პროექტი საქართველოს 51 რაიონში ხორციელდება და მიზნად ისახავს მიწის პირველად უფასო რეგისტრაციას. დღეისათვის გაცემულია მიწის მფლობელობის ორი მილიონი სერთიფიკატი. 2003 წლის ივლისისათვის, ანუ პროექტის დასასრულისთვის გლეხებს კიდევ 400 000 სერთიფიკატი გადაეცემათ. ახალგორში გამართულ ცერემონიალზე სერთიფიკატი 200-მდე გლეხს გადაეცა.

ამერიკელმა სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს აშშ-ს მთავრობის და მოსახლეობის სერიოზული მხარდაჭერა ქართველი ხალხისადმი და რეფორმების დაფინანსების გაგრძელებაზეც ისაუბრეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მათ სწორედ მიწის რეფორმის განხორციელებას მიანიჭეს.

გაგრძელება A4 გვერდზე



*ხელის მოწერა და ცოლ-ქმარი მიწის მესაკუთრის სერთიფიკატს ჩაიბარებს.* იური ლობოდინის ფოტო

## პრეზიდენტის გამოწვევა პარლამენტს...

თამარ ხორბალაძე

*გუშინ საქართველოს პრეზიდენტი საპარლამენტო ფრაქციებს შეხვდა და სცადა, მათთვის კარგად განემარტა, რომ საქართველოში სიტუაციის ბატონ-პატრონი ჯერ კიდევ თვითონაა.*

*გუშინ შეხვედრიდან გამოსული ოპოზიციური ფრაქციების უმრავლესობა შეურაცხყოფილი გახლდათ:*

*"დემოკრატმა" გიორგი ბარამიძემ მოკლედ აღნიშნა, რომ იგი უკმაყოფილო იყო შეხვედრით. "მრეწველმა" გოგი თოფაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ მთავრობა არ მიდის დათმობებზე არათუ მინისტრთა კაბინეტისა და გუბერნატორების საკითხში, არამედ არ აპირებს არც საგადასახადო ცვლილებების მრეწველებისეული ვარიანტის ამოქმედებას; სწორედ ამიტომ "შემოაგდეს" განსახილველად ალტერნატიული ვარიანტი.*

*"ნაციონალისტი" კოტე კემულარია ამბობს, რომ პრეზიდენტმა ისინი, უბრალოდ, პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა. "ტრადიციონალისტი" გუბაზ სანიკიძე მიიჩნევს, რომ მოხდება ის, რაც მოსალოდნელია, ანუ - ყველაფერი დროში გაიწელება...*

შეხვედრა, მართლაც, "მოსალოდნელი სცენარით" წარიმართა.

პრეზიდენტმა, რომელმაც სიტუაცია შეამზადა ორშაბათის რადიოინტერვიუსა და მთავრობის სხდომაზე გამოსვლით, გუშინ ფრაქციებს არაორაზროვნად აგრძნობინა, რომ საპარლამენტო ოპოზიციის აზრის გაზიარებას არ აპირებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქაოსის ლოგიკა - ხელისუფლების ერთადერთი პოლიტიკური ტექნოლოგია

ეკა კვესიტაძე

მინისტრთა კაბინეტის თემა ისევ ამოტივტივდა, თუმცა, აბსოლუტურად უპერსპექტივოდ. შევარდნაძის განცხადება, რომ ის სხვა ვარიანტს, გარდა მის მიერ პარლამენტში შეტანილი ვარიანტისა, არ მიიღებს, - უკვე ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს შევარდნაძის ხელში ნათელი მომავალი არ უწერია. ის კანონპროექტი, რომელიც პრეზიდენტმა თავის დროზე პარლამენტში შეიტანა, მისი ძალაუფლების გაზრდას უფრო გულისხმობდა, ვიდრე ეფექტური მთავრობის შექმნას.

დღეს შევარდნაძე ისევ თავის აზრზე დგას და გაღიზიანებული ტონით ეწინააღმდეგება ყველა სხვა პროექტს, რომელიც პრემიერ-მინისტრის გაზრდილ უფლებამოსილებას, პრეზიდენტის უფლებათა შემცირების ხარჯზე გულისხმობს.

სახელმწიფო მინისტრის პოსტზე ავთანდილ ჯორბენაძის დანიშვნის შემდეგ, შევარდნაძემ უეცრად შეიცვალა პოზიცია და განაცხადა, რომ აღარ არის საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებები, რადგან ჯორბენაძე ენერგიული კაცია და სახელმწიფო მინისტრის პოსტზეც ბევრი რამის გაკეთებას შეძლებს.

ენერგიულმა ჯორბენაძემ, პრეზიდენტის შექების შემდეგ, ენთუზიაზმის მოზღვავება იგრძნო, ყველა მინისტრს ცალ-ცალკე დაუპირისპირდა და შენიშვნების მიცემაც პრეზიდენტის ჰონორით დაიწყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ყაზბეგში ნაღნობმა წყალმა საქართველო, შესაძლოა, უგაზოდ დატოვოს

"იტერა" კი არ მოუბრუნდა "თბილგაზს", მოაბრუნეს, თანაც ეს თხოვნა კი არა, ვედრება იყო", - აცხადებს "იტერას" წარმომადგენელი

გვანცა კვინიკაძე

*ებრაული "ტაჰალის" მიერ "თბილგაზის" პრივატიზებაზე ნათქვამი უარის გამო საქართველოს ხელისუფლებას დიდად არ უდარდია და მაშინვე რუსულ "იტერაზე" გადაერთო. უფრო მეტიც, როგორც აღმოჩნდა, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე მოსკოვში ბოლო ვიზიტისას, ჯერ კიდევ "ტაჰალთან" ურთიერთობის გარკვევამდე, "იტერასთან" მოლაპარაკებებს ფარულად აწარმოებდა და მას "თბილგაზის" გადაცემის პირობებზე უთანხმდებოდა. შედეგად კი ახლა ყველა "იტერასა" და ქართული მხარის მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნებაზე საუბრობს, რომელსაც "თბილგაზი" გადაეცემა.*

**"იტერა" კი არ მოუბრუნდა "თბილგაზს", მოაბრუნეს, თანაც ეს თხოვნა კი არა, ვედრება იყო",** — ასე დაახასიათა საქართველოს ხელისუფლების ქმედება "იტერას" წარმომადგენლის მოადგილემ საქართველოში, დავით ელიაშვილმა. რუსული კომპანიის მიერ თავის ასე დაფასებას მყარი საფუძველი აქვს, რადგან საქართველოს მთავრობაში კარგად აცნობიერებენ და აღიარებენ, რომ რუსულ გაზს ჯერჯერობით ალტერნატივა არ გააჩნია. ამას საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მიერ "იტერასთან" მოლაპარაკებების იმ დროს გამართვაც მოწმობს, როცა "ტაჰალი" ჯერ კიდევ მიიჩნეოდა "თბილგაზის" რეალურ ინვესტორად.

გაგრძელება A4 გვერდზე


თემურ ხაჩიშვილი ციხიდან პოლიტიკაში ბრუნდება A3

სადისტრიბუციო ენერგოკომპანია რეგიონებში რეპრესიებს იწყებს A4

ადამიანური განვითარების ინდექსი - 2002 A5

დევნილები აჭარის წარმომადგენლობას ემუქრებიან A6

"კლეპტომან" გასასჭელს გაქცევა ჩაუშალეს A7

ქართველი ოფიცრები ახალი იმედის მოლოდინში A8


### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | მზე და ღრუბელი |
| ქუთაისი | 29 | მზე და ღრუბელი |
| ბათუმი | 27 | მზე |
| სოხუმი | 28 | მზე და ღრუბელი |
| ფოთი | 26 | მზე და ღრუბელი |
| თელავი | 27 | მზე |
| ზუგდიდი | 27 | მზე და ღრუბელი |
| გორი | 25 | მზე და ღრუბელი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1950 |
| ევრო | 2.1739 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4299 |
| რუბლი | 0.0696 |

## დაუთმობს თუ არა საქართველო რუსეთს სამხედრო საკითხებში

რუსიკო ნიკურაძე

საქ. კორ. მოსკოვში

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანისა და მათი ფუნქციონირების ვადების შეცვლაში ქართულმა მხარემ "ფანტასტიურ" შედეგს მიაღწია: რუსების მიერ ბაზების გასაყვანად მოთხოვნილი 14 წელი 11-მდე ჩამოიყვანა.

ამიტომ ქართულმა საზოგადოებამ ნამდვილად უნდა გაიზიაროს მოსკოვში მყოფი ქართველი სამხედრო ექსპერტებისა და დიპლომატების სიხარული იმის გამო, რომ "გარღვევა" სამხედრო საკითხებში მოხდა – მხარეებმა ერთი წლის უკან მიტოვებული დიალოგი განაახლეს, კომპრომისს მიაღწიეს, ბაზების დატოვების ვადა 11 წლამდე ჩამოიყვანეს, ე.ი. დათბობაც გვექნება.

თუ ორ კაცს შორის მივიწყებული დიალოგის განახლება ორი სახელმწიფოს სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე მოლაპარაკებების მთავარ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მოსკოვში მენაღარიშვილი კლებანოვს ტყუილად არ შეხვედრია. დიალოგის განახლება კარგი საქმეა იმ პირობებშიც კი, როცა შედეგი ნულია, მაგრამ "საქმეები მაინც კარგად მიდის".

გაგრძელება A8 გვერდზე

## ცდუნება დიდია - აქეთ ზღვაა, იქით - ბიურო



Пока на плаву. ბესო გულაშვილის ფოტო

B1

## „ლუჩინი„ მეტალურგიულ კომბინატში მოსვლისთანავე... წავიდა

რატომ დაკარგა მეტალურგიულმა კომბინატმა სასურველი ინვესტორი

მაია მოსიაშვილი

რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში თურქი ინვესტორის, "ჩუქუროვას" შესვლის მცდელობას ქარხნის მუშა-მოსამსახურეების მხრიდან მასობრივი გამოსვლები მოჰყვა. ატეხილი აჟიოტაჟის გამო, თურქებმა დროებით გვერდზე გადგომა გადაწყვიტეს. ასევე შეჩერდა კომბინატის ხელმძღვანელობის მოლაპარაკებები მეორე ინვესტორთან, გერმანულ "კონალ აგესთან". მიზეზი ის იყო, რომ გერმანელებმა საბანკო კრედიტის წარმოდგენა ვერ შეძლეს. რამდენიმე თვის წინათ რუსთავში ახალი პოტენციური ინვესტორის, საკმაოდ ძლერი და სოლიდური იტალიური ფირმის, "ლუჩინის" გამოჩენის შესახებ ალაპარაკდნენ.

კომბინატის გენერალური დირექტორი ნოდარ ღვამბერია მაშინ აცხადებდა, რომ "ლუჩინის" სერიოზული ზრახვები აქვს და საუბარია ქარხნის შესყიდვაზე. რადგან მეტალურგიული კომბინატის მართვას ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, "24 საათმა" გადაწყვიტა, იქ გადაემოწმებინა ეს ინფორმაცია. როგორც მინისტრის მოადგილემ, გენო მალაზონიამ განაცხადა: **"ეს ფირმა ქონების მართვის სამინისტროში თვალით არავის უნახავს. ჩვენი ინფორმაციით, "ლუჩინი" არის საკმაოდ სერიოზული კომპანია, აქამდე მათი ინტერესი საქართველოში შემოიფარგლებოდა ჯართის ექსპორტით. მეტალურგიასთან დაკავშირებით მხოლოდ საუბარი იყო, არანაირი ბიზნესგეგმა მათ ჩვენთან არ წარუდგენიათ."**

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 სტილი B3 რეკლამა B4 კულტურა B5 კულტურა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

**თბილისი..** რუსეთმა ახალქალაქსა და ბათუმში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის ვადა 14-დან 11 წლამდე შეამცირა.

თავისი არგუმენტები ვადის 11 წლამდე შემცირების შესახებ რუსულმა მხარემ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს ერთწლიანი პაუზის შემდეგ, გუშინ გვიან ღამით შემდგარ მოლაპარაკებებზე გააცნო.

ქართული მხარე კი ამ ორი ბაზის გასაყვანად სავსებით საკმარისად მიიჩნევს 3 წელიწადს და ამის თაობაზე არც გუშინდელი მოლაპარაკებების შემდეგ შეუცვლია თავისი პოზიცია. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** აგვისტოს თვე საქართველოში ცხელი იქნება, — აცხადებენ ჰიდრომეტეოროლოგები.

დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 25-26 გრადუსი იქნება, ზოგიერთ დღეებში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 35-40 გრადუსს მიაღწევს. ნალექების რაოდენობა მრავალწლიური საშუალო ნორმის ფარგლებში იქნება, ხოლო წვიმიანი დღეების რიცხვი 8-13 შეადგენს.

აღმოსავლეთ საქართველოში აგვისტოში ცხელი და ტენიანი ამინდი იქნება. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 22-24 გრადუსს შეადგენს. ზოგ დღეებში მაქსიმალური ტემპერატურა 35-40 გრადუსამდე აიწევს.

ნალექების რაოდენობა ნორმაზე მეტი იქნება. აღმოსავლეთ საქართველოში წვიმიანი დღეების რიცხვი 11-13 შეადგენს. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ბერძენი რეჟისორი მიხეილ მარმარინოსი ახალ სპექტაკლზე მუშაობს.

„ნაციონალური ჰიმნი" მარმარინოსის მეორე სპექტაკლია, რომელსაც საქართველოში დგამს. პირველად მან მაყურებელს „მედეა" შესთავაზა, რომელიც კინომსახიობთა თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს. „ნაციონალური ჰიმნის" რეპეტიციები თეატრში თითქმის ერთი თვეა მიმდინარეობს და ექსპერიმენტის სახეს ატარებს. მსახიობებს რეპეტიციის დროს ქუჩაში გამოსვლა, გამვლელთა აზრის გაზიარება და დაფიქსირება ევალებათ.

სპექტაკლი ქართულ დროშაზე, ჰიმნსა და გერბზე მოგვითხრობს.

მიხეილ მარმარინოსმა „ნაციონალური ჰიმნი" თავის სამშობლოში, საბერძნეთშიც დადგა. ამჟამად იგი ამ სპექტაკლზე ერთდროულად ორ ქვეყანაში - იტალიასა და საქართველოში მუშაობს. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ სამწუხაროდ გამართლდა იმ ადამიანების ვარაუდი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სანაიას მკვლელობა არ გაიხსნებოდა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, სამართალდამცავი ორგანოები სერიოზულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ამ გარემოებას - არ შეიძლება ნორმალური ქვეყნის პრეტენზია გქონდეს და ასეთი გახმაურებული მკვლელობა ერთი წლის მანძილზე არ იხსნებოდეს. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ სამი უცხოური არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებს სასოფლო-სამეურნეო პროგრამებით უზრუნველყოფენ.

სამი გამარჯვებული ორგანიზაციის მონაცემები რომში, IFAD-ის ცენტრალურ ოფისში გაიგზავნა. IFAD ამ სამიდან ერთს შეარჩევს. პასუხს კი საქართველოში უახლოეს რამდენიმე დღეში ელოდებიან.

გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო პროგრამებს საქართველოს იმ მაღალმთიან რეგიონებში (ამბროლაური, დუშეთი, ასპინძა, შუახევი და სხვა) განახორციელებს, რომლებიც ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა არიან. ფინანსური პრობლემების გამო ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ტენდერში მონაწილეობა ვერ მიიღეს. (კავკას-პრესი).

■ ■ ■

**თბილისი..** საქართველოს ახალმა წარმომადგენელმა გაეროში, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რევაზ ადამიამ რწმუნებათა სიგელი გადასცა გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს.

ადამია გაერო-ში აშშ-ს წარმომადგენელს ჯონ ნეგროპონტენს და კონფლიქტების საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საგანგებო წარმომდგენელს რუდოლფ პერინას შეხვდა.

ახალი წარმომადგენელი მეგობართა ჯგუფის ქვეყნების წარმომადგენლებს, გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებისა და პოლიტიკური დეპარტამენტების ხელმძღვანელებს და ექსპერტებსაც შეხვდა. შეხვედრების დროს ყურადღება აფხაზეთის კონფლიქტის ცალკეულ დეტალებზე გამახვილდა. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** სასჯელაღსრულების დეპარტამენტი პატიმარ აქალებს ავჭალის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანს. ე.წ "წითელ ზონაში" კოსმეტიკური რემონტი გაკეთდა და ქალების გადაყვანა იქ უკვე შესაძლებელია. დეკემბრამდე კი ქალებისათვის შენობა აშენდება

აღსანიშნავია, რომ ყოფილი სამართალდამცავები, რომლებიც სასჯელს ავჭალის კოლონიაში იხდიდნენ, ხონში ათი დღის წინ დიდი ხმაურით გადაიყვანეს. ავჭალიდან გადასვლისას პატიმრებს თან წაუღიათ ყველაფერი, რისი გამოყენებაც შესაძლებელია, მათ შორის ნათურები, ჩამრთველები და სხვა ნივთები. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ბონდო ჯიქიას განცხადებით, 9 თვის ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თანამდებობის ყველა პირი, ვინც ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელია, სამსახურს დატოვებს. როგორც კავკას-პრესს ჯიქიამ განუცხადა, პურით და საწვავით ვაჭრობის საქმეში სრული ქაოსია, რაც უნდა აღმოიფხვრას. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**სოხუმი.** არძინბას ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას თქმით, პირველი აგვისტოდან პარტიზანული მოძრაობის გააქტიურების შესახებ თამაზ ნადარეიშვილის მუქარა იმაზე მიუთითებს, რომ პარტიზანებს სწორედ ის ხელმძღვანელობს. ოფიციალური სოხუმი არ აპირებს პირველი აგვისტოსთვის უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღებას.

შამბა ირწმუნება, რომ სანამ ქართველ პარტიზანებს მორატორიუმი ჰქონდათ გამოცხადებული, აფხაზეთში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კრიმინოგენური ვითარება, რაც ჭუბურხინჯის ბოლო ორ შეხვედრაზეც აღინიშნა. "ქართველი პარტიზანები და აფხაზი კრიმინალები ერთმანეთთან კავშირში არიან", — აცხადებს შამბა.( მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**მოსკოვი..** საქართველოს სპეცსამსახურებსა და ჩეჩენ ბოევიკებს შორის პანკისის ხეობაში კონტაქტები დამყარებულია და ისინი თავიანთ მოქმედებებს კოორდინაციას უწევენ - განაცხადა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გენადი გუდკოვმა, რომელიც ამასწინათ საქართველოში იმყოფებოდა. მისი მტკიცებით, საქართველოში მთელი ანტიტერორისტული კამპანია, რომელიც აშშ-ს უკავშირდება, რუსეთისგან გამოყოფისა და ამ რეგიონიდან რუსეთის გაძევების მიზნით მიმდინარეობს.(კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თელავი**. რუსეთის და საქართველოს შესაბამისი ძალოვანი სამსახურები იჩქერიის მთავრობას დაეხმარებიან იმ ადამიანთა გადაყვანაში, რომლებიც დაბრუნების სურვილს გამოთქვამენ. უკვე ცნობილია ლტოლვილებისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი ადგილების მისამართები.

სავარაუდოდ, რუსეთისა და ჩეჩნეთის ოფიციალური წარმომადგენლები ამ საკითხის განსახილველად საქართველოში აგვისტოში ჩამოვლენ. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**ზუგდიდი..** სახელმწიფო კანცელარიის რეგიონალური მართვის სამსახურის თანამშრომელი ლადო ჯღარკავა ზუგდიდი-ხობის მაგისტრალზე დაყაჩაღებას სასწაულებრივად გადაურჩა. ჯღარკავა თბილისიდან ზუგდიდში რწმუნებულის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დასასწრებად მიემგზავრებოდა.

სხდომაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ბონდო ჯიქიამ სამართალდამცავებს მომხდარზე პასუხი მოსთხოვა. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თელავი.** კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში პრეზიდენტის რწმუნებულის საბჭოს სხდომაზე კახეთის მხარეში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2002 წლის 6 თვის შედეგები განიხილეს.

სხდომაზე იმსჯელეს მომავალი რთველის პრობლემებზე. ჯერჯერობით გაურკვეველია, დააფინანსებენ თუ არა ღვინის ქარხნებს თეთრი ყურძნის მისაღებად.

რეგიონში საგადასახადო-საკონტროლო სისტემა შესუსტებულია, მხარის საზღვრისპირა რაიონებში კონტრაბანდული საწვავისა და ფქვილის შემოდინება ვერ კონტროლდება.

კონტრაბანდული საწვავის შემომტანი პირები კი ზემოქმედებენ მოსავლის აღების პროცესზე, რის გამოც ადგილობრივი ხელისუფლება იძულებულია, ისევ უკანონო გზით შემოსული საწვავით გადაარჩინოს მოსავალი.(მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**რუსთავი.** "ნაციონალური მოძრაობის" რუსთავის ახალგაზრდული კავშირი პარტიის ცენტრალურ ოფისს საბოლოოდ დაუპირისპირდა. ახალგაზრდული კავშირის 200-მდე წევრი "ნაციონალების" რიგებს ტოვებს.

რუსთავის "ახალგაზრდული კავშირის" თავმჯდომარემ დავით ხიზანიშვილმა პარტიის დატოვების შესახებ განცხადება ჯერ კიდევ ათი დღის წინ გააკეთა. მისი თქმით, უფროსმა თანაპარტიელებმა იგი არჩევნებში გამოიყენეს და შემდეგ უყურადღებოდ დატოვეს.

"ნაცინალური მოძრაობის" რუსთავის ოფისის ხელმძღვანელი, პარლამენტარი გია ხევიაშვილი ხარაზიშვილის განცხადებას "არასერიოზულს" უწოდებს და აცხადებს, რომ ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება "არ ღირს".

დავით ხარაზიშვილმა სიტუაციის გარკვევა პარტიის ლიდერ მიხეილ სააკაშვილთანაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

ხარაზიშვილმა პარტიის დატოვების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**ქაირო..** ქართული ჩაი ეგვიპტის ბაზარზე დამკვიდრებას ცდილობს.

ქაიროში ქართული ჩაის პრეზენტაცია ჩატარდა, რომლის დროს ეგვიპტის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შესასწავლად გადაეცათ ქართული ჩაის და ვაშლის კონცენტრატის ნიმუშები, ასევე საქართველოს ცეკავშირიდან შემოთავაზებული ბარტერული გაცვლის წინადადებები. მოკლე ხანში ეგვიპტის მხარე საქართველოს ცეკავშირს მიაწვდის თავის წინადადებებს მზესუმზირისა და სიმინდის ზეთის მოწოდების თაობაზე.

გარდა ამისა, ეგვიპტის საქმიან წრეებთან ნედლეულის შესაძლო მოწოდების, საქართველოში არსებულ საწარმოებში მისი გადამუშავების და საგარეო ბაზარზე მზა პროდუქციის გაყიდვის შესახებაც იისაუბრეს. (კავკას-პრესი)

# ცესკო მაინც ჯიუტობს

თამარ მჭედლიშვილი

***ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სრული გაურკვევლობაა. ჯუმბერ ლომინაძის ოფიციალური განცხადების მიუხედავად, კომისიის წევრები 30 ივლისს ბიულეტენების გადათვლის დაწყებას ეწინააღმდეგებიან. კომისიის წევრები აცხადებენ, რომ უფულოდ ამ ურთულესი პროცედურის დაწყებას აზრი არ აქვს.***

კომისიის წევრის, **შალვა ბებოშვილის** მტკიცებით (და მას ცესკოს წევრთა უმრავლესობა ეთანხმება), **"იმ დარბაზში, სადაც ბიულეტენები უნდა გადაითვალონ, სამუშაო პირობები არ არის. გარდა ამისა, აუცილებელია სათვალთვალო კამერები."** ცესკოში უცნაურს ვერც იმაში ხედავენ, რომ ზენორმირებული სამუშაოსთვის გასამრჯელო აიღონ.

კომისიის წევრთა ნაწილი საკმაოდ გაღიზიანებულია პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ულტიმატური ტონით. ცესკოს მდივნის, **მამუკა კოპალეიშვილის,** განცხადებით, **"პარლამენტი მათ წინააღმდეგ შავპიარკამპანიას აგორებს."** გაღიზიანებულია ჯუმბერ ლომინაძეც და აცხადებს, რომ იგი ემორჩილება სასამართლოს გადაწყვეტილებას და არა რომელიმე პარლამენტარის ბრძანებას.

თავის მხრივ, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, **ზაქარია ქუცნაშვილმა** "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია შეგნებულად წელავს დროს, რადგან სავსებით შესაძლებელია, ბიულეტენების გადათვლის შემდეგ ფარდა აეხადოს საარჩევნო კომისიების დანაშაულებრივ ქმედებებს.

გუშინ ცესკოს სხდომა, ფაქტობრივად, ჩაიშალა. ბიულეტენების გადათვლის პროცედურის უფულოდ დაწყებას მხოლოდ ჯუმბერ ლომინაძე ითხოვდა. **"სასამართლომ დაგვავალა, არავითარ პოლემიკას და განსჯას არ დავიწყებთ. საჭიროა დავალების შესრულება და გადათვლის პროცედურის დაწყება,"** - განაცხადა მან და ამის შემდეგ დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი.

შესაძლოა, 30 ივლისამდე ფინანსთა სამინისტრომ ცესკოს თანხის ნაწილი მაინც გადაურიცხოს. ამის მიუხედავად, ცესკოს წევრები ბიულეტენების გადათვლის დასაწყებად ითხოვენ "მომსახურების სრულ პაკეტს," - მთლიან თანხას. და ეს ყველაფერი ხდება პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიასთან მზარდი დაპირისპირების ფონზე.



"პატიმრები, ჯერჯერობით, არ ვართ, რომ ეს კატორღული საქმე ხმის ამოუღებლად გავაკეთოთ"

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, გია ზესაშვილი აცხადებს:

**"პარლამენტს თავისი უფლებამოსილება აქვს, ჩვენ - ჩვენი. არავის დავალებას არ ვასრულებთ. ბიულეტენების გადათვლა ჩვენივე გადაწყვეტილებაა. გადათვლის წესი უკვე მიღებულია. პრობლემა თანხის უქონლობაა. ფინანსთა სამი ნისტროსთან სიტყვიერი შეთანხმების მიუხედავად, ფული არ მოუციათ. 75 ათასი ლარი არჩევნებისთვის გამოყოფილი თანხიდან უნდა მოგვცენ. ჩვენ ასათვისებლად 400 000 ლარი დაგვრჩა. საერთოდ, ბიულეტენები უნდა დაითვალოს ისე, როგორც ჩვენ მიგვაჩნია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ სხვანაირად შეიძლება დათვლა, ანუ უფრო ღიად, უფრო გამჭვირვალედ და, რაც მთავარია, უფულოდ, პირადად მე დიდი სიმოვნებით დავუთმობ ამ ფუნქციას; ოღონდ, ერთი პირობით - ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობაც მათ აიღონ. არასამთავრობოებმა, პარტიებმა, ჟურნალისტებმა იკისრეთ ეს ტვირთი და დათვალეთ. თუ გადათვლა ჩვენი გასაკეთებელია, დავთვლით ისე, როგორც ჩვენ მიგვაჩნია სწორად. პატიმრები, ჯერჯერობით, არ ვართ, რომ ეს კატორღული საქმე დაგვავალონ და ხმის ამოუღებლად გავაკეთოთ ისე, როგორც გვიბრძანებენ.**

**რაც შეეხება პარლამენტს: ჩემთვის ძალიან საინტერესო მოსასმენი იყო დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრთა განცხადება ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხის დასმის თაობაზე. ნურავის დაავიწყდება, რომ ახალი საარჩევნო კოდექსის მიღების შემდეგ ცესკოს შემადგენლობა უნდა შეცვლილიყო. პარლამენტს მისი წევრები არასამთავრობო სექტორიდან უნდა დაენიშნა. ველოდებით, რომ კანონი შესრულდება და ახალი კომისია მოვა. ჩვენ ახლა დროებით ვართ აქ. ჩვენ ვერ ვიცვლებით, რადგან პარლამენტი ვერ ასრულებს თავის მიერვე მიღებულ კანონს. ამიტომ ვის პასუხისმგებლობაზეა საუბარი, ჩემთვის გაუგებარია."**

30 ივლისამდე კიდევ რჩება რამდენიმე დღე. შესაძლოა, კომპრომისი მაინც მოიძებნოს. თუმცა, საამისო განწყობა ცესკოს ნამდვილად არ აქვს.

# ანტიკორუფციულის აქტივობას მორიგი „მსხვერპლი" მოჰყვა

ანტიკორუფციული ბიუროს აქტიურობას მორიგი "მსხვერპლი" მოჰყვა - გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა თანამდებობიდან გაათავისუფლა სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსი დავით გიორგობიანი.

გათავისუფლების მოტივი გახლდათ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 104-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს პასუხისგებას "სამსახურში მიღებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის".

შეგახსენებთ: დავით გიორგობიანის საკითხმა ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ფოთის გემთსაშენის პრივეტიზების საკითხის შესწავლის დროს წამოიწია.

ანტიკორუფციული ბიუროს ინფორმაციის თანახმად, გიორგობიანი თანამდებობაზე დანიშვნიდან (ანუ მარტიდან) დღემდე ითავსებდა ფოთის გემთსაშენის მფლობელი კომპანიის, "დარლინგუორთ ლიმიტედის" დირექტორის პოსტს, რაც არ ჰქონდა მითითებული ქონებრივ დეკლარაციაში.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დავით გიორგობიანის საკითხი ერთი პატარა რგოლია იმ მასალებში, რომელთა გამომზეურებასაც, თუ ანტიკორუფციულმა და პრეზიდენტმა საქმის ბოლომდე მიყვანა გადაწყვიტეს, გაცილებით წონიანი და ცნობილი სახელმწიფო მოხელეების თანამდებობიდან გათავისუფლება უნდა მოჰყვეს.

**"24 საათი"**

# მესამე სექტორი პარტიულობის სურნელითა და მეოთხე ხელისუფლებისადმი საყვედურებით



გია ჟიორჟოლიანი, ირაკლი არეშიძე, გია არეშიძე.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვერიკო თევზაძე

*"საქართველოში წარმატებულად მოქმედებს ჩაკეტილი პოლიტიკური ელიტა, რომლის მიზანია ხელისუფლებაში ადგილის მოპოვება. საზოგადოებრივ ჯგუფებს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის საშუალება არ ეძლევათ. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური ელიტა ავტორიტარულ რეჟიმამდე მიგვიყვანს", - ამგვარი დასკვნა გააკეთეს არასამთავრობო ორგანიზაციების შეკრებაზე, რომელთა ორგანიზატორებიც იყვნენ საზოგადოების კვლევის ცენტრი და არასამთავრობო ორგანიზაცია "პარტნიორობა სოციალური ინიციატივისათვის." მანამდე მესამე სექტორის წარმომადგენლები შეეცადნენ, ადგილობრივი არჩევნების შედეგები გაეანალიზებინათ.*

**"მასმედია შავ პიარს აყალიბებს, იგი რეგიონის პრობლემების იგნორირებას ახდენს,"** - ამგვარი ბრალდება წაუყენეს მეოთხე ხელისუფლებას საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (მათ ხაზგასმით არ აღუნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში თბილისში მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იგულისხმებოდა, თორემ ამას მოჰყვებოდა იმის დაკონკრეტებაც, რომ რეგიონებში თითქმის არ არსებობს ბეჭდვითი და ელექტრონული პრესა და ამით ცხადი გახდებოდა, ვისი ან რისი მიზეზით ვერ შუქდება რეგიონის პრობლემები სისტემატურად).

მრეწველთა პარტიის წევრმა გია ჟორჟოლიანმა, რომელიც შეხვედრაზე საზოგადოების კვლევის ცენტრს წარმოადგენდა, აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ თუ დედაქალაქში ლეიბორისტებმა და ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს, რეგიონებში მრეწველებმა და ახლებმა მოიპოვეს წარმატება. **"საზოგადოებრივი აზრი, რატომღაც, თბილისის შედეგებზე იყო ორიენტირებული; არადა, ადგილობრივ არჩევნებს ყველა სახელმწიფოში ქვეყნის მასშტაბით ექცევა ყურადღება."**

გია ჟორჟოლიანმა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მრეწველებს და ახლებს თითქმის ყველა რეგიონში ჰყავთ დასაყრდენი ძალა. მათ იქვე მიანიშნეს, რომ ამ პარტიების წარმატების მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ისინი, სხვებისგან განსხვავებით, არა ლიდერის, არამედ გარკვეული პროგრამის და იდეოლოგიის გარშემო არიან გაერთიანებულნი. ეს მოსაზრება ბიზნესმენმა პაატა ტრაპაიძემ არ გაიზიარა. **"ვერ დავიჯერებ, რომ რეგიონებში პარტიული იდეოლოგია მუშაობდა. რეგიონში ადამიანებს აინტერესებთ ერთი რამ - ვინ მისცემს მათ ფულს. მრეწველებიც და ახლებიც ფულთან იყვნენ ასოცირებულნი."**

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ირაკლი არეშიძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჩვენს ქვეყანაში ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებს, ვინაიდან ამერიკა საქართველოში სტაბილურობის მიღწევით არის დაინტერესებული: **"სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთ გზას კი ამერიკა ასე ხედავს: ის, ვინც მოვა საპარლამენტო უმრავლესობაში ან ქვეყნის სათავეში, უნდა ეყრდნობოდეს მთელ ქვეყანას. არჩევნების თბილისში მოგება არაფერს ნიშნავს, თუ რეგიონები არ გიჭერენ მხარს. ამ არჩევნებმა აჩვენა ის, რომ რეგიონებში დასაყრდენი აქვს ორ პარტიას: ახლებს და მრეწველებს... ამერიკის პოზიცია ასეთია, ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ ლოზუნგს – ძირს შევარდნაძე, ვინაიდან დღევანდელ სიტუაციაში ვერავინ შეძლებს, შევარდნაძეზე უკეთესი პრეზიდენტი იყოს. მოემზადე იმისათვის, რომ შევარდნაძეზე უკეთესად მართო, მიიღე არჩევნებში მონაწილეობა, კონსტიტუციური გზით გაიმარჯვე და მერე მართე ქვეყანა."**

შეხვედრაზე მინიშნებით ითქვა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, ადგილობრივი არჩევნების შედეგების მიხედვით, გამარჯვების დიდი შანსი რეგიონში წარმატებამოპოვებულ პარტიებს ( მრეწველებს და მემარჯვენეებს) რჩებათ. ირაკლი არეშიძემ "24 საათთან" საუბრისას ისიც კი დააკონკრეტა, რომ მრეწველები არ აპირებენ საპარლამენტო უმრავლესობაში მოსვლას, ხოლო ახლებს აქვთ კარგი პროგრამა, რომელსაც მომავალში პლატფორმად აქცევენ.

**"იმედია, ჩვენი დიალოგი მომავალშიც გაგრძელდება,"** - ამგვარი განწყობით დასრულდა მესამე სექტორის შეკრება, რომელსაც, ცოტა არ იყოს, პარტიულობის სურნელი ასდიოდა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# თემურ ხაჩიშვილი ციხიდან პოლიტიკაში ბრუნდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ტერორისტული აქტების ორგანიზატორობა-შესრულების ბრალდებით გასამართლებული და პრეზიდენტის მიერ შეწყალებული თემურ ხაჩიშვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, შესაძლოა, სულ მალე კვლავ პოლიტიკოსის ამპლუაში მოგვევლინოს. მართალია, შეწყალებული, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებს, რომელ ძალასთან ითანამშრომლებს და რა თანამდებობაზე ვიხილავთ, მაგრამ პოლიტიკაში მისი დაბრუნების შესაძლებლობა და სურვილი ერთმანეთს რომ ემთხვევა, ეს ისევ მისი საუბრიდან ჩანს.*

**"ძალიან ბევრმა და სერიოზულმა ძალამ შემომთავაზა პოლიტიკაში დაბრუნება და თანამშრომლობა. ჯერჯერობით, გადაწყვეტილება არ მიმიღია, როგორ მოვიქცევი და რას ვიზამ. მაგრამ ჩემი მხრიდან უხერხული იქნება ამ ხალხის იგნორირება. უარის თქმით უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებ იმათ, ვისაც ჩემი პოლიტიკაში ყოფნა უნდა,"** – აცხადებს ციხიდან ახალგამოსული შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, რომელიც არც იმ ხალხს ასახელებს, ვინც მას თანადგომა სთხოვა და არც გადაწყვეტილების მიღების ვადას აკონკრეტებს.

ბათუმური ვოიაჟით უზომოდ კმაყოფილი თემურ ხაჩიშვილი აჭარის ლიდერს, მის ოჯახსა და გარემოცვას ხოტბას ასხამს და მადლობას სწირავს გულითადი მოპყრობისა და თანადგომისთვის. შვიდი წლის განმავლობაში კარცერში მჯდომი, ახლა უკვე რეაბილიტირებული ექსმინისტრი, აჭარის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისას და ასლან აბაშიძესთან ურთიერთობისას, საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ **"საქართველოს გადაშენება არ უწერია"**. ბათუმში მყოფს იმის საშუალებაც მისცემია, რომ აფხაზეთის ხელისუფლებასთან, არძინბას გარემოცვასთან და რუსეთის გარკვეულ გავლენიან წრეებთან ეწარმოებინა მოლაპარაკებები. ამ ურთიერთობების შემდეგ კი ტერორისტად მონათლული ხაჩიშვილი თამამად აცხადებს, რომ ცოტა ხანში დევნილები აფხაზეთში უპრობლემოდ დაბრუნდებიან და აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციაც უპრობლემოდ აღდგება: **"მთავარია, საქმის გამკეთებელს არ შეუშალონ ხელი. რამდენიმე თვეში აფხაზეთის პრობლემა საქართველოსთვის სასიკეთოდ მოგვარდება. ეს ჩემი ვარაუდები და შთაბეჭდილებები არ გეგონოთ, ეს ყველაფერი რეალობაა,"** – აცხადებს ასლან აბაშიძის მადლიერი ხაჩიშვილი და ცენტრალური ხელისუფალის შეფასებას, რომ პრეზიდენტის წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში სისუსტეს იჩენს, პრობლემას თავს ვერ ართმევს და არც პრეტენზია უნდა ჰქონდეს, უსაფუძვლოდ მიიჩნევს.


"რატომ ატეხეს პანიკა ჩემს გათავისუფლებაზე".
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რაც შეეხება ახლად მიცემულ ჩვენებებს, რომლებიც შეწყალებულმა პატიმარმა აჭარის პროკურატურასა და გენერალურ პროკურატურაში ჩამოარიგა, თავად ჩვენებების ავტორი გამოძიებისთვის ჭეშმარიტ მტკიცებულებებად მიიჩნევს და, გამოძიებისვე ინტერესებიდან გამომდინარე, ბევრი რამის თქმისგან თავს იკავებს. თუმცა, ჟვანია-სააკაშვილის გუნდის მიმართ სერიოზული ბრალდებების კორიანტელს აყენებს და პირობას იძლევა, რომ, როგორც კი ქვეყნის ყოფილ მეორე პირს სადეპუტატო იმუნიტეტი ამოეწურება, მის მიმართ მაშინვე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე:

**"რატომ ატეხეს პანიკა ჩემს გათავისუფლებაზე, ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია. კარგად იციან, რა ინფორმაციას ვფლობ მათ შესახებ. ჩემი მინისტრობის დროს სწორედ მე არ მივეცი საშუალება, ეგუგუნა ჟვანიას და მის კლანს. თავისუფლებაში ყოფნის დროს შევძელი, ამელაგმა საქართველოდან 700 მილიონი დოლარის გატანა, რომელიც ზურაბ ჟვანიას მიერ იგეგმებოდა. თუმცა მან, მაშინდელი ფინანსთა მინისტრის, თემურ დვალიშვილის ხელმოწერით, მაინც მოახერხა 10 მილიონი რუსული მანეთის საქართველოდან გატანა და სწორედ ამ ფინანსურ მაქინაციებს შეეწირა თემურ დვალიშვილი"**, - ასეთ ბრალდებებს უყენებს თემურ ხაჩიშვილი ზურაბ ჟვანიას.

პოლიტიკურ ძალების გაერთიანებით განაწყენებული ხაჩიშვილი ირწმუნება, რომ ხელისუფლების კრიმინალიზაცია ახლა, მისი ციხიდან გამოშვებით კი არა, მაშინ დაიწყო, როცა ხელისუფლებაში ჟვანიას გუნდი მივიდა.

ერთი სიტყვით, შეწყალებული პატიმარი უკვე პოლიტიკაშია გარეული და პოლიტიკურ განცხადებებსაც აკეთებს. ხელისუფლებას კი ურჩევს, დოყლაპიობას თავი დაანებოს და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები აკონტროლოს.

რაც შეეხება მის მიმართ რამდენიმე წლის წინ წაყენებულ ბრალდებებს, როგორც თემურ ხაჩიშვილი აცხადებს, მათ პატიმრობაში არც გასცნობია, საბრალდებო დასკვნაც არ წაუკითხავს, რადგან არ აინტერესებდა. ახლა კი იმ ტერაქტებით დაზარალებულ ოჯახებს ურჩევს, სასამართლოს მიმართონ და სიმართლე ხელახალი გამოძიებით დაადგინონ.

# პრეზიდენტის გამოწვევა პარლამენტს...

პირველი გვერდიდან

მან განაცხადა, რომ საკუთარი რწმუნებულები სჭირდება და მათი დანიშვნის კონსტიტუციური უფლებაც აქვს. ამ აზრს, თავის მხრივ, საფუძველი შეუმზადა ფრაქცია "თანადგომის" ლიდერის, ელგუჯა მეძმარიაშვილის გამოსვლამ. იგი საკმაოდ "შორს წავიდა" და დამსწრეთ მოახსენა, რომ პრეზიდენტის რწმუნებულები, ამავდროულად, მთავარსარდლის წარმომადგენლებიც არიან.

საინტერესოა, რომ პრეზიდენტმა გუბერნატორთა "ადგილობრივი სარდლობის" შესახებ კომენტარი არ გააკეთა, თუმცა, დეპუტატებს კითხვები საკმაოდ ჰქონდათ. სამაგიეროდ თქვა, რომ ეს საკითხი, ტერიტორიული მოწყობის თემასთან ერთად, უნდა "მიებას" მინისტრთა კაბინეტის საკითხს.

გუშინდელ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ პრეზიდენტთან მინისტრთა კაბინეტის პროექტის მოსამზადებლად შეიქმნება სახელმწიფო კომისია.

შეგახსენებთ: პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ამ აზრს ძალზე აქტიურად ლობირებდა "სოციალისტი" ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელმაც, როგორც ამბობენ, გუშინდელ შეხვედრაზეც გამოიჩინა თავი.

პარლამენტის ბიურომ ამ საკითხის მომზადება შიდასაპარლამენტო ინტერფრაქციულ ჯგუფში გადაწყვიტა და სახელმწიფო კომისიის შექმნის იდეა იმ მოტივით არ გაიზიარა, რომ ეს დროის გაწელვის საფუძველი გახდებოდა.

პრეზიდენტთან გუშინდელი შეხვედრის შედეგი კი ამგვარი კომისიის შექმნა გახდა.

შეხვედრიდან გამოსული პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ცდილობდა, კორექტული და ზომიერი ყოფილიყო. მან განაცხადა, რომ ეს არ შეუშლის ხელს შიდასაპარლამენტო ჯგუფის მუშაობას და მან უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო კომისიასთან. ამასთან აღნიშნა, რომ პარლამენტთან ერთად მხარს არ დაუჭერს პრეზიდენტის მიერ ადრე შემოტანილ კანონპროექტს მინისტრთა კაბინეტთან დაკავშირებით და იმედოვნებს, რომ პრეზიდენტიც შეიცვლის პოზიციას.

გარდა ამისა, ნინო ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ "პრინციპების დონეზე" შეთანხმება საშემოდგომოდ მაინც უნდა მოხდეს, რადგან გაზაფხულზე, არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, ემოციები გამძაფრდება და შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი გახდება. არადა, სტრუქტურული ცვლილებები ახალი პარლამენტის არჩევის შემდეგ მაინც უნდა შევიდეს ძალაში.

გუშინდელ შეხვედრაზე ბოლომდე მაინც ვერ გაირკვა გუბერნატორების საკითხი, რომლის გამოც პრეზიდენტს ტერიტორიული მოწყობაც გაახსენდა და მინისტრთა კაბინეტიც.

გოგი თოფაძე აცხადებს, რომ ეს პარლამენტის გადასაწყვეტია. გუბაზ სანიკიძე ფიქრობს, რომ ეს საკითხი საშვილიშვილოდ გადაიდო. კემულარია ამბობს, რომ მას აუცილებლად განიხილავს პარლამენტი...

გუშინდელ შეხვედრაზე, მისი მონაწილეების ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ვეტოს უფლება აქვს, ხოლო პარლამენტი თავად რას გადაწყვეტს, მისი საქმე არ არის.

იმ "შეთანხმებით", რომელიც შეხვედრაზე იქნა "მიღწეული" და რომელსაც თამამად შეიძლება, "ცალ კარში თამაში" ვუწოდოთ, საპარლამენტო ოპოზიციის აზრი და ბოლო დროინდელი ფაციფუცი სრულიად იგნორირებული დარჩა, ისევე, როგორც პარლამენტის ბიუროს ბოლო გადაწყვეტილებები.

თუ საქართველოს პარლამენტი ამას შეურიგდა, ცხადი გახდება, რომ იგი ნელ-ნელა ურიგდება მარიონეტის იმ როლს, რომელსაც სახელმწიფო კანცელარიაში მას უკვე კარგა ხანია, უმზადებენ.

ერთი ფაქტია, პრეზიდენტის გუშინდელი სხდომით უკმაყოფილო ყველა არ ყოფილა - "თანადგომა", "მოქალაქეები", "ალიანსი", "სოციალისტები" მიღწეულს დამაკმაყოფილებელ შედეგად მიიჩნევდნენ.

სხდომას საერთოდ არ დასწრებია "აღორძინების" ფრაქცია, რომლის წარმომადგენელმა, ვალერი გელბახიანმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ ამ შეხვედრის უაზრობა და შედეგი წინასწარ იმდენად ნათელი გახლდათ, რომ მასზე მისვლა "ამღორძინებელებმა" საჭიროდ არ ჩათვალეს.

უფრო უცნაური გახლდათ ის ფაქტი, რომ ეს შეკრება, პრეზიდენტთან კონსულტაციებში არაერთხელ "შემჩნეულმა" "ახლებმაც" არ დააფასეს. "24 საათის" მცდელობა მათთან ტელეფონზე დაკავშირებისა, უშედეგოდ დამთავრდა. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, მათ დასვენებისთვის მოუცლიათ და ეს შეხვედრა იმდენად მნიშვნელოვნად არ ჩაუთვლიათ, რომ სხვა, ზაფხულისთვის უფრო შესაფერი, საქმეები გვერდზე გადაედოთ.

ერთი სიტყვით, გუშინდელი შეხვედრა, ვისთვის აზრსმოკლებული და ვისთვის დამაკმაყოფილებელი, მაინც ბადებს ერთ მნიშვნელოვან კითხვას: მიიღებს თუ არა პარლამენტი პრეზიდენტისგან მსგავს მოპყრობას გამოწვევად?

# ქაოსის ლოგიკა - ხელისუფლების ერთადერთი პოლიტიკური ტექნოლოგია

პირველი გვერდიდან

მოგვიანებით უკვე აშკარა გახდა, რომ შევარდნაძეს აღარ სიამოვნებდა ჯორბენაძის იმპერატიული ტონი და თანდათან მისი ამბიციების მოთოკვა დაიწყო.

სახელმწიფო მინისტრის მკაცრ შეფასებებს მინისტრები აიუნშიაც რომ აღარ აგდებენ, ეს რამდენიმე ხნის წინ შინაგან საქმეთა მინისტრის კომენტარშიც გამოჩნდა, როცა მან თქვა, რომ ის ჯორნებაძის არც ერთ შენიშვნას არ იზიარებს.

დღეს პრეზიდენტის ახლო გარემოცვაში საუბრობენ, რომ სახელმწიფო მინისტრმა კარგად ვერ აუღო ალღო შევარდნაძის ხასიათს და ამიტომ, შესაძლოა, საკუთარი ამბიციების მსხვერპლიც აღმოჩნდეს, რადგან შევარდნაძე მის გარემოცვაში პრეზიდენტის ამბიციებს არავის პატიობს.

ასე რომ, არ არის გამორიცხული, მორიგი საკადრო ცვლილებები შევარდნაძემ ჯორბენაძით დაიწყოს, რაც, რასაკვირველია, არსებითად არაფერს შეცვლის, გარდა იმისა, რომ პრეზიდენტი, კრიტიკულ მომენტში, დუღილის ტემპერატურის შესამცირებლად, ქვაბიდან მცირე რაოდენობის ორთქლს გამოუშვებს და სიტუაციის განმუხტვას შეეცდება.

თუმცა, სიტუაციის განმუხტვა უფრო და უფრო ძნელი ხდება, რადგან უფრო და უფრო ძნელია რაიმე ლოგიკა, პოლიტიკური ტექნოლოგიის რაიმე ნიშანი დაინახო შევარდნაძის ბოლოდროინდელ ქმედებებში.

სხვათა შორის, საინტერესოა ის ფაქტი, რომ საჯაიას სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტის ნაბიჯები თანდათან უფრო არარაციონალური და გაუგებარი ხდება და, რაც მთავარია, ეს ნაბიჯები დაძაბულობას და დესტაბილიზაციის საფრთხეს კიდევ უფრო ამწვავებს.

საჯაიას შევარდნაძე 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იცნობდა და, როგორც ამბობდნენ, ბოლომდე ენდობოდა, მის რჩევებს ხშირად ითვალისწინებდა.

უშიშროების საბჭოს მდივნის დაღუპვის შემდეგ, მისი ადგილი ვერავინ ჩაანაცვლა. საჯაიას ადგილზე თედო ჯაფარიძის დანიშვნა ამერიკის პოლიტიკურ წრეებში ძალიან დადებით მოვლენად აღიქვეს, თუმცა, დღეს ჯაფარიძის გავლენა ხელისუფლებაზე მინიმალურია და სრულიად ბუნდოვანი რჩება, რა შედის ამერიკაში საქართველოს ყოფილი ელჩის ახალ ფუნქციებში.

თუ ადრე ძალოვან უწყებებს საჯაია კურირებდა, დღეს პრეზიდენტი თავად ცდილობს, გააკონტროლოს სამართალდამცავები და არც ჯორბენაძეს მისცა ამ ფუნქციის შეთავსების უფლება.

პრეზიდენტი არაფრით უშვებს იმასაც, რომ რწმუნებულის ინსტიტუტი გაუქმდეს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ ინსტიტუტის არსებობას ვერანაირი ფუნქცია ვერ ამართლებს.

სამაგიეროდ, გუბერნატორებს ძალიან კონკრეტული ფუნქცია აქვთ თავად შევარდნაძისთვის, რადგან მათი საშუალებით პრეზიდენტი რეგიონებში ადგილობრივ გამგებლებსა და პოლიციას მთლიანად აკონტროლებს, ანუ მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას არჩევნების დროს.

შესაძლოა, შევარდნაძეს ამ ადმინისტრაციული ბერკეტის ამუშავების იმედი ჰქონდა, როცა "მოქალაქეთა კავშირის" აღდგენა გადაწყვიტა. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, თავად მან არ იცოდეს, რომ ბოლომდე დისკრედიტირებულ და ყველანაირი რესურსისაგან დაცლილ "მოქალაქეთა კავშირს" ვერანაირი ადმინიტრაციული ჩარევით ვეღარ უშველის.

არც ის ვერსიაა გამორიცხული, რომ შევარდნაძეს რეზერვში სხვა რომელიმე პარტია, მაგალითად, "ახალი მემარჯვენეები" ჰყავდეს. "მოქალაქეთა კავშირის" აღდგენის გზით კი ცდილობს, ამ პარტიას ხელისუფლებისთვის განკუთვნილი დარტყმა თავიდან ააცილოს.

თუმცა, ეს მხოლოდ ვერსიაა. არავინ იცის, რა არჩევანს გააკეთებს თავად შევარდნაძე, რადგან პრეზიდენტის მმართველობის ბოლო წლები სულ უფრო ემსგავსება ხელისუფლებაში ბორის ელცინის ბოლო წლებს. შესაბამისად, მისი ნაბიჯებიც სულ უფრო და უფრო არაპროგნოზირებადი ხდება.

დღეს ერთადერთი, რაც შევარდნაძის არათანამიმდევრული და არალოგიკური პოლიტიკიდან იკითხება, არის ისტერიული, თითქმის ავადმყოფური სურვილი, რომ ხელისუფლების ყველა ბერკეტი მის ხელში იყოს და სამომავლოდ უსაფრთხოების გარანტიები შეიქმნას.

ეს შიში აიძულებს მას, სრულიად აუხსნელ და გაუგებარ ნაბიჯებზე წავიდეს. იმავე ხაჩიშვილისა და გელაშვილის შეწყნარება ამის ძალიან კარგი მაგალითია. შევარდნაძე ისე დააფრთხო სააკაშვილისა და ჟვანიას ოპოზიციურმა მოძრაობამ, რომ სახელმწიფო ტელევიზიის ეთერით, ხაჩიშვილის პირით დაემუქრა ყოფილ თანაგუნდელებს, რომ პოლიტიკის მაღალ საფეხურებზე მათ კვლავ გამოჩენას არ დაუშვებდა.

ფაქტია, პრეზიდენტი ძალიან ხისტი გახდა. ეს გუშინ ფრაქციებთან შეხვედრაზეც კარგად გამოჩნდა. ისეთი განცდა ჩნდება, რომ შევარდნაძე ამ სრულიად გაუგებარი და უიმედო სიტუაციიდან გამოსვლას არც ცდილობს, კომპრომისებზე არ მიდის და ოპოზიციის ნებისმიერ ინიციატივას ცივად და უხეშად ხვდება.

და რაც ყველაზე საშიშია, როგორც გია ნოდიამ შენიშნა, შევარდნაძის სიხისტე და ოპოზიციის რადიკალურობა ერთმანეთს ავსებს და კვებავს. რადგან რაც უფრო ხისტია ხელისუფლება, მით უფრო რადიკალური ხდება ოპოზიცია და პირიქით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ძალზე იოლად გაბატონდეს საყოველთაო მარგინალიზაცია, რაც, თავისთავად შობს ქაოსის ლოგიკას, დესტაბილიზაციის და დაპირისპირების საფრთხე კი, სულ უფრო რეალურ სახეს იძენს.

# არასამთავრობოები სოციალურ პროგრამებში

სოფო ბუკია

"ჯანმრთელი გურია", "მდინარე არაგვის აუზის რეგიონის მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავება", "გავერთიანდეთ სვანეთის გადასარჩენად" და "კოალიცია სუფთა გარემოსთვის." ეს ის ოთხი პროგრამაა, რომელთა დაფინანსებაც "ჰორიზონტს" მოუწევს. თითოეული პროგრამის "ხორცშესხმისათვის" ფონდი 40 ათასი დოლარს გაიღებს.

თუ ყველაფერი ისე განვითარდება, როგორც პროექტის ავტორები და ფონდის ხელმძღვანელები გვპირდებიან, ერთ წელიწადში ოზურგეთსა და ჩოხატაურში სარეანიმაციო ცენტრი ამუშავდება, თავისი რეანომობილით. არაგვის აუზის პრობლემების გადასაჭრელად შეისწავლიან აუზის ეკოლოგიურ გარემოს. სვანეთის გადარჩენის პროგრამა გულისხმობს ქვემო სვანეთის სოციალური, გარემოს დაცვითი, მთავრობასთან ურთიერთობის პრობლემების გამოვლენას. ამ პროგრამის ფარგლებში სვანეთში ჩიყვით დაავადებულ სამასამდე ადამიანს გამოიკვლევენ. მეოთხე პროექტის ავტორები კი ირწმუნებიან, რომ კახეთის რეგიონში, კერძოდ, თელავში, აღარ იქნება საგანგაშო ანტისანიტარული მდგომარეობა, შეიქმნება ცოფთან ბრძოლის მუდმივი ცენტრი, მოუვლიან თელაველ უპატრონო ძაღლებსაც.

თითოეული პროექტის ავტორი ერთდროულად რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელთაც გაიმარჯვეს "ჰორიზონტის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში. კონკურსის მიზანია არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისთვის ხელშეწყობა. "ჰორიზონტის" ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ ამგვარი კოალიციების შექმნა მესამე სექტორისთვის უკვე დიდი გამარჯვებაა და ერთად გაერთიანებული არასამთავრობოები უკეთ გაუმკლავდებიან არსებულ პრობლემებს.

გამარჯვებულები გამოავლინა "ჰორიზონტის" გრანტების მრჩეველთა კომიტეტმა. თითოეული კოალიცია ათ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, გამარჯვებულია სულ 40 არასამთავრობო ორგანიზაცია. **"შესანიშნავი პროექტებია. მოხარული ვარ, რომ ჩვენი მესამე სექტორი ასეთი მაღალი დონის პროგრამებს წერს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ამ პროგრამების განხორციელება ერთ წელიწადში შესანიშნავ შედეგს მოგვცემს,"**- აცხადებს ფონდ "ჰორიზონტის" დირექტორი ნინო სააკაშვილი.

"ჰორიზონტს" დაგეგმილი აქვს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელიც თვალს მიადევნებს პროექტების მსვლელობას. გუშინ გამარჯვებულებმა ხელშეკრულებებს მოაწერეს ხელი, ორიოდე დღეში ფონდი მათ თანხებს გადაურიცხავს.



# გერმანიას უმძიმესი ფინანსური კრიზისი ელის

თორნიკე შარაშენიძე

კორპორაციულ გაბანკროტებათა არნახული სერია და მსოფლიო ბირჟებზე შექმნილი არეულობა მეტად უარყოფითად მოქმედებს გერმანიის ეკონომიკაზე და, განსაკუთრებით, ქვეყნის საბანკო სექტორზე. ავტორიტეტული გამოცემა "ველტი," შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გერმანიის საფინანსო ინსტიტუტებს ახლო მომავალში დიდ დანაკარგებს უწინასწარმეტყველებს.

ეკონომისტებისათვის ბოლო საგანგაშო სიგნალი გერმანიის, სიდიდით მეორე ბანკის, "ჰიპო-ფერაისბანკის" მოულოდნელი ჩავარდნა გახდა - ამ უკანასკნელმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველი ზარალი განიცადა, რითაც აშკარა გახდა, რომ კრიზისისაგან დაცული ქვეყანაში აღარავინ დარჩა. "ჰიპო-ფერაისბანკის" თავკაცმა კი საქვეყნოდ აღიარა, რომ მისი ბანკი აქამდე არნახულ კრიზისს განიცდის.

ექსპერტთა თქმით, უკეთეს ვითარებაში არც "დოიჩე ბანკი` და "კომერცბანკი" იმყოფებიან. ბანკების ამგვარი კრიზისი კი საერთო ვითარების ერთ-ერთი შედეგია – წელს ქვეყანაში 40 ათასზე მეტი ფირმა გაკოტრდა, რამაც საბანკო სექტორზე უმძიმესი გავლენა იქონია: ამოუღებელი ვალები, კლიენტთა ნაკლებობა და საკრედიტო პოლიტიკის იძულებითი გამკაცრება, რასაც, თავის მხრივ, კლიენტთა რაოდენობის შემცირება მოჰყვება.

ქვეყნის საფონდო ბირჟაზე ვითარება შემდეგნაირია – ივლისიდან მოყოლებული, გერმანული კომპანიების აქციათა ძირითადი ინდექსი "დაქსი" (ამერიკული დოუ ჯონსის ანალოგი) საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით 120 მილიარდი ევროთი გაუფასურდა. ფინანსური სამსახურების ბოლო მონაცემები მოწმობს, რომ გადასახადები ქვეყანაში გაცილებით ნაკლები შეგროვდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. კერძოდ, 2002 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ხაზინამ 189,4 მილიარდი ევრო მიიღო, რაც დაგეგმილზე 5,2 პროცენტით ნაკლები გახლდათ.

როგორც უკვე ვახსენეთ, შექმნილ ვითარებაში დიდ როლს მსოფლიო ბირჟებზე გამეფებული პანიკა თამაშობს. თუმცა, ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ ამ პანიკამ სწორედ გერმანიაში ჰპოვა ნაყოფიერი ნიადაგი. ამ ქვეყანაში ეკონომიკური ჩავარდნა დიდი ხნის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ ბერლინის კედლის დანგრევიდან. სოციალისტური გერმანიის მონელება გფრ-ს ეკონომიკისათვის არც ისე იოლი აღმოჩნდა. ამას მოჰყვა აზიური კრიზისი, რომელიც ევროპასაც გადასწვდა. მცირეოდენი შვება გერმანიას ევროს შემოღებამ მისცა, რომლის კურსი თავიდანვე გვარიანად დაეცა და შედეგად გერმანული ექსპორტის მოცულობამ საკმაოდ აიწია. თუმცა, მოგეხსენებათ, ბოლო დროს დოლარის კურსის დაცემამ ევრო გაამაგრა და ახლა ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. ასე რომ, დოლარის დაცემა ამერიკაზე უფრო სხვებს აყენებს ზიანს – უპირველესად კი, იაპონიასა და გერმანიას, რომლებიც ექსპორტზე მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი.

არნახული ქაოსი სუფევს გერმანიის კორპორაციულ სამყაროში. ერთი წლის წინათ "დაიმლერ-კრაისლერი" ისეთ მძიმე ვითარებაში ჩავარდა, რომ ლამის "ტოიოტას" მიეყიდა. "კრაისლერის" მარკის მანქანებზე მოთხოვნილების დაცემის გამო კომპანია დღეში, დაახლოებით, 20 მილიონი დოლარის ზარალს ნახულობდა. საბოლოოდ, არნახული ხარჯთშემცირებების წყალობით (ძირითადად, თანამშრომელთა დათხოვნების ხარჯზე), ავტოგიგანტი გადარჩა. ასევე არნახულ ხარჯთშემცირებებზე წავიდნენ კრიზისიდან თავის დასაძვრენად სხვა გერმანული ბობოლები – "სიმენსი," "ბასფი," "დოიჩე ბანკი" და სხვანი. თუმცა, ბევრი ვერ გადარჩა. მაგალითად, გაკოტრდა მედიაიმპერია "ლეო კირხი," რომელიც გასული მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლირების ექსკლუზიურ უფლებებს ფლობდა. უმძიმეს დღეში იმყოფება "დოიჩე ტელეკომი."

შექმნილ ვითარებაში მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, პრაქტიკულად, აღარ დარჩა შემოდგომაზე დანიშნულ არჩევნებში გამარჯვების შანსი. აშკარაა, რომ გერმანიას ახალი ლიდერები სჭირდება, რომლებიც ყველაფერს გადააფასებენ და ვითარების გასაჯანსაღებლად რადიკალურ ნაბიჯებს გადადგამენ.

გადაფასებას კი ბევრი რამ საჭიროებს. ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარება, გარკვეულწილად, სწორედ მთავრობის ზედმეტად ლიბერალური და პოპულისტური პოლიტიკის შედეგია. მაგალითად, უმუშევრები გერმანიაში არნახულ კომპენსაციას იღებენ. ალბათ, ამის შედეგიც გახლავთ ის, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონემ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდეს მაჩვენებელს მიაღწია. კანცლერმა შრიოდერმა მიმდინარე წლის ერთ-ერთ პრიორიტეტად უმუშევრობასთან ბრძოლა დაასახელა, მაგრამ ამ სიტყვებს საქმე არ მოჰყვა და ვერც მოჰყვებოდა. პოპულისტური კანონების გაუქმება შრიოდერმა ვერ გაბედა, შექმნილ ვითარებაში ეკონომიკის გაჯანსაღება კი თითქმის შეუძლებელია.

# ოჯახი, რომელმაც ინვესტორები 60 მილიარდი დოლარით აზარალა

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს სამართალდამცავებმა დააპატიმრეს გაკოტრებული საკაბელო ტელევიზიის კომპანიის, "ადელფია კომუნიკეიშენზის" ყოფილი ხელმძღვანელები. მათ ბრალად ედებათ ფინანსური მაქინაციები, რომელთა მეშვეობითაც ასეულ მილიონობით დოლარი მიითვისეს და 60 მლრდ. დოლარზე მეტი დააკარგვინეს ინვესტორებს.

აყვანილები არიან კომპანიის დამაარსებელი ჯონ რიგასი, მისი ორი ვაჟი და საკაბელო "გიგანტის" კიდევ ორი ყოფილი ხელმძღვანელი – ჯეიმს ბრაუნი და მაიკლ მელკეი. ეს ის ხალხია, რომლებიც წლების განმავლობაში მართავდნენ "ადელფიას," ქვეყნის "სიდიდით მეექვსე" საკაბელო ტელევიზიის კომპანიას. 77 წლის ჯონ რიგასი "ადელფიას" თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი გახლდათ, მისი ერთი ვაჟი მთავარი ფინანსური ოფიცერი იყო, მეორე კი ვიცე-პრეზიდენტი.

რიგასების ოჯახი ყალთაბანდობაში დიდი ორიგინალობით არ გამოირჩეოდა და "ენრონისა" თუ "უორლდკომის" სტილით მუშაობდა. მამა და შვილები, ზემოთ დასახელებულ ორ ხელმძღვანელ მუშაკთან ერთად, სისტემატურად მალავდნენ კომპანიის დავალიანებებსა და წაგებებს, ბერავდნენ მოგებას, რის წყალობითაც ხელოვნურად ზრდიდნენ აქციათა ფასს. საბოლოო ჯამში "ადელფიამ" დამალა 2,3 მლრდ დოლარის ვალები და, დაახლოებით, ერთი მეოთხედით გაზარდა კომპანიის კლიენტთა რიცხვი.

აქციათა კურსის ხელოვნური გაზრდის გზით მარტო რიგასების ოჯახმა 420 მლნ დოლარი მიიტაცა, საიდანაც 252 მლნ საოჯახო საბროკერო ანგარიშზე იქნა გადაქაჩული. ჯონ რიგასმა 66 მლნ დოლარი "ისესხა" კომპანიისაგან შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე და აქედან 13 მლნ დოლარი თავის "მამულში" გოლფის მოედნის მოსაწყობად დახარჯა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რითაც უნდა დასრულებულიყო – მარტში საკაბელო კომპანიამ დიდძალი ვალების არსებობა აღიარა, ივნისში კი ბანკროტად გამოაცხადა თავი და მის აქციონერებს ფარატინა ქაღალდები შერჩათ ხელში.

ფასიანი ქაღალდების ფედერალურ კომისიას, რომელსაც ეს საქმე აბარია, გადაწყვეტილი აქვს ბოლო კაპიკამდე აზღვევინოს ნაქურდალი "ადელფიას" ყოფილ თავკაცებს. კომისია კი შეეცდება, რომ სასამართლო ორგანოებისგან მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც აუკრძალავს "ადელფიას" ყოფილ ბოსებს ამერიკულ კორპორაციებში ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობას.

"ადელფიას" საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს კომპანია 1972 წელს დააარსა ჯონ რიგასმა. იქამდე იგი კინოდარბაზების ქსელს ფლობდა, მაგრამ დაინახა რა ტელევიზიის მზარდი პოპულარობა, მან მთელი თავისი კაპიტალი საკაბელო ბიზნესში ჩადო.

რიგასების ერა "ადელფიაში" მაისის თვეში დასრულდა, როცა მათ კომპანიის ბანკროტად გამოცხადების წინ თავად არჩიეს გაცლა და თანამდებობები დატოვეს.

"ადელფიას" საქმე პრეზიდენტ ბუშის მიერ შექმნილი კომისიისთვის პირველია. მისი ფუნქციაა სხვადასხვა ფედერალური სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებათა კოორდინირება კორპორაციული თაღლითობების აღკვეთის მიზნით.

კომისიის წარმომადგენელთა განცხადებით, მართალია, "ადელფიას" გაკოტრება თავისი მასშტაბით ვერ შეედრება "ენრონისა" და "უორლდომის" კოლაფსებს, მაგრამ თავხედობითა და დანაშაულებრივი ქმედების სიმძაფრით რიგასებმა და მათმა ამფსონებმა ყველა დაჩრდილეს. "უბრალოდ შემაძრწუნებელია, რომ ამერიკულ ბიზნესში ამგვარი რამეები ხდება," - განაცხადა ფკფქ-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ეს ამბავი რიგასების დაპატიმრებით არ უნდა დასრულდეს. "ადელფიას" აუდიტორია ცნობილი ფირმა "დელოიტ ენდ ტუში". როგორ მოხდა, რომ ამ უკანასკნელმა ასეთი დარღვევები ვერ აღმოაჩინა? ფედერალური კომისია, ალბათ, მალე დაინტერესდება ამ საკითხით და გამორიცხული არ არის, რომ "დელოიტ ენდ ტუშმა" "ანდერსენის" ბედი გაიზიაროს.

# ორი მილიონი ქართველი გლეხი მიწის მესაკუთრეა

პირველი გვერდიდან

**"ქართველი გლეხები საქართველოს გასაბჭოებამდე მიწის მესაკუთრეები იყვნენ. ეს მიწები სამოთხის მსგავსად იყო აყვავებული, მაგრამ შემდეგ, 70-წლიანი უძრაობის ხანაში, ყველაფერი დამახინჯდა და ახლა ამის ხელახლა შეცვლა საკმაოდ რთული პროცესია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში ჭეშმარიტი ღირებულებები სწორედ ფერმერებისგან მომდინარეობს, ამიტომ მათი წარმატებული საქმიანობა ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის კეთილდღეობისა და ნამდვილი დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის. ჩვენ გვინდა, დავეხმაროთ ქართველ გლეხებს, საკუთრებაში დაიბრუნონ და განკარგონ მიწა, რომელიც მათ ეკუთვნით,"** – განაცხადა აშშ-ს ელჩმა საქართველოში, რიჩარდ მაილსმა.

მიწის სარეგისტრაციო სერთიფიკატი, რომელიც ახალგორელ გლეხებს გადაეცათ, მფლობელებს მიწის კანონიერად ყიდვა-გაყიდვის, იჯარით გაცემის, მემკვიდრეობით გადაცემის ან ბანკში გირაოდ ჩადების უფლებას აძლევთ, ყოველგვარი ზედმეტი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე.

ახალგორის რაიონი, სადაც, დაახლოებით, რვა ათასი ადამიანი ცხოვრობს, მოსახლეობის მიგრაციას განიცდის. რაიონში მხოლოდ ერთადერთი საწარმო - ლუდის ქარხანა "ლომისი" მუშაობს, სადაც ასამდე ადამიანია დასაქმებული. მოსახლეობის 95 პროცენტი უმუშევარია. რაიონის გამგებელი ცეზარ ჩოჩელი აცხადებს, რომ ახალგორის მაცხოვრებლებისათვის მიწა შემოსავლის ერთადერთი წყაროა.



*აშშ-ს ელჩმა ახალგორელ რუსუდან პავლიაშვილს მიწის სერთიფიკატი გადასცა.*
იური ლობოდინის ფოტო

# „ლუჩინი" მეტალურგიულ კომბინატში მოსვლისთანავე... წავიდა

## რატომ დაკარგა მეტალურგიულმა კომბინატმა სასურველი ინვესტორი

პირველი გვერდიდან

კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია არ უარყოფს იმას, რომ ამ ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი საქართველოში ჩამოვიდა, შეხვდა ქვეყნის ხელმძღვანელობას, დაათვალიერა ქარხანა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებით წავიდა. **"იტალიაში დღეს გარკვეული კრიზისული სიტუაციაა მეტალურგიასთან დაკავშირებით. ამ ქვეყნის ხელისუფლებამ, ეკოლოგიური თვალსაზრისით, მკაცრი მოთხოვნები დააწესა. "ლუჩინიმ" ამასთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემები თავისთან ვერ გადაჭრა და ჩვენთანაც გაწყვიტა ურთიერთობა. ახლა ჩვენ გვეკონტაქტება მისი ერთ-ერთი ასოცირებული წევრი, "არეს იმპორტ-ექსპორტი", რომელიც უკვე გვაფინანსებს. მათ გაიღეს თანხები "მილსაგლინავი აგრეგატი 140"-ის ასამუშავებლად. ისინი მოგვაწვდიან მილნამზადს და პროდუქციას წაიღებენ,"** - განაცხადა ჟორდანიამ.

ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, "ლუჩინი" სამინისტროში თვალით არავის უნახავსო; თუმცა, ვერ უარყო, რომ ის ამ ფირმასთან დაკავშირებით იტალიის ელჩს შეხვდა: **"შევხვდით, რადგან გვაინტერესებდა, რას წარმოადგენდნენ და როგორი იყო მათი განზრახვა. ელჩი ინფორმირებული არ იყო. დამეთანხმებით, მეტალურგიული კომბინატი გრანდიოზული პროექტია საქართველოსთვის და უცნაურია, რომელიმე ქვეყნის კომპანია იღებდეს მონაწილეობას ამ კომბინატის ყიდვაში, იქ ინვესტიციის ჩადებაში და არაფერი იცოდეს საელჩომ. მათი დახმარებით გადავუგზავნეთ წერილი "ლუჩინის", სადაც ვთხოვეთ, წერილობით წარმოედგინათ პროგრამა და განზრახვა, მაგრამ უკვე მესამე თვე მიდის და პასუხი არ მიგვიღია,"** - ამბობს გენო მალაზონია.

გამოდის, რომ სამინისტრომ მანამდე დაიჭირა თადარიგი, სანამ იტალიელები თავად გადაწყვეტდნენ მეტალურგიულ კომბინატთან ურთიერთობის დამყარების საკითხს. მალაზონიამ აღიარა, რომ "ლუჩინის" დაინტერესება ოფიციალური და გადაწყვეტილი არ ყოფილა. მაშ, რის საფუძველზე მიმართა სამინისტრომ საელჩოს?

**"ინფორმაციის დონეზე შევიტყვეთ, რომ რაღაც ძვრები იყო და გადავამოწმეთ, რამდენად სერიოზულია ამ კომპანიის განზრახვა,"** - ასე ხსნის საქმის ვითარებას მალაზონია.

ირაკლი ჟორდანია სამინისტროს მხრიდან ასეთი ნაბიჯების გადადგმას ხელის შეშლას უწოდებს: **"ქონების მართვის სამინისტრო ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებს. როგორ ჩაგვიშალოს იტალიელებთან ურთიერთობა, მარტო ამაზე ფიქრობს. არავითარი დახმარება მათგან არა გვაქვს. სამინისტროს მხრიდან აქტიურობამ გამოიწვია იტალიელებთან ურთიერთობაში სიტუაციის უაღრესად დაძაბვა."**

მეტალურგიულ კომბინატის ხელმძღვანელობა ქონების მართვის სამინისტროს ასეთი ქცევის მიზეზად თავისი მხრიდან თურქი ინვესტორების ლობირებას მიიჩნევს. როგორც ცნობილია, კომბინატის ხელმძღვანელობა უკვე ორი წელია მოლაპარაკებებს აწარმოებს თურქულ "ჩუქუროვასთან", თუმცა - უშედეგოდ.

**"თურქებმა ვერ დაგვარწმუნეს, რომ მათ დიდი საკრედიტო რესურსის მოზიდვა შეუძლიათ. საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობდა არა "ჩუქუროვას" ხელმძღვანელობა, არამედ მისი ერთ-ერთი განაყოფი, არც ისე მასშტაბური თავისი ფინანსური შესაძლებლობებით, "სოვტური". გარდა ამისა, მათი პირობა ასეთია - ისინი სამი თვის მანძილზე ექსკლუზიურ უფლებას ითხოვდნენ ქარხნის რეაბილიტაციისა და მისი საკუთრებაში გადაცემის საკითხებთან დაკავშირებით. თუ ამ ხნის მანძილზე რაიმე ინფორმაციის გაჟონვა მოხდებოდა ქარხნიდან, ქართულ მხარეს დიდი ჯარიმის გადახდა დაეკისრებოდა. ასეთი პირობები საკმაოდ დიდი ეჭვების საბაბს იძლევა,"** - ასე განმარტავს ირაკლი ჟორდანია თურქების მეტალურგიულ კომბინატში არ მიღების თუ არ შეშვების მიზეზებს.

რა მოხდა სინამდვილეში იტალიელებთან დაკავშირებით? სამწუხაროა, რომ ამ კითხვაზე პასუხი ვერსიის დონეზე უნდა შემოგთავაზოთ, რადგან ოფიციალური პირები ამ თემაზე საუბარს თავს არიდებენ. ამ ვერსიის მიხედვით, თუ იტალიელები მეტალურგიულ კომბინატში შევიდოდნენ, მათ იქ, დაახლოებით, 200 მილიონი დოლარის ინვესტციის ჩადება მოუწევდათ. ეს ფული მათ იტალიიდან უნდა გამოეტანათ, რაც, თავისთავად, არც ისე სასიხარულოა ნებისმიერი ქვეყნისათვის. ამას დაემთხვა ისიც, რომ, როგორც ითქვა, იტალიამ ბოლო დროს მკაცრი ეკოლოგიური მოთხოვნები წაუყენა მეტალურგიულ ქარხნებს, რომელთა შესასრულებლად მათ მეპატრონეებს დიდი ხარჯების გაწევა უწევთ. არსებული ვერსიით, "ლუჩინიმ" სწორედ ამ მიზეზით გადაწყვიტა იტალიაში თავისი ქარხნების დახურვა და საქმიანობის საქართველოში გადმოტანა. მაგრამ ქონების მართვის სამინისტრომ ოპერატიულად აცნობა ამის შესახებ იტალიის საელჩოს და "ლუჩინის" დიდი პრობლემები შეექმნა იქაური პროფკავშირებისა და თავად სახელმწიფოს მხრიდან. მას ხელწერილი დააწერინეს, რომ საქართველოში არ ჩამოვიდოდა.

# ყაზბეგში ნადნობმა წყალმა საქართველო, შესაძლოა, უგაზოდ დატოვოს

## "იტერა" კი არ მოუბრუნდა "თბილგაზს", მოაბრუნეს, თანაც ეს თხოვნა კი არა, ვედრება იყო", - აცხადებს "იტერას" წარმომადგენელი

პირველი გვერდიდან

იმ ფაქტს, რომ "იტერამ" "თბილგაზს" ყურადღება კვლავ მიაქცია, "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა კეთილი ნების გამოხატვად მიიჩნევს და მადლიერიც არის ამისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გუშინ ორგანიზებულ შეხვედრაზე ცაავა გულდაწყვეტით საუბრობდა იმაზე, რომ, 2000 წელს გამართული ტენდერის მოგების მიუხედავად, "იტერას" "თბილგაზის" გადაცემაზე უარი ეთქვა. "იტერას" წარმომადგენლის ინფორმაციით, მაშინ კომპანიამ არაოფიციალურად ინვესტიციებიც კი გამოჰყო "თბილგაზის" ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებლად. ცაავას თქმით, ინვესტორის მოლოდინის ამ სამმა წელმა თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის ქსელი იმ უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა, რის შედეგებსაც საწარმო ამჟამად 70-პროცენტიანი დანაკარგების სახით იმკის.

"იტერას" შვილობილი "საქგაზის" გენერალური დირექტორი ლეონიდ დეიკალო აბსურდულად მიიჩნევს ქართული მხარის ვარაუდს, რომ მერია "თბილგაზის" შველას საკუთარი ძალებით, წლიურად ორი მილიონი ლარის გამოყოფით შეძლებს. მისი შეფასებით, "თბილგაზის" ქსელის (ჯერ კიდევ 2000 წელს "იტერას" წარმომადგენლები მას "მიწაში დაფლულ ჯართად" აფასებდნენ) რეაბილიტაციას 150-200 მილიონი ლარი სჭირდება. ამ თანხასთან შედარებით, "თბილგაზის" მიერ მერიისგან მოთხოვნილი ორი მილიონი ლარი სასაცილოდ მცირეა, მით უმეტეს, რომ რეალურად ქალაქის ბიუჯეტში მხოლოდ ერთი მილიონი გაითვალისწინეს. აქედან "თბილგაზმა" დღეისთვის 40 ათასი ლარი მიიღო.

მოლაპარაკებების საწყის ეტაპზევე ნათელია, რომ რუსულ კომპანიას შესაშური სასტარტო პოზიციები აქვს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს მთავრობა "თბილგაზის" გასაღებისთვის საკმაო დათმობებზე წასვლისთვის არის მზად. "იტერას" წარმომადგენელი არ საუბრობს იმაზე, თუ რამდენად შეიცვლება კომპანიის პირობები 2000 წლის პირობებთან შედარებით. მაშინ "იტერა" საქართველოს "თბილგაზში" 1.5 მილიონ დოლარს სთავაზობდა. ჯერჯერობით ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ "იტერასთან" შექმნილ ერთობლივ საწარმოში ქართული მხარე ქონების მართვის სამინისტროს სახით იქნება წარმოდგენილი, თუმცა, მართვის ფუნქცია სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გადაეცემა.



*ცაავამ და დეიკალომ საერთო ენა გამონახეს.*
მარიკა ამურველაშვილის ფოტო

თუმცა, ამ ეტაპზე, "იტერასა" და "საქგაზის" რჩევით, უპრიანი იქნება, საქართველოს ხელისუფლებამ მთლიანად ქვეყნის გაზმომარაგებაზე იზრუნოს, რადგან ყაზბეგის რაიონში ნადნობი წყლისგან შექმნილი ტბა მაგისტრალურ გაზსადენს წალეკვით, ხოლო ქვეყანას უგაზოდ დატოვებით ემუქრება. დეიკალოს შეფასებით, ხელისუფლებას ეს ფაქტი დიდად არ აღელვებს. უფრო მეტიც, "საქგაზის" ხელმძღვანელის თქმით, ზამთრის სეზონისთვის მზადებისადმი მიძღვნილ შეხვედრებზე გაზის საკითხს ძალზე მცირე დრო ეთმობა, სამაგიეროდ, აქტიურად განიხილება ელექტრომომარაგების საკითხი. ასეთ უყურადღებობას კი არც "საქგაზი" და არც "იტერა" საქართველოს, ალბათ, არ აპატიებენ.

# სადისტრიბუციო ენერგოკომპანია რეგიონებში რეპრესიებს იწყებს

მაია ურუშაძე

*"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", რომელიც სულ რამდენიმე თვეა, ფუნქციონირებს, კვლავ უიმედოდ ელის კუთვნილ ოცდარვა მილიონ ხუთასი ათას ლარს, რაც მისი მართებთ წყლის კომპანიებს.*

პერმანენტულად მზარდი დავალიანებების გამო კომპანია, რომელიც თავის დროზე ელექტროენერგეტიკის კუთვნილი თანხების ამოღების გაუმჯობესების მიზნით დაარსდა, ახლა გაკოტრების წინაშე დგას. **"მას შემდეგ, რაც ჩვენი კომპანია შეიქმნა, წყლის კომპანიებს ვალის სახით 28 მილიონ 454 ათას ექვსასი ლარი დაუგროვდათ,"** – აცხადებს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გია ადეიშვილი. ამის გამო, 5 აგვისტოდან კომპანია ენერგოკვებას მთელი საქართველოს მასშტაბით შეუწყვეტს წყლის კომპანიებს. **"ჩვენს ამ იძულებით მოქმედებაზე ყველამ თავისი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს,"** – ამბობს გია ადეიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მხარდაჭერას სთხოვს. მისი განცხადებით, უწყლოდ დარჩენის პერსპექტივა ყველა იმ რეგიონს ემუქრება, რომელთა წყლის კომპანიებიც საბითუმო ბაზრის დავალიანების რესტრუქტურიზაციის კონკრეტულ გეგმას ან საბანკო ანგარიშებს, ან თანხის გადახდის გარანტიებს ხუთიდან ათ აგვისტომდე არ წარმოადგენენ.

საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლესი მხარს უჭერს კომპანიის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ ეს ნაბიჯი ერთადერთი გამოსავალია, რათა საბითუმო ბაზარი და სადისტრიბუციო კომპანია არ გაკოტრდნენ. **"თუ ეს თანხები არ მივიღეთ, ზამთარში პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით, არ მოხერხდება ელექტროგადამცემი ქსელების შეკეთება, რის გამოც მოსახლეობას ზამთრის პერიოდში ნორმალური პირობების შექმნას ვერ აღვუთქვამთ,"** – აცხადებს ესპანელი. საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელის განცხადებით, ჯერ ისიც გასარკვევია, აქვს თუ არა ბაზარს "ეი-ი-ეს თელასის" მიმართ 50 მილიონ ლარიანი დავალიანება. სოლესი მოლაპარაკებებს მართავს "ეი-ი-ეს თელასის" ხელმძღვანელებთან, რომლის დროსაც ვალების რაოდენობა საბოლოოდ უნდა დაზუსტდეს.

# გიბრალტარის მთავრობა რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავს

გიბრალტარის მთავრობის მეთაურმა, პიტერ კარუანამ გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ, გიბრალტარის შიგნით და მის გარეთ კონსულტაციების ჩატარების შედეგად, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე, რითაც გიბრალტარის მოსახლეობას სუვერენიტეტის საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება მიეცემა. კარუანას განცხადებით, რეფერენდუმზე დემოკრატიული გზით 20,000 გიბრალტარელის ნება დაფიქსირდება. რეფერენდუმი ოქტომბრის ბოლოს არის დაგეგმილი და მონიტორინგისთვის საერთაშორისო დამკვირვებლები იქნებიან მიწვეულნი. ლონდონმა და მადრიდმა გიბრალტარის მთავრობის გეგმა გააპროტესტეს.

რეფერენდუმის შესახებ განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯეკ სტრომ განაცხადა, რომ დიდმა ბრიტანეთმა და ესპანეთმა გიბრალტარის საკითხზე შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის თანახმადაც ტერიტორიაზე ესპანეთ-ბრიტანეთის ერთობლივი სუვერენიტეტი გავრცელდება. ეს იყო პირველი ოფიციალური დადასტურება იმ ფაქტისა, რომ ლონდონი მზად არის, კოლონიაზე საუკუნეების მანძილზე არსებული ერთპიროვნული კონტროლი დათმოს. კარუანას განცხადებით კი, "ესპანეთთან ერთობლივი სუვერენიტეტი გიბრალტარისთვის მიუღებელია". ხუთშაბათს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ტონი ბლერმა დაადასტურა, რომ იგი თანახმაა გიბრალტარზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბრიტანული სამხედრო ბაზის ესპანეთთან და ნატო-ს სხვა წევრებთან ერთობლივ გამოყენებისა.

რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, ეჭვგარეშეა, რომ გიბრალტარელთა უმრავლესობა მათი სუვერენიტეტის სტატუსის ნებისმიერი ცვლილების წინააღმდეგი იქნება. დიდი ბრიტანეთი აცხადებდა, რომ ესპანეთთან ნებისმიერი შეთანხმება, გიბრალტარელთა თანხმობის გარეშე, ძალაში არ შევა. ამავდროულად, მიღწეული შეთანხმება, ძალაში არშესვლის შემთხვევაშიც კი, საბოლოო იქნება. ამით აიხსნება გიბრალტარის მთავრობის გადაწყვეტილება, იქამდე დანიშნოს რეფერენდუმი, სანამ ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი საბოლოო გადაწყვეტილებას მიაღწევდნენ.

1704 წელს, ესპანური მემკვიდრეობისთვის ომის დროს, ბრიტანეთის ჯარებმა გიბრალტარის ოკუპაცია მოახდინეს. 1713 წლის უტრეხტის ზავით კი ესპანეთმა გიბრალტარი ბრიტანულ ტერიტორიად ცნო. ამ ზავის პირობების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ლონდონი ტერიტორიაზე უარს იტყვის, ესპანეთს ეძლევა უფლება, მასზე პრეტენზია განაცხადოს. ამჟამად გიბრალტარი არის ბრიტანული ტერიტორია თვითმმართველობის ფართო უფლებებით.




# ისრაელის არმიამ ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაცია განახორციელა

26 ივლისს, გამთენიისას ისრაელის არმიამ ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაციის განხორციელება დაიწყო.

თვითმხილველთა განცხადებით, ისრაელის 7 ტანკმა და სამხედრო ჯიპმა ღაზას საზღვარი გადალახეს და კილომეტრ-ნახევრის სიღრმეში დაიკავეს პოზიციები. მათ თან ახლდათ ბულდოზერი, რომელმაც დაიწყო შენობების ნგრევა. შედეგად, დანგრეულ იქნა პალესტინელთა სამხედრო-საკონტროლო პოსტი და მეტალის დამამუშავებელი ორი საამქრო.

ისრაელის მხარემ მომხდარის კომენტირებისას განაცხადა, რომ ღაზას სამხრეთით ისრაელის სამხედრო დაზვერვის მიერ აღმოჩენილ იქნა სამი შენობა, სადაც პალესტინელები "ქასამ-2" ტიპის საბრძოლო რაკეტებს ამზადებდნენ. ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, ამ შენობებში სულ 22 ასეთი რაკეტა იქნა ნაპოვნი. ისრაელის არმიის ქვედანაყოფმა მოახდინა საკონტროლო აფეთქება, რის შემდეგაც პალესტინის ტერიტორია დატოვა. აღნიშნული ოპერაციისას დაიჭრა 2 პალესტინელი მებრძოლი, რომელმაც ისრაელის არმიის რაზმს ცეცხლი გაუხსნა.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დღეებში ღაზას სექტორიდან გაშვებული "ქასამ-2" ტიპის რაკეტებით რამდენიმეჯერ დაიბომბა ებრაული დასახლებული პუნქტები, მათ შორის, დასახლება გუშ-ქატიფი, თუმცა, ამ შეტევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ისრაელის სამხედრო დაზვერვამ ოპერატიულად დაადგინა რაკეტების დამამზადებელი საამქროების მდებარეობა და გამთენიისას სწრაფი ოპერაცია განახორციელა.

გარდა ამისა, ისრაელის არმიის ქვედანაყოფის ღაზას სექტორში შესვლას წინ უძღოდა, 25 ივლისს, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, 43 წლის ებრაელი რაბინის მკვლელობა, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, შეფასდეს, როგორც "ჰამასის" შურისძიების ნაწილი მათი ერთ-ერთი ლიდერის მკვლელობის საპასუხოდ.

აღსანიშნავია, რომ ისრაელის მხრიდან ეს იყო პირველი ოპერაცია მას შემდეგ, რაც თელ-ავივის საჰაერო დარტყმების შედეგად 14 პალესტინელი და "ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერი შეიხი სალამ შეჰადა დაიღუპა. მართალია, ისრაელის ოფიციალური პირები დღემდე ცდილობენ გაამართლონ აღნიშნული საჰაერო ოპერაცია, მაგრამ საერთაშორისო აჟიოტაჟი ამ ფაქტთან დაკავშირებით კვლავაც არ ცხრება.

პარიზში ვიზიტით მყოფმა ეგვიპტის პრეზიდენტმა, მუბარაქმა დაგმო აღნიშნული ფაქტი და განაცხადა, რომ ისრაელის მხრიდან ეს აქცია ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებების ჩაშლისკენ იყო მიმართული.

გაეროში პალესტინის წარმომადგენელმა, ნასერ ალ-ქიდვამ განაცხადა, რომ გაეროში არაბული ქვეყნების ყველა წარმომადგენელი 26 ივლისის შეიკრიბება და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გარშემო შექმნილ ვითარებაზე იმსჯელებენ. ამასთანავე, მისი განცხადებით, ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი და მისი "ლეიტენანტები," ომის დროს ჩადენილი დანაშაულებებისათვის, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ.

ამდენად, ისრაელ-პალისტინის კონფლიქტი დღითიდღე უმწვავეს ფორმებს იღებს, რაც ამ ეტაპზე აღნიშნულ რეგიონში სამშვიდობო ინიციატივების განხორციელებას შეუძლებელს ხდის.

# შრომის დანაწილება ანტიტერორისტულ კოალიციაში

საერთაშორისო ანტიტერორისტულ კოალიციაში საქმე ყველასათვის მოიძებნება – ამტკიცებს ინგლისური და ამერიკული პრესა. ძალზე საინტერესო და თავისებური ფუნქცია მონახეს ეგვიპტემ, სირიამ და იორდანიამ. ეს სამი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნით, აწარმოებს "ალ-ქაიდასა" და თალიბანის ზოგიერთი წევრის დაკითხვას. დაკავებულები ამ არაბულ ქვეყნებში კუბაზე მდებარე გუანტანამოს ამერიკული ბაზიდან ან სამხრეთ აზიის ქვეყნებიდან გადაჰყავთ, – იუწყება გაზეთი "ქრისჩენ საიენს მონიტორი".

ამერიკული "ძალოვნების" თქმით, ამ ქვეყნებში უკეთ ესმით ტერორისტების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რადგან უკეთ იცნობენ ისლამისტური ორგანიზაციების სტრუქტურას, მათ კონტაქტებს, ენასა და კულტურას. ზოგიერთ ქვეყანას, მათ შორის, ეგვიპტეს, აქვს უფრო დიდი მონაცემთა ბაზები ისლამისტების შესახებ, ვიდრე თავად აშშ-ს, – ამბობს რობერტ ბაერი, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი, - ამიტომ, გამხელილი ინფორმაციის არსებულ მასალებთან შედარების საშუალებით, მათ კარგად შეუძლიათ, გაიგონ, დაკითხვაზე ტერორისტი ცრუობს თუ სიმართლეს ამბობს.

ექსპერტების აზრით, ამგვარი ახსნა-განმარტება, შესაძლოა, მართალიც იყოს, მაგრამ მთავარი მაინც არაბებისა და ამერიკელების მიერ დაკითხვისას გამოყენებულ მეთოდებს შორის განსხვავებაა და არა ენისა თუ კულტურის უკეთესი ცოდნა.

როგორც ცნობილია, ამერიკულ ციხეებში ინფორმაციის მიღების მიზნით ეჭვმიტანილის წამება არ გამოიყენება, მაშინ, როდესაც არაბ (და არა მარტო არაბ) გამომძიებლებს პატიმარზე ზემოქმედების მეთოდების გაცილებით უფრო ფართო არჩევანი აქვთ. ჩამოთვლილი სამი ქვეყნიდან, ამ მხრივ, ყველაზე უფრო "შემოქმედებითი მიდგომით" სირიელები გამოირჩევიან.

რატომ გადაწყვიტეს არაბულმა ქვეყნებმა ამერიკისათვის ამგვარი სამსახური გაეწიათ? როგორც ცნობილია, ისლამისტი ექსტრემისტები გაცილებით უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენ ეგვიპტის სეკულარული რეჟიმისათვის, ვიდრე აშშ-სთვის. მუბარაქსა და კამპანიას თითქმის ყოველდღე უხდება შეჯახება რელიგიურ ექსტრემიზმსა და ტერორიზმთან. ამიტომ ისინი სიამოვნებით "ამოადგმევინებენ ენას" "ალ-ქაიდასა" და თალიბანის მებრძოლებს და საკუთარ მონაცემთა ბაზას კიდევ უფრო გაამდიდრებენ.

ამავე მიზეზით დათანხმდა ამერიკასთან თანამშრომლობას სირიაც. მართალია, სირია-ამერიკის ურთიერთობები მეგობრულისაგან შორსაა, მაგრამ სირიელ ალავიტებს სუნიტ ექსტრემისტებთან კიდევ უფრო ცუდი ურთიერთობები აქვთ. რაც შეეხება იორდანიას, ეს ქვეყანა ამერიკული დახმარების წყალობით არსებობს.

"არატრადიციული მეთოდებით" მიღებული ჩვენებების საიმედოობაში ბევრს ეპარება ეჭვი. როგორც გაზეთ "ქრისჩიენ საიენს მონიტორს" ცსს-ს ყოფილმა ოფიცერმა, ჰულნიკმა განუცხადა, ხშირად წამების შედეგად ეჭვმიტანილი მზადაა, ყოველგვარი სისულელე თქვას, ოღონდ დაკითხვა დასრულდეს. გაზეთის ცნობით, კორეის ომის დროს ამერიკელები, რომლებიც დაკავებულ ჩრდილოეთ კორეელებს კომფორტულ საკნებში ათავსებდნენ, ნორმალურად აჭმევდნენ და ოჯახებთან მიმოწერის საშუალებას აძლევდნენ, გაცილებით უფრო სანდო ინფორმაციებს იღებდნენ მათგან, ვიდრე სამხრეთ კორეელები, რომლებიც დაკავებულებს ინკვიზიტორების მეთოდებით ეპყრობოდნენ.

# წყალდიდობა სამხრეთ აზიაში

მუსონური წვიმებით გამოწვეულმა წყალდიდობამ აღმოსავლეთ ინდოეთში, ნეპალსა და ბანგლადეშში 200-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 8 მილიონი კი უსახლკაროდ დარჩა. წვიმა არ წყდება და წყლის დონე მდინარეებში კატასტროფულად მატულობს.

ივნისიდან სექტემბრამდე პერიოდში სამხრეთ აზიის ამ ნაწილში კოკისპირული წვიმა და წყალდიდობა ჩვეულებრივი ამბავია და თითქმის ყოველწლიურად მას ასობით და ზოგჯერ ათასობით (მაგალითად, 1988 წელს მარტო ბანგლადეშში წყალდიდობის შედეგად 3000 კაცი დაიღუპა) ადამიანის სიცოცხლე ეწირება. (Associated Press)



REUTERS

# ადამიანური განვითარების ინდექსი - 2002

გაერო-ს განვითარების პროგრამამ 24 ივლისს ადამიანური განვითარების 2002 წლის ინდექსი გამოაქვეყნა. აღნიშნული ინდექსი, ისეთი მონაცემების გათვალისწინებით, როგორებიცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების საშუალო დონე და ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე, ახდენს ქვეყნების კლასიფიკაციას მათი განვითარების დონის მიხედვით.

ხსენებული მონაცემების საფუძველზე, წელს, ისევე როგორც შარშან, მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნად ინდექსი ნორვეგიას ასახელებს. მას მოჰყვება შვეცია, კანადა, ბელგია და ავსტრალია. მეორე ხუთეულში შედიან: აშშ, ისლანდია, ჰოლანდია, იაპონია და ფინეთი. აღსანიშნავია, რომ პირველ ოცეულში, იაპონიის გარდა, ყველა ქვეყანა პროტესტანტული ან კათოლიკურია. ყველაზე განვითარებული ისლამური სახელმწიფო, ბრუნეი 32-ე ადგილზეა. იგი, ამავე დროს, ყველაზე განვითარებულ არადემოკრატიულ ქვეყანასაც წარმოადგენს. პირველი 31 ქვეყანა პლურალისტური დემოკრატიებია.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, როგორც ყოველთვის და ყველაფერში, პირველი ესტონეთია, რომელიც 42-ე ადგილზეა. 49-ე და 53-ე ადგილებზე არიან ლიტვა და ლატვია. ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი, 29-ე პოზიცია სლოვენიას უკავია.

მესამოცეა რუსეთი, 76-ე სომხეთი. 79-ე, მე-80 და 81-ე ადგილები ყაზახეთს, უკრაინასა და საქართველოს უკავიათ. ასე რომ, ქართველების უკანასკნელი ნუგეში, რომ შუა აზიას მაინც ვჯობივართ, ჯობია, დავივიწყოთ. აზერბაიჯანი 88-ეა.

მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ხუთეულს სიერა-ლეონე, ნიგერი, ბურუნდი, მოზამბიკი და ბურკინა ფასო შეადგენენ.

ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის მიხედვით, პირველ ადგილზეა ლუქსემბურგი. მისთვის ეს მაჩვენებელი 50 ათას დოლარს შეადგენს. მეორეა აშშ – 34 ათასი დოლარი, მას ნორვეგია, ირლანდია და ისლანდია მოჰყვებიან.

წერა-კითხვის ცოდნის დონე ამ ინდექსში ერთადერთი კატეგორიაა, რომლითაც საქართველოს შეუძლია, იამაყოს. მხოლოდ ჩვენ და სლოვაკიას გვაქვს ასპროცენტიანი მაჩვენებელი, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, ყველა მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 99 პროცენტს ზევითაა. წერა-კითხვის ყველაზე უცოდინარ ქვეყნად ნიგერი მიიჩნევა, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 1/6 შეუძლია ხელის მოწერა. რაც შეეხება მოსახლეობის განათლების უფრო უკეთეს მაჩვენებლებს, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსახლეობის დასწრების საშუალო დონეს, საქართველო (70 პროცენტით), პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა.

ქვეყნის განვითარების დონეს, როგორც წესი, ბავშვთა სიკვდილიანობასთან ერთად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა განსაზღვრავს. ინდექსში პირველ 25 ადგილზე მყოფ ყველა ქვეყანაში საშუალო ხანგრძლივობა 78 წელს აღემატება, ინდექსის ბოლოს (მასში სულ 173 ქვეყანა შედის) იგი 40 წელს ოდნავ აღემატება.

რაც შეეხება ტენდენციებს, მსოფლიოში სულ ორი ქვეყანაა, რომელშიც საშუალო შემოსავალი ახლა უფრო დაბალია, ვიდრე 1975 წელს. ესენია იამაიკა და მადაგასკარი. სამაგიეროდ, 19 პოსტსოციალტისურ ქვეყანაში ცხოვრების დონე ახლა უფრო დაბალია, ვიდრე 1986 წელს იყო.

ამასთან ერთად, იმ განვითარებად ქვეყნებს, რომელთაც მიზნად განვითარებულების დაწევა ჰქონდათ არჩეული, ურჩევნიათ, უფრო რეალისტური ამოცანები დაისახონ. განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის ყოველწლიურად სწრაფად იზრდება. გაერო-ს ისლა დარჩენია, მდიდარ ქვეყნებს ღარიბების დახმარებისაკენ მოუწოდოს. თუმცა, ეს დახმარება აშკარად არასაკმარისია. გაერო-ს მონაცემებით, მართალია, ღარიბი ქვეყნები დახმარების სახით ყოველწლიურად 56 მილიარდ დოლარს იღებენ, მაგრამ გაცილებით უფრო მეტს კარგავენ განვითარებული ქვეყნების მიერ დაწესებული სავაჭრო ბარიერების გამო.

დღეს აქცენტი, უფრო მეტად, საერთაშორისო დახმარების ეფექტურობაზე კეთდება, ვიდრე მის საერთო რაოდენობაზე. ამ მხრივ კი ღარიბ ქვეყნებს სერიოზული პრობლემები აქვთ კორუფციის გამო. ეს უკანასკნელი განვითარებისთვის ხელის შემშლელ მთავარ მიზეზად მიიჩნევა.

განვითარების პროგრამის ადმინისტრატორი მარკ მალოქ ბრაუნი მიიჩნევს, რომ სიღარიბის დაძლევის გზაზე წარმატების ნაკლებობა, პირველ რიგში, პოლიტიკური პრობლემებით აიხსნება. თუკი რამდენიმე წლის წინ პრივატიზაცია და ბაზრის ლიბერალიზაცია პანაცეად მიიჩნეოდა, დღეს უკვე აშკარად ჩანს, რომ დემოკრატიზაციისა და სტაბილიზაციის გარეშე ეკონომიკურ წარმატებებზე საუბარი ნაადრევია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თუ საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია, ჩამორჩენილ ქვეყნებს სიღარიბის დაძლევაში დიდი დახმარება გაუწიოს, დემოკრატიზაციაში დახმარება გაცილებით უფრო ძნელია. დემოკრატიზაციის მარცხი კი ეკონომიკის განვითარებას აბრკოლებს.

11 სექტემბრის შემდეგ ამ დილემას უფრო დიდი ყურადღება ექცევა, მაგრამ, მეორე მხრივ, საერთაშორისო საზოგადოება ნაკლებადაა მზად, შეეგუოს იმ დესტაბილიზაციასა და, ხანდახან ძალადობასაც კი, რომელიც, როგორც წესი, სახელმწიფოს მშენებლობასა და მის განვითარებას ახლავს თან.

# ეკონომიკის გაძლიერება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის

11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, ჯერ ერთი წელიც არ გასულა, ხოლო ამერიკელების ნახევარზე მეტს მიაჩნია, რომ ტრაგედიის ეფექტი თანდათან ცხრება და ეკონომიკის განვითარებას ისეთსავე მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ასეთი შედეგები NBC News-ის და Wall Street Journal-ის მიერ ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ გამოავლინა.

ანტიტერორისტული კამპანიის მხარდამჭერთა რიცხვი კვლავ მაღალია – გამოკითხულ ამერიკელთა თითქმის ბუშის ადმინისტრაციის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ომს მხარს უჭერს. თუმცა, პესიმიზმმაც იჩინა თავი. მაგალითად, გამოკითხულთა 47 პროცენტს არ სჯერა, რომ მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტს, უსამა ბინ ლადენს დააკავებენ ან მოკლავენ. ამავე დროს, ამერიკელები ახალშექმნილ საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტზე ამყარებენ გარკვეულ იმედებს, რომელიც ამერიკული სპეცსამსახურების საქმიანობის მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქციას შეასრულებს, რისი საშუალებითაც ადმინისტრაცია მომავალში 11 სექტემბრის მსგავსი მოვლენების თავიდან აცილებას იმედოვნებს. გამოკითხულთა 56 პროცენტს სჯერა, რომ ახალი დეპარტამენტი ქვეყნის უსაფრთხოებას გააძლიერებს.

გამოკითხულთა 52 პროცენტი დაეთანხმა ფორმულირებას – "11 სექტემბრის მოვლენის ეფექტი სუსტდება და ეს არ არის ის საკითხი, რომელზეც მე რეგულარულად ვფიქრობ". 33 პროცენტს კვლავ მიაჩნია, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია. ამავე დროს, 32 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამჟამად ხელისუფლების მთავარი საზრუნავი ეკონომიკის გაძლიერება უნდა იყოს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, აგრეთვე, შეეხო მოსახლეობის ნდობის საკითხს პრეზიდენტის, მთავრობის, კონგრესის, სამხედროების, ფინანსური და სხვა ინსტიტუტების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ამერიკელებში ყველაზე დიდი პოპულარობითა და ნდობით სამხედროები სარგებლობენ – მათ 83 პროცენტი მთლიანად ან ნაწილობრივ ენდობა. მეორე ადგილზე აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუშია, რომელსაც გამოკითხულთა 67 პროცენტი უცხადებს ნდობას. 34 პროცენტი და 29 პროცენტი, შესაბამისად, ფედერალურ მთავრობასა და კონგრესს ენდობა. რაც შეეხება კორპორაციებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს, მათდამი ნდობის ხარისხი ძალიან დაბალია. მათი რეიტინგი დრამატულად დაეცა მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საბუღალტრო სკანდალების სერია დაიწყო. კომპანიების არაკეთილსინდისიერი საქმიანობის ფაქტები თუ კიდევ გამოვლინდება, ამერიკელები ფინანსური ინსტიტუტებისადმი ნდობას საერთოდ დაკარგავენ. სკანდალების შედეგებისაგან იზოლირებული ხელისუფლებაც ვერ დარჩება. ბოლო დროს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის რამდენიმე გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ, კორპორატიული სკანდალების წყალობით, პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის პოპულარობა საკმაოდ დაეცა.

რაც შეეხება პრობლემებს, გამოკითხულთა 59 პროცენტს ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემებად საბუღალტრო კორუფცია და ბირჟებზე აქციების ფასის დაცემა მიაჩნია. მეორე ადგილზეა (51 პროცენტი) ამერიკელების ტერორიზმისაგან დაცვის საკითხი. ბოლო პერიოდში გახშირებული ბავშვების გატაცების ფაქტების შედეგად, 46 პროცენტი გატაცების საკითხს ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად მიიჩნევს.

გამოკითხვა სხვა მრავალ საკითხსაც შეეხო. მაგალითად, ყოველი ოთხი გამოკითხულიდან, სამი ქვეყნის მომავალს ოპტიმისტურად უყურებს. 54 პროცენტი ერაყის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო ოპერაციას მხარს უჭერს, იმის მიუხედავად, რომ ეს 200,000 ამერიკელი ჯარისკაცის ომში გაგზავნას ნიშნავს.

ამგვარად, როგორც ჩანს, ამერიკელების პრიორიტეტები თანდათან იცვლება და მათი ყურადღების ფოკუსირება უფრო საშინაო პრობლემებზე ხდება.

# თუ გიგოლაშვილი პირობას არ შეასრულებს, ღუღუნიშვილი პრეზიდენტთან იჩივლებს

თამარ მაისურაძე

გუშინ პარლამენტში ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ გამართულ სხდომაზე, პარლამენტარებმა სახელმწიფო, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მიმართ უყურადღებობაში დაადანაშაულეს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც პარლამენტის კომიტეტს დაფინანსებული თუ დაუფინანსებელი სახელმწიფო პროგრამების შესახებ 6-თვიანი ანგარიში ჩააბარა, გაირკვა, რომ ნახევარი წლის თავზე ამ სფეროში 5 მილიონამდე ლარის დავალიანებაა. როგორც ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ნახევარი წლის ბიუჯეტი 84 პროცენტით არის შესრულებული. ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის თქმით, "აქედან, ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვას მცირე დაფინანსება ხვდა წილად." "ამ ფაქტიდან გამომდინარე კარგად ჩანს სახელმწიფოს პოლიტიკა ამ სფეროსთან მიმართებაში", – განუცხადა დამსწრე საზოგადოებას პარლამენტარმა ლადო ჭიპაშვილმა.

დამნაშავის ძებნასთან ერთად, სოციალური სფეროს თავკაცები გამოსავალზეც საუბრობდნენ. საპენსიო ფონდის ხელმძღვანელის ირაკლი კოპლატაძის თქმით, "დღეისათვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, პენსიების დავალიანება 100 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან წლევანდელი დავალიანება 16 მილიონი ლარია, 12 მილიონი კი - შარშანდელი." საპენსიო ფონდში ერთადერთი ნათელი წერტილი დევნილების პენსიებია, რაც კოპლატაძის თქმით მთლიანად არის დაფარული. რაც შეეხება გარდაცვლილების პენსიებს, წელს მხოლოდ შარშანდელი სამი თვის ვალის გასტუმრება მოხერხდა. "მართალია, ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა ვალი 25 მილიონი ლარია, მაგრამ მიმდინარე პენსიები შეუფერხებლად ფინანსდება", – განაცხადა კოპლატაძემ, რომელიც ფიქრობს, რომ წელს საქართველოს ყველაზე ღარიბი რაიონების მოსახლეობას ერთი თვის დავალიანებულ პენსიებს დაუფარავს.

ჯანმრთელობის მინისტრი არც თვითკრიტიკას მორიდებია. როგორც თავად განაცხადა, დასაქმების პროგრამები 36 პროცენტით არის დაფინანსებული. "შემწეობები გაცემულია, პროგრამა სექტემბერ-ოქტომბერში ამუშავდება. აქამდე რომ არ დაწყებულა, ეს ჩვენი უნიათობის ბრალია", – თქვა გამყრელიძემ, რომელიც ზემოთხსენებული პრობლემების მოუგვარებლობაში გარკვეულწილად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც ადანაშაულებს. იგი კატეგორიულად მოითხოვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან ბიუჯეტით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. "აგვისტოს ბოლოს, ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტში ამასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართება. რადგან არ შეიძლება, რაიონები მუდმივად გაურბოდნენ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას,"- მხარი აუბა მინისტრს ზეზვა ღუღუნიშვილმა.

"...ამბობთ, დიდი ფულია ამოსაღებიო და ყველაზე ბევრს აჭარაზე ლაპარაკობთ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოქმედებს ჩვენი კანონი. საიდან უნდა მოიტანოთ ამდენი ფული?" – კითხვა დასვა ზეზვა ღუღუნიშვილმა. " ნოლაიდელმა ამ პრობლემას საშველი დაადგა, წელიწადნახევარია, მსგავსი პრობლემის წინაშე არ აღმოვჩენილვართ. ვთხოვ გოგიაშვილს, მოსახლეობის სოციალური სფეროს დაფინანსება მთავარ მიზნად დაისახოს", – განაგრძო ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა.

საბოლოო სიტყვა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ხვდა წილად. ვასილ გიგოლაშვილმა პირობა დადო, რომ ფინანსთა სამინისტრო, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო პროგრამების დავალიანებას აგვისტოს თვის პირველ რიცხვებამდე დაფარავს. მორიგი შეხვედრა 5 აგვისტოს გაიმართება. იმ შემთხვევაში, თუ გიგოლაშვილის დანაპირები არ შესრულდება, ღუღუნიშვილი საქართველოს პრეზიდენტთან იჩივლებს. ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი პარლამენტარებისგან მინიჭებული ნდობის საფუძველზე, მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს წერილობით მიმართავს.

# ჩაფიქრებული და შეშფოთებული მთაწმინდელები

ეკატერინე ბახუტაშვილი

## საშიში ტროტუარები და ეჭვიანი სალიმიანი

მთაწმინდა, ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური უბანი, მიწისძვრის შემდეგ ფეხზე ძლივს დგას. ისედაც ძველი, საუკუნეს მიღწეული სახლები სტიქიამ ისე დააზიანა, რომ დაბზარულ კედლებთან ტროტუარზე მოსიარულეს გეშინია, თავზე არაფერი დაგეცეს. მოსახლეობა კი უფრო მეტ შიშს განიცდის, რადგან რეალური დახმარება არსაიდან ჩანს, მიწისძვრები კი ისევ მეორდება.

თხინვალის, ვეძინის და ჩაბალის ქუჩებზე თითქმის ყველა სახლი მეორე ან მესამე კატეგორიისაა და სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს. მიწისძვრის შემდეგ ამ ქუჩებზე მოსახლეობის მიმართვით თუ ისე, არაერთხელ მივიდნენ მიწისძვრის სალიკვიდაციო კომისიის წევრები, მაგრამ მაცხოვრებლებს რეალური დახმარება დღემდე არ მიუღიათ. ჩვენს დანახვაზე ზემოთ აღნიშნული ქუჩების მაცხოვრებლები დაზიანებული შენობების საჩვენებლად შინ გვეპატიჟებოდნენ და გვთხოვდნენ, - იქნებ თქვენ გვიშველოთო.


დანგრეული სახლი მთაწმინდაზე
ბესო გულაშვილის ფოტო

თხინვალის ქუჩის №10 ტიპიური თბილისური სამსართულიანი სახლია, შუშაბანდიანი ძველი ხის ფასადით. ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი შენობა, რომლის შეკეთებასაც მთაწმინდის რაიონის გამგეობისაგან ბინადარნი მიწისძვრამდეც ითხოვდნენ, მიწისძვრის შემდეგ საცხოვრებლად საშიში გახდა. სახლის საყრდენი კედლები დაიხსნა და შენობა ძლივს დგას ფეხზე. იგი მეორე კატეგორიას მიაკუთვნეს. ახლახან მომხდარმა სამბალიანმა მიწისძვრამ კი პირველი სართულის ჭერი ძირს დაწია. შენობაში 5 ოჯახი ცხოვრობს მცირეწლოვანი ბავშვებით, მათ შორის ერთი 6 თვისაა. ამ სახლის ერთ პატარა ეზოს გვერდით, სამსართულიანი შენობის კედელი ესაზღვრება, რომელიც შუაზეა გახსნილი. სახურავთან აგურების წყობა არეულია და საცაა, ცვენას დაიწყებს.

თხინვალის ქუჩის №18-ის ფასადი ჩამონგრეულია და იქ უკვე აღარავინ ცხოვრობს. შენობა გამვლელთათვის საშიშია. სახლის პატრონები დროებით საცხოვრებლად ნათესავებთან გადავიდნენ.

"დანგრეული სახლიდან საშინელი სუნი მოდის. ხალხი უკვე იქ ნაგავს ყრის, ვირთხებიც მომრავლდნენ. აუტანელი ხდება აქ ცხოვრება", - გამოგვეხმაურა თხინვალის ქუჩის №16-ში მცხოვრები ევგენია ალექსანიანი, რომელიც ფანჯრიდან გვადევნებდა თვალ-ყურს. მისი თქმით, მათი სახლის საძირკველი დაბლა ჩადის, რასაც მიწისძვრასთან ერთად ამ ტერიტორიაზე არსებულმა გრუნტის წყლებმაც შეუწყო ხელი. ალექსანიანს წასასვლელი აღარსად აქვს, რადგან მიწისძვრით დაზარალებული მისი ძმაც მასთან ცხოვრობს.

ჩაბალის №9/4-ში მცხოვრები მარტოხელა პენსიონერი ემა გევორქიანი წვიმის დროს ჭერზე ცელოფანს აფარებს. მიწისძვრის შედეგად მისი სახლი მესამე კატეგორიის გახდა. ამ შენობაში 7 ოჯახი ცხოვრებს.

"გვეუბნებიან, თბილისის გარეუბნებში 4500 ლარის ფარგლებში შეარჩიეთ ბინა და გიყიდითო, ან აქ სახლის აშენებამდე 3-4 წლით დროებით სხვაგან გადადითო. ჩვენ ვეუბნებით, მოგვეცით მხოლოდ 2 ათასი ლარი და ჩვენ თვითონ შევაკეთებთ სახლის კედლებს. ფონდში ამაზე თანახმა არ არიან. გვეუბნებიან, ბიუჯეტში ფული არ არისო. თუ ფული არ არის, რა სახსრებით გვიყიდიან ბინებს? სხვაგვარად ჩვენ არ გვინდა. 3-4 წლის შემდეგ არავინ იცის, რა იქნება. შეიძლება, მთავრობა შეიცვალოს და აქედან გადასვლის შემთხვევაში ჩვენ ისე დავრჩეთ. ვფიქრობთ, აქ ძვირადღირებულ სახლს ააშენებენ და უკან აღარავინ დაგვაბრუნებს", - გვითხრა ჩაბალის №9/4-ში მცხოვრებმა მურაზ სალიმიანმა.

## ხაჩატუროვმა კალაშოვი "ჩაუშვა"

მთაწმინდის ქუჩების მოსახლეობა სიცოცხლის რისკის ფასად, ფაქტობრივად, ხელისუფლების მიერ დასანგრევად გამზადებულ სახლებს დარაჯობს, რომ მათ ნამოსახლარზე შემდეგ სხვებმა მრავალსართულიანები არ წამოჭიმონ. ამის ალბათობა კი ნამდვილად არსებობს. მთაწმინდის უბანი ხომ ქალაქის ცენტრია.

ვეძინის ქუჩაზე მცხოვრებმა ედუარდ ხაჩატუროვმა კი ჩვენთან საუბრისას ასეთი რამ განაცხადა: "მიწისძვრის შემდეგ ჩვენთან, ვეძინის ქუჩის №4-9-ში, ეს ერთი სახლია, სამშენებლო ფირმა "ბერკეტის" წარმომადგენლები მოვიდნენ, სახლის დანგრევა და ამ ადგილზე 5 სართულიანი შენობის აშენება შემოგვთავაზეს. გვითხრეს, რომ ბინებს 2 წელიწადში ჩაგვაბარებენ, მხოლოდ ჩონჩხს, სადაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი. არ გადაგვიხდიდნენ თანხას სახლის აშენებამდე ბინის ქირაობის შემთხვევაში. გვითხრეს, რომ ზედა სართულები მათი იქნებოდა და სურვილისამებრ გაყიდიდნენ. ასეთი წინადადება, რა თქმა უნდა, ყველასათვის მიუღებელი იყო".

მისივე თქმით, ჯერ კიდევ 80-იან წლებში არსებობდა პროექტი, რომლის მიხედვითაც მთაწმინდის ზემოთ აღნიშნულ ქუჩებზე უნდა გაკეთებულიყო ტრასა მთაწმინდამდე და რამდენიმე მრავალსართულიანი სახლი უნდა ალმართულიყო. ხაჩატუროვი ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი ისევ ძალაშია, ფუნიკულიორიდან კუს ტბამდე გასართობი დაწესებულებების მოწყობაა დაგეგმილი და რომ ფუნიკულიორი უკვე გაყიდულია და ერთ-ერთი მეწილე კანონიერი ქურდი კალაშოვია.

## ფუნიკულიორი არც გაყიდულა და არც... ბალანსზეა

მოსახლეობიდან მიღებული ინფორმაციების შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს გავესაუბრეთ. მთაწმინდის პლატოსთან დაკავშირებით, რომელშიც ფუნიკულიორიც შედის, მთავარი არქიტექტორის მოადგილემ რომან ლებანიძემ განაცხადა, რომ იგი გაყიდული არ არის. მას მერიის მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მთაწმინდის პარკი" ფლობს. რამდენადაც მისთვის არის ცნობილი, იგი ხელს შეუწყობს მთაწმინდის პლატოს მოვლას და აღორძინებას. ინვესტორების მოზიდა მოხდება საწესდებო ფონდის დაფუძნებით. არსებობს თუ არა ეს ფონდი, ლებანიძემ არსებითად ვერაფერი ვერ გვითხრა. "ფუნიკულიორის ასაღორძინებლად ფინანსებია საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ტერიტორია ქალაქის ბალანსზე იქნებოდა და ბიუჯეტიდან დაფინანსდებოდა", - დასძინა ლებანიძემ. ასევე შევიტყვეთ, რომ მთაწმინდის კულტურისა და დასვენების კომპლექსი 58,4 ჰექტარს მოიცავს. ბუნებრივია, რადგანაც ტერიტორია ქალაქის ბალანსზე აღარ არის, მეტი ინტერესი ჩნდება მთაწმინდის პლატოს მესაკუთრის ვინაობისადმი.

## გუდავაძე დაზარალებულებს ამხანაგობას სთავაზობს

თანხების გაცემის და ბინების შესყიდვის საკითხთან დაკავშირებით მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდის თავმჯდომარეს, თბილისის საკრებულოს მდივანს ზურაბ გუდავაძეს დავუკავშირდით. მისი თქმით, მიწისძვრის ზარალი წინასწარი მონაცემებით 250 მლნ ლარად არის შეფასებული. დღემდე ფონდში კი დაახლოებით 2 მლნ. ლარი შემოვიდა. ამ თანხებიდან უკვე 58 ბინაა ნაყიდი. ფონდის ანგარიშზე ჯერ კიდევ არ გადარიცხულა პრეზიდენტის შეპირებული 1,5 მლნ ლარი, მერიის – 1 მლნ ლარი და ასევე ელოდებიან თანხების გადმორიცხვას სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. მოკლედ, უახლოეს მომავალში შეიძლება გადაირიცხოს დაახლოებით 3 მლნ ლარი. გუდავაძის თქმით, ასეთი მცირე თანხებით მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაცია ძნელია. ამჟამად არსებული სახსრებით პირველ რიგში 385 უბინაო ოჯახი უნდა დაკმაყოფილდეს. გარდა ამისა, გადაუდებელ დახმარებას კიდევ 500 ოჯახი ითხოვს.

"თბილისის რაიონებში შექმნილია ფონდის სპეცკომისიები, რომლებიც ადგენენ დასახმარებელთა რიგითობას და გასაცემი ბინების რაოდენობას. 3-4 ოთახიანი ბინის ყიდვისათვის მაქსიმალური თანხა 10 ათას ლარს შეადგენს. ამჟამად ფონდში კიდევ 105 ბინის შესყიდვისათვის მზადდება საბუთები", - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას გუდავაძემ.

მან კატეგორიულად უარყო მოსახლეობის მიერ დასახელებული ბინების შესასყიდად მათთვის შეთავაზებული თანხის ოდენობა – 4,5 ათასი ლარი.

ფონდის სამომავლო ხედვით, მესამე კატეგორიის სახლები დასანგრევია და აღდგენისათვის მოსახლეობაზე თანხები არ გაიცემა. მათ ადგილზე უნდა აშენდეს ახალი საცხოვრებლები. ფონდმა, არქიტექტურის საქალაქო სამსახურთან ერთად, შეიმუშავა საპროექტო წინადადებები ყველა იმ ადგილისათვის, სადაც ამჟამად მესამე კატეგორიის სახლები დგას. ინვესტორების დაინტერესების მიზნით ამ ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება და დაიწყება კომერციული ბინათმშენებლობები. გუდავაძის განცხადებით, მობინადრეებს შეუძლიათ შექმნან ამხანაგობები და შესაძლებელია ამ გზით ინვესტორთა კომერციული ინტერესებიც დაკმაყოფილდეს. ფონდიდან ბინების მუდმივ სარგებლობაში მიიღების შემთხვევაში, მობინადრე მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ანუ მიწის ნაკვეთს, ფონდს დაუტოვებს. მეორე კატეგორიის სახლების აღდგენა-გამაგრებასთან დაკავშირებით შევიტყვეთ, რომ საჭირო თანხის მოსაპოვებლად ფონდი ამ საკითხს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დააყენებს. სანამ ამ გზით თანხები გაჩნდება, ეს სახლები, ალბათ, მესამე კატეგორიაში გადავა.

## მიირთვეს თუ არა მთაწმინდელებმა შოიგუს და იტალიელების გამოგზავნილი "სუხოი პაიოკი"?

"24 საათი" მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებების გაცემის საკითხითაც დაინტერესდა. მთაწმინდა-კრწანისის გამგეობაში შევიტყვეთ, რომ დახმარებები რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა შტაბის და იტალიის მთავრობის მიერ იყო გამოყოფილი. მიმღებ პირთა რაოდენობა ახლა ზუსტდება. ამ რაიონზე კი გამოგზავნილი იყო 998 ყუთი "სუხოი პაიოკი", 5 ათასი ცალი საქონლის კონსერვი, 35ტ შაქარი, 8 ტონა იტალიური მაკარონი. ეს სურსათი მიწისძვრით დაზარალებულთა მესამე კატეგორიას ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, ზემოთ აღნიშნულ ქუჩების მაცხოვრებლებიდან ჩვენ იმათ ვერ შევხვდით, რომლებზეც დახმარება გაიცა, მთაწმინდა-კრწანისის გამგეობის წარმომადგენლები კი - ჩვენს მთაწმინდელ რესპოდენტებს.

# ირანის საჩუქარი

ეთერ მამულაშვილი

თბილისის მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის ერთი ნაწილი, ამ დღეებში ჰუმანიტარული დახმარების მორიგ ტვირთს მიიღებს. ის ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ, დაახლოებით ერთი თვის წინათ გამოგზავნა. ირანის ამ საჩუქრის განაწილება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას დაევალა, მაგრამ პროდუქტის შესაფუთი მასალისა და ფინანსების უქონლობის გამო მისი დროული განაწილება ვერ მოხერხდა.

ჰუმანიტარული ტვირთი 200-მდე სამაშველო კარავს (თავისი აღჭურვილობით), 1000 ცალ პლედს და 40 ტონა საკვებ პროდუქტს მოიცავს, მათ შორის - კონსერვებს, ბრინჯს, ზეთს, ჩაის, შაქარს, ფქვილსა და ბურღულეულს.

ტვირთის სიმცირის გამო, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო კომისიამ წითელ ჯვართან ერთად გადაწყვიტა, რომ ჰუმანიტარულ ტვირთს მხოლოდ მიწისძვრით დაზარალებულ მარტოხელებს გადასცენ.

"გვესმის, რომ ეს ბევრის აღშფოთებას გამოიწვევს, მაგრამ მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ბევრია, ტვირთი კი - ცოტა. ვფიქრობთ, რომ დაზარალებული მარტოხელები ყველაზე გაჭირვებულები და დაუცველები არიან, მათზე სწორედ ამიტომაც შევაჩერეთ არჩევანი", – განუცხადა "24 საათს" წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტმა ნანა ყეინიშვილმა.

მიწისძვრით დაზარალებულმა ყველა მარტოხელამ კუთვნილი წილის მისაღებად თავიანთი რაიონის გამგეობას უნდა მიმართოს. ჰუმანიტარული ტვირთის განაწილება ორშაბათიდან - 29 ივლისიდან დაიწყება.

თითოეული რაიონის გამგეობაში ტვირთის ობიექტურად განაწილებისთვის, მეთვალყურედ, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება რამდენიმე წევრსაც მიავლენს.

# დევნილები აჭარის წარმომადგენლობას ემუქრებიან

ქეთი ქადაგიშვილი

გუშინ მერიის შენობის წინ, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელთა თაოსნობით, და თბილისში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 2000-მდე პირი შეიკრიბა და აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სტრუქტურების გაუქმების შესახებ ასლან აბაშიძის განცხადება დაგმო. მთავრობის წარმომადგენელთა მოწოდებით, დევნილებმა აჭარის წარმომადგენლობაშიც გადაინაცვლეს და შენობაში შეიჭრნენ. მათ იქ ოფისის მენეჯერის ივანე გელაშვილის მეტი არავინ დახვდა. აქციის მონაწილეებმა მას ბლოკ "აღორძინების" დეპუტატებთან მუქარა დააბარეს. ლეგიტიმური მთავრობის სოცუზრუნველყოფის მინისტრის შალვა წულეისკირის თქმით, თუ 29 ან 30 ივლისს "აღორძინების" დეპუტატები მათთან შეხვედრას არ მოისურვებენ, აჭარის წარმომადგენლობის შენობას დაარბევენ. "თუ მათ ჩვენი მუქარა არაფრად ჩათვალეს და შეხვედრაზე არ მოვიდნენ, შენობიდან თანამშრომლებს გამოვყრით და მათ დასარბევად ყოველდღიურად ათასობით დევნილს მოვიყვანთ", – იმუქრება წულეისკირი.


დევნილების აქცია მერიის შენობასთან


მარიკა ამურველაშვილის ფოტოები

სოცუზრუნველყოფის მინისტრის მუქარას მხარი იქ მყოფმა, მთავრობის დანარჩენმა წევრებმაც აუბეს. "უსახლკაროდ დარჩენილ გაღატაკებულ ადამიანებს აფხაზეთის მოქალაქეების სახელი სიმბოლურად მაინც დაგვიტოვონ. სტრუქტურების გაუქმებით, ისედაც გაჭირვებული დევნილების სოციალური მდგომარეობაც გაუარესდება, ახლა ხელფასები მაინც აქვთ, ხელისუფლებას სურს, ისინი მთლად მშრალზე დატოვოს", – განგვიცხადა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განათლების მინისტრმა ჯანო ჯანელიძემ.

ივანე გელაშვილის თქმით, ლეგიტიმური მთავრობის წევრები აჭარის წარმომადგენლობის შენობაში გუშინ, დილის საათებშიც ყოფილან და უნახავთ, რომ "აღორძინების" დეპუტატები შენობაში არ იყვნენ. "ამიტომ მთავრობის წარმომადგენელთა ხელახალ სტუმრობას აღარ მოველოდი. მათ მუქარას "აღორძინების" დეპუტატებს გადავცემ. ვიმედოვნებ, რომ შეხვედრაზე უარს არ ეტყვიან და დევნილებს შენობას არ დაარბევინებენ", – გვითხრა აჭარის წარმომადგენლობის ოფისის მენეჯერმა.

სხვათა შორის, როგორც შევიტყვეთ, დევნილთა ნაწილი აქციაზე სულ სხვა რამის მოსასმენად მისულა. "გვითხრეს, თქვენი თვეობით აუღებელი ხელფასის ბედსაც შეიტყობთო, მაგრამ ჩვენი ხელფასები არავის გახსენებია", - შემოგვჩივლეს მოქალაქეებმა.

# "კლეპტომან" განსასჯელს გაქცევა ჩაუშალეს

სოფიკო ჩხაიძე

გუშინ საოლქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე უწყინარ ხუმრობად ჩათვალეს განსასჯელის ნათქვამი: "არდადეგებზე წასვლას მეც ვაპირებ." თუმცა, ორიოდ საათში აღმოჩნდა, რომ ნუგზარ გვიჩიანს ხუმრობისთვის არ ეცალა.

თბილისის საოლქო სასამართლოს საბადრაგო ოთახიდან პატიმარმა გვიჩიანმა გაქცევა სცადა, გაიქცა კიდეც, მაგრამ ის მალევე დააკავეს.

ციხიდან არც ისე დიდი ხნის წინათ გამოსულ გვიჩიანს ისევ ძველი ბრალდებით ასამართლებენ. ამჯერად, საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრის ვაჟისა და "საფოსტო ბანკის" ერთ-ერთი დირექტორის, დავით იაკობიძის გატაცებისთვის. მას 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

გუშინ სასამართლოს ერთი რიგითი სხდომა უნდა ჩატარებულიყო და მოწმეები დაეკითხათ. სხდომის ჩატარება ისევ ბრალდებულის მიზეზით გადაიდო. მან ადვოკატ ვახტანგ თალაკვაძეს, რომელიც აქამდე იცავდა მის უფლებებს, აცილება მისცა და ადვოკატად ქართლოს ღარიბაშვილის აყვანა მოითხოვა. იმის გამო, რომ საოლქო სასამართლოს მოსამართლეები შვებულებაში გასასვლელად ემზადებიან და შვებულებამდე ახალი ადვოკატის საქმეში ჩართვა ვერ მოესწრება, მოსამართლე მარინა ხოლუაშვილმა პროცესი 4 ოქტომბრამდე გადადო. დღის თორმეტ საათზე დაწყებული პროცესი მალე დასრულდა. გვიჩიანი და მასთან ერთად იაკობიძის გატაცებისათვის განსასჯელის სკამზე მჯდომი მალხაზ გულიაშვილი სასამართლოს წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს. შემდგომი მოვლენებიც სწორედ აქედან განვითარდა. თავდაპირველი ინფორმაციით, გვიჩიანმა ბადრაგის ერთ-ერთ წევრს იარაღი ამოაცალა და ცეცხლი გახსნა. სროლის შედეგად მძიმედ დაიჭრა ბადრაგის წევრი გოგიტა ჯინჭარაძე. გვიჩიანმა კი იქ მყოფთა დაბნეულობით ისარგებლა, მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტა და მიიმალა. გაქცეულს მაშინვე დაედევნენ. მის ძებნაში პოლიციაც ჩაერთო და მალევე დააკავეს. როგორც შევიტყვეთ, გვიჩიანს შორს წასვლა ვერ მოუსწრია და დიღმის მასივის მე-6-ე კვარტალში არსებულ ერთ-ერთ პურის საცხობში იმალებოდა. გაქცეული საოლქო სასამართლოში დააბრუნეს, სადაც საქმეში გამოძიება ჩაერთო. მოგვიანებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ პაატა მხეიძემ განაცხადა, რომ გოგიტა ჯინჭარაძე ბადრაგის იარაღით არ არის დაჭრილი და გაქცეულს სხვა იარაღი აღმოაჩნდა. ბადრაგის ყველა წევრს კი კუთვნილი იარაღი თან ჰქონდა.

სავარაუდოდ, გვიჩიანის ხელში აღმოჩენილი იარაღი დამალული იყო საოლქო სასამართლოს ტუალეტში, სადაც მოკლე პროცესის დასრულების შემდეგ შევიდა განსასჯელი. მან ცუდად ყოფნა და გულისრევა მოიმიზეზა. ფიქრობენ, რომ გვიჩიანმა წინასწარ იცოდა ტუალეტში დამალული იარაღის შესახებ და იგი იოლად ჩაიგდო ხელში.

გუშინ ნუგზარ გვიჩიანი, სხვა განსასჯელებთან ერთად, ისევ მე-5-ე საპყრობილეში გაამწესეს. გამოძიებას აწარმოებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა.

როგორც დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორმა, ირაკლი წერეთელმა, გვითხრა: **"ჯერჯერობით, გარკვეულია მხოლოდ ის, რომ გვიჩიანი წინასწარი დაკავების საკანში ადვოკატებს ელაპარაკებოდა, როდესაც ცუდად გახდომის გამო ბადრაგს ტუალეტში გაცილება სთხოვა. ტუალეტიდან კი უკვე იარაღით ხელში გამოვიდა და ბადრაგს სროლა დაუწყო. ამ ეტაპზე იგი უკვე ეჭვმიტანილადაა ცნობილი. ეჭვმიტანილად ცნობის საგამოძიებო მოქმედება საოლქო სასამართლოშივე ჩატარდა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საკმაოდ მძიმე მუხლით. გვიჩიანს ბრალდება გაქცევისა და განზრახ მკვლელობის მცდელობა."**

რაც შეეხება გოგიტა ჯინჭარაძეს, მუცელში მიყენებული ცეცხლსასროლი ჭრილობა საკმაოდ მძიმე აღმოაჩნდა. მას რკინიგზის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაუკეთეს ოპერაცია. ექიმების თქმით, დაჭრილმა ბევრი სისხლი დაკარგა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერ არ იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას. არ არის გამორიცხული, რომ ჯინჭარაძეს და მასთან ერთად მყოფ ბადრაგის სხვა წევრებს გაუფრთხილებლობისთვის პასუხისგება მოუწიოთ. ბადრაგის პასუხისმგებლობის შესახებ გამოძიებას ჯერ არ უმსჯელია.

### რამდენიმე ეპიზოდი ნუგზარ გვიჩიანის კრიმინალური ბიოგრაფიიდან

ნუგზარ გვიჩიანი ადამიანის გატაცებისთვის პირველად არ სამართლდება. ის ხალხი, ვინც მას იცნობს, ხუმრობს კიდეც — ადამიანების მიმართ სჭირს კლეპტომანიაო. მის და მისი ძმის მიერ ორგანიზებულ სვანების ჯგუფს არაერთი ადამიანის გატაცება ბრალდება.

გვიჩიანი ყოფილი პოლიციელია. ახლა კი, 32 წლის ასაკში უკვე მესამედ ზის განსასჯელის სკამზე. თანაც, ის კრიმინალურ პროფესიას არ ღალატობს და ძირითადად მხოლოდ ადამიანის გატაცებებზე სპეციალდება. ამასთან ნუგზარ გვიჩიანი მხოლოდ ცნობილი ხალხის გატაცებას კიდებს ხელს. მის მიერ განხორციელებული "ოპერაციები" ყოველთვის ხმაურდება. მის საქმეებს შორისაა ისეთები, როგორიცაა წლების წინ ისრაელელი ბიზნესმენის, არც ისე დიდი ხნის კი ცნობილი ქართველი მეღვინის ვაჟის მერაბ ღვთისიაშვილის, "ყაზბეგის" ერთ-ერთი მსხვილი მოწილის ბორის საყვარელიძის ვაჟის გატაცებები. როგორც ამბობენ, გვიჩიანებს ვლადიკავკაზში ერთ ჯურღმულში მიჰყავდათ გატაცებულები. თბილისში კი პერიოდულად ქირაობდნენ ბინებს და იქ გატაცებულთა თავშესაფარს აწყობდნენ. ისიც ყოფილა, რომ მათ რამდენიმე ადამიანი ერთდროულად ყოლიათ გატაცებული. კურიოზულია სამჯერ ნასამართლევი ნუგზარ გვიჩიანის მეორედ დაპატიმრების ფაქტი. გამოსასყიდის სანაცვლოდ გატაცებული ბავშვის დასაბრუნებლად წასასვლელმა დროებით მანქანა მეგობარს ათხოვა. გაკოჭილი ბავშვი კი საბარგულში "დარჩა". მეგობარს ნათხოვარი მანქანა გაუფუჭდა და როცა შესაკეთებლად ხელოსანთან მისულმა იარაღების ამოსაღებად საბარგული გახსნა, იქ ხელფეხშეკრული ბავშვი დახვდა.

ახლა უკვე ნუგზარ გვიჩიანს განსხვავებული მუხლით, მკვლელობის მცდელობისთვისაც მოუწევს პასუხისგება.

ამბები

## გატაცებულ გოგონას ეძებენ

ორი დღის წინ წყნეთში უცნობმა პირებმა გაიტაცეს ყოფილი პოლიციელისა და, აგრეთვე, ყოფილი მხედრიონელის 14 წლის ქალიშვილი. გოგონას სახლიდან გამოსვლის შესახებ სხვადასხვა ვერსიები ვრცელდება. ერთნი ამბობენ, რომ იგი საგარაკო სახლიდან მზესუმზირის საყიდლად გამოვიდა და უკან მიბრუნებული მანქანაში ჩასვეს. სხვა ვერსიით, ის სახლში იყო, როდესაც ვიღაცამ დაუძახა და შინიდან გავიდა. ეტყობა, ის ან მალევე აპირებდა სახლში დაბრუნებას, ან ისე ჩქარობდა, რომ მობილური ტელეფონის თან წაღებაც დაავიწყდა. ორი დღის მანძილზე პოლიცია გატაცების შესახებ არ იყო ინფორმირებული. როგორც ჩანს, მიუხედავად ქალიშვილის მცირეწლოვანებისა, მშობლებმა, პირველ რიგში, მისი ცოლად მოყვანის მიზნით გატაცება ივარაუდეს და შვილის მოძებნას საკუთარი ძალებით ცდილობდნენ. გუშინწინ კი გატაცების ამბავი მას შემდეგ გახმაურდა, რაც უცნობი პირები თამაზ გოგინაშვილს ტელეფონით დაუკავშირდნენ და შვილის გამოსახსნელად გამოსასყიდი – 50 ათასი დოლარი სთხოვეს.

თავად თამაზ გოგინაშვილმა რამდენიმე წლის წინ დატოვა დაცვის პოლიცია, სადაც ის წლების მანძილზე მუშაობდა. მისი ბიოგრაფიიდან აგრეთვე ცნობილია, რომ იგი არის ერთ-ერთი იმ "მხედრიონელთაგანი", რომელიც თავის დროზე სამართალდამცველთა ინტერესების სფეროში არ მოქცეულა. არის ვერსია, რომ მას ქალიშვილი შურისძიების მიზნითაც მოსტაცეს. დაუზუსტებელი მონაცემებით, არც ისე დიდი ხნის წინათ თამაზ გოგინაშვილი რამდენიმე პირს შორის თანხების განაწილებასთან დაკავშირებულ დავაში ჩაერია და ერთი მხარე მის მიმართ საკმაოდ მძაფრ უკმაყოფილებას გამოთქვამდა. რაც შეეხება პოლიციას, რომლის მიერ ორგანიზებული პროფილაქტიკური რეიდების ფონზე საკმაოდ სერიოზული დანაშაულები ხდება, ტრადიციისამებრ, იმედს იტოვებს, რომ გოგონა უახლოეს დღეებში, შესაძლოა, დღესაც იქნას გათავისუფლებული.

## ბერეზოვსკის თანამებრძოლი პროკურატურაში დაიბარეს

გუშინ რუსეთის მთავარ სამხედრო პროკურატურაში დაიბარეს ბერეზოვსკის საზოგადოებრივი კომისიის წევრი მიხაილ ტრეპაშკინი, რომელსაც დაევალა აჩემაზ გოჩიაევის ჩვენების შესწავლა.

პროკურატურის მოწვევა ტრეპაშკინს სწორედ იმ დროს ჩააბარეს, როცა ყოფილი ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრე ლიტვინენკო რუსეთის სპეცსამსახურებს მოსკოვში მომხდარ აფეთქებებში ადანაშაულებდა.

ლიტვინენკოს მეგობარი ტრეპაშკინი პროკურატურაში მისმა გამოძახებამ ძალიან გააკვირვა. სამხედრო პროკურატურის განცხადებით, ტრეპაშკინი პროკურატურაში ჩვენების ჩამოსართმევად დაიბარეს. თუმცა, არც ლიტვინენკოს საქმეზე (საუბარია "აეროფლოტის" საქმეზე) და არც საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით. ტრეპაშკინს მის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამო დაკითხავენ.

სამხედრო პროკურატურაში რამდენიმე თვის წინათ აღიძრა საქმე და ტრეპაშკინი დადანაშაულებულია სახელმწიფო საიდუმლის გაცემასა და სამხედრო შეიარაღების უკანონოდ შენახვაში. ლიტვინენკოს ბრალდებული მეგობარი აცხადებს, რომ სამხედრო პროკურატურა ხელისუფლების შეკვეთას ასრულებს, რომლის მიზანიც ცნობილი ოლიგარქის ბორის ბერეზოვსკისა და მისი მომხრეების შევიწროებაა.

## მოსამართლე ტერორისტის ჩვენებამ გააკვირვა

11 სექტემბრის ტერაქტის მომზადებასა და განხორციელებაში ბრალდებულმა ზაქარია მუსაუიმ ამერიკელი მოსამართლეები საგონებელში ჩააგდო. იგი ერთმანეთის გამომრიცხავ ჩვენებებს იძლევა. ბრალდებული ხან აღიარებს და ხან უარყოფს ტერაქტში მონაწილეობას. ერთი კვირის წინათ ჩატარებულ სასამართლო პროცესზე მუსაუიმ აღიარა კავშირი "ალ-ქაიდას" ტერორისტულ დაჯგუფებასთან. გუშინ კი ჩვენება კატეგორიულად უარყო. ხელმეორე მოსმენაზე მუსაუიმ ადვოკატის აყვანა არ ისურვა. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული შესვენებისას მუსაუის საქციელმა მოლოდინს გადააჭარბა. მან ჰამლეტის ცნობილი ფრაზა თავისი ინტერპრეტაციით გაახმოვანა: **"ვაღიარო, არ ვაღიარო დანაშაული? საკითხავი, აი, ეს არის."**

მუსაუის საქმეს ამერიკელი მოსამართლე ლეონ ბრინკემა იხილავს. მისი განცხადებით, ბრალდებულის დაუსრულებელი ცვალებადობა მის შეურაცხადობაზე მეტყველებს. სასამართლოს მიერ მუსაუისთვის დანიშნულმა სახაზინო ადვოკატებმა სასამართლო პროცესის გადადება მოითხოვეს, რათა გამოიკვლიონ ბრალდებულის ფსიქიური მდგომარეობა.



*ტერაქტში ეჭვმიტანილი*



## შეერთებული შტატები გაეროს წინააღმდეგ

კობა ლიკლიკაძე,

"რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის", პრაღა

*გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ, 35 ქვეყნის მხარდაჭერითა და 8 მოწინააღმდეგით, დაამტკიცა ოქმი "წამების დაუშვებლობის შესახებ", რომელიც, პატიმრების ძალადობისგან თავდაცვის მიზნით, ეფექტური პრევენტული ღონისძიებების გატარებას ისახავს მიზნად. აღსანიშნავია, რომ ოქმის მიღების მოწინააღმდეგე ქვეყნებს შორის აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც, მართალია, გადაჭრით ილაშქრებს წამების წინააღმდეგ, მაგრამ დოკუმენტის ზოგიერთ დებულებას არ დაეთანხმა და დაწუნებული პუნქტების განსახილველად ათწლიან ვადას ითხოვდა.*

გაეროს ადამიანის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის თანახმად, არავინ შეიძლება გახდეს წამებისა და ძალადობის მსხვერპლი. მაგრამ, როგორც ყოველწლიური გამოკვლევები ცხადყოფს, ამ პრინციპის რეალურად ამოქმედება არ ხერხდება. არსებული სტატისტიკა ადასტურებს, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში და სასჯელაღსრულების ადგილებში ყოველდღიურად ათასობით ეჭვმიტანილი ხდება წამების ობიექტი. სწორედ ძალადობისა და წამების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით შეიქმნა ოქმი "წამების წინააღმდეგ", რომლის განხილვაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მრავალწლიანი დებატების შემდეგ, 24 ივლისს დასრულდა.

დოკუმენტი დამოუკიდებელ საერთაშორისო ექსპერტებს შესაძლებლობას აძლევს, წამების მეთოდების გამოყენების თავიდან ასაცილებლად დაუბრკოლებლად მოინახულონ იმ ქვეყნებში არსებული საპყრობილეები, რომლებიც წამების საწინააღმდეგო ოქმის რატიფიკაციას მოახდენენ. ექსპერტებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაათვალიერონ ის ციხეებიც, სადაც თალიბანისა და "ალ-ქაიდის" წევრები იხდიან სასჯელს.

სწორედ დოკუმენტის ამ პუნქტმა გამოიწვია აზრთა დიდი სხვადასხვაობა. გაეროში შემავალი რამდენიმე ქვეყნის და, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა, საბოლოოდ, მხარი არ დაუჭირეს წარმოდგენილ ოქმს.

გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის, ჯონ დევისონის განცხადებით, მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ გაეროს ახალი დოკუმენტი პოლიციის ინსპექტორებს უფლებას აძლევს, შტატის გუბერნატორების ნებართვის გარეშე მოინახულონ საპატიმრო ადგილები. მისი თქმით, გაეროს ეს პუნქტი ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის.

*"გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წინაშე არსებული ოქმის ტექსტს რამდენიმე სერიოზული ნაკლი აქვს. ცალკეულ შემთხვევებში კი, ამერიკის კონსტიტუციას მთელი დებულება ეწინააღმდეგება. განსაკუთრებით, როცა საქმე ისეთ სპეციფიკურ საკითხებს ეხება, როგორებიცაა დამნაშავის ძიება და შეპყრობა. გარდა ამისა, აშშ-ს ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების თვალსაზრისით, პროექტით გათვალისწინებული სისტემა თავსმოხვეულია,"* - განაცხადა ჯონ დევისონმა

თუმცა, გაეროს ექსპერტები და ადამიანის უფლებათა დამცველები მიიჩნევენ, რომ ოქმი წინგადადგმული ნაბიჯია და იგი წამების აკრძალვის შესახებ არსებულ კონვენციას ავსებს. ხსენებული კონვენცია 15 წლის წინათ შევიდა ძალაში და მსოფლიოს 130 ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული.

გაეროს ახალი ოქმი წლის დასაწყისში მოიწონა ჟენევაში არსებულმა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ. დოკუმენტი საერთაშორისო უფლებათა დამცველების მიერ აღიარებული იქნა, როგორც წლის მნიშვნელოვანი მოვლენა.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰიუმან რაიტს უოჩის" ექსპერტმა, რორი მანგოვენმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ოქმი არ გამორიცხავს ინსპექტირების წინ მთავრობასთან კონსულტაციებს და ხელისუფლების წინასწარ გაფრთხილებას. მუნგოვენი მიიჩნევს, რომ გაეროს ოქმი, განსაკუთრებით, მექსიკას, სამხრეთ აფრიკას და, საერთოდ, იმ ქვეყნებს გაუწევს დადებით სამსახურს, სადაც წამება ყველაზე მეტად არის გავრცელებული.

*"მე ვფიქრობ, რომ ახალი ოქმი განსაკუთრებით ეფექტური იქნება იმ ქვეყნებში, რომელთა მთავრობებმა გააცნობიერეს ძალადობისა და წამების საშიში პრობლემა და მიხვდნენ საერთაშორისო დახმარების აუცილებლობას. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ოქმი რეალურ იმპულსს მისცემს ასეთ გამოწვევებს",* - დასძინა რორი მანგოვენმა.

თუმცა, წამების დაუშვებლობის შესახებ ოქმი, თუ სპორტის ენაზე ვიტყვით, ჯერ მხოლოდ შუალედური ფინიშის სტადიაშია და იგი მას შემდეგ ამოქმედდება, რაც დოკუმენტს გაეროს გენერალური ასამბლეა დაამტკიცებს.

აღსანიშნავია, რომ წამების დაუშვებლობის შესახებ ოქმს, ევროპული ქვეყნების გარდა, ლათინური ამერიკისა და სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოებმაც დაუჭირეს მხარი. რაც შეეხება მოწინააღმდეგეთა ბანაკს, აშშ-ს გარდა, მასში კუბა, ირანი, ლიბია და ჩინეთი აღმოჩნდნენ. რაც, პირდაპირ უნდა ითქვას, ვაშინგტონის იმიჯისთვის არცთუ სახარბიელოა.

## გატაცებულთა გამოსასყიდი - სამი ბოთლი არაყი

ხაბაროვსკის ერთ-ერთი სოფლის საბავშვო ბაღიდან ნასვამმა მამაკაცმა გაიტაცა 5 ბავშვი და მათი აღმზრდელი. ხაბაროვსკის პოლიციამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მძევალთა გასათავისუფლებლად შეიქმნა სპეცჯგუფი და შედგა სპეცგეგმა. პოლიციამ სახლი, სადაც მძევლები იმყოფებოდნენ, ალყაში მოაქცია და გამტაცებელთან მოლაპარაკების წარმოება დაიწყო.

ყველასთვის მოულოდნელად გამტაცებელმა მძევალთა გასათავისუფლებლად სამი ბოთლი არაყი და პროდუქტი მოითხოვა. მოგვიანებით მოთხოვნა შეცვალა და შეეცადა სახლიდან გაქცეულიყო. გამტაცებელი ფანჯრიდან გადაძრომის დროს დააკავეს. ხაბაროვსკის პროკურატურაში საქმე მძევლად აყვანის ბრალდებით აღიძრა. 27 წლის გამტაცებელს, რომელიც ლოთი აღმოჩნდა, სამი ბოთლი არყის გამო 15-წლიანი პატიმრობა ელის.

## „მაკდონალდს„ სასამართლოში უჩივიან

ამერიკელ მამაკაცთა ჯგუფმა, რომლებიც ზედმეტ წონას უჩივიან, "მაკდონალდსის" რესტორნების ქსელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. ისინი გასუქებაში სწრაფი კვების ობიექტებს ადანაშაულებენ. მომჩივანთა მტკიცებით, რესტორნები კლიენტებს სთავაზობდნენ ცხიმიან საკვებსა და ზედმეტად დამტკბარ სასმელს.

ერთ-ერთი მომჩივანი გურმანი, რომელიც 127 კილოგრამს იწონის, აცხადებს, რომ იგი "მაკდონალდსის" რესტორნის მუდმივი კლიენტი იყო და ეგონა, რომ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საკვებს მიირთმევდა. ძველი კლიენტი ორი ინფარქტისა და დიაბეტის შეძენისთვის რესტორნის მეპატრონეებისაგან სოლიდურ თანხას ითხოვს. მისი მტკიცებით, ჯანმრთელობის გაუარესება "მაკდონალდსის" პროდუქტმა გამოიწვია.

"მაკდონალდსის" წარმომადგენლები მომჩივანთა პრეტენზიებს ირონიულად შეხვდნენ და განაცხადეს, რომ ათიდან ექვსი ამერიკელი ზედმეტ წონას უჩივის, ხოლო ყოველწლიურად სიმსუქნით გამოწვეული დაავადებებით 3 ათასი ამერიკელი იღუპება.

## მოძალადე ბიოლოგი

ამერიკის პოლიციამ დააკავა ამერიკის ბიოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელი, 51 წლის ბიოლოგი პეტრიკ რაიანი. იგი აშშ-ს კანონმდებლობის 36 მუხლითაა ბრალდებული: სექსუალური ძალადობა, ადამიანთა გატაცება და სიცოცხლისათვის საშიში იარაღის გამოყენება. სასამართლომ "სასიკვდილო იარაღად" პრეპარატი კეტამინი მიიჩნია.

პეტრიკ რაიანი ორი წლის განმავლობაში თავის თანამშრომელ ქალს საკვებში კეტამინის (დათვებისთვის განკუთვნილ ტრანკვილიზატორი) გარკვეულ დოზას უყრიდა, რაც მსხვერპლში ხელოვნურ ძილს იწვევდა. ბიოლოგი დაძინებულ კოლეგას აუპატიურებდა. გამოფხიზლებული ქალი მომხდარის შესახებ ვერაფერს ხვდებოდა.

დანაშაული მას შემდეგ გაიხსნა, რაც თავის ტკივილებით შეწუხებულმა ქალბატონმა ექიმს მიმართა. თავის ტკივილის გამომწვევი მიზეზი ორგანიზმის მოწამვლა იყო. დაინტერესებულმა ექიმმა ბიოლოგიური ცენტრი და პეტრიკ რაიანის ბინა დაათვალიერა. მან ბიოლოგის ბინაში დანაშაულის კვალს მიაგნო – მძინარე ქალზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის კადრებს. ისინი ბიოლოგს ვიდეოფირზე ჰქონდა ჩაწერილი.

ამერიკული კანონმდებლობით, ბიოლოგის მიერ ჩადენილი დანაშაული 40 წლით პატიმრობას ითვალისწინებს.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

ჯორჯიან რისარჩი

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

# დაუთმობს თუ არა საქართველო რუსეთს სამხედრო საკითხებში

პირველი გვერდიდან

საქმეში ჩახედული ხალხი კი არაოფიციალურ დონეებზე ამტკიცებს, რომ ასეთი შედეგით რაიმე გარღვევაზე საუბარიც არ შეიძლება. დიდი ექსპერტობა არ სჭირდება დღეს იმის მიხვედრას, რომ რუსეთმა ბაზების საკითხში პრინციპული რევანში აიღო და საქართველოს მოუგო. ამით რუსეთმა, ფაქტობრივად, მიაღწია საქართველოში საკუთარი სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის პროცესის გაჭიანურებას.

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველო-რუსეთის სამხედრო საკითხებზე შეხვედრის დროს განიხილეს სამხედრო–პოლიტიკური თანამშრომლობის ფართო სპექტრი. მენალარიშვილ-კლებანოვის შეხვედრა იმითაც იყო რთული, რომ ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის მთელი რიგი საკითხები დღეს დიდ ფინანსურ პრობლემებსაც უკავშირდება, ანუ იმას, თუ ვინ დააფინანსებს საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანას. რუსების წინადადება - "ეძებეთ სპონსორი დასავლეთის სტრუქტურებში" - კვლავ აქტუალური რჩება.

ამ შეხვედრაზე დამსწრე რუსი სამხედრო ექსპერტების თქმით, ქართველებმა, თურმე, ისევ მოვითხოვეთ 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთში გატანილი ტექნიკისა და ყოფილი სსრკ სამხედრო ქონების მატერიალური ანაზღაურება, რაზეც იგივე სამხედროები ასეთ პასუხს გვცემენ: სსრკ, დიდი ხანია, აღარ არსებობს და 6 მილიარდი დოლარის მოთხოვნა დღეს აბსურდია. რუსი სამხედრო ექსპერტები გვახსენებენ, რომ რუსეთის ოთხი სამხედრო ბაზის მთლიანი ღირებულება ბევრად დაბალია, ვიდრე 5-6 მილიარდი დოლარი.

ჩეჩნეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის გათვალისწინებითა და რუსეთის უშიშროების პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი დღეს კავკასიაში დათმობას არ აპირებს. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ 26 ივლისს მოსკოვმა და ვაშინგტონმა საკმაოდ მაღალ დონეზე განიხილეს საერთაშორისო ტერორიზმისა და კავკასიის რეგიონში უშიშროების პრობლემა. ასე რომ, ამ კონტექსტში, ალბათ, ჯდება პასუხი კითხვაზე, თუ რატომ დაუთმო სამხედრო საკითხებში საქართველომ რუსეთს.

მოსკოვში ანგარიშს უწევენ იმასაც, რომ საქართველო-რუსეთის სამხედრო–პოლიტიკური თანამშრომლობის პრინციპული საკითხების გასაღები დღეს მოსკოვში აღარ ინახება. 26 ივლისს ვაშინგტონში ანტიტერორისტული კოალიციის თანამშრომლობის საკითხის განხილვას წინ უძღოდა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის, ვლადიმირ რუშაილოსა და მოსკოვში აშშ-ს ელჩის, ალექსანდრე ვერშბოუს შეხვედრაც, სადაც, ჩეჩნეთში საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემის განხილვასთან ერთად, დიდი ყურადღება დაუთმეს კავკასიის რეგიონის პრობლემებსაც. ამ შეხვედრის მთავარ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დღეს ვაშინგტონის სამხედრო წრეები მწვანე გზას აძლევენ კავკასიის სამხრეთ საზღვრებზე რუსეთის სამხედრო ყოფნის შენარჩუნებას.

რუსი ექსპერტები გვაიმედებენ, რომ "ახალქალაქის, ბათუმის, საგარეჯოს, გუდაუთის ბაზების ფუნქციონირებისა და მათი მომსახურების ორგანიზაციული საკითხები დიდ ფინანსურ ინექციას ითხოვს. ამიტომ ხომ არ აჯობებს, ორ სახელმწიფოს შორის დიდი ხელშეკრულების გაფორმების წინ ამ სპეციფიკური დეტალებით ხელშეკრულება არ დავამძიმოთ?"

დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა დღეს მოსკოვში "24 საათისათვის" მიცემულ მოკლე კომენტარში რუსეთის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრის, ილია კლებანოვის თანაშემწემ:

**"ირაკლი მენაღარიშვილთან შეხვედრაზე განხილულ იქნა კარდინალური სამხედრო-პროცედურული მომენტები. შეხვედრა სამუშაო ხასიათს ატარებდა, რის შემდეგაც გადაწყდა, აგვისტოს მეორე ნახევარში ორი ქვეყნის სამხედრო ექსპერტების შეხვედრა. მხარეებმა ერთმანეთის პოზიციები გაიზიარეს და არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღიათ".**

# ზურაბ აბაშიძე: საქართველო და რუსეთი საერთო ენას მაინც გამონახავენ

რუსიკო ნიკურაძე

საქ. კორ. მოსკოვში

*"24 საათმა" საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობის თაობაზე მოსკოვში ამ დღეებში ჩატარებული მოლაპარაკებების შესახებ საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ბატონ ზურაბ აბაშიძეს.*

**- როგორია დღეს რუსეთის სამხედრო წრეების მთავარი არგუმენტი საქართველოში სამხედრო ბაზების კიდევ 11 წლით დატოვებაზე?**

- ილია კლებანოვთან შეხვედრაზე რუსეთის მხარემ სამხედრო ბაზების ფუნქციონირების ვადების საკუთარი დაანგარიშებები წარმოადგინა. ეს დაანგარიშებები ქართველი ექსპერტების მხრიდან სერიოზულადაა გასაანალიზებელი. ვფიქრობ, აგვისტოში დაგეგმილ შეხვედრაზე ამ საკითხებს მეტი ნათელი მოეფინება. კლებანოვთან შეხვედრაში ახალი ის იყო, რომ რუსეთმა ბაზების გასატანად 11 წელი მოითხოვა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ თუ სპონსორი მოიძებნებოდა და რეალური ფინანსური დახმარება იქნებოდა, რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გატანის პროცესი დაჩქარდებოდა და ვადებიც განახევრდებოდა. რუსეთის მთავარი არგუმენტი სწორედ ამ პროცესის ფინანსურ მხარეს უკავშირდება. კლებანოვთან შეხვედრისას ითქვა ისიც, რომ საბოლოოდ უნდა დაიხუროს გუდაუთის სამხედრო ბაზის პრობლემა, დღის წესრიგიდან მოიხსნას საგარეჯოს სამხედრო ობიქტების საკითხებიც, სადაც მთავარ სიძნელედ ასევე ფინანსური და ორგანიზაციული პუნქტები რჩება. კმაყოფილები ვართ, რომ მოლაპარაკებებში წინ წავიწიეთ.



*ზურაბ აბაშიძე*

ბესო გულაშვილის ფოტო

**- ბატონო ზურაბ, ბაზების საკითხში ხომ მაინც ვერ წავიწიეთ წინ? ამ პრობლემის მოუგვარებლობა ხელს არ შეუშლის ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების პროცესს? დოკუმენტისათვის საბოლოო სახის მიცემას, პირველ რიგში, ხომ სამხედრო-პოლიტიკური საკითხების შეთანხმება სჭირდებოდა?**

- წინ წაწევაში იგულისხმება სამხედრო საკითხებზე მოლაპარაკების პროცესის განახლება. ეს უაღრესად პოზიტიური ნაბიჯია. დღეს უკვე ეს პროცესი განახლებულად ითვლება. რუსეთის მხარეს მოვთხოვეთ: რადგან გუდაუთის ბაზას დახურულად აცხადებენ, სათანადო დოკუმენტაციაც წარმოადგინონ და ა.შ. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ და აქამდე შეუთანხმებელი საკითხები შევათანხმეთ. გამორიცხული არ არის, მალე ამ ვადების განხევრების საკითხი დავაყენოთ და შემოდგომისათვის პოლიტიკურ შეთანხმებასაც მივაღწიოთ. რა თქმა უნდა, სამხედრო ბლოკი გავლენას ახდენს ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების შინაარსზე, მაგრამ მოსკოვური რაუნდის დროს მიღწეული დადებითი იმპულსები ქართულ მხარეს მაინც ოპტიმისტურად განაწყობს.

**- აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის პრობლემასა და გუდაუთის სამხედრო ბაზის საკითხს დღეს ბევრი რუსი სამხედრო ექსპერტი ერთმანეთს უკავშირებს და ასეთ ოპტიმიზმს არ იზიარებს.**

- ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რუსეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ეს პრინციპული და სერიოზული სიგნალია, რომ აფხაზეთის პოლიტიკური საკითხი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებთან შესაბამისობაში გადაწყდება. მოსკოვურ რაუნდებზე ამის ყველა იმპულსი გამოჩნდა. რა თქმა უნდა, გვაღელვებს კონფლიქტის დაურეგულირებლობა და აქედან გამომდინარე ყველა მოვლენა - რეგიონის პასპორტიზაციით დაწყებული, რაც ქართული მხარისათვის მიუღებელია. ჩვენი მხრიდან ყველა გამაღიზიანებელი ფქტორის მოხსნას უნდა შევეცადოთ და დოკუმენტი ხელმოსაწერად მოვამზადოთ.

**- მოსკოვის პრესა და პოლიტიკური წრეები აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულების მომზადება და სადავო სამხედრო საკითხების გადაჭრა პრეზიდენტების შეხვედრამდე მაინც არ მოხდება.**

- რა თქმა უნდა, ორი ქვეყნის ურთიერთობაში დაგროვდა ისეთი საკითხები, რომლებიც პირველი პირების შეხვედრასა და ჩარევას ითხოვს, თუმცა, დელეგაციების ხელმძღვანელთა განწყობითაც შეიძლება მსჯელობა, რომ ხელშეკრულების გაფორმებას კარგი პირი უჩანს. ნამდვილად არის საუბარი შევარდნაძე-პუტინის შეხვედრაზე, მაგრამ კონკრეტულ ვადებს არავინ ასახელებს. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი, იმედი გვაქვს, ურთიერთდათმობით ბევრ კომპრომისს მივაღწევთ, საქართველო და რუსეთი საერთო ენას მაინც გამონახავენ.

# ქართველი ოფიცრები ახალი იმედის მოლოდინში

თეა გილიგაშვილი

**“მე დავყავი ჩემი ოფიცრები ოთხ ჯგუფად: ჭკვიანები, ჩლუნგები, ენერგიულები და ზარმაცები. თითოეულ ოფიცერს გააჩნია ორი ამ თვისებათაგანი მაინც.**

**ყოველთვის შეიძლება სარგებლობის მიღება მათგან, ვინც ჩლუნგია და ზარმაცი.**

**ჩლუნგები და ენერგიულები საფრთხეს წარმოადგენენ.**

**ჭკვიანები და ენერგიულები შეესაბამებიან უმაღლეს საშტაბო თანამდებობებს.**

**ხოლო ჭკვიანებსა და ზარმაცებს გააჩნიათ ტემპერამენტი და ნერვები სწორი გადაწყვეტილების მისაღებად და ამიტომ მხოლოდ ისინი შეესაბამებიან უმაღლეს სამეთაურო თანამდებობებს.”**

უცნობი გერმანელი ოფიცრის ამ შეფასებებს რამდენად იყენებენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამეთაურო თანამდებობების განაწილებისას, არავინ იცის. ოფიცერთა თვისებების განსჯა მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც ისინი ხმაურით აპროტესტებენ ხელისუფლების დამოკიდებულებას ჯარის მიმართ. ასეთი მეამბოხე, დაუმორჩილებელი მეთაურები უკვე საფრთხეს წარმოადგენენ და მათ შეიარაღებულ ძალებს ატოვებინებენ; ჯარში არსებული ვითარება დროებით ისევ წყნარდება; აქ ისინი რჩებიან, ვისაც ჯერ კიდევ აქვს ხვალინდელი დღის იმედი. ხელისუფლება ოფიცერთა პრობლემებს მორიგ სკანდალამდე ივიწყებს, სკანდალები, როგორც წესი, მხოლოდ ორიოდე დღე გრძელდება და შემდეგ აღარავის ახსენდება, რას მიჰყავს სამხედრო პირი დაუმორჩილებლობამდე ან თვითნებობამდე.

## ქართული არმია ოფიცრების გარეშე

ომს იგებენ ჯარისკაცები და აგებენ ოფიცრები. ჭკვიანი ოფიცრის გარეშე ყველაზე ჭკვიანი ჯარისკაცებიც კი “საზარბაზნე ხორცად” იქცევიან. ეს ის დაუწერელი კანონებია, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის არმიის ოფიცრებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. ქართულ შეიარაღებულ ძალებში ეს კანონები არ მოქმედებს. ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების დაფინანსებისას ყველაზე მეტად თავდაცვის სისტემა “იჩაგრება”. “წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის” დაწყებამ ოფიცრებს მომავლის იმედი გაუღვიძა, რადგან ნატოს სტანდარტებზე გადასვლა მათი ხელფასის მოწესრიგებასაც გულისხმობს; მანამდე, ქართული არმიის შექმნის თორმეტი წლისთავზე, თავდაცვის სამინისტრო კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას ვერ ახერხებს. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში შეიარაღებული ძალები 8000-მა ოფიცერმა დატოვა. სამხედრო სამსახურიდან წასვლის მიზეზი უმრავლესობისთვის გახდა მძიმე ეკონომიკური პირობები.

მაია ჭიაბრიშვილი, თავდაცვის სამინისტროს რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი: **“წელს ჩვენ ქვეყნის ბიუჯეტიდან ვითხოვდით 71 მილიონ ლარს. მასში ყველაზე ეკონომიურად დაანგარიშებული იყო პირადი შემადგენლობის ხარჯი - 34 მილიონი. საბოლოოდ, ჩვენ განგვისაზღვრეს მთლიანი თანხა - 36 მილიონი ლარი. წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა ოფიცერთათვის განსაზღვრულ თანხას. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ბიუჯეტიც დროულად არ სრულდება. ექვსი თვის მონაცემებით უკვე 4 მილიონი ლარის დანაკლისი გვაქვს.”**

თავდაცვის სამინისტროდან ოფიცერთა ნაწილი იმ სტრუქტურებში მიდის სამუშაოდ, სადაც უფრო მაღალი ანაზღაურებაა, ან, უბრალოდ, სადაც უფრო მეტი ფულის შოვნა შეიძლება. ქართული არმიის ნატოს სტანდარტებზე გადასვლა და პროფესიული არმიის ჩამოყალიბება ისედაც გულისხმობს კადრების შემცირებას, თუმცა, საკითხავია, რა ვითარებამდე მიიყვანს ქვეყანას იმ ადამიანთა უმუშევრად დატოვება, რომელთაც ყველაზე უკეთესად იარაღის ხმარება შეუძლიათ; თანაც სამხედრო სამსახურში დარჩენილებსაც მძიმე ეკონომიკური პირობები სტრესულ მდგომარეობას უქმნის. გასულ წელს ნერვული დაავადებებით სამხედრო ჰოსპიტალს 300-მდე ოფიცერმა მიმართა, მათი ნაწილი სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა მძიმე ფსიქიკური მოშლილობის დიაგნოზით. თუმცა, სამხედრო პირთა მკურნალობაც, დაუფინანსებლობის გამო, ნორმალურად ვერ ხორციელდება. გასულ წელს სამედიცინო ხარჯებზე თავდაცვის სამინისტრო 1 507 700 ლარს ითხოვდა, საბოლოოდ მიიღო 195 600 ლარი, მთლიანი თანხის მხოლოდ 12 პროცენტი.

საგანგაშოა ჯარში გარდაცვლილთა რაოდენობა; უბედური შემთხვევებით, მკვლელობებითა და თვითმკვლელობებით ქართული არმია ყოველწლიურად ერთ ოცეულს კარგავს. ბოლო სამი წლის მანძილზე სამხედრო ნაწილების ტერიტორიაზე 50-ზე მეტი სამხედრო დაიღუპა. გარდაცვლილთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოფიცრები არიან. უბედურ შემთხვევებთან ერთად ხშირია თვითმკვლელობის ფაქტები.

დიმიტრი ლეჟავა, თავდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი: **“მოიკლავ თავს, როცა სახლში მიდიხარ და ცოლ-შვილი გეუბნება, რომ საჭმელი არ არის. ვერ ივლის სამხედრო ადამიანი ხელგაწვდილი! ეს უბედურებაა. იმიტომ კი არა, რომ ჩვენთან დისციპლინა არ არის და ჩვენ მათ თავის მოკვლას ვერ ვუკრძალავთ... მე ხშირად მითქვამს, ოფიცერი რომ წავა და ფულის მისაღებად სისხლს ჩააბარებს, ეს უბედურებაა არა მხოლოდ ჯარისთვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის.”**

## გადარჩენის გზების ძიებაში

თვეობით გაუცემელი ხელფასების გამო, ოფიცრებს დამატებითი შემოსავლის ძებნა უწევთ და გზა, ხშირად, სამხედრო ტექნიკამდეც მიდის. საქმეში ჩახედული ადამიანები გორის სატანკო ნაწილის მაგალითს ასახელებენ, სადაც კოლონად ჩამწკრივებული სამხედრო სატვირთო მანქანები მტრის გულის გასახეთქად დგას, სინამდვილეში, ყველა მათგანი მწყობრიდანაა გამოსული, - სავალი ნაწილები დიდი ხნის წინ გაიყიდა. ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მეთაური კი, შემოსავლის უკანონო წყაროების ძიებას ასე ამართლებს: **“ყველაზე პატიოსან დედასაც კი, როცა მის შვილებს შიათ და სხვა გამოსავალს ვერ პოულობს, შეუძლია, სხეულით ივაჭროს, როცა გასაყიდი აღარაფერი რჩება, ახლა წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნება მეთაური, რომელსაც ათობით და ასობით მშიერი, უპატრონო ჯარისკაცი თვალებში შეჰყურებს. ეს ის მდგომარეობაა, როცა მზად ხარ, ნებისმიერ რისკზე წახვიდე და შენი ნაწილისათვის გამოყოფილ მინიმალურ საჭმელს სხვაც დაუმატო.”**

ოფიცრებს საკუთარი ოჯახის სარჩენად ხშირად ფიზიკური შრომაც უწევთ. “ნავთლუღის” ბაზრის ტერიტორიაზე, დახლების შესავსებად, დილაადრიან დაწყებული მზადებისას, მზიდავებსა და შავ მუშებს შორის ოფიცრის ფორმიანი ადამიანების შემჩნევა ძალიან იოლია. ისინი აქ, სამხედრო ნაწილში გამოცხადებამდე, ყოველ დღე, ორი-სამი ლარისთვის მუშაობენ. სახალხო დამცველის თანაშემწე სამხედრო საკითხებში ნოდარ ეფრემიძე კი, უამრავ ფაქტს ასახელებს, როცა უკიდურესად გაჭირვებულ ოფიცრებს საკუთარი შვილების სასკოლოდ მომზადება უჭირთ. ხშირად, ხელფასის მოლოდინში, მათი ბავშვები პირველი სექტემბრის ზეიმის გარეშე რჩებიან.

ნოდარ ეფრემიძე, სახალხო დამცველის თანაშემწე სამხედრო საკითხებში: **“ჩვენ გვაქვს მაგალითები, როცა ოფიცერი სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოდის და მას არა აქვს საშუალება, გადაიხადოს. რა თქმა უნდა, ეს ოფიცრების ღირსებას და პატივმოყვარეობას ლახავს. თუ არ შეიცვალა მიდგომები, შეურაცხყოფილ და ხერხემალში გადატეხილ ოფიცერს გაუჭირდება სამშობლოსთვის თავის დადება.”**

## რას ცვლის ამბოხი ქართულ ჯარში

კობა ოთანაძე პირველი ოფიცერი იყო, რომელმაც აჯანყების გზით სცადა ჯარის პრობლემებისადმი ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღების მიქცევა. მისმა სამხედრო ნაწილმა გასულ წელს, 25 მაისს, თვითნებურად მიატოვა ნორიოს სამხედრო წვრთნები და მუხროვანის ბაზაში შევიდა. ნაწილში გამაგრებული ამბოხებულთა მეთაურები აცხადებდნენ, რომ ამ ზომამდე ისინი მძიმე სოციალურმა პირობებმა მიიყვანა. იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე კარგი სამხედრო დანაყოფის, მუხროვანის ბატალიონის მეთაური კობა ოთანაძე მიიჩნევდა, რომ ხელისუფლებისაგან მიტოვებული **“ჯარი დღეს აღარ არსებობს; ფაქტობრივად, დღეს საქართველოს ჯარი არა ჰყავს. აქ დღეს მსახურობენ, ძირითადად, უპატრონო და დებილი ბავშვები.”**

მაშინ, ნაწილში პრეზიდენტის მისვლის შემდეგ, ამბოხებულებმა ჯარში სოციალური მდგომარეობის გამოსწორების პირობა მიიღეს.

ამ ამბოხებას უნდა შეეცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება შეიარაღებული ძალების მიმართ. თუმცა, მუხროვანის მოვლენები ქართული სინამდვილისათვის ჩვეული შედეგით დასრულდა. მეამბოხე ოფიცრები, ვისთვისაც ჯარი მთელი ცხოვრების არსი იყო, თავდაცვის სამინისტროს ჩამოაცილეს, ქართულ არმიაში კი ვითარება არ შეცვლილა; არ შეცვლილა არც ხელისუფლების და არც საზოგადოების განწყობა - დამოკიდებულება ჯარის პრობლემებისა და სამხედრო სამსახურის მიმართ.

მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა ჯარი აქცია არაპრესტიჟულ, მხოლოდ სოციალურად დაუცველი ფენისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურად, ოფიცრობა - ამ სამსახურის ღარიბ თანამდებობად. დღეს თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობაში 3300 ოფიცერი მსახურობს. მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეროვნული ჯარის არსებობის თერთმეტი წლის მანძილზე ქართველი სამხედროს სახე ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ამ ხნის განმავლობაში ქართველი ოფიცრის პატივისცემა საზოგადოებამაც ვერ ისწავლა.

“კომანდოს” ბატალიონის ოფიცერი: **“მეამაყება, სამხედრო ფორმა რომ მაცვია, მაგრამ სხვები, სხვები როგორ მიყურებენ; ბევრჯერ გამიგონია, აი, მშიერი მოდის... ვისაც ჯარში ჰყავს ვინმე, ცოტა თბილად გვიყურებს, ვისაც - არა, საერთოდ, რეაქცია არა აქვს. შენ ცდილობ, გაიარო ღირსებით, ამაყად... მაგრამ ეს როგორ ჩანს სხვა კატეგორიის ხალხის თვალში, სხვა საქმეა.”**

■ ■ ■

დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო პროფესიული არმიის შექმნის საუკეთესო გზად მიიჩნევს ქართველი ოფიცრების საზღვარგარეთ განსწავლას. წლის განმავლობაში ერთი ოფიცრის სწავლა, წვრთნა და აღჭურვა 100 000 დოლარამდე ღირს. დღეისათვის საზღვარგარეთ სულ 900-მდე ოფიცერმა გაიარა სამხედრო მომზადება, თუმცა, საქართველოში დაბრუნებულ სამხედროებს ჯარში სამსახური აღარ სურთ. მათ აქაური დაბალი ხელფასი და მძიმე პირობები აღარ აკმაყოფილებთ; არ აკმაყოფილებთ არც ხელისუფლებისა და არც თავად უმაღლესი მთავარსარდლობის დამოკიდებულება. შეიარაღებული ძალებიდან წასულ ოფიცერთა დიდი ნაწილისათვის უკეთესი დღის მოლოდინი გაუსაძლისი ხდება. შეიარაღებულ ძალებში დარჩენილთათვის კი ყოველ ახალ წამოწყებას ახალი ენთუზიაზმი მოაქვს. იმ იშვიათ გამონაკლისთა შორის, ვინც თანახმაა რამდენიმე ენის ცოდნისა და კარგი განათლების მიუხედავად, თავდაცვის სამინისტროში 140 ლარიან ხელფასზე იმუშაოს, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილიცაა. ოპერატიული სამმართველოს უფროსმა უმაღლესი სამხედრო განათლება ნატოს წევრ ქვეყნებში მიიღო. მისი პირველი სამხედრო ნაშრომი 10 წლის წინათ დაიწერა (“თურქ ოფიცერთა აჯანყების შესახებ”). დღეს “წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში” აქტიურად ჩართული ქართველი ოფიცერი დარწმუნებულია, რომ ჩვენი სამხედროები არ გამოიყენებენ მეზობელი კოლეგების გამოცდილებას. მათ სხვა მიზნები აქვთ. ახალი პროგრამები ახალ იმედებს ბადებს!

www.24hours.ge 24 B

# ცდუნება დიდია - აქეთ ზღვაა, იქით - ბიურო

თამარ ხორბალაძე

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა და... პარლამენტარებიც ადამიანები არიან.

მეტიც - ისინი გაცილებით ხშირად ბრუნდებიან ბავშვობაში, ვიდრე თითოეული ჩვენგანი.

ისინი ახლაც იპარებიან “შატალოებზე” სხდომებიდან, მათ შორის, ბიუროდანაც...

მით უმეტეს, თუ ბიურო ზღვის პირას იმართება.

ზღვა კი თბილია და წყნარი.

ემალებიან "მასწავლებელს", ჩვენს შემთხვევაში, პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილეს, დენის დავითაშვილს.

არ პასუხობენ მობილურს, როცა ის რეკავს და თუ დავითაშვილი არ ნებდება, სთხოვენ ბიუროდან ასევე გამოპარულ ჟურნალისტებს, რომ ზარს უპასუხონ.

თავად კი ზღვაზე ნებივრობენ, დილის და საღამოს არც ისე მცხუნვარე მზეს ეფიცხებიან და, ცოდვა გამხელილი სჯობს, თვალს აქეთ-იქით "აპარებენ".

რადგან შუადღით ძალიან ცხელა, მზეს ემალებიან სასტუმროს ნომრებში და საღამომდე ძინავთ.

"უფრო ვაჟკაცები" ბიუროზე შედიან და ბიუროს უცვლელი წამყვანის - პარლამენტის თავმჯდომარის ბედს ხან ხმაურიან დებატებში აქტიურობით, ხან კი ნახევრად მძინარე მდგომარეობაში იზიარებენ.

თუმცა, აქაც კი, თავანთი "საზღვაო" ჩაცმულობით, მათი უმეტესობა შოკში აგდებს უფრო "მხცოვან" კოლეგებს. აღარაფერს ვიტყვით ასლან აბაშიძის შარვალ-კოსტუმ-ჰალსტუხიან "დაცვაზე", რომელთაც პარლამენტის თავმჯდომარის "დაცვის" შორტების დანახვაზე თვალები უფართოვდებათ.

პარლამენტართა უმეტესობა კი საღამოობით დადის "ქობულეთურ ბუნგალოებში", "ატარებს" დროს, დილით "პახმელიაზე" თავის ტკივილით იღვიძებს და გახურებულ ტანს დილის ცივ ზღვაში იგრილებს.

გასული შაბათ-კვირის "ქობულეთური ბიურო" სწორედ ამ სცენარით წარიმართა. როგორ და რა თემებზე იმუშავა ამ ბიურომ, "24 საათმა" უკვე მოგითხროთ. ახლა ორიოდე სიტყვა, უფრო სწორად, ორიოდე ფოტო იმის შესახებ, თუ როგორ დაისვენეს ბიუროს წევრმა პარლამენტარებმა.



















ბესო გულაშვილის ფოტოები

## ქორები სამეფო კარიდან

დანიის დედოფალ მარგარეტას მეორე შვილიშვილი ეყოლა: პრინცესა ალექსანდრამ, პრინც იოახიმის მეუღლემ, მოსალოდნელზე ერთი კვირით ადრე გააჩინა ვაჟი, რომლის სახელსაც სამეფო კარი ჯერ არ ამხელს. მარგარეტას უფროს ვაჟს, ტახტის მემკვიდრე ფრედერიკს, ოჯახი დღემდე არ შეუქმნია. დანიის ბულვარული პრესა კი ქორწილის მოლოდინშია: უკვე ორი წელია, რაც 34 წლის უფლისწულს ავსტრალიელ მერი დონალდსონთან აქვს კავშირი.

დიდი ბრიტანეთის საყვარელმა უფლისწულმა, 17 წლის ჰარიმ, თავი აშკარად ვერ ისახელა: 200 ფუნტიანი გემრიელი სადილის შემდეგ პრინც ჩარლზისა და დაიანას ვაჟმა მომსახურე პერსონალს მხოლოდ 2,10 ფუნტი დაუტოვა. "ძალიან სასაცილო იყო – ინგლისის უმდიდრესი ახალგაზრდები ისხდნენ და ხურდას აგროვებდნენ," ყვებოდა რესტორნის მფლობელი.

ინგლისის სამეფო ოჯახმა საგზაო პოლიციასაც დასწყვიტა გული: დედოფლის მეორე ვაჟი, 42 წლის ენდრიუ, დაუშვებელი სიჩქარით მიქროდა აეროპორტისკენ. როცა პოლიციამ დააკავა, პრინცს გამოუცხადებია, მეჩქარებაო, აუწევია ფანჯარა და წასულა! "ამპარტავანია და თავდაჯერებული. ასე, კარგ მაგალითს ნამდვილად ვერავის მისცემს," შესჩივლეს მოხელეებმა გაზეთ Sun–ს.

ნიდერლანდებში სხვა გასაჭირი აქვთ: დედოფალ ბეატრიჩას მეუღლე, 75 წლის პრინცი კლაუსი კვლავ საავადმყოფოში აღმოჩნდა – სასუნთქი გზების ინფექცია არცთუ სახუმარო ამბავია, ამიტომ ექიმებმა ჰააგის სასახლეს ამსტერდამის საავადმყოფო ამჯობინეს.

## სანამ მთვარეზე გაფრენილა

მომხიბვლელ, სახელგანთქმულ, მდიდარ და წარმატებულ ტომ კრუზს თითქოს აღარაფერი აქვს საოცნებო, მაგრამ არა: მთვარეზე უნდა გაფრენა, NASA-საც მიმართა, თუმცა ჯერ პასუხი არ მიუღია. გადაწყვეტილების მოლოდინის შესამსუბუქებლად კრუზმა 2004 წლამდე დაიტვირთა თავი და მრავალ ფილმში აპირებს გადაღებას – სტივენ სპილბერგთან, Mission Impossible-ს მესამე ნაწილში, და სხვა და სხვა.

## ჰიუ გრანტი „ამერიკული ნამცხვარი 3"-ში

"ამერიკული ნამცხვარის" ავტორი ადამ ჰერცი, ფილმის მესამე ნაწილის სცენარზე მუშაობს. ფილმის გაგრძელებაში წინა სერიებიდან მხოლოდ რამდენიმე მსახიობი დარჩება. გადამღებმა ჯგუფმა მოახერხა, ეპიზოდურ როლზე დაეთანხმებინა ბრიტანელი მსახიობი ჰიუ გრანტი.

## Foo Fighters ალბომის სამზადისში

Foo Fighters-მა დიდხანს არ ალოდინა ფანები და 1999 წლის შემდეგ მათ ახალი ჩანაწერით პირველად გაახარებს. ჯგუფის რიგით მეოთხე ალბომის One By One-ის გამოსვლის ოფიციალური ვადაა 22 ოქტომბერი. ალბომის პირველი სერია DVD-საც შეიცავს; შემოდგომის დასაწყისში ნამუშევრიდან პირველი სინგლი გამოვა. მანამდე კი ფანები კომპოზიციებს მომავალი ალბომიდან ჯგუფის მსოფლიო ტურნეს დროს მოისმენენ. ჩანაწერს ჯგუფის ლიდერი, დეივ გროლი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს და ამბობს, რომ მსგავსი, მათ აქამდე არაფერი დაუწერიათ. ვიდრე მუსიკოსები სტუდიურ სამუშაოებს დაასრულებენ, ვებ-დიზაინერთა ჯგუფი ინტერნეტში მუსიკოსების ოფიციალურ გვერდს განაახლებს.

## Linkin´ Park„ რეანიმაციაში

Linkin` Park-ის ახალი ნამუშევარი არ იქნება რემიქსების ტრადიციული ალბომი. ოცი მუსიკოსის, მათ შორის, აარონ ლუისისა და Staind-ის დახმარებით (როკ-შემსრულებლებიდან ჰიპ-ჰოპისა და ანდერგრაუნდ მუსიკის ოსტატებამდე), ჯგუფი თავისი სადებიუტო ალბომის Hybrid Theory-ის ახალ ინტერპრეტაციას ამზადებს.

ალბომიდან პირველი სინგლი იქნება Points Of Authority, რომლის რეანიმაციაზეც იზრუნა ჯემ გორდონმა, ჯგუფიდან Orgy. სიმღერის ვიდეოკლიპი ცალკე აღნიშვნას იმსახურებს – გაკეთებულია შესანიშნავი კომპიუტერული ანიმაციით. კლიპის პრემიერა რამდენიმე დღის წინათ იყო MTV-ის ეთერში.

## ნოელ გალაჰერმა Rolling Stones პენსიაზე გაუშვა

Oasis-ის ლიდერის მორიგი ინტერვიუ მსოფლიო საზოგადოების ჭორაობის თემა გახდა. ჟურნალ Maxim-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ნოელი გაკადნიერდა და ამჯერად, როკის ლეგენდების მიმართ გამოთქვა საყვედური. მისი აზრით, მიკ ჯაგერის Rolling Stones-მა ერთადერთი წარმატებული ალბომი ჩაწერა Let it Bleed-ს სახით, მათივე System Of A Down კი ყველაზე საშინელებაა მათ შორის, რაც კი ოდესმე Rolling Stones-ს შეუქმნია. "ალბათ, დადგა დრო მუსიკოსები პენსიაზე გავიდნენ", თუმცა, ნოელის აზრს არ იზიარებენ ჯგუფის წევრები. Rolling Stones ამჟამად მსოფლიო ტურნესთვის ემზადება.

## ფილმების კლასიფიკაცია მალე წარსულს ჩაბარდება

ფილმების კლასიფიკაციის ბრიტანული საბჭოს (BBFC) პრეზიდენტის თქმით, მალე კინოპროდუქციის სერტიფიცირება შეწყდება. ბრიტანეთის მთავარი კინოცენზორი, ანდრეას სმიტი დარწმუნებულია, რომ ათი წლის შემდეგ ყველანაირი ასაკობრივი შეზღუდვა გაუქმდება. შედეგად, ბავშვები თავისუფლად ნახავენ ფილმებს, რომლებიც ახლა მხოლოდ მოზარდებისთვის არის მიზანშეწონილი.

სმიტის აზრით, კლასიფიკაციის ახლანდელი სისტემა ადგილს დაუთმობს ახალ "რეკომენდირებულ" სერთიფიკაციას: "უახლოესი ათი წლის განმავლობაში ყველა რეიტინგი სარეკომენდაციო ხასიათის იქნება. ჩემი აზრით, BBFC-ის მთავარი ამოცანა იქნება, მშობლებს მისცეს საშუალება, გადაწყვიტონ, რა უნდა ნახონ მათმა შვილებმა და რა - არა".

პრესის ინფორმაციით, კლასიფიკაციის საბჭო განიხილავს საკითხს, რამდენად შესაძლებელია, რეკომენდირებულად მიიჩნიოს ასაკობრივი შეზღუდვა 12 წლამდე. ამ შემთხვევაში, რეიტინგი მსგავსი იქნება ამერიკული PG-13 სერტიფიკაციისა, როდესაც 13 წლის ბავშვისთვის მშობელთან ერთად ნებადართულია ნებისმიერი ფილმის ნახვა.

## მუსიკოსთა დუმილის დღე ამერიკაში

Billboard-ის ცნობით, ამერიკელი მუსიკოსები თავისებურად აპირებენ ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის ტერაქტების წლისთავის აღნიშვნას. გარდაცვლილთა პატივსაცემად ისინი 11 სექტემბერს "სიჩუმის დღედ" გამოაცხადებენ. მუსიკოს-შემსრულებელთა დიდი უმრავლესობა თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ამგვარ აქციაში და ნაწილმა უკვე დაიწყო მზადება, გადაიტანოს 11 სექტემბერს დანიშნული ყველანაირი კონცერტი.

ამგვარად, Rolling Stones სამ სექტემბერს ბოსტონში დაწყებული ტურნეს დროს, 11 სექტემბერს შეისვენებს. ასევე მოიქცევიან: შერი, Goo Goo Dolls და Aerosmith. ჯორჯ სტრეიტი კი კონცერტებს 12 სექტემბრიდან გამართავს.

ბრიუს სპრინგსტინმა, ჯიმი ბაფეტმა, კარლოს სანტანამ, Creed-მა და The Who-მ თადარიგი ადრევე დაიჭირეს და ტურნეების დაგეგმვისას გრაფიკიდან 11 სექტემბერი გამორიცხეს.

"დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველა – შემსრულებლები, პროდიუსერები თუ მენეჯერები ერთნაირად განვიცდით ამ ყველაფერს და სწორედ ამ ფორმით ყველაზე სწორად ავღნიშნავთ ტერაქტების წლისთავს. ჩემი აზრით, ეს იქნება საუკეთესო საღამო როკ-ვარსკვლავთა კონცერტების ისტორიაში" – ამბობს House of Blues Concerts-ის ხელმძღვანელი, ლარი ველონი.

# ზაფხული და სილამაზე

## Oriflame-თან და „იმიჯ-ცენტრთან„ ერთად



"იმიჯ-ცენტრის" გოგონები




იური ლობოდინის ფოტოები

ვერა ნეფარიძე

**დიდუბის საგამოფენო კომპლექსში შვედურმა კომპანიამ Oriflame-მა ყოველწლიური ტრადიციული საზაფხულო ზეიმი გამართა. ესტრადის პოპულარულ და ახალ სახეებთან, თუ ცნობილ ილუზიონისტთან ერთად, საზეიმო ღონისძიებაზე მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრმა" განახლებული შემადგენლობით მიიღო მონაწილეობა.**

მეორე წელიწადია, Oriflame საზაფხულო დღესასწაულს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებთან ერთად, თბილისშიც მართავს. ეს ის ქალაქებია, სადაც შვედურ კომპანიას საკუთარი ფილიალები აქვს გახსნილი. ქართულ ბაზარზე დამკვიდრებით კმაყოფილმა შვედებმა კომერციული წარმატებები შოუ-კონცერტით აღნიშნეს.

კომპანიის ყოველწლიური ზეიმი, "ზაფხული Oriflame-თან ერთად", ტრადიციის მიხედვით, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში მხოლოდ კონცერტით არ აღინიშნება. თბილისში კომპანიის წარმომადგენლობა შეეცადა, საღამო მეტ-ნაკლებად მრავალფეროვანი ყოფილიყო. ამისთვის კი მოწვეულები იყვნენ: ცნობილი ილუზიონისტი, ზურაბ ვადაჭკორია და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი". კონცერტს, ცხადია, მხოლოდ Oriflame-ის მომხმარებლები არ ესწრებოდნენ – დიდუბელებმა იმ დღეს შუაღამამდე მოილხინეს.

კომპანიის 10 წლისთავის აღმნიშვნელმა მაისურებმა, რომლებიც ორგანიზატორებს ეცვათ, თავიდან თბილისელები ცოტა დააბნია, რადგანაც კომპანია, ორი წელიწადიც არაა, რაც საქართველოში მოღვაწეობს. როგორც აღმოჩნდა, მაისურები რუსეთიდან იყო ჩამოტანილი, რადგანაც საგანგებოდ, თბილისური ზეიმისთვის მათი დამზადება ვერ მოესწრო. მაგრამ, ეს არაფერი, საღამოს წამყვანი აჩიკო ფურცელაძე ხშირად იძლეოდა ამის შესახებ ახსნა-განმარტებას და საბოლოოდ, თბილისელები ყველაფერს მიხვდნენ.

კომპანიის რეგიონალურმა მენეჯერმა, მაგნუს ბრენსტრომმა (კომპანიის წარმომადგენელი დსთ-ს, ბალტიისპირეთისა და აზიის ქვეყნებში) ისე ისაუბრა საქართველოში Oriflame-ის მიღწევების შესახებ, მგონი ასეთი შედეგები კომპანიას ბევრ ისეთ ქვეყნებში არ აქვს, სადაც წლების განმავლობაში მუშაობენ. Oriflame ქსელურ მარკეტინგში მომუშავე, იურიდიულად გაფორმებული და დარეგისტრირებული ერთადერთი კომპანიაა საქართველოში. "მაღაზიები არ გვაქვს, ჩვენი პრინციპი ქსელური მარკეტინგია – კონსულტანტების საშუალებით ვყიდით პროდუქციას" – თუმცა, კომპანიის მნიშვნელოვან მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯერის, ირინა ყიასაშვილისვე ცნობით, დარღვევების სახით, კომპანიის პროდუქცია ხშირად მაღაზიებშიც ხვდება.

თბილისში კომპანიის პროდუქციის პოპულარობაზე, კონცერტის მონაწილეთა გარდა, პუბლიკის რაოდენობაც მიანიშნებდა. არც ისე ფართოდ რეკლამირებული ღონისძიება მათ სიმცირეს ნამდვილად არ უჩიოდა. მონაწილეებს რაც შეეხებათ, როგორც აღმოჩნდა, რამდენიმე მათგანის ვინაობა მხოლოდ ჩემთვის იყო უცხო, თორემ ბუკას (მომღერალი), რომელიც ჩემი ბავშვობისდროინდელი პოპულარული სიმღერის "რემიქსს" მღერის, აპლოდისმენტებიდან გამომდინარე, თურმე ძალიან კარგად იცნობს თბილისელი მსმენელი.

Oriflame-ის შოუს გალამაზება, ალბათ, ყველაზე მეტად "იმიჯ-ცენტრის" გოგონებმა მოახერხეს. ახალი სახეებით გამდიდრებული ცენტრი პირველად სწორედ საგამოფენო კომპლექსში იხილეს თბილისელებმა. მოდელებმა სამხატვრო აკადემიისა და უნივერსიტეტის ათამდე კურსდამთავრებულის სადიპლომო ნამუშევრები წარმოადგინეს. საღამოს მუსიკალურ მხარეზე კი იზრუნეს ქართული სცენის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა წარმომადგენლებმა: კახა ცისკარიძემ, სტეფანემ და მაია ბარათაშვილმა; თუმცა, იყვნენ დამწყებებიც, ბიჭების ახალი სოულ-ჯგუფ "აკადემიასა" და ანსამბლ "დილას" სახით. მონაწილეთა სიმრავლის წყალობით, საღამო საკმაოდ დიდხანს, შუაღამემდე გაგრძელდა. რამდენად იმოქმედებს ეს კონცერტი საქართველოში, კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე, ამას დრო გვიჩვენებს.

# „ხალხის პირისპირ„ - გართობის და გამდიდრების ორმაგი შანსი

## სექტემბრიდან „რუსთავი 2„ ახალ ტელეთამაშს წამოიწყებს

მადი სერებრიაკოვა

"ვის უნდა ოცი ათასის" თითქმის ერთწლიანმა ეპოპეამ დაადასტურა, რომ აზარტულ ინტელექტუალიზმს ჩვენში ბევრი პრეტენდენტი ჰყავს. რად ღირს თუნდაც ის სტატისტიკური მონაცემი, რომ "ვის უნდა ოცი ათასის" თამაშზე მოსახვედრად დღეში 2 ათასი ადამიანი რეკავდა ფასიან სარეგისტრაციო ტელეფონზე. თამაშის პროდიუსერებმა ბევრი იფიქრეს და გადაწყვიტეს უფრო გაამრავალფეროვნონ ტელეთამაშების სივრცე. სექტემბრიდან რუსთავი2-ის ეთერში კიდევ ერთი ახალი ინტელექტუალური თამაში – "ხალხის პირისპირ" გამოჩნდება.

"ხალხის პირისპირ" მსოფლიოში ცნობილი თამაშია, საქართველომდე მან თაყვანისმცემლები ბრიტანეთში, პორტუგალიაში, გერმანიაში, თურქეთსა თუ რუსეთში შეიძინა. პოპულარობის შანსი მას ჩვენშიც დიდი აქვს. დავიწყოთ იმით, რომ მასში მონაწილეობა შემთხვევითობაზე აღარ არის დამოკიდებული და არც ფინანსურ დანახარჯებს ითვალისწინებს. თამაშზე მოსახვედრად, გარდა ინტელექტუალური მონაცემებისა, აზარტულობაც ძალიან დაგეხმარებათ – ამ მონაცემებს კი სპეციალური ანკეტის საშუალებით დაადგენენ. "ვის უნდა ოცი ათასისაგან" განსხვავებით, მაქსიმალური მოგებაც არ არის ლიმიტირებული. ბრიტანეთში იყო შემთხვევა, რომ ხუთი რაუნდისგან შემდგარი ტური 4-ჯერ გაიარა მოთამაშემ.

რაც მთავარია, ახალ თამაშში მაყურებლებიც აქტიურად ჩაერთვებიან. ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეავსოს სპეციალური ანკეტა და თამაშში მონაწილეობა შემკითხველის სტატუსით მიიღოს. ანკეტები გაზეთ "24 საათში" ქვეყნდება; ჯერ-ჯერობით მათი მიღება "რუსთავი 2"-ის ოფისშიც შეიძლება. ჯერ კიდევ "ვის უნდა ოცი ათასის" დროს მაყურებლები ხშირად რეკავდნენ და საკუთარ კითხვებს სთავაზობდნენ ორგანიზატორებს. ამჟამად კი შეკითხვას ანკეტით გამოაგზავნით და თუ მასზე პასუხს მოთამაშე ვერ გასცემს, მაშინ გამარჯვებულიც დარჩებით და საკმაოდ სოლიდურ (750 ლარამდე) თანხასაც მოიგებთ. შეკითხვების დასმის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თავიანთი კითხვა მაქსიმალურად გასაგებად ჩამოაყალიბონ და მოერიდონ ორაზროვნებას. ასეა თუ ისე, პროექტის მესვეურნი შეკითხვის რედაქტირების უფლებას იტოვებენ. სირთულეც განსაზღვრულია და ზომიერების დაცვაც რეკომენდირებულია. ორიენტირად, შეიძლება "ვის უნდა ოცი ათასის" 200-400 ლარიანი კითხვები ავიღოთ.



ახალი სტუდია

ბესო გულაშვილის ფოტო

როგორც გითხარით, "ხალხის პირისპირ" მოსახვედრად მხოლოდ ბედის გაღიმება არ გიშველით. ინტელექტის გარდა, აზარტულობაა საჭირო. მინიმალურ მოგებაზე გაჩერება და 100 ლარით სახლში წასვლა აქ არ ჭრის და მოთამაშეს მეტი რისკის გაწევა მოუწევს. ახალი თამაში კვირაში სამჯერ გავა ეთერში და მოთამაშეთა რიგებში მხოლოდ განსაკუთრებულ ენთუზიასტებს შემოიკრებს.

ეს რაც შეეხება თამაშის წესებს. ახლა მის ვიზუალურ მხარეზე გადავიდეთ. თამაშის, "ხალხის პირისპირ" ქართველი პროდიუსერი განსაკუთრებით ახალი სტუდიით ამაყობს. როგორც ამბობენ, ასეთი სტუდია დღეისთვის საქართველოში არც არის. სტუდიის აწყობის პროცესს რომ დავესწარი, დავრწმუნდი მის სიმართლეში. შესახედად სტუდია ზუსტად ისეთია, როგორიც ბრიტანულ ან რუსულ ტელეარხებზე გვინახავს იგივე თამაშის შემთხვევაში. განსაკუთრებულია განათება და მუსიკალური გაფორმება – რა თქმა უნდა, ყველაფერი თამაშის გამომგონებლის – კომპანია "სელადორის" რეკომენდაციებით კეთდება. სხვათა შორის, "ვის უნდა ოცი ათასიც" (მსოფლიოში მას "ვის უნდა მილიონი" ჰქვია მაქსიმალური მოგების შესაბამისად) "სელადორს" ეკუთვნის.

ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ ინახავენ გადაცემის წამყვანის ვინაობას. თუმცა, როგორც გაირკვა, იგი ძალიან ცნობილი პიროვნება უნდა იყოს და მაყურებლისთვის მისი ახალ ამპლუაში დანახვა სიურპრიზი იქნება. ასე რომ, სექტემბრიდან ჩვენში ტელეთამაშების ახალი ბუმია მოსალოდნელი, საკუთარი ინტელექტისა და საზრიანობის წყალობით გამდიდრების შანსიც გაორმაგდება: მონატრებული "ვის უნდა ოცი ათასიც" აღდგება და "ხალხის პირისპირ"-იც შემოიკრებს აზარტულ პუბლიკას.


სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

დავით ქართველიშვილის სვეტი

# გმირი

ტომას კარლაილის ცნობილი ფორმულირების მიხედვით, დემოკრატია ვერ წარმოშობს გმირებს, რადგან ეს მასის წესწყობილებაა. მოგეხსენებათ, კარლაილი ძველი დროის ადამიანი გახლდათ, ამიტომაც გმირზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა, რაც სრულიად შეესაბამებოდა მაშინდელ ეპოქას - ჩვენისგან ასე განსხვავებულს, ბუნებრივია, რადგან მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვაწყობს თუ არ გვაწყობს, პროგრესი არსებობს.

დემოკრატიას თავისი გმირები ჰყავს. ვგულისხმობ თანამედროვე გმირებს და არა იმ ხალხს, რომელნიც დემოკრატიის სათავეებთან იდგნენ (ფრანგი განმანათლებლები, აგრეთვე მათი იდეების განმახორციელებელნი ბ. ფრანკლინი, ჯ. ვაშინგტონი და ა.შ.). თანამედროვე გმირებს მთელს მსოფლიოში (ჩვენი სამშობლო საქართველოც რაღა თქმა უნდა ამ მრგვალი მსოფლიოს ნაწილია), როგორც წესი, მასმედია წარმოშობს, უფრო სწორედ აკეთებს. თანამედროვე გმირებს ვერაფერს ვუწუნებ, გარდა ერთისა, ისინი მოკლევადიანნი არიან. მათგან გამოწვეული სკანდალი თუ ავანტიურა დროში იწვება და მაინცდამაინც შინაარსობრივადაც საინტერესო არაა.

ძველი და ახალი გმირების განსხვავება ყველაზე კარგად ლიტერატურაში ჩანს. ავიღოთ ნებისმიერი მე-19 საუკუნეში დაწერილი რომანი და შევუდაროთ ის თანამედროვე რომანს. განსხვავება აშკარაა. პირველი სავსეა სახეებით, გმირული სახეებით, მეორეში მთავარი გმირი ძირითადად იდეაა, ხოლო ხორციელი პერსონაჟები ამ იდეის დამყოვლებელი მამლები არიან. ან უფრო უარესიც კი. იდეის ჩრდილში ჩუმად დგანან. არა მგონია, ეს მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურული ფორმალიზმის ბრალი იყოს. თუმც ლიტერატურაზე მსჯელობა, შედარებების მოყვანა დივიდენდების მომტანი საქმე არაა, რადგან დღეს ჭეშმარიტებას ჩვენ, ადამიანები სხვაგან ვეძებთ, ხეები კი ცაში იყურებიან.

თანამედროვე გმირის გაკეთების რეცეპტი მარტივია, მას არ სჭირდება შორეულ ლაშქრობაში წასვლა. არც სხვა რამ ძველი რამერუმეები. თანამედროვე გმირი ლაპარაკობს დახვეწილად, ქმნის ილუზიას, რომ მისი ცხოვრების ყაიდა და წესი განსხვავებულია სხვებისგან და რაც მთავარია, თანამედროვე გმირის უმთავრესი შტრიხია ყოვლისმცოდნეობა. ის სარგებლობს რა თავისი სტატუსით, საუბრობს აბსოლუტურად ყველაფერზე ერთნაირად, დამაჯერებლად. მისი გმირობა ეკუთვნის აწმყოს, თუმც თანამედროვე გმირის ლექსიკაში ყველაზე ხშირად ჟღერს სიტყვები: წარსული და მომავალი. ალბათ, მიხვდით, რომ ამ კონტექსტში პოლიტიკოსებს მოვიაზრებ. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, მასა თავის გმირს პოლიტიკაში აღარ ეძებს - იგულისხმება ქართული პოლიტიკა. მაგრამ ისინი მაინც ცდილობენ; ჩვენი ბიჭები ყველაზე მონდომებულნი, ყველაზე სასაცილონი არიან.

დიდ წიგნში, რომელსაც ისტორია ჰქვია, მონაკვეთი, რომელიც ჩვენს ეპოქას აღწერს, იქნება რადიკალურად განსხვავებული წინა მონაკვეთებისაგან, რადგან პიროვნების მაგიერ მოხსენიებული იქნება ხელშეკრულებები და სხვადასხვა სახის დოკუმენტები. დღეს ხომ ქაღალდები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პიროვნება, ტრადიციული გაგებით, და ეს კარგია. დემოკრატია პიროვნების კულტისგან გვიცავს. ორიოდ სიტყვა პიროვნების კულტის გამო: მაგალითად, სტალინი. მე არა მგონია, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჩვენს ბაბუებს პიროვნულად უყვარდეთ, ასეთ სიყვარულს პირადი ნაცნობობა სჭირდება. აუცილებელია. ჩვენი ბაბუები მისტირიან საკუთარ ახალგაზრდობას, მოგებულ ომს (საერთოდ უხერხულია ზოგიერთის ბრიყვული გამოხტომა, თითქოს ჩვენი ბაბუები სხვის ომში იბრძოდნენ), სტაბილურ შემოსავალს.

არსებობენ თანამედროვე გმირები, რომელნიც გარკვეული ასაკის ადამიანებს აღაფრთოვანებენ. ვგულისხმობ ჰოლივუდის პროდუქციას და თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ბიჭებს. არანაირ ცენზურას არ მოვითხოვ, არანაირ აკრძალვას. მოხდა ასეთი ფაქტი: იტალიაში მოზარდი გადმოეშვა ბევრსართულიანი სახლის სახურავიდან, ძახილით: იკაროსი ვარ! ხომ არ მოვითხოვთ ახლა მითოლოგიის აკრძალვას.

არსებობენ თანამედროვე გმირები, ლათინური ამერიკის მკვიდრნი, რომელნიც სუსტი სქესის წარმომადგენლებს აკვესებინებენ თვალებს. მე მიკვირს, გაოცებულიც კი ვარ, რატომ მაინცდამაინც ლათინოამერიკული სერიალებია პოსტსაბჭოთა (ბალტიისპირეთის ჩაუთვლელად) სივრცეში ყველაზე მეტად პოპულარული. ამერიკელები და ევროპელებიც ხომ იღებენ სერიალებს, ეს სერიალებიც ხომ ტრიალებს ჩვენში.

თანამედროვე გმირი ძალიან პროზაულია და თავისი, საკუთარი დარდი და ტერიტორიაც გააჩნია. იმის იქით ნულია.

დემოკრატია გმირს ვერ წარმოშობს, დემოკრატია თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს ვერ მოგვრის ვერავის. ანკი რა საჭიროა, პიროვნების კულტისგან გვიცავს და მთავარი ესაა.

არადა საშიშროება არსებობს ჯერ კიდევ. ჩვენში, ყოველ შემთხვევაში.

# კარლოვი ვარის კინოფესტივალი საკუთარ „ეშმაკს„ წყალობს

დავით ბუხრიკიძე



კადრი ფილმიდან "ეშმაკის წელი". რეჟისორი პეტერ ზელენკა

არცთუ ხმამაღალი კინემატოგრაფიული ინტონაციით დასრულდა კარლოვი ვარის წლევანდელი საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც წელს უკვე 37-ედ გაიმართა. წარსულში სოციალისტური კულტურის მოკრძალებულად დამადასტურებელი კინოფორუმი მოსკოვის კინოფესტივალის კონკურენტი და დობილი ერთდროულად იყო. არა მარტო იმიტომ, რომ ორივე ფესტივალი თითქმის ერთსა და იმავე დროს იმართებოდა. თუმცა ამჯერად, საკურორტო კინოფორუმმა დროში ოდნავ უკან გადაიწია. მოსკოვის კინოფესტივალს ამ "უპირატესობით" განსაკუთრებით არ უსარგებლია, ალბათ, იმიტომ, რომ მოსკოვში, ისევე როგორც კარლოვი ვარში, კარგ ფილმებს აღარ უჩვენებენ. არა მარტო იმიტომ, რომ კარგი ფილმებს ბევრს ველარ იღებენ, არამედ იმიტომაც, რომ აღმოსავლეთ ევროპული კინოფესტივალებისათვის პროდიუსერები და რეჟისორები კარგ ფილმებს არ იმეტებენ.

კინოფესტივალის მთავარი ჯილდო ამჯერად "ჭარბი" პატრიოტული გრძნობების გათვალისწინებით გაიცა. მთავარი პრიზი – "გლობუსი" ახალგაზრდა და სავარაუდოდ ნიჭიერი რეჟისორის, პეტერ ზელენკას ფილმს "ეშმაკის წელს" მიეკუთვნა. პრიზი რეჟისურისათვის გადაეცა ეგზოტიკითა და პოლიტიკით გაჯერებულ გერმანულ ფილმს "ნიგენდა აფრიკაში". განსაკუთრებული აღფრთოვანება არ გამოუწვევია ფრანგულ და ინგლისურ ფილმებს, რომლებიც, ძირითადად, დებიუტანტების პირველი ნათლობა იყო საერთაშორისო კინოარენაზე. სამაგიეროდ, რუსებმა თავისი სერიოზული რეზერვი მიავლინეს ყოფილ მოძმეთა სახელოვან კურორტზე. ფესტივალზე წელს სპეციალური რუსული პროგრამაც კი მოეწყო.

აღსანიშნავია მოსკოვის კინოფესტივალის ტრიუმფატორის, კირა მურატოვას "ჩეხოვის მოტივები", რომლის ხარისხი, სიმართლე ვთქვათ, ნამდვილად ვერ უახლოვდება დიდი მწერლის მასშტაბებს. ამის მოწმე ბერლინის წლევანდელი კინოფესტივალიც გახდა, სადაც ფილმი "ფორუმზე" უჩვენეს. გარდა მურატოვას მორიგი სიურრეალისტური და პრეტენზიული ფილმისა, მაყურებელმა იხილა ალექსანდრ როგოჟკინის "გუგული", ალექსანდრ სოკუროვის "რუსული კიდობანი" (ფილმი საფუძვლიანად ჩაფლავდა კანის წლევანდელ საერთაშორისო კინოფესტივალზე) და სერგეი ბოდროვ-უმცროსის "დები", რომელსაც რაღაც სპეციალური პრიზიც მიანიჭეს. ფესტივალის ბოლო დღეს ნაჩვენები, ნიკოლაი ლებედევის "ვარსკვლავი" კი ტოტალიტარული ესთეტიკის პროპაგანდის გამო კრიტიკამ საფუძვლიანად გამოლანძღა.

# მონსერატ კაბალე მოსკოვში რუსულად იმღერებს



მონსერატ კაბალე

რუსი მომღერლის, ნიკოლაი ბასკოვის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ პოპულარული ესპანელი ოპერის მომღერალი, მონსერატ კაბალე მასთან ერთად გამართავს კონცერტს მოსკოვში, სადაც კაბალე რუსულ ენაზე იმღერებს. "მე მას რუსულში წავამეცადინებ," - ამბობს ბასკოვი, მაგრამ არ ამხელს, თუ რომელ ნაწარმოებებს შეასრულებს პრიმადონა, არ არის გამორიცხული, დუეტმა "ბარსელონა" იმღეროს. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფრედი მერკურის ყოფილ მენეჯერთან ამ კომპოზიციის შესრულების უფლების შესყიდვის თაობაზე.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ კაბალესა და ბასკოვის არაჩვეულებრივ ურთიერთობაზე. ბასკოვი ყოველთვიურად ჩადის ესპანეთში, სადაც ბევრ რამეს სწავლობს. ბასკოვის თქმით, მან უდიდესი გამოცდილება შეიძინა კაბალესთან თანამშრომლობის დროს. 2003 წლისთვის კაბალიე-ბასკოვის ერთობლივი მსოფლიო ტურნეა დაგეგმილი.

ბასკოვისა და კაბალეს კონცერტი კრემლში 6 ოქტომბერს გაიმართება, მართალია, ოქტომბრამდე ორ თვეზე მეტი დარჩა, მაგრამ ათასზე მეტი ბილეთი უკვე გაყიდულია.

ორი მომღერლის თანამშრომლობა 2000 წელს დაიწყო, როცა მათ სანკტ-პეტერბურგში გამართეს კონცერტი. "ბასკოვი სერიოზულად მუშაობს. მე იმედი მაქვს, რომ სულ მალე მთელი მსოფლიო აღმოაჩენს მასში ახალ ბრწყინვალე ტალანტს," - ფიქრობს პრიმადონა. კრემლს უკვე ახსოვს მათი ერთობლივი კონცერტი, რომელიც 2002 წლის 7 მარტს გაიმართა. კონცერტი სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მომღერლები ჯერ ცალ-ცალკე წარდგნენ აუდიტორიის წინაშე, მერე კი ხუთი დუეტი იმღერეს ერთად. პროგრამაში იყო ვერდი, პუჩინი, ესპანური და რუსული ხალხური სიმღერები. სწორედ ამ კონცერტის სამზადისის დროს დაიწყო ბასკოვმა ესპანური ენის შესწავლა.

# ბომბეიდან ლონდონამდე

## მამუკა ცეცხლაძემ გალერეა TMS-ში თავისი ტრანსავანგარდისტული გვირაბი წარმოგვიდგინა

დავით ანდრიაძე

ივლისი აღარაა საგამოფენო სეზონი, და მიუხედავად ამისა, მამუკა ცეცხლაძემ, რატომღაც სწორედ გაგანია ზაფხულში გამართა მორიგი პერსონალური გამოფენა გალერეა TMS-ში.

მამუკა ცეცხლაძე თბილისში ცხოვრობს და მაინც უცხოეთშია, როგორც მხატვარი, "უცხოს" პასპორტით ბინადრობს სამშობლოში, უცხოეთისადმი ნოსტალგიით ითქვამს სულს, კულტურული ნოსტალგიით... მოკლედ, "ჩაუწერავად" ცხოვრობს საზღვარგარეთ, თავისი კულტურის საზღვარგარეთ...

რახანია თხრის ტრანსავანგარდისტულ გვირაბს პირობითი სათაურით - "ბომბეიდან ლონდონამდე", და ყოველივე ამას აკეთებს უჩვეულო არტისტული თავისუფლებით, ლაღად, ვირტუოზული წარმოსახვით, ერთ ამოსუნთქვაზე გაჰყავთ იმპროვიზაციული კილომეტრები, ხელად ამოგვაყოფინებს თავს ხან ნისლიან ლონდონში და ხანაც დირიჟაბლით გადაგვაფრენს "ბაქოს ცის ქვეშ". არადა, მართლა ბაქო (თუ ჯეიჰანი) კი არ ანაღვლებს, არამედ მოტივი, ატმოსფერული მოტივი, აურა, ემოციური ფონი, ერთი თვალის შევლებით გაელვებული რაკურსი, ერთი შეხედვით, სიურეალისტური ინდუსტრიული პეიზაჟი რომ გეგონება, ცოტა თვალს მიაჩვევ და... რისი ბაქო, რა ბაქო, ეს ხომ... ამსტერდამია?!

ამსტერდამია, ნამდვილი ამსტერდამი! ცეცხლმოდებული კორსიკაც ნამდვილია, ლისაბონიც ნამდვილი, მხატვრულად ნამდვილი...

მამუკა ცეცხლაძე პოლიგლოტია. "უცხო" ფერწერული ენების ზუსტი პრონონსიც აქვს, არავითარი ადგილობრივი აქცენტი, არავითარი კუთხური მეტყველება... მას შეუძლია, გულწრფელად, უკომპლექსოდ მიბაძოს შორეულ მხატვრულ-გენეტიკურ ნათესავებს, "შენობით" ელაპარაკოს ძველ ოსტატებს. მისეული ტრანსავანგარდის კონვერტირებულობაც ამიტომაა გარანტირებული.

მამუკა ცეცხლაძის ფერწერული ალუზიები ეკლექტიკის სტილისტური რედაქციებითაა ჩასწორებული. ამგვარი კორექტურების პარალელურად, მისი ოპუსები ჟანრული სისუფთავითაც გამოირჩევა. შესაძლოა აკლდეთ, ასე ვთქვათ, კულტუროლოგიური მოთვინიერება და განყენებული არტისტული ტრენინგი, მაგრამ, საქმეც ესაა - რეპროდუქციული რემინისცენციების ამარა შეძლო ვირტუალური (და ვირტუოზული) მოგზაურობა ხელოვნების ისტორიაში. სტილთა ისტორიული ნასკვით გადაბმული ეს ოპუსები, თითქოსდა, შიგნიდან ასხივებენ ფერწერის ურთულესი ხელოვნების მთელ სიმდიდრეს, ორგანულად, ცოცხლად, ძალდაუტანებლად წარმოგვიდგენენ მასალასთან - ზეთის ფერებთან გრძნობადი დიალოგის პროცესს, თანაბრად გვაზიარებენ ფერწერის ზეგრძნობად სტიქიასაც და შეძლებისამებრ ალაგმულ ემოციურობასაც.

ცეცხლაძის ფერწერა - კულტურული ფერწერაა, აურაცხელ სტილისტურ ვერსიებს რომ სთავაზობს მხატვარს და უშუალოდ ჩაითრევს ციტატებით თამაშში, ირონიულ და გაუცხოებულ თამაშში, სადაც გარდასულ სტილთა ნიღბებით წარმოდგენილ კარნავალში ერთმანეთს ენაცვლებიან ბაროკო და კლასიციზმი, ინგლისური რომანტიზმი და იუგენდსტილი.

ცეცხლაძისეული "ვირტუოზობა" მხატვარს ხან გემბანზე მდგომ ვენეციელ ვაჭრად წარმოადგენინებს თავს, ხან პიზანელოდ მოგვევლენს, ხან მავრიტანულ ეროტიკულ ალმურში ჩაძირულ ვნებიან პარტნიორად, ხანაც... სიტყვამ მოიტანა და, მავრიტანული კულტურული ველი მამუკას საკუთარი თავის ერთგვარ ისტორიულ ფიგურად განცდასაც კარნახობს, "სხვა" ჟღერადობას ანიჭებს მისეულ ფერსაც, ფორმასაც, განათების პარტიტურასაც, ღამეულ ბინდ-ბუნდში თუ ბუდუარულ წყვდიადში ჩაკარგული ფიგურები მოჩვენებებივით გვესახებიან, გვევლინებიან... "მოვლინება" - აი, მამუკა ცეცხლაძის ვირტუალური უცხოური მივლინებების ნამდვილი ნადავლი, კულტურული ნაალაფარი, რომელსაც იგი უხვად, უშურველად გვიწილადებს, თანაც ყოველგვარი ავტოკომენტარების გარეშე, ინტელექტუალური დამადლების გარეშე გვასაჩუქრებს ამ "უცხო ხილით", თუნდაც, ნეოდეკადენტური არტისტული ყვავილების გირლიანდებით, ასე რომ შვენის მის სტილმოდერნულ "ლიებს", ამ ახალ ფლორებს, სარკისებური ანარეკლივით რომ შეჰყურებენ ერთიმეორეს. ამასობაში, გზად კიდევ ერთი "უცხო" კულტურულ-ასოციაციური ხატი წამოეწევა მხატვარს, ნამდვილ სახეს რომ მალავს და მხოლოდ სახელს კარნახობს - "გირ-ლანდ-აიო"... რა არის ეს, მოლანდება, მოჩვენება თუ მორიგი მისტიფიკაცია?!

მამუკას ფერწერის ერთ-ერთი საიდუმლოთაგანი ატმოსფეროა, მე ვიტყოდი, ატმოსფერული კომპოზიცია. სწორედ ეს ატმოსფერო ქმნის მისეული "უცხო ხატების" სიცოცხლის ილუზიას. ასეთი ჰაერით სუნთქავს სურათი, პულსირებს, ლივლივებს, ციმციმებს... თანაც, ამბავს მხატვარი ხელოვნურად კი არ ტუმბავს სურათებში, ჟანგბადის ბალიშებივით კი არ ავსებს სასურათე სივრცეს ჰაერით, არამედ სველი ნაწერითა და "გემრიელი" მონასმით გვაგრძნობინებს.

ეტყობა, ასე უნდა მოიპოვოს მხატვარმა თავისი "აბსოლუტური სამშობლო", ალექსანდრიული აბსოლუტური გაუცხოებით გაითავისოს კულტურის ისტორია, როგორც ჩანს, "უცხო" არტისტულ სივრცეთა ამგვარი ათვისებით, "უცხო" კულტურულ ენათა ასეთი დაუფლებითაცაა შესაძლებელი საკუთარი თავის პოვნა ხელოვნებაში.

სულხან-საბასავით კარი-კარნავალი მხატვარიც ასე პოულობს თავის არტისტულ პერსონას; პერსონასაც და პერსონაჟსაც...

ასეთია ქართველი მხატვრის ახალი "მოგზაურობა ევროპაში", თანაც, მოგზაურობა - უკან დაბრუნების პერსპექტივის გარეშე...



მამუკა ცერცვაძე





ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ეს ფილმი სკოლის მოსწავლეებისთვის ნამდვილი მისწრებაა

**Austin Powers: Goldmember-2002**
**რეჟისორი:** ჯეი როუჩი
**სცენარის ავტორები:** მაიკ მაიერსი, მაიკლ მაკალერსი, რობერტ ვაგნერი, მაიკლ მაკალერი, მაიკ მაკალერსი
**როლებში:** მაიკ მაიერსი, ბიონს ნოულზი, მაიკლ კეინი, მაიკლ იორკი, სეთ გრინი

თამარ მურვანიძე

დღეს, ჰოლივუდის ხუთ საუკეთესო ფილმს შორის, ოსტინ პაუერსის ახალი ფილმი "ოსტინ პაუერსი: გოლდმემბერი" პირველ ადგილზეა. გაამართლა თუ არა პაუერსის პირველმა ორმა ფილმმა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, პაუერსის ჩანაფიქრი ყოველთვის უფრო სასაცილო ჩანდა, ვიდრე თვით ფილმი. როგორც ამბობენ, ამ შემთხვევაში ეს ასე არაა. კომიკოსმა მსახიობმა თავის მესამე ფილმში ნამდვილად ფართოდ გაშალა ფრთები, ალბათ, სკოლის პერიოდი გაიხსენა, ფილმი აავსო უწმაწური სცენებითა და დიალოგებით და სატირული ელფერიც არ დაივიწყა. კბილჟანგიანი აგენტის სასაცილო ისტორია სკოლის მოსწავლეებისთვის პირდაპირ მისწრება გახდა, თუმცა ფილმის ნახვაზე ალბათ არც უფრო მოზრდილები იტყვიან უარს.

მიზეზი იმისა, რომ სურათი ბევრად სჯობს თავის წინამორბედებს, ისაა, რომ მთავარი გმირი მაიერსი მხოლოდ 60-იანი წლების შპიონაჟის პაროდირებით არ შემოიფარგლება. ალბათ, პაუერსი მიხვდა, რომ ამას 30 წლის წინათ ჯეიმს კობერნიც აკეთებდა, თანაც - უფრო წარმატებულად.

მაიერსმა ოსტინ პაუერსის მითი დაამკვიდრა. ოსტინ პაუერსი ისე შემოიჭრა ყველა ფილმის მოყვარულის ცხოვრებაში, რომ მას იოლად უკვე ველარავინ დააღწევს თავს. ფილმში შემოდის მამა-შვილის თემა, რომელიც, როგორც ჩანს, შემდგომ ფილმში ჰპოვებს გაგრძელებას.

ფილმის მოკლე შინაარსი ასეთია: დოქტორ ევილი (ბოროტება) დროში მოგზაურობს. მისი მიზანი სუპერაგენტის, ოსტინის მამის, სერ ნაიჯელ პაუერსის მოტაცებაა. ევილი ახალ მოკავშირეს გამოძებნის, გაიძვერა გოლდმემბერს. ოსტინი ერბძვის ევილს, გოლდმემბერს და მინიმეს, თავისი მამის გადასარჩენად. მას დიდ დახმარებას უწევს ფოქსი კლეოპატრა, რომლის როლსაც Destiny's Child-ის ვოკალისტი ბეიონს ნოულზი ასრულებს. მომხიბვლელი აფროამერიკელი ქალი მისი პირველი როლია ჰოლივუდში. უმნიშვნელო ეპიზოდურ როლებში ბევრ ვარსკვლავსაც შეხვდებით: დენი დე ვიტოს, ტომ კრუზს, გვინეტ პელტროუს...

მაიკ მაიერსის გმირმა მსოფლიო პოპულარობა 1997 წელს მოიპოვა, როდესაც ეკრანზე გამოვიდა: Austin Powers: International Man of Mystery ("ოსტინ პაუერსი: ადამიანი-გამოცანა"). ფილმის საეკრანო ვერსია, რომელშიც ელიზაბეტ ჰარლიც მონაწილეობდა, საკმაოდ ზომიერი იყო და სითამამე აკლდა, სამაგიეროდ ვიდეოვერსია იქცა ნამდვილ ჰიტად. მეორე ფილმი The Spy Who Shagged Me ("ჯაშუში, რომელმაც შემაცდინა") ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სურათი გახდა 1999 წელს. მაიერსი, ჰოლივუდელი ჟურნალისტების ცნობით, ამ ფილმის გაგრძელების გადაღებაზე ოცნებობდა და ახალ საუკუნეში ეს ოცნება აისრულა კიდეც.

სხვათა შორის, თავის დროზე, კინობოსებმა არ მოიწონეს ფილმის სახელწოდება Goldmember ("ოქროს ასო"). საქმე ის იყო, რომ ამერიკული კინოს ასოციაციის წარმომადგენლები, რომელთა შორის არიან კინოკომპანიები: MGM/UA და Danjaq და რომლებიც ილებდნენ ფილმს აგენტ ჯეიმს ბონდზე ამტკიცებდნენ, რომ სახელი Goldmember ძალიან ჰგავს ჯეიმს ბონდის ერთ-ერთ სერიას Goldfinger-ს. მაგრამ მოხერხებულმა კომიკოსმა, თამაშ-თამაშით მაინც თავისი გაიტანა.

რაც შეეხება ფილმის საუნდტრეკს, ახალ ფილმში ველარ ნახავთ მადონას Beautiful Stranger-ს, მადონა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალმა ვარსკვლავმა, ბიონს ნოულზმა შეცვალა, მანვე შექმნა რემიქსი ამ ფილმისთვის, ჯგუფ K.C.-ის და Sunshine Band-ის 1976 წლის კლასიკური ჰიტისა - Shake your Beauty, რომელსაც Hey, Goldmember დაერქვა. ეს არასერიოზული სიმღერა თავისი ხალისიანობითა და უცნაურობით ზუსტად შეესაბამება კომედიის შინაარსსა და პათოსს. მის ჩაწერაში მონაწილეობას იღებდნენ ბიონსის და - სოლანჟ ნოულზი და მომღერალი დევონი.

"უფრო მეტი ენერგია, მეტი იუმორი, მეტი ვიზუალური მხარე და მეტი გონიერება," - ასე ლაკონურად ჩამოთვლიან კრიტიკოსები ახალი ფილმის ღირსებებს, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ეს ჭკუა 13-14 წლის ასაკის ბავშვის ჭკუას მაინც ვერ სცილდება. მაიერსმა კარგად იცის, რაზე რეაგირებს აუდიტორია, ამიტომაც აქცენტს კვლავინდებურად აკეთებს არაკორექტულ და პიკანტურ სცენებზე, როგორც ყოფითზე, - ისე პოლიტიკურზე. ამ ფილმს ერთი უცნაურობაც ახასიათებს: ჩვეულებრივ, კომედიებს მსუბუქად უყურებენ ხოლმე და ნახვისთანავე ივიწყებენ. იმ მაყურებელმა კი, ვინც ეს ფილმი ნახა, თითქოს განიცადა კიდეც არასერიოზული აგენტის თავგადასავალი, თუმცა ეს განცდა ძირითადად იმაში გამოიხატა, რომ მნახველს მუცელი ხელით ეჭირა:

"არც კი მახსოვს, როდის ვიცინე ბოლოს ამდენი, თანაც ასე მაგრად," - ეს იყო პირველი შთაბეჭდილება ფილმის ნახვის შემდეგ.


მაიკლ იორკი, ფილმის რეჟისორი ჯეი როუჩი და ქუინსი ჯონსი


ვერნ ტროიერი (მინი-მე და მინი-ოსტინი) და მაინდი სტერლინგი


მაიკლ მაიერსი და ბიონს ნოულზი

# ევროპული გატაცება სოც-რეალიზმით

ნინო ჭანიშვილი

## პროლეტარიატის ბელადი კაპიტალისტურ ბაზარზე

ჰელსინკის "თეთრ დარბაზში" მიმდინარეობს გამოფენა "უკან სსრკში". გამოფენაზე ნამდვილი სოც-რეალიზმია წარმოდგენილი, რომელიც სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ევროპაში. ფინელები სიამოვნებით დადიან და ნახულობენ ვლადიმიროვსკის "პიონერები რადიოს უსმენენ"(1924), გრაბარის "ვ.ი. ლენინი კრემლის კაბინეტში"(1933), კორაბლოვის "მოდი ამხანაგო, ჩვენთან კოლმეურნეობაში"(1931), ვლადიმიროვის "ტრაქტორი სოფელში"(1925).

საბჭოთა კავშირის 70 წლიანი ისტორიის მანძილზე ევროპელებს არაოფიციალური, ნონკონფორმისტული ხელოვნება აინტერესებდათ. ევროპულ კინოფესტივალებზე ხომ ის ფილმები იმსახურებდნენ მოწონებას, რომლებშიც ცოტათი მაინც არაპოზიტიურად იყო ნაჩვენები საბჭოეთი. ასეთ დროს სურათის მხატვრულ მხარესაც კი არ აქცევდნენ ყურადღებას, მთავარი იყო საბჭოთა ცხოვრების მანკიერი თვისებების წარმოჩენა. კავშირიდან დევნილ მხატვრებსა და მწერლებს ხომ ყოველანაირად ხელს უწყობდნენ თავიანთი შემოქმედების განვითარებისთვის. მაგრამ დაიშალა თუ არა სსრკ, დასავლელების ინტერესის სფერო სწორედ მათთვის საშინელი და საძულველი სოც-რეალიზმი გახდა.

ასე მაგალითად, დასავლელგერმანელი ხელოვნებათმცოდნე, კორნელია ფონ ბერსვორდტ-ვალრაბე, რომელიც კინეტიკური ხელოვნების შესწავლითაა დაკავებული, 1993 წელს სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ შვერინის მუზეუმს. მიუხედავად იმისა, რომ შვერინის მუზეუმს რემბრანდტის, რუბენსის, კრანახის, ბრეიგელის, ფრიდრიხის სოლიდური კოლექცია აქვს, მან, პირველ რიგში, ქალაქის მცხოვრებლებს სთხოვა ძველი გდრის დროინდელი დიზაინის და ხელოვნების ნიმუშები მოეტანათ მუზეუმში. რის შემდეგაც მუზეუმს დიდი რაოდენობით სოციალისტური ხანის ექსპონატები დაუგროვდა.

დასავლურმა ხელოვნების ბაზარმა, შეიძლება ითქვას, უკვე ყველაფერი აღმოაჩინა და მოჭამა - აფრიკის თუ ოკეანეთის შეღებილი ნიღბები და ქანდაკებები, ჩინური "ვარდისებრთა ოჯახის" დახვეწილი ფაიფური თუ იაპონური ნეცკეები, თანამედროვე (contemprorary) ხელოვნების სუპერთანამედროვე ინსტალაციები, რუსული ავანგარდი თუ ამერიკული პოპ-არტი. და ჯერი სწორედ სოც-რეალიზმზე მიდგა.

სოტბის აუქციონზე ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში ასზე მეტი სოც-რეალიზმის მხატვრობის ნიმუში გაიყიდება. მათი უმეტესობა რუს და უკრაინელ მხატვრებს ეკუთვნით. გასაყიდ სურათებს შორის უხვადაა ლენინის პორტრეტები: ლენინი მჯდომარე, მდგომარე, კითხვისას, მსოფლიო რუკასთან, მდინარის პირას, ბავშვებთან ერთად, კრემლში. თუმცა სხვა თემებიც მრავლადაა არკადი სოროკას, იგორ სინეპოლსკის, მიკოლა ჩულკოს შემოქმედებიდან - საკოლმეურნეო მინდვრები, სტალინგრადის ბრძოლა, მუშები, ბევრი სურათი იმასაც ასახავს, თუ როგორ მისდევდა სპორტს საბჭოთა ადამიანი. ამ ნამუშევრების სასტარტო ღირებულება კი შემდეგნაირია: აკვარელი, ფანქარი ქაღალდზე 300-400 დოლარი, ხოლო თუ ზეთი და ტილოა 500-600 დოლარი.

ტერმინი სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში და ხელოვნებათმცოდნეობაში 1930-იანი წლებიდან დამკვიდრდა. ეს იყო მთავარი მხატვრული მეთოდი, რომელიც "ხელოვანისაგან მოითხოვდა სამართლიან, ისტორიულად კონკრეტული გარემოს გადმოცემას, მის რევოლუციურ განვითარებას", და მისი ამოცანა იყო "მშრომელთა აღზრდა სოციალისტურ ყაიდაზე" ("მწერალთა კავშირის დადგენილება სსრკ", 1934).

ეს იდეები და პრინციპები მალევე გავრცელდა საქართველოშიც და სოციალურ დაკვეთას ბევრი ქართველი მხატვარი ასრულებდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით, ჩვენი გალერისტები ამ სფეროთი ნაკლებად ინტერესდებიან. ქართული სოც-რეალიზმის ყოფითი კულტურისა და მხატვრობის ნიმუშებს მშრალ ხიდზე თუ წააწყდებით. ცოტა ხნის წინ იქ პროლეტარიატის ბელადის დიდი ზომის, ზეთში შესრულებული ტილო სულ რაღაც 50 დოლარად იყიდებოდა. ჰელსინკის გარდა, ჩვენთანაც შეიძლება თემატური გამოფენების მოწყობა - ვთქვათ ლენინი, სტალინი, კოლმეურნეები ქართულ მხატვრობაში. მაგალითად, ორი წლის წინ, რუსმა ხელოვნებათმცოდნემ ეკატერინა დეგოტმა მოსკოვში საბჭოთა მამაკაცის თეთრეულის გამოფენა მოაწყო.



ფეხბურთი

## ჩვენ რაღას გვერჩით, შვილებო?

23 ივლისს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეხუთე ყრილობაზე ვეტერანი ფეხბურთელებისთვის დელეგატთა ხუთი ხმიდან ოთხის ჩამორთმევის შესახებ, ვეტერანი ფეხბურთელები უკიდურესად აღაშფოთა.

გუშინ ქართული ფეხბურთის ვეტერანებმა მიმართვა გაუგზავნეს რამდენიმე გაზეთს, მათ შორის "24 საათს".

"ამ ბოლო დროს მთლიანად მიწასთან გაგვასწორეს, მავანმა საკუთარი მიზნების განხორციელება ჩვენი სახელების შებღალვით და ჩირქის მოცხებით დაიწყო. სამწუხაროა, რომ ამ საქმეში ე.წ. ქართველ ბიზნესმენთა ზოგიერთი წარმომადგენელიც ურევია, "ის ბიზნესმენები", რომლებმაც ოთხმოცდაათი წლის ქართული ფეხბურთის ლეგენდის, გრიგოლ გაგუას დასაკრძალავად კაპიკი ვერ გაიმეტეს და მამისტოლა ხალხს გვემალებიან, ის "ბიზნესმენები", რომლებიც წლობით ჩვენი ნაწვალები, ნაგროვები და გამქრალი ფულით შეძენილი კაპიტალით აპირებენ ქართული ფეხბურთის "აშენებას". სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი კი, ჩვენი აწ გარდაცვლილი მეგობრის ვაჟი (იგულისხმება დავით პეტრიაშვილი - რედ.), სულაც ჩვენთვის "ზედმეტი" ხმების ჩამორთმევას მოითხოვს...", - ნათქვამია მიმართვაში.

განცხადებაში ვეტერანები იმასაც აღნიშნავენ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობას 24 აგვისტოს თავად ჩაატარებენ. "წინ ვერავინ დაგვიდგება!"

მიმართვას, ვეტერანებთან ერთად, მოქმედი ფეხბურთელებიც უერთდებიან. განცხადებას ხელს აწერენ: არჩილ არველაძე, შოთა არველაძე, გიორგი ქინქლაძე, გიორგი ნემსაძე, თემურ ქეცბაია, კახა ცხადაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და სხვები.

მიმართვა შემდეგი სიტყვებით მთავრდება: "ასეთი რამ არსად მომხდარა მსოფლიოში, ფეხბურთის ვეტერანებს ყველგან პატივისცემით ეპყრობიან და შარავანდედით მოსავენ. ჩვენ კი, ქართულმა სახელმწიფომ და მთავრობამ დასაღუპავად რომ გაგვწირა, ჩვენ რაღას გვერჩით, შვილებო?"

## ოთხთა ტურნირის ლიდერი საქართველოს ნაკრებია

გუშინ სპორტის სასახლეში სტარტი აიღო საერთაშორისო ტურნირმა მინი-ფეხბურთში, რომელშიც საქართველოს ნაკრებთან ერთად აზერბაიჯანის ნაკრები, ყაზახეთის ჩემპიონი "კაზტრანსოილი" და რუსეთის შარშანდელი ჩემპიონი, მოსკოვის "სპარტაკი" იღებენ მონაწილეობას. ტურნირის გახსნის შემდეგ მოედანზე აზერბაიჯანისა და მოსკოვის ფეხბურთელები გავიდნენ. აზერბაიჯანის ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქეა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ტურნირის ფავორიტს. "სპარტაკმა" დაძაბულ ბრძოლაში, 5-3 გაიმარჯვა. მოსკოველებმა უკანასკნელი გოლი მატჩის ბოლო წამებზე გაიტანეს, მაშინ როდესაც,აზერბაიჯანელთა მეკარეც შეტევაში იყო ჩართული. საქართველოს ნაკრებმა დიდი ანგარიშით 6-1 დაამარცხა ყაზახეთის გუნდი და ბურთების უკეთესი შეფარდებით ტურნირის ლიდერიც გახდა. დღეს საქართველოს ნაკრებს აზერბაიჯანის სახით სერიოზული მეტოქე ეყოლება. შეხვედრა 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. პირველი მატჩი "სპარტაკსა" და ყაზახებს შორის 18 საათზე დაიწყება. მინი-ფეხბურთის ასოციაციამ საჩუქარი გაუკეთა ქართველ გულშემატკივრებს- მატჩებზე დასწრება უფასოა.

## ეფენბერგი დიდ ფულს ითხოვს

შტეფან ეფენბერგს ამიერიდან ორი გზა დარჩენია: დაბრუნდეს მშობლიურ მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" ან პენსიონერების გზას დაადგეს და ამერიკის საფეხბურთო ლიგაში გადაბარგდეს.

საქმე ის არის, რომ ეფენბერგმა სახელფასოდ უსაშველოდ დიდი თანხა მოითხოვა და ამით მისი მსურველი კლუბები დააფრთხო. მსურველი კი გერმანელ ვარსკვლავს საკმარისზე მეტი ჰყავდა: მადრიდის "ატლეტიკო", "გალათასარაი", "ტოტენჰემი", "ალავესი", "რასინგი". იქნებ ამ ინტერესმაც გაუღვიძა მადა გერმანელ პლეიმეიკერს. ვინ იცის... ფაქტი ის არის, რომ, როგორც კი გუნდებმა ეფენბერგის მოთხოვნა შეიტყვეს, მყისვე უკან დაიხიეს. სპეციალისტთა ვარაუდით, ეფენბერგისთვის, ამ ეტაპზე, ყველაზე რეალური მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" თამაშია.

## აიალა ფერდინანდის ნაცვლად

"ლიდს იუნაიტედმა" წლევანდელ სეზონში დიდი დანაკლისი განიცადა. კლუბი რობი ფაულერმა, ლი ბოიერმა და რიო ფერდინანდმა დატოვეს. ბუნებრივია, იორკშირელები სათანადო შემცვლელს ეძებენ. გავრცელებული ინფორმაციით, "ლიდსის" ხელმძღვანელობა ესპანურ "ვალენსიას" დაუკავშირდა არგენტინელი რობერტო აიალას თაობაზე.

ტერი ვენეიბლზს აიალა სწორედ რიო ფერდინანდის შემცვლელად ესახება. კლუბებმა, როგორც ჩანს, შეთანხმებას მიაღწიეს. ტრანსფერის საორიენტაციო თანხა 9 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

## უეფა-მ ლიგის მსურველები დააწყვილა

ჩემპიონთა ლიგა ისეთი მსუყე ლუკმაა, ყველას რომ არ გადაუვა ყელში. საფეხბურთო სამყარო ასეა მოწყობილი, თუკი რომელიმე გუნდს რაიმეს პრეტენზია აქვს უთუოდ ჩემპიონთა ლიგაში უნდა თამაშობდეს. სხვანაირად ბევრს ხომ ვერაფერს მიაღწევს, ფულებსაც ვერ იშოვის და არც დიდად დაფასებული იქნება. იმაზე დავა, კარგია ეს თუ ცუდი ბევრს არაფერს მოგვცემს და აზრიც არა აქვს, გინდა თუ არა ასეა მოწყობილი ქვეყანა და შენც ამ ქვეყანაში ცხოვრება თუ გინდა, მის წეს-კანონებს უნდა დაემორჩილო.

გუშინ უეფა-ს შტაბ-ბინაში ამ წეს-კანონების გათვალისწინებითა და სრული დაცვით ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა ჩატარდა, რომელიც საბოლოოდ გაარკვევს იმ 32 გუნდის ვინაობას ევროპული საკლუბო ფეხბურთის უმაღლესი ჯილდოსთვის რომ შეებრძოლებიან ერთმანეთს. პირველი მატჩები 13-14 აგვისტოს გაიმართება, განმეორებითი კი ორი კვირის შემდეგ.

როგორც ყოველთვის, ვის გაუმართლა, ვის არა. ამ გამართლებულთა შორის, გარკვეულწილად ქუთაისის "ტორპედოც" უნდა მივიჩნიოთ. აშკარაა, "მილანის", "ინტერის", "მანჩესტერის" გადაყრას ბელგიურ "გენკთან" თამაში ჯობს, თუმცა, ბელგიელებთან საბრძოლველად ჩვენებურთ ჯერ ჩეხური ბარიერის გადალახვა მართებთ. ადვილი შესაძლებელია, წლევანდელმა ლიგამ ორ-ორი რუსული და უკრაინული გუნდი "დაიტიოს", თუმცა დღეს, როცა სუსტი გუნდი თითქმის არ არსებობს, გამორიცხული არაფერია. ასეა თუ ისე ყველაფერი აგვისტოს მიწურულს გაირკვევა ამ გუნდთა შეხვედრებში:

სპორტინგი (პორტუგალია) – ინტერი (იტალია)
მილანი (იტალია) – ლიბერეცი (ჩეხეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) – ბრონდბიუ (დანია) ან დინამო (ალბანეთი)
შახტარი (უკრაინა) – ბრიუგე (ბელგია) ან დინამო (რუმინეთი)
მარიბორი (სლოვენია) ან აპოელი (კვიპროსი) – აეკ (საბერძნეთი)
ბარსელონა (ესპანეთი) – ვარდარი (მაკედონია) ან ლეგია (პოლონეთი)
სკონტო (ლატვია) ან ლევსკი (ბულგარეთი) – დინამო (უკრაინა) ან პიუნიკი (სომხეთი)
ლილესტრომი (ნორვეგია) ან ჟელეზნიჩარი (ბოსნია) – ნიუკასლი (ინგლისი)
ჰამარბი (შვედეთი) ან პარტიზანი (იუგოსლავია) – ბაიერნი (გერმანია)
გენკი (ბელგია) – ტორპედო (საქართველო) ან სპარტა (ჩეხეთი)
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) ან ბელშინა (ბელორუსი) – შტურმი (ავსტრია)
სელტიკი (შოტლანდია) – ზილინა (სლოვაკეთი) ან ბაზელი (შვეიცარია)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) - ფენერბახჩე (თურქეთი)
ზალაეგერსეგი (უნგრეთი) ან ზაგრები (ხორვატია) – მანჩესტერი (ინგლისი)
ბოავიშტა (პორტუგალია) ან ჰიბერნიანი (მალტა) – ოსერი (საფრანგეთი)
ლოკომოტივი (რუსეთი) – შერიფი (მოლდოვა) ან გრაცერი (ავსტრია)

## საქართველოს ნაკრები მოდას მიჰყვება





ახალი ფორმების პრეზენტაცია

იური ლობოდინის ფოტოები

გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალი ეკიპირების პრეზენტაცია შედგა.

კვირაზე მეტია, რაც იტალიურმა სპორტულმა ფირმა "ლოტომ" ახალი ფორმები თბილისში გამოგზავნა. პრეზენტაციამ განბაჟების გამო დაიგვიანა.

ჟურნალისტებს ნაკრების ახალი სამოსი გუნდის მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ წარუდგინეს.

მიღებული ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანია. ბურთები, ბუცები, სხვადასხვა სახის სავარჯიშო კოსტიუმები.

წარმოდგენილ იქნა ოთხი სხვადასხვა სახის სათამაშო ფორმა. მათგან ორი - შინდისფერი და თეთრი - იგივეა, რაც ჩვენს ნაკრებს გასულ სეზონში ეცვა. ამ ფორმების დიზაინი არ შეცვლილა და, როგორც ჩანს, ნაკრები მათ მომავალ წელსაც გამოიყენებს.

სრულიად ახალი დიზაინისაა ნაკრების ორი ახალი ფორმა. ამიერიდან სწორედ ეს იქნება გუნდის ძირითადი სამოსი.

საქართველოს ნაკრების პირველი ფორმა სრულიად თეთრია, ხოლო მეორე - სრულიად შავი. ერთადერთი, რაც ამ მაისურებს და ტრუსებს გამოჰყოფს, ეს არის პატარა წითელ კვადრატში მოთავსებული "ლოტოს" ემბლემა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჯერ არ დაუმტკიცებია თავისი ახალი ლოგო, რის გამოც ახალი ეკიპირებაც ლოგოს გარეშეა.

ახალი მაისურები განსხვავებული, ელასტიკური ქსოვილისგანაა დამზადებული და, იტალიის ნაკრებისა და კლუბ "რომას" ფორმების მსგავსად, ჩვენი ნაკრების სამოსიც ტანზე მჭიდროდ იქნება მომდგარი.

საქართველოს ნაკრების მეორე, შავი ფორმა თითქმის იდენტურია ტურინის "იუვენტუსის" მეორე ფორმისა. მოგეხსენებათ, "იუვენტუსს", ისევე როგორც ჩვენს ნაკრებს, ფირმა "ლოტო" მოსავს.

მიღებული ინვენტარის საერთო წონა დაახლოებით 1,5 ტონაა. თითოეულ ფეხბურთელზე 6 კომპლექტია გათვალისწინებული.

ფორმების წარდგენის შემდეგ ჩივაძემ მოაწყო მინი-პრესკონფერენციაც, რომელზეც ჩრდილოეთ ოსეთში თავის ვიზიტზე ისაუბრა. ჩივაძე გუშინწინ დაბრუნდა ვლადიკავკაზიდან, სადაც ნაკრების კანდიდატები დემეტრაძე და აშვეთია მოინახულა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ამ ფეხბურთელების დღევანდელი სპორტული ფორმით არც ისე კმაყოფილი დარჩენილა.

ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში სტუმრობამდე, ჩივაძე ფრაიბურგში იყო. "ძალიან მაღელვებს კობიაშვილის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. უამრავი ჭორი გავრცელდა "ბაიერნში", "ლევერკუზენში" ან რომელიმე სხვა ძლიერ კლუბში მის გადასვლასთან დაკავშირებით. ბოლოს კი მაინც "ფრაიბურგში" მოუწია დარჩენა. ვუთხარი, რომ გული არ გაიტეხოს, რადგან ყველაფერი წინა აქვს და კარგი გუნდიც აუცილებლად გამოჩნდება", - განაცხადა ჩივაძემ.

კვლავ უგუნდოდაა გოჩა ჯამარაული, რაც ნაკრების მწვრთნელისთვის სერიოზული პრობლემაა. უამრავი პრობლემის მიუხედავად, ჩივაძე ოპტიმისტურადაა განწყობილი და მომავალ შესარჩევ ციკლში წარმატების იმედი აქვს. ვინ იცის, იქნებ ახალი ფორმებიც დაგვეხმაროს...

## ამიერიდან "ოცნებათა დერბი" გაიმართება

### რივალდო "მილანში" გადავიდა

აკა ტონია

მოლაპარაკება შვიდ საათს გრძელდებოდა, რის შემდეგაც სეზონის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი შედგა. რივალდო ამიერიდან იტალიური "მილანის" ღირსებას დაიცავს.

გუშინ სან-პაულუში რივალდოს ადვოკატებმა და "მილანის" წარმომადგენლებმა შეთანხმებას მიაღწიეს. გუშინვე რივალდო გადაფრინდა იტალიაში, სადაც კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულების თანახმად, 30 წლის ნახევარმცველი წელიწადში 4,5 მილიონ ევროს მიიღებს (გადასახადების გარეშე). ამას დაემატება ყოველწლიურად თითო მილიონი ევრო - რივალდოს სახელის სარეკლამო მიზნით გამოყენების სანაცვლოდ.



რივალდო

REUTERS

### ფუჭი დაპირებები

"მილანში მოსვლა რივალდოს ძალიან ახარებს", - განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ "Gazzetta dello Sport"-თან საუბარში, - "ახლა მხოლოდ ბანალურ ფინანსურ საკითხებზე უნდა შევთანხმდეთ", - ეს სიტყვები იმ ადამიანის პირიდან გაისმა, ვინც სულ ცოტა ხნის წინათ ტრანსფერებისთვის უზარმაზარი თანხების გაღებას აკრიტიკებდა და კლუბებს ფულის დაზოგვისკენ მოუწოდებდა.

რივალდოს "მილანში" გადასვლა შთამბეჭდავად მეტყველებს იმაზე, თუ რას ნიშნავს ფეხბურთელის დაპირება. ზუსტად ერთი წლის წინათ ბრაზილიელმა განაცხადა: "მე და ჩემს ოჯახს ესპანეთი დედამიწის საუკეთესო ქვეყნად მიგვაჩნია და ცხოვრების ბოლომდე აქ დარჩენა გვსურს. ამის სანაცვლოდ ფულზეც უარს ვიტყოდი."

### "რეალი" სიტყვას ასრულებს

ესპანეთში დარჩენის შანსი იყო. რივალდოს კონტრაქტში პუნქტი, რომელიც "რეალში" გადასვლას აუკრძალავდა, არ ყოფილა. თუმცა, მადრიდელთა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა შეასრულა სიტყვა, რომელიც მან "ბარსელონას" ხელმძღვანელობას მისცა. პერესს სურდა, ახალი "ფიგუს ქაოსი" თავიდან აეცილებინა, რის გამოც რივალდოს წინადადება აღარ შესთავაზა.

ზინედინ ზიდანმა განაცხადა: "მზად ვარ, ჩემი ხელფასის ნახევარზე უარი ვთქვა, თუ "რეალი" რივალდოს გადმოიყვანს." მაგრამ ეს არ გამოვიდა, რივალდო "მილანშია".

მილანელთა მწვრთნელს კარლო ანჩელოტის ახალი პრობლემა გაუჩნდა. ანდრეი შევჩენკოს, მანუელ რუი კოშტას, ფილიპო ინძაგის, იონ დალ ტომასონის, ანდრეა პირლოს და კლარენს ზეედორფის სახით, გუნდში შემტევი ფეხბურთელების უდიდესი არჩევანია. ერთი რამ ცხადია: ანჩელოტის დიდხანს არ მოუწევს იმაზე ფიქრი, დააყენოს თუ არა რივალდო ძირითადში.

იყო მოსაზრება, რომ რივალდოს მოსვლა "მილანიდან" პორტუგალიელი რუი კოშტას წასვლის წინაპირობა გახდებოდა, თუმცა, ეს არ გამართლდა. "კლუბს კვლავ სჯერა ჩემი. ადრიანო გალიანიმ მითხრა, რომ ნომერი 10 მომავალშიც ჩემი საკუთრება იქნება", - განაცხადა რუი კოშტამ.

რივალდოს "მილანში" გადასვლით იტალიას გაუჩნდა შანსი, საკლუბო ფეხბურთის დედაქალაქის სტატუსი აღიდგინოს, რადგან სხვაგან არსად, მსოფლიოს არც ერთ ქალაქში არ გაიმართება ისეთი დერბი, როგორიც მილანელ გულშემატკივრებს ელით მომავალი სეზონიდან: რონალდო რივალდოს წინააღმდეგ...

## „კაიზერ ფრანცის„ მსხვერპლშეწირვა

ნინო პირველი

დიდი ხანია, ელეგანტური ფრანც ბეკენბაუერი მსოფლიო არენაზე თანამედროვე გერმანული ფეხბურთის ელჩადაა მიჩნეული. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ყოველმხრივ გამორჩეული ფიგურაა. იმდენად გამორჩეული, რომ მას "კაიზერსაც" კი უწოდებენ, უდიდესი პიროვნული ხიბლისა და დახვეწილი მანერების გამო. მისი ცხოვრება დღესაც ყველას აინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, აქტიურ სპორტს ჩამოსცილდა და მხოლოდ მიუნხენის "ბაიერნის" საორგანიზაციო საკითხების მოგვარებითაა დაკავებული. "კაიზერს" ყველა დიდ პატივს სცემს, მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა "კაიზერი" ცოლს ეყრება? რა საკითხავია, რა თქმა უნდა, მაშინვე ელიტარული სკანდალი ცხვება.

გერმანულ ფეხბურთში ერთხელ უკვე მოხდა სკანდალი, როდესაც მიუნხენის "ბაიერნის" კაპიტანმა შტეფან ეფენბერგმა თავის ექსმეგობარს, თომას შტრუნცს, ცოლი წაართვა და საკუთარი მეუღლე და ორი შვილი გაუფრთხილებლად მიატოვა. კინაღამ სკანდალი აგორდა მაშინაც, როცა იმავე "ბაიერნის" თავკაცი, ოტმარ ჰიტცფელდი ბრაზილიელ მოდელ როზისთან რომანში გამოიჭირეს. და აი, ახლა სანიმუშო ფრანც ბეკენბაუერი აპირებს მეუღლესთან გაყრას და ისიც "ბაიერნის" წარმომადგენელია. რატომ ხდება ასეთი უსიამოვნებები მაინცდამაინც "ბაიერნში?" - მართლაც საინტერესოა.

ბეკენბაუერს ჰიტცფელდის მსგავსი უსიამოვნება შეემთხვა ორი წლის წინ, როცა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ "კაიზერი" "ბაიერნის" ფანკლუბის მდივანი ქალით, ვინმე ჰაიდი ბურმესტერით იყო გატაცებული. მაშინ ბეკენბაუერის მეუღლე ზიბილე ამ სკანდალს მშვიდად შეხვდა და ქმარს ყველაფერი აპატია. თუმცა, ბეკენბაუერის ამ თავგადასავალს უკვალოდ არ ჩაუვლია. ოტმარ ჰიტცფელდის როზისგან განსხვავებით, ჰაიდის აბორტი არ გაუკეთებია და 2000 წელს, უკვე ასაკში შესული ფრანც ბეკენბაუერი, მეოთხედ გახდა მამა – "კაიზერს" ამჯერადაც ვაჟი შეეძინა. ბავშვს ნოელ მაქსიმილიანი დაარქვეს.

ზიბილე მაშინ, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ფრანცი მას ოდესმე ამ პატარა არსების გამო მიატოვებდა. ბეკენბაუერს ხომ უკვე ჰყავდა სამი მოზრდილი შვილი და მამობა მისთვის უცხო ხილი ნამდვილად არ იყო, მაგრამ...

"კაიზერს" სამივე შვილი ადრეულ ასაკში შეეძინა. სამოციან წლებში ბეკენბაუერი ახალგაზრდა, ამბიციური ფეხბურთელი იყო და კარიერაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე ოჯახზე. ბავშვები ისე გაიზარდნენ, ბეკენბაუერს არც კი გაუგია. ის ნამდვილი მამა აქამდე არ ყოფილა, მამობის სიხარული მას მხოლოდ პატარა ნოელ მაქსიმილიანმა მიანიჭა.

როგორც ჰამბურგელი ფსიქოლოგი ზიბილე ვებერი მიიჩნევს, ბეკენბაუერს სურს, დაკარგული აინაზღაუროს, თავი მამად იგრძნოს და ამიტომაც გადაწყვიტა, ცოლს გაშორდეს. "კაიზერი" ბავშვის გვერდით ყოფნას მიელტვის. მას თავისი პატარა ნოელ მაქსიმილიანი ადრეც ძალიან უყვარდა, მაგრამ როცა ბიჭი წამოიზარდა, ეს სიყვარული კიდევ უფრო უსაზღვრო გახდა. ბეკენბაუერი სიხარულს ვერ მალავს, როცა ბავშვი მამას ეძახის. "კაიზერი" მიიჩნევს, რომ მისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პატარა ბიჭუნას გვერდით ყოფნაა.

ნოელ მაქსიმილიანის კეთილდღეობა ზიბილე ბეკენბაუერის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს. "კაიზერის" მეუღლე ამჟამად იტალიაშია და გერმანულ ბულვარულ პრესას მისი რეაქციების დაფიქსირების საშუალება არა აქვს, მაგრამ რა მოხდება, როცა ის დაბრუნდება? ბეკენბაუერი კი ირწმუნება, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდაო, მაგრამ ხომ ცხადია, რომ ორმოცდაათ წელს გადაცილებული ზიბილესთვის იოლი არ იქნება ახალი ცხოვრების დაწყება?

თითქმის ათი წლის განმავლობაში ფეხბურთის მოყვარულები შეეჩვივნენ კიდეც მუდამ ერთი და იგივე სცენის ხილვას – მიუნხენის "ბაიერნი" თავის რომლიმე მნიშვნელოვან მატჩს ატარებს, ინტერნაციონალური შეხვედრა იქნება ეს თუ საშინაო, სტადიონის საპატიო ლოჟაში კი სათვალიანი ფრანც ბეკენბაუერი და ქერათმიანი ელეგანტური ქალბატონი სხედან. მთელი მსოფლიოს ტელეოპერატორები თავს მოვალედ თვლიდნენ, ეს კადრი რამდენჯერმე ეჩვენებინათ მაყურებლისთვის. ახალი სეზონიდან ყველაფერი შეიცვლება. ბეკენბაუერის ლოჟაში ზიბილე აღარ იჯდება. შეიძლება საერთოდაც აღარ მივიდეს სტადიონზე "ბაიერნის" მატჩების სანახავად. ფრაუ ბეკენბაუერის "პოსტი" ვაკანტურია. ვინ დაიკავებს ფრაუ ზიბილეს ადგილს "კაიზერ ფრანცის" გვერდით?

Tour de France

# ტორტის ნაჭერი იტალიაში მიდის

ლუჩანო ტაიოლი

ემი - კლუზი
სპეციალურად "24 საათისთვის"

მესამე წელია, დარიო ფრიგო პერსპექტიულთა შორის მოიხსენიება.

წლეულს, გაზაფხულზე, 28 წლის სპორტსმენისთვის არცთუ სახარბიელო ეპითეტი განზე მოსასროლად ჰქონდა გამზადებული. დიდხანს, ძალიან დიდხანს ლიდერობდა ჯირო დ'იტალიას. ლიდერობდა უკანასკნელ მთის ეტაპამდე. სწორედ ალპების უკანასკნელ მთაზე დაუცდა ფეხი. შუა აღმართზე ერთბაშად მოთავდა კაცი, სანთელივით დაიღვენთა და ლამის ჯიბეში შეგულებული ჯიროს ჩემპიონის ტიტულიც იმ ნაღვენთს გაატანა.

წესითა და რიგით, მთელი წლის ნაგროვები ენერგიის ჯიროში გაფლანგვა მნიშვნელოვანი არგუმენტი უნდა გამხდარიყო სპორტსმენისა და მისი მწვრთნელებისთვის ტურში მონაწილეობაზე უარის სათქმელად - "დიდი მარყუჟის" წლევანდელი ტრასა ხომ ჯიროსაზე გაცილებით რთული იყო.

ეს - წესითა და რიგით, მაგრამ იტალიელი ველომრბოლი საფრანგეთში, ეტყობა, არც ისე პატივმოყვარული მიზნებით ჩამოვიდა - ტურის ვეებერთელა ნამცხვრიდან იქნებ ერთი პატარა ნაჭერი მაინც დავითრიოო.



დარიო ფრიგო

REUTERS

მეჩვიდმეტე ეტაპი უკანასკნელი იყო ალპებში. ოთხი ერთიმეორეზე გადაბმული მთა და არც ისე გრძელი ტრასა, სულ რაღაც ას ორმოცი კილომეტრი.

მთები სატურნირო ცხრილში, რაღაც-რაღაცების შეცვლის თვალსაზრისით, ყველაზე კარგი საშუალებაა, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სურვილს შეძლებაც ამაგრებს.

ეს, უწინარეს ყოვლისა, ითქმის კოლუმბიელ სანტიაგო ბოტეროზე, რომელმაც სულ ბოლო მთაზე გულის ფანცქალის გარეშე მიატოვა თავისი უშუალო კონკურენტები და მეოთხე ადგილზე გამაგრდა, საიდანაც, როგორც ჩანს, ვეღარავინ მოაცვლევინებს ფეხს. არმსტრონგზე უკვე ვთქვი და ერთხელაც გავიმეორებ - რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ტრიუმფალურ თაღთან მის მეოთხედ კურთხევას შეეშალოს ხელი. ალბათ, არაფერი.

ამასობაში კი ფრიგო თავისას ცდილობდა. იტალიელ მარიო აერტსსა და ჯუზეპე გუერინისთან ერთად თავიდანვე მოსწყდა პელოტონს და ბოლომდე ასე იარა.

ამ სამიდან სპრინტერობის განხრით არც ერთს არ უსწავლია და ეს მათ მოქმედებას ბოლო მეტრებზე, განსაკუთრებით კი სიჩქარეს, აშკარად დაეტყო. ამ სამკაციანი სპურტის შემხედვარე ავსტრალიელი მაკ'ივენი და გერმანელი ზაბელი, ალბათ, სიცილით დაიხოცებოდნენ, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ და ფინიშიორების გასახარად, ისინი ამ დროს უსაშველოდ დაქსაქსული პელოტონის კუდში მოჩანჩალებდნენ.

ბოლოს მაინც ფრიგომ იმარჯვა და მისი ერთობ ხმამაღალი "ვიტორიაც!" იმის დასტური იყო, რომ დიდი ტორტის ერთი პატარა ნაჭერი იტალიაში გაემგზავრებოდა.

**ტექნიკური შედეგები**

XVII ეტაპი. ემი - კლუზი. 142 კმ.

1. დარიო ფრიგო ("ტაკონი", იტალია) - 4 სთ. 02 წთ. 27 წმ.
2. მარიო აერტსი ("ლოტო", ბელგია) – იგივე დრო
3. ჯუზეპე გუერინი ("ტელეკომი", გერმანია) - +2 წმ.

**საერთო ჩათვლა**

1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - 72 სთ. 50 წთ. 25 წმ.
2. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - +5 წთ. 06 წმ.
3. რაიმონდას რუმსასი ("ლამპრე", ლიტვა) - +7 წთ. 24 წმ.

**მთის მეფე**

1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) - 262 ქულა
2. მარიო აერტსი ("ლოტო", ბელგია) - 178
3. სანტიაგო ბოტერო ("კელმე", კოლუმბია) - 162

**გუნდური**

1. ონსე - 218 სთ. 55 წთ. 33 წმ.
2. US პოსტალი - +12 წთ. 16 წმ.
3. ბანესტო - +18 წთ. 55 წმ.

რაგბი

# ქართველები საფრანგეთში გამოიცდებიან

პაატა თოთაძე

რაც უფრო ცოტა დრო რჩება საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ნაკრები გუნდების შეხვედრამდე, ინტერესი ამ მატჩის მიმართ მით უფრო მატულობს. თქმა არ უნდა, ბორჯღალოსნებმა უთუოდ უნდა გაიმარჯვონ, მაგრამ მარტში ევროპის ერთა თასის მატჩის ბევრ მნახველს დღესაც ეშინია, ვაითუ, ვერც ამჯერად მოვახერხოთ სლავების დამარცხებაო. რას იზამ, იმ მატჩმა მართლაც ბევრს გაუცრუა იმედი, თუმცა, რეალურად, დღეს ჩვენ უფრო ძლიერი გუნდი გვყავს, ვიდრე რუსებს და ამიტომაც რაგბის ევროპელი სპეციალისტები ჩვენს შანსებს უფრო მეტად აფასებენ.

ვისთვის ავტორიტეტი და ვისთვის არა, მაგრამ მაინც საინტერესო "scrum. com" ქართველებს უცილობელ მოგებას უწინასწარმეტყველებს. რუსები მაგათი მძლეველები არ არიან, იმ შეხვედრის ფრედ დასრულება კი, რუსებზე მეტად, ქართველთა დამსახურებააო. თუმცა, არც ისეა საქმე, რუსები თბილისში წასაგებად ჩამოვიდნენ. ეჭვი არაა, მათ მარტში მიღწეული შედეგის გაუმჯობესება სურთ და საამისოდ არაფერს დაიშურებენ. აგვისტოში რუსთა ნაკრები სამკვირიან შეკრებას გეგმავს, თუმცა, სად - ჯერჯერობით უცნობია ან, უბრალოდ, არ ამხელენ. ისე კი, დაახლოებით ერთი თვის წინ სამხრეთ აფრიკაზე იყო საუბარი და, იმის გათვალისწინებით, რომ რუსების ერთ-ერთი მწვრთნელი სამხრეთაფრიკელია, გამორიცხული არაფერია. "ჩვენი უმთავრესი მიზანი მსოფლიო თასზე მოხვედრაა. რუსეთის ნაკრების ბოლოდროინდელი თამაშიდან გამომდინარე, ეს სულაც არ არის აუხდენელი რამ. შარშანდელთან შედარებით ჩვენმა გუნდმა საგრძნობლად გააუმჯობესა თამაში, რაც წლევანდელმა ერთა თასმაც დაადასტურა", - რუსთა შემართებას, კრასნოიარსკის "ენისეისა" და "კრასნი იარის" მატჩის შემდგომ, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალექსანდრ პერვუხინის მიერ თქმული ეს სიტყვებიც ადსტურებს.

ქართველებთან მატჩამდე ორი კვირით ადრე სლავები კრასნოიარსკში ირლანდიელებს უმასპინძლებენ. სიმართლე რომ ითქვას, ბევრისთვის ეს მატჩი დიდ ინტერესს არც იწვევს, რადგან დარწმუნებულნი არიან ირლანდიელთა გამარჯვებაში. ეს, ალბათ, ასეც მოხდება, მაგრამ ქულათა სხვაობა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გახდეს. ეს - იმ შემთხვევაში, თუ ბორჯღალოსნები ფრედ დაამთავრებენ რუსებთან მატჩს. ამ მატჩისთვის ქართველები ამჟამად თბილისში ემზადებიან, 5 აგვისტოს კი საფრანგეთში გაემგზავრებიან და იქ განაგრძობენ წვრთნას. საფრანგეთში ქართველები რამდენიმე ფრანგულ კლუბთან გამართავენ მატჩებს, რაც, ნაკრების ხელმძღვანელთა თქმით, ბორჯღალოსნებისთვის ძალიან სასარგებლო იქნება. თავდაპირველად ჩვენების მეტოქეები იქნებიან "ლა როშელი", "ორიაკი" და "პერიგო", შემდეგ კი "ბეზიესთან", "კოლომიესთან" და "მონტობანთან" ერთად ვაკერენის სახელობის ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

რუსეთ-ირლანდიის მატჩი ვახსენეთ და უთუოდ სათქმელია, რომ კალენდარი ამ შემთხვევაში რუსების მხარესაა. ქართველებთან მატჩამდე სლავებს ორკვირიანი შუალედი აქვთ, მაშინ, როცა ბორჯღალოსნებს რუსების მასპინძლობა ირლანდიელებთან მატჩის შემდეგ ერთ კვირაში უწევთ. ასევე ერთკვირიანი შუალედი აქვთ ირლანდიელებს რუსებთან მატჩიდან ქართველებთან შეხვედრამდე. სწორედ ამიტომაცაა შეწუხებული ირლანდიელთა თავკაცობა, - კრასნოიარსკამდე სამგზავროდ გუნდს დაახლოებით 19 საათი სჭირდება. იქ ნათამაშებმა, შემდეგ კი მგზავრობით დაღლილმა მორაგბეებმა, შესაძლოა, ქართველებთან მატჩამდე ვერ მოახერხონ ძალების აღდგენა და რაიმე ხიფათს არ ვეწიოთ. თუმცა, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, ეს, ამ ეტაპზე, შეუძლებელი თუ არა, ნაკლებად სავარაუდოა. ჯერჯერობით არც ის ირლანდიელები არიან გარკვეულნი, რომელთაც 21 სექტემბერს კრასნოიარსკში მოუწევთ თამაში. ამჟამად გუნდი შეკრებაზეა პოლონეთში, სადაც მწვრთნელი რამდენიმე ახალბედას ცდის. ამის შემდეგ ირლანდიელებს რუმინელებთან უწევთ მატჩის გამართვა და სარუსეთო შემადგენლობაც სწორედ ამ მატჩის შემდეგ გაირკვევა. ერთი კი დანამდვილებით ცნობილია: შემადგენლობა რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ მატჩებში რამდენადმე შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ იქაური გაზეთები. ამის მიზეზი ისევ და ისევ დაღლილობაა - ორივე გუნდის დასამარცხებლად რამდენიმე მობურთალის "შენახვაა" საჭიროო. რუსეთის გზას კელტები 17 სექტემბერს დაადგებიან. ორი დღის შემდეგ კრასნოიარსკში საგანგებოდ ამ საქმისთვის მივლინებული მარტინ მერფის მიერ შერჩეულ სასტუმროში დაბინავდებიან და მატჩისთვის მოემზადებიან. სამშობლოში კი მატჩის მეორე დღეს გაემგზავრებიან და 23 სექტემბერს ჩააღწევენ დუბლინში, სადაც ხუთ დღეში ქართველ ბორჯღალოსნებთან მოუწევთ პაექრობა.

ჩოგბურთი

# ტურნირების ქრონიკა

**სტენფორდი. აშშ. ქალები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 585000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი კიმ კლიისტერსი (ბელგია). მეორე წრე.**

ელენა იანკოვიჩი (იუგოსლავია) – დაია ბედანოვა (ჩეხეთი, 7) 6:4, 6:2

ლაიზა რეიმონდი (აშშ) – მარისა ირვინი (აშშ) 6:1, 6:4

ანა კურნიკოვა (რუსეთი) – ვინ პრაკუსია (ინდონეზია) 7:5, 6:4

ვინუს უილიამსი (აშშ, 1) – მეგან შონესი (აშშ) 6:4, 6:1

**ლოს-ანჯელესი. აშშ. ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 400000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ანდრე აგასი (აშშ). მეორე წრე.**

ნიკოლას კიფერი (გერმანია) – ალექსეი ბოგომოლოვი (აშშ) 6:3, 6:3

იან-მაიკლ გემბილი (აშშ) – ნოამ ოკუნი (ისრაელი) 7:6 (7:2), 6:2

გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 5) – მარტინ ლი (დიდი ბრიტანეთი) 7:5, 7:6 (7:5)

ანდრე აგასი (აშშ, 2) – რობი ჯინეფრი (აშშ) 6:3, 6:1

**სოპოტი. პოლონეთი. ვაჟები. გრუნტი. საპრიზო ფონდი 381000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ტომი რობრედო (ესპანეთი). მეორე წრე.**

ატილა სავოლტი (უნგრეთი) – ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 1) 7:6, 6:4

მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 7) – პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) 2:6, 6:0, 6:4

ბოსე აკასუსო (არგენტინა) – დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 4) 6:2, 6:4

იან ვაცეკი (ჩეხეთი) – ჟელკო კრაიანი (ხორვატია) 1:6, 6:4, 6:3

**სოპოტი, პოლონეთი. ქალები. გრუნტი. საპრიზო ფონდი 300000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი). მეორე წრე.**

ტატიანა გარბინი (იტალია) – არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 3) 6:1, 6:1

ჰენრიეტა ნადიოვა (სლოვაკეთი) -- ბარბარა რიტნერი (გერმანია) 7:5, 7:5

ვერა ზვონარევა (რუსეთი) – ვირხინია რუანო-პასკალი (ესპანეთი) 2:6, 6:4, 7:5

დინარა საფინა (რუსეთი) – მაგი სერნა (ესპანეთი) 6:1, 5:7, 6:3

**კიცბიუელი. ავსტრია, ვაჟები. გრუნტი. საპრიზო ფონდი 880000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი). მესამე წრე.**

ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 1) – მიხაელ კოლმანი (გერმანია) 6:1, 6:1

გასტონ გაუდიო (არგენტინა, 6) – შტეფან კუბეკი (ავსტრია) 3:6, 6:1, 6:0

ანდრეი პაველი (რუმინეთი, 4) – მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:3, 6:0

ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 2) – მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) 7:5, 6:2

ალექს კორეჩა (ესპანეთი, 8) – ჟან-რენე ლინარი (საფრანგეთი) 6:3, 6:2

ნიკოლას მასუ (ჩილე) – ანდრე სა (ბრაზილია) 6:4, 6:3

მარიანო ზაბალეტა (არგენტინა, 13) – ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი, 5) 6:4, 6:3

ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 10) – ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:0, 6:1

პრესკონფერენცია

# „წყალწაღებულებს„ მშველელად ოლიმპიური ფონდი მოევლინა

ბიბა ბურასაშვილი

რატომღაც, დღეს საქართველოში ახალგაზრდულ თუ ჭაბუკთა ნაკრებებს ალმაცერად უყურებენ. ყოველ შემთხვევაში, 1983 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამგზავრება-არგამგზავრება საყოველთაო განსჯის საგანი გახდა. გუშინდლამდე კონტინენტის პირველობაზე ჭაბუკ წყალბურთელთა მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მეტიც, საწყლოსნო სახეობათა ფედერაციაში უკვე საერთაშორისო ფედერაციის სანქციებზე ფიქრობდნენ, რადგან ევროპის ჩემპიონატზე გამოუსვლელობა 20 ათასი შვეიცარიული ფრანკის ჯარიმას ითვალისწინებს. გარდა ამისა, საქართველოს საწყლოსნო სახეობებს საერთაშორისო სარბიელზე ორწლიანი დისკვალიფიკაცია გარანტირებული ექნებოდა. ჩვენდა ბედად, მხსნელი გამოჩნდა. თუ ვინ, ამის შესახებ გუშინ "ლაგუნა ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გვამცნეს.

"გუშინდლამდე ფედერაცია და ვეტერანი წყალბურთელები საგონებელში ვიყავით, - გვეუბნება საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი, - იტალიაში ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების ყველა მცდელობა უშედეგო გახლდათ. თუმცა, ყველაფერი მოგვარდა. მხსნელად მოგვევლინა ახლად ამოქმედებული "ოლიმპიური ფონდი" და მისი პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი, რომელმაც ჩვენი გულისტკივილი გაიზიარა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ყველაფერზე ხელი გვქონდა ჩაქნეული. მით უმეტეს, სასტუმროში დასაბინავებელი თანხა წინასწარ უნდა გადაგვეხადა. ჩვენ კი ყველანაირი ვადები დავარღვიეთ."

საქმის ასე შემოტრიალებას არავინ ელოდა. მაშინ, როდესაც იმაზეც თანახმა ვიყავით, რომ ნახევარი გუნდით გვეასპარეზა, სრული შემადგენლობით მივდივართ. 18-კაციანი შემადგენლობიდან 15 მოთამაშეა, ორი - მწვრთნელი და ერთიც - მსაჯი. გუნდი 2 აგვისტოს გაემგზავრება ჩემპიონატის მასპინძელ ბარიში. 3-ში კი აუზშიც გადაეშვება, ჩვენ პირველ მეტოქესთან - რუსეთთან ერთად. ისე კი, საკმაოდ ძლიერ ქვეჯგუფში მოვხვდით. ოთხგუნდიან ქვეჯგუფში ჩვენს ჭაბუკებს, რუსების გარდა, ბელგიელ და უნგრელ თანატოლებთან მოუწევთ პაექრობა. ეს უკანასკნელი კი სულაც ფავორიტია, ისევე როგორც ჩვენი პირველი მეტოქე.

შესაძლოა, ვინმემ დააკნინოს კიდეც კონტინენტის პირველობა, მაგრამ წყალბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ევროპული წყალბურთი მოწინავეთა რიგებში დგას.

თავად განსაჯეთ, ამჟამად მიმდინარე მსოფლიო ლიგაში, სადაც მხოლოდ ელიტარულ გუნდებს აქვთ ასპარეზობის უფლება, რვიდან ექვსი ნაკრები ბებერი კონტინენტიდანაა. ასე რომ, იოლი გასეირნება არ გველის. თუმცა, მწვრთნელი სოსო მაისურაძე თავის შეგირდებთან ერთად ხუთეულში მოხვედრას მაინც ეცდება. ფედერაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ახლა ილუზიების დრო არ არის. ქართველი ჭაბუკების ხუთეულში მოხვედრაც ჩემპიონობის ტოლფასი იქნება ჩვენთვის.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაჭირვებაზეც ბევრი ითქვა, მაგრამ უფრო ხშირად მადლობის სიტყვები ისმოდა, ბადრი პატარკაციშვილის მისამართით. მადლობას იხდიდნენ როგორც ფედერაციის ხელმძღვანელები, ისე მწვრთნელი და ვეტერანი სპორტსმენები. პრესკონფერენციის დასასრულს კი რიტორიკული შეკითხვაც გაისმა: როდემდე უნდა ვიყოთ ფორტუნას იმედზე?

კრივი

# კონსტანტინ ცზიუ იანვარში იხუბებს

სწრაფმა, მოქნილმა და ამავე დროს უაღრესად ტექნიკურმა მოკრივემ, ცზიუმ, სპეციალისტთა ყურადღება იმთავითვე მიიპყრო. ახალგაზრდა ცზიუ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვდა. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. აკი ახდა კიდეც წინასწარმეტყველება. კონსტანტინ ცზიუ პროფესიონალი მოკრივეა და თავის წონაში დღეს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახლავთ.

ახლახან ცნობილი გახდა ცზიუს მომდევნო მეტოქე. ჯესი ჯეიმს ლეიჯამ ცზიუსთან შეხვედრაზე მოაწერა კონტრაქტს ხელი და გაგზავნა ავსტრალიაში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონი ცხოვრობს. ლეიჯა 35 წლისაა. თავის დროზე კრივის მსოფლიო საბჭოს (wbc) მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამჟამად wbc-ს რეიტინგში მე-4 ადგილზე, ხოლო კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, მე-10 საფეხურზე იმყოფება. ბრძოლა იანვარში გაიმართება. ამჟამად ბრძოლის ადგილის გასარკვევად მოლაპარაკება მიმდინარეობს.



# როლი სექსის გარეშე

ფრანგ მსახიობს, ჟერარ დეპარდიეს მრავალნაირი როლი უთამაშია. ის ყოფილა სიყვარულის ტრაგიკული ისტორიის მონაწილეც და ბავშვებისათვის განკუთვნილი კომედიის გმირიც. როლების ამ მდიდარი მემკვიდრეობის ფონზე დეპარდიე დღეს ხმამაღლა აცხადებს, რომ ყველაზე მეტად იმ გმირების თამაში უყვარს, რომელთაც ფილმში სექსუალური სცენები არ აქვთ. ეს საინტერესო განცხადება მსახიობმა მადრიდში ფრანგული კომედიის "კლეოპატრას მისიის" პოპულარიზაციისთვის განკუთვნილ ღონისძიებაზე გააკეთა. ამ ბოლო ფილმში დეპარდიეს გმირს რომანებისგან თავი შორს უჭირავს. "ეს ფანტასტიკურია. კომედიებში სექსი არასდროს არის, მაშინაც კი, როცა სიყვარულის ისტორია ვითარდება", - აღფრთოვანებას ვერ მალავს 53 წლის მსახიობი, რომელსაც 1965 წლის შემდეგ 120 როლი აქვს შექმნილი, მათ შორის, ბევრი სექსუალურიც.

დეპარდიე ეჭვობს, რომ ეს ფრანგული კომედია ამერიკაშიც ჰიტად იქცევა. "ამერიკელებს გმირის ისეთივე გაგება არ აქვთ, როგორც ჩვენ", - ვარაუდობს ის და იქვე აკონკრეტებს: "მე არ მიყვარს დადებითი გმირები. ასეთების ცქერა მაშინვე მოწყენილობით მავსებს".



"კლეოპატრა" და ჟერარ დეპარდიე REUTERS

# ბრედ პიტი დროში მოგზაურობს

კომპანიამ Warner Bros. Pictures-მა, როგორც იქნა, მწვანე შუქი აუნთო რეჟისორ დარენ არონოფსკის ფანტასტიკურ პროექტს "შადრევანი", რომელშიც მთავარ როლებს შეასრულებენ ბრედ პიტი, კეიტ ბლანშეტი და ელენ ბარსტინი. ფილმის გადაღებები ოქტომბერში დაიწყება და მისი ბიუჯეტი დაახლოებით 70 მილიონი დოლარით განისაზღვრება. ეს თანხა არონოფსკის ამ ახალი წამოწყებისთვის, პრინციპში, საჭიროა კიდეც – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გადაღებები ჰოლივუდიდან შორს, ავსტრალიაში დაიწყება, კერძოდ კი, ქუინსლენდსა და სიდნეიში.

"შადრევანში" ბრედ პიტის გმირი დროში მოგზაურობს, ის ხან 500 წლის წინანდელ წარსულს ეწვევა, ხანაც მომავალს. მაყურებელი პიტის ამ ნამუშევარს ერთი წლის შემდეგ იხილავს. "შადრევანთან" ერთად, 2003 წელს ბრედ პიტის კიდევ ერთი ნამუშევარი გამოვა. ფილმში "სინდბადი: შვიდი ზღვის ლეგენდა" პიტი სინდბადის როლს შეასრულებს. მას პარტნიორობას კეტრინ ზეტა ჯონსი, მიშელ პფაიფერი და ჯოზეფ ფაინსი გაუწევენ. ფილმს რეჟისორი ტიმ ჯონსონი იღებს.

ბრედ პიტის ფანებს ჯერ კიდევ არ განელებიათ "ოუშენის 11 მეგობრისგან" გამოყოლილი განცდები. სწორედ ასეთებისთვის ჯორჯ კლუნიმ გადაწყვიტა, ბედი რეჟისურაშიც სცადოს. 2002 წლის 27 დეკემბერს გამოვა მისი სარეჟისორო დებიუტის შედეგი, ფილმი Confessions of a Dangerous Mind, რომელშიც "ოუშენის" თითქმის სრული შემადგენლობა - ჯულია რობერტსი, ჯორჯ კლუნი, ბრედ პიტი და მეტ დეიმონი მიიღებენ მონაწილეობას. მანამდე კი, 2 აგვისტოს, ლოს ანჯელესში შედგება პრემიერა ფილმისა Full Frontal. ის კიდევ ერთხელ გააერთიანებს ჯულია რობერტსსა და ბრედ პიტს.



ბრედ პიტი მეუღლესთან ჯენიფერ ენისტონთან ერთად REUTERS

## სკანდინავიური კროსვორდი



N-52-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი

**თარაზულად:** შკოდა; კოლუმბი; იოდი; არაქსი; სანდალი; შაგალი; ორბი; ჩარგალი; ანგოლა; ბიბილო; რაუტი; ზარი; გაგარი; ეშვი; ხელი; ბურე; პური; ეტაპი; ლიტავრა; ფასადი; ადლი; კანიჯა; ქვა; ანა; ფარსი; კნორი; ემბაზი; მაჯამა; ფანჯარა; საკე; ნული; ანცი; პანდა; დიბა; იარდი; რაფსოდია; ციდა; ნანტი; ანალები; ბრანდო.

**შვეულად:** ლიმფა; ნორმა; კაიზერი; ამფორა; არბალეტი; ფხა; გირი; ქსანი; შალი; სვავი; დონე; ბორჩალო; ბარდა; ფლანგი; კარაბინი; კარე; იონჯა; ლანგეტი; აბისინია; კარმენი; რუპია; ცაცია; ნიორი; ტირი; კარდალა; ფინეთი; აჯამი; პიანო; დიკლო; ტერასა; ბასა; ირტიში; ჭა; უდე; ფილმი; ფინტი; შირეა.

# TV პროგრამა 27 ივლისი

## რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
10.00 პოლტერგეისტი
11.00 მულტსერიალი
12.30 სერიალი "ნიკიტა"
13.30 მხ.ფილმი
15.20 სიმფსონები
16.00 მხ. ფილმი
18.00, 00.00 კურიერი
18.20 რუსული ფილმი
20.00 ჯეოპაპი
21.00 კურიერი P.S.
22.00 ფსიქო. მხ.ფ. "სიყვარულის განწყობილებაზე"
00.15 მხ.ფ. "მეცამეტე მეომარი". მთ.როლში ანტონიო ბანდერასი
02.00 ღამის ჯაზი

## პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
08.15 მულტსერიალი "მამილო კასტორის ამბები"
08.40 "მხიარული კარუსელი"
09.05 "მსოფლიოს ველური ბუნება"
10.00 "დილის პაემანი"
11.05 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა
11.25 ცეკვავს ანსამბლი "სხივი"
12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
12.25 "კვალი"
12.55 "საწინდარი"
13.25 სატელევიზიო სპექტაკლი "ღმერთო, რისი გულისთვის?"
14.20 რეალური სამყარო
14.35 50_50 15.15 "გალის ჯუჯების ისტორია"
16.00 "ცოცხალი სურათები"
16.25 "მეხუთე განზომილება"
16.50 "ენა დედაა ერისა"
17.10 "მაღალი მოდის სამყარო"
18.05 "საქართველო და გარესამყარო"
18.30 მღერის "ალიონი"
19.00 "ვესტნიკი"
19.40 ტელეჟღაპარი
20.30 კონცერტი (რ. რცხილაძე და ვ. სიუტკინი)
22.05 "ქიმერიონი"
22.45 "მეალომანია"
23.35 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 მხ. ფილმი "ცოტა მზე ცივ წყალში"

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ჯადოსნური ნივთები"
21.30 მიზანი
22.10 მხ. ფილმი "გალია ჩიტუნებისთვის"

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ულის ოქრო"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ. ფილმი "მერვე დღე"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
19.30 ჩანახატი
20.00 მხ.ფ. "შეშლილი სესილ ბი"
22.30 მხ. ფილმი "კლუბი კოტონი"
00.50 ღამის ფილმი

## პირველი სტერეო

07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
10.00 მუსიკალური-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
13.00 "ცენტრი" განმეორებით
14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.45 "მო" განმეორებით
15.40 "სწ.მედია" მხ.ფ. "უსუფთაო ჯოს მოგზაურობა"
18.00 "სველი ხაზი" განმეორებით
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძირობანა
22.00 "პაპარაცები" განმეორებით
23.00 პრეს-პრესი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ვისაუბროთ სექსზე", "კლუბი", "სიჩქარის ზღვარი"
02.00 "ღამურა" მხ.ფ. "ბლეიდი 2". მთ. როლებში უესლი სნაიპსი, კრის კრისტოფერსონი
03.30 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ჩემი ბიძაშვილი ვინი"
13.50 მხ.ფ. "წამომწყებნი"
15.40 მხ. ფილმი "მულენ რუჟი"
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
19.15 მულტფილმი
21.00 მხ.ფ. "გასეირნება ამერიკაში"
22.50 მხ.ფ. "პიკის საათი 2"
00.30 მხ.ფ. "ცდუნება"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 ლიმონი და ლიმონათი
09.35 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-14 სერია
10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
11.20 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-14 სერია
11.45 მხ. ფილმი "კაპიტანი" მთ. როლებში ჟან მარე, ბურვილი, ელზა მარტინელი
13.25, 17.00 დისკავერი
14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
14.45 მულტფილმი "აბა დამაცადე"
16.20 მთავარი თემა

17.45 დოკ. ფილმი "მე ცნობისმოყვარე ვარ"
18.40, 20.15, 00.20 მუსიკა
18.50 მხ. ფილმი "სენიორ რობინზონი". მთ. როლში პაოლო ვილაჯო
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.10 მხ. ფილმი "გადაბრუნებული ტვინი".
00.40 მხ.ფ. "უკანასკნელი ციხე-კოშკი" მთ. როლებში რობერტ რედფორდი, დულროი ლინდო.

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მულტსერიალი
09.50 "მზე აქ შემიჩერებია"
10.00 ფანტასტიკური ფილმი "ჩემი ძია უცხოპლანეტელია"
11.30 "ექსკლუზივი"
12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული მხატვრული ფილმი "ლომა"
14.30 ისტორიული ფილმი "ჟანა დ' არკი" 1 სერია
16.15 მულტფილმი "ნილაბი"
17.00 კომედია "იტალიელების საოცარი თავგადასავალი რუსეთში"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "პრესდაიჯესტი"
19.40 "ყველანი პატარები ვართ"
19.50 მელოდრამა "ემმა"
22.50 "პერსონა"
23.10 Слово
01.00 მელოდრამა "ონასისი" 1 სერია
03.30 თრილერი "იდუმალების საფარქვეშ"

## VII არხი

18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.40 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.25 "გედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით.
19.30 რაგბი. 3 ერი. ავსტრალია - აფრიკა.
21.15 "ღამის კაპრიზი"
22.20 "სახლიდან გაუსვლელად"
22.40 "საყვარელი ფილმი" - "რობინ ჰუდი - ქურდების მეფე" ა.შ.შ. 1998 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - კევინ რეინოლდსი. როლებში: კევინ კოსტნერი, შონ კონერი.
01.05 პრესის მიმოხილვა
01.10 "სახლიდან გაუსვლელად"
01.30 მუსიკალური ტაიმაუტი
02.10 პრესის მიმოხილვა.

## ОРТ

08.30 "Сверхестественное: невиданные силы животных"
09.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости.
09.10 "Играй, гармонь любимая!"
09.50 Слово пастыря.
10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.10 Смехопанорама Евгения Петросяна
11.45 Смак
12.05 "МЕЖ ВЫСОКИХ ХЛЕБОВ"
13.40 "Ералаш"
14.30 Чемпионат Европы по водным видам спорта. Финал
14.30 Дисней-клуб
15.10 В мире животных
15.50 "Серебряный шар"
16.35 "БЕГЛЕЦ"
17.25 "Русский экстрим"
17.55 Песня года. Лето
19.55 "Евгений петросян приглашает..."
21.00 "Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.30 х.ф. "ЗАТЕРЯННЫЙ В КОСМОСЕ"
00.50 х.ф. "ВЕЩЕСТВЕННОЕ ДОКАЗАТЕЛЬСТВО"
02.45 Реальная музыка

## РТР

07.25 х.ф. "ДВА КАПИТАНА"
08.55 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
09.45 Здоровье и жизнь
10.15 Военная программа.
10.30 Золотой ключ.
10.50 Доброе утро, страна!
11.25 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО"
11.50 Телеигра "Сто к одному"
12.45 "В ПАРКЕ БОСИКОМ"
14.25 "КОМЕДИЙНЫЙ КОКТЕЙЛЬ"
15.00, 21.00 Вести
15.20 "ЕДИНСТВЕННАЯ"
17.00 Концерт В. Маркина
19.00 Моя семья
19.55 Аншлаг
21.25 х.ф. "ВОЗДУШНЫЙ ОХОТНИК"
23.20 "ЧАСТНЫЙ ДЕТЕКТИВ ИЛИ ОПЕРАЦИЯ "КООПЕРАЦИЯ"
01.20 х.ф. "ОТ ЗАКАТА ДО РАССВЕТА"
03.00 Автогонки. Формула 1.

## НТВ

08.30 Ох уж эти дети
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.15 фильм "НЕ ГОРЮЙ!".
11.15 Погода на завтра
11.20 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
12.20 "Квартирный вопрос"
13.20 фильм "СТАРИКИ-РАЗБОЙНИКИ"
15.15 Вкусные истории
15.30 Путешествия натуралиста.
16.05 Своя игра.
17.30 "Продолжение следует..."
18.25 Чистосердечное признание
18.45 "Женский взгляд"
19.30 Вы будете смеяться
20.35 фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ".
21.45 фильм "ЛЕОН"
00.00 Бокс
01.15 фильм "ОДИННАДЦАТЬ ДНЕЙ, ОДИННАДЦАТЬ НОЧЕЙ"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.




ბესო გულაშვილის ფოტო

ქალაქის ამ მთლიან ლოდში, ამ ცოცხალ სხეულში სამი პალო ისეა ჩარჭობილი, როგორც ძველ მონათმფლობელურ ქვის სატეხში იცოდნენ. ბზარები ღამღამობით მატულობს. მალე, სულ მალე, ქალაქი სამ ნაწილად დაიშლება, გასკდება და გაიოლდება ამ ნაწილების სწრაფად დანაწევრება პატარ-პატარა სოლებად.

ანდრეი ბიტოვი

შემდეგი ნომრიდან ვიწყებთ ახალ რუბრიკას “მოგზაურობა თბილისში”. არაერთ ცნობილ ხელოვანს თუ მეცნიერს გასჩენია სურვილი, ამ ქალაქით აღძრული შთაბეჭდილებები გადაეტანა ფურცელზე. ვფიქრობთ, მათი დაკვირვებები მრავალმხრივ საგულისხმოა ჩვენი საზოგადოებისთვის. ამ რუბრიკით სწორედ მათ მოსაზრებებს შემოგთავაზებთ. მომავალ ნომერში დავბეჭდავთ ფრაგმენტს ანდრეი ბიტოვის წიგნიდან “ქართული ალბომი”.

ჩვენთან, თბილისში

# მოსახლეობა მერიის წინააღმდეგ

**"აუცილებელი საჭიროებაა, რომ ძველი ტფილისის ნაშთებს ახლავე სათანადო ყურადღება მიექცეს. საჭიროა ეს ნაშთები ახლავე შესწავლილი იქნეს, მით უმეტეს, რომ ზოგი შენობა სიძველისაგან ძლივსღა სულს ღაფავს, და შორს არ არის ის დრო, როდესაც რომელიმე ვერაგული ხელი მას დაანგრევს, რომ მის ნანგრევებზე ააგოს ახლანდელი სარგებლიანი შენობა. თუკი ჩვენ ძველი ტფილისის სიძველეების შენარჩუნებას ახლავე ხელი არ მოვკიდეთ, მერმე უკვე გვიან იქნება."**

*დავით კაკაბაძე*

*საქართველოს პრეზიდენტი ხშირად კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ თბილისში მიმდინარეობს აღმშენებლობითი პროცესი. ამ "აღმშენებლობითი პროცესის" კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუშია თარხნიშვილის I ჩიხში მიმდინარე მშენებლობები. მცხოვრებლებმა სამართლის ძებნაში ამაოდ მიმართეს ყველა შესაბამის ინსტანციას, შემდეგ კი ჩვენთან მოვიდნენ. ამ დღეებში თარხნიშვილის ჩიხის ბინადართა საპროტესტო აქცია გაიმართა. გთავაზობთ ამ საკითხთან დაკავშირებულ რამდენიმე დოკუმენტს, სადაც ნათლად ჩანს ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთარი მოსახლეობის მიმართ. აქვე ვაქვეყნებთ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მოსაზრებებს და რედაქციის მინაწერს.*

**ბატონ დავით მაღრაძეს**
**თბილისის თარხნიშვილის**
**I ჩიხის N3-ში მცხოვრებთა**

## განცხადება

გაცნობებთ, რომ ჩვენი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 2000 წლიდან ყოველგვარი სანიტარული და უსაფრთხოების ნორმების დარღვევით დაიწყო, როგორც ამჟამად გაირკვა, 12-სართულიანი სახლის მშენებლობა (აღნიშნული სახლი, რომლის მშენებლობა 2001 წლის მაისში ოფიციალურად უკანონოდ იქნა მიჩნეული, პროექტის საბოლოო, 2001 წლის ივლისში დამტკიცებულ ვარიანტში 10 სართულიანადაა წარმოდგენილი, ვინაიდან პირველი (ქვედა) ორი სართული ჩაითვალა ტექნიკურად (არასაცხოვრებლად). ამ პროცესის შედეგად დაზიანდა ჩვენი სახლის საძირკველი, დაჯდა ერთ-ერთი საყრდენი კედელი, ჩამოირღვა მისი კუთხე, ხოლო მთელ სახლში გაჩნდა გამჭოლი ბზარები. ჩვენი არაერთი მიმართვა ამ საკითხზე მერიაში, გამგეობაში და სხვა ინსტანციებში დარჩა უყურადღებოდ, ხოლო ზოგი სრულიად უპასუხოდ.

2002 წლის ივნისიდან ჩვენი სახლის პირდაპირ, 6 მეტრის დაშორებით დაიწყო ახალი, წინასწარი ინფორმაციით, 9-სართულიანი სახლის მშენებლობა. უკვე დამტკიცებულია მახლობლად მეორე ანალოგიური კორპუსის მშენებლობის გეგმა (სართულების ზემოაღნიშნული მოჩვენებითი სიმცირე, სავარაუდოდ, აქაც განმეორდება). პროცესი ამჟამადაც ყოველგვარი სანიტარული და უსაფრთხოების ნორმების დარღვევით მიმდინარეობს. უგულებელყოფილია ჩვენი სახლის უსაფრთხოება, ბუნებრივი ვენტილაცია და ბუნებრივი განათება. ამასთან, ჩიხის სივიწროვე და მანქანათა მოსალოდნელი დიდი რაოდენობა საშინელ პირობებს უქმნის არა მარტო ჩვენი სახლის მობინადრეებს, არამედ ჩიხის სხვა მაცხოვრებლებსაც. ამის დასტურია ახალ მშენებლობაზე სამუშაოდ მოყვანილი სატვირთო ავტომანქანის მიერ ჩვენი სახლის ბორდიურისა და ჩიხში მდებარე სასტუმროს კიბის დაზიანება.

2002 წლის 24 ივნისს ჩვენი ეზოს მაცხოვრებლებს, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის ქალბატონ მზია ერისთავის თაოსნობით, შეხვედრა გვქონდა თბილისის მერთან ბატონ ვ. ზოდელავასთან. გავაცანით არსებული მდგომარეობა, მივიღეთ მისგან დაპირება ყოველივეს გამოძიებისა და პირადი ვიზიტისა, მაგრამ როგორც მერიაშივე გვითხრეს, ბატონი მერი თავად ყოფილა დაინტერესებული აღნიშნული მშენებლობის მსვლელობით და ჩვენი ხმა დარჩა "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". მერიაში ჩვენ მიერ იმ დღესვე დატოვებულ განცხადებაზე მიღებული პასუხის თანახმად, ახალი მშენებლობის პროექტი წესრიგშია და სრულ შესაბამისობაშია სათანადო ნორმატივებთან; მაგრამ თუ პროექტს დავხედავთ, არაპროფესიონალისთვისაც აშკარაა შეგნებულად გაყალბებული მონაცემები, რასაც ერთი თვალის შევლებით აღიქვამს ნებისმიერი, ვინც ჩვენი პრობლემებით დაინტერესდება და მოვა ჩვენს ჩიხში, განსხვავებით "დაინტერესებულ" ბატონ ვანო ზოდელავასაგან.

იმ მდგომარეობით, რომელშიც ამჟამად იმყოფება, ჩვენი სახლი ვერ გაუძლებს თავის მახლობლობაში დაწყებული მშენებლობის პროცესს. არსებობს მისი დანგრევის რეალური საშიშროება. გამომდინარე ზემოთქმულიდან, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ 14 ოჯახს უსახლკაროდ





მარიკა ამურველაშვილის ფოტოები

დარჩენა გვემუქრება. მოვითხოვთ, შეწყდეს ჩვენი უფლებების შელახვა, შეჩერდეს მშენებლობა, ჩატარდეს შესაბამისი სამუშაოები მიმდინარე პროცესების და დაშვებული დარღვევების გამოსაკვლევად და აღმოსაფხვრელად და ჩაუტარდეს ჩვენს სახლს სათანადო აღდგენითი-სარემონტო სამუშაოები.

გთხოვთ, დაგვეხმაროთ ჩვენი კანონიერი უფლებების დაცვაში.

**პატივისცემით, განმცხადებლები**
**(14 ხელმოწერა)**
**თარიღი: 15.07.2000.**
**დანართი 9**

წინამდებარე განცხადებას ვუერთდებით, თარხნიშვილის I ჩიხის მცხოვრებნი: (კიდევ 14 ხელმოწერა)

▪ ▪ ▪

**ქ. თბილისის**
**მთაწმინდა-კრწანისის**
**გამგეობას**

ასლი: ქ. თბილისის მთავრობას
ასლი: თარხნიშვილის ჩიხი №3-ში
მცხ. მოქ. მ. ერისთავს,
თ. ქავთარაძეს,
ც. თუხარელს და სხვებს

განვიხილეთ ქ. თბილისის მთავრობიდან გადმოგზავნილი თარხნიშვილის ჩიხი №3-ში მცხ. მოქალაქეების კოლექტიური განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ თარხნიშვილის ქ. №9-ში დაწყებული მშენებლობის დროს წარმოქმნილი ვიბრაციის ზემოქმედების გამო დაიბზარა მათი საცხ. სახლი და ითხოვენ სასწრაფო ზომების მიღებას.

მთავრობის დავალების ერთობლივად შესრულების მიზნით, როგორც პირველმა ადრესატმა, გთხოვთ შეგვატყობინოთ კომისიის მუშაობის დრო და ადგილი, რომელშიც ჩვენი წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.

**ამასთან გაცნობებთ, რომ ზემოთ აღნიშნული მშენებლობა უნებართვოა და მისი შეჩერება განმეორებით მოვითხოვეთ 14.05.2001 წლის 19 ტელეფონოგრამით, მშენებლობა მიმდინარეობს.**

**ქალაქ თბილისის მერიის**
**არქიტექტურულ-სამშენებლო**
**კონტროლის ინსპექციის უფროსი**
**ი. ვაშაკიძე**
**მოამზ. დ. ბერუაშვილი**

▪ ▪ ▪

**თარხნიშვილის ჩიხი N3-ში**
**მცხოვრებ მოქალაქეებს:**
**მ. ერისთავს, თ. ქავთარაძეს,**
**ც. თუხარელს და სხვას**

ასლი: ქ. თბილისის
არქმშენინსპექციის უფროსს
ბატონ სოსო ვაშაკიძეს

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში შემოსული თარხნიშვილის ჩიხი №3-ში მცხოვრებთა 04.05.01 წ. №49/2 კოლექტიური განცხადების საფუძველზე მთავარმა არქმშენინსპექციამ შეამოწმა განცხადებაში მოყვანილი საკითხები.

ქ. თბილისში თარხნიშვილის ქუჩა №9-ში დაწყებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები. საც. სახლის დამკვეთია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "თარხნიშვილის-9". დამპროექტებელი ორგანიზაცია შპს "არკოდი". პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 12.01.01 წ. №8 ბრძანებით. პროექტი წარდგენილია მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველოში ექსპერტიზის ჩასატარებლად. ქ. თბილისის არქმშენინსპექციას მშენებლობის დაწყების ნებართვა არ აქვს გაცემული. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევისათვის ქ. თბილისის არქმშენინსპექციას შედგენილი აქვს ოქმი; აგრეთვე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებლობის და მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს სახელზე ქ. თბილისის არქმშენინსპექციას გაგზავნილი აქვს 14.05.01 წ. ტელეფონოგრამა №19 და 15.15.01 წ. წერილი №7/242, მშენებლობის შეჩერების შესახებ.

რაც შეეხება თარხნიშვილის ჩიხი №3-ში მდებარე სამსართულიანი სახლის კუთხეში გაჩენილ ბზართან დაკავშირებულ სადავო საკითხებს, უნდა მიმართოთ სასამართლოს.

ქ. თბილისის არქმშენინსპექციამ ზემოთ აღნიშნული ობიექტის დამკვეთის მიმართ გაატაროს კანონით გათვალისწინებული ზომები და შედეგები გვაცნობოს ორი კვირის ვადაში.

**მთ. არქმშენინსპექციის უფროსი**
**ზ. კაპანაძე**

▪ ▪ ▪

**მოქ. მ. ერისთავს,**
**მ. იაშვილს და სხვ.**
**მცხ. თარხნიშვილის ქ. ჩიხი N3**

განვიხილეთ თქვენი კოლექტიური განცხადება, რომელშიც აღნიშნავთ, რომ არ დავუშვათ თქვენი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ თარხნიშვილის ქ. ჩიხის №4-ში 13-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, იმ მოტივით, რომ ის გამოიწვევს მოქმედი სამშენებლო და სანიტარული ნორმების დარღვევას, შეგეზღუდებათ ბუნებრივი განათებულობის ნორმები, ზიანი მიადგება თქვენს ავარიულ სახლს, დაირღვევა უსაფრთხოება და სხვ.

გაცნობებთ, რომ თარხნიშვილის I ჩიხის №4-ში ძველი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად ახალი მრავალბინიანი სახლის მშენებლობის საპროექტო წინადადება ინსოლაცია-განათებულობის სათანადო თანხლებით განხილული იყო არქიტექტურული საბჭოს სხდომაზე, რისი რეკომენდაციის საფუძველზეც გაიცა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება. მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად დამუშავებული საცხოვრებელი სახლის პროექტი, რომელთაც თან ერთვოდა შპს "არკოდი"-ს დადებითი საექსპერტო დასკვნა, შეთანხმებულია ქალაქის მთავარი არქიტექტორის 03.05.02 წლის №20/165 ბრძანებით. შეთანხმებული პროექტით შენობა უნდა აშენდეს საფეხუროვანი მოცულობების სახით, რომლის ნაწილი (თქვენი საცხოვრებელი სახლის მხარეს) 4-სართულიანია, შემიდეგი 5-სართულიანი მოცულობა თქვენი საცხოვრებელი სახლიდან 14 მეტრითაა დაცილებული, რაც გამორიცხავს ბუნებრივი განათებულობის დასაშვები ნორმის დარღვევას. ასაშენებელი სახლის მაქსიმალური სართულიანობა 9 სართულია და არა 13, როგორც თქვენს განცხადებაშია აღნიშნული.

დამტკიცებული პროექტის მოქმედ სამშენებლო ნორმებთან მიმართებაში განმეორებით გადასინჯვის მიზნით, წერილობით ეცნობა დამკვეთს მუშა დოკუმენტაციას ჩაუტაროს სახელმწიფო ექსპერტიზა.

რაც შეეხება მშენებლობის გავლენას თქვენი საცხოვრებელი სახლის მდგრადობაზე და უსაფრთხოებაზე, სხვა ტექნიკურ საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია მუშა დოკუმენტაციაში, რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა. დადებითი ექსპერტიზების საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა.

მშენებლობის პროექტის შესაბამისობაში მიმდინარეობაზე პასუხისმგებელია სამშენებლო ორგანიზაცია.

კონტროლს მშენებლობის პროცესზე განახორციელებს ქ. თბილისის "არქმშენინსპექცია".

**ქალაქ თბილისის მერიის**
**არქიტექტურის საქალაქო**
**სამსახურის უფროსი. ქალაქის**
**მთავარი არქიტექტორის**
**მოადგილე ბადრი ქორიძე**

**შემსრ. ვალერი გიორგაძე**

## საუბრობენ საპროტესტო აქციის მონაწილენი

**მზია ერისთავი:** - ჩემი სახლის ნგრევა ამ მშენებლობის დაწყებას უკავშირდება. ყოველდღე ახალ-ახალი ბზარები ჩნდება და ყოველ მოქმედებაზე სახლი ზანზარებს. მოვიდნენ კომისიები მერიიდან და მშენებლობის სამინისტროდან. მითხრეს, ავეჯი ერთ ოთახში გაიტანეთო. ვკითხე, ჩვენ რაღა ვქნათ-მეთქი; მიპასუხეს, ქალბატონო, ძალიან მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ უფლება არა გვაქვს, II კატეგორიაზე მეტი ჩავწეროთო.

**მზია ქაჯაია:** - ადრე მეზობლების თანხმობის გარეშე პატარა მიშენებაც კი შეუძლებელი იყო. ამხელა სახლს ანგრევენ; საძირკველს უთხრიან ისე, რომ არავისთვის არაფერი უკითხავთ. ჩაატარონ ქრონომეტრაჟი. ამ ვიწრო ჩიხში ერთდროულად ვერც მანქანები გაივლის, ვერც ადამიანები. ეს უნებართვო მშენებლობა იყო. როცა ჩივილი დავიწყეთ და ქვეყანა შევძარით, მაშინ აიღეს ნებართვა.

**მიხეილ იაშვილი:** - მარტში ლოლაშვილმა გასცა ნებართვა. მერე მითხრა, თვითონ ვარ დაინტერესებული, რომ მშენებლობა შეჩერდეს, თავის დროზე დამაძალეს ამ პროექტის დამტკიცება, მხარს თუ დამიჭერთ, ვცადოთ და ერთად შევაჩეროთ, სახელმწიფო ექსპერტიზას დავნიშნავთო. კიდევ რომ მივედი, ლოლაშვილის თანაშემწემ მითხრა, რომ ეს სახლი არ ექვემდებარება ექსპერტიზას. საბოლოოდ მივიღეთ პასუხი, რომ სახლი უნდა აშენდეს, რომ პროექტი სავსებით სწორადაა შედგენილი, ყველაფერი კარგად არის და არაფერი არ ირღვევა.

**მარიამ მაჩაბელი:** - მანძილი ჩვენსა და მშენებარე სახლს შორის არის 6 მეტრი, პროექტში ეს მონაცემები შეგნებულად გაყალბებულია და წერია 8,5 მეტრი. გინდაც ასე იყოს, ოთხსართულიანი სახლის წინ ამხელა შენობა რომ აშენდება, ყველაფერს დაფარავს და დაახშობს - ჰაერს, მზის სხივს. ჩვენთვის ეს ჩიხი ერთგვარი საჰაერო არხი იყო. გვეუბნებიან, რომ თუ თეთრად შეიღებება ფასადი, ინსოლაცია წარმოიქმნება ნორმალური არეკვლის ხარჯზე. მაგრამ ჰაერი ხომ არ აირეკლება, აღარაფერს ვამბობთ უსაფრთხოების ზომებზე. ამწეთი გადააქვთ მასალები. ამას წინათ სახურავი ჩამოანგრიეს და კინაღამ ბავშვებს დაეცა.

**ლილი გეწაძე:** - ამწე რომ დაეჯახა სახურავს, აგურები გადმოცვივდა, ბავშვები ბაღში ისხდნენ და ბეწვზე გადარჩნენ. ჩემი კედელი გასკდა კიდეც. მიწას რომ ამოთხრიან, ჩემი სახლი მთლიანად დაინგრევა. ფანჯრები უკვე დაგვიფარეს, მაგრამ არავინ ყურადღებას არ გვაქცევს.

**მიხეილ იაშვილი:** - უკვე აშენდა ორი დიდი სახლი, რომლებიც წყალგაყვანილობის ხაზს შეუერთდნენ. ეს ხაზი ჩვენც ძლივძლივობით გვყოფნის და ამის მერე არ ვიცი, რას ვიზამთ. კიდევ ერთი კორპუსი შენდება სასტუმროს გვერდით. წარმოიდგინეთ, მალე აქ რამდენი მანქანა მოიყრის თავს, როგორი ვიბრაცია იქნება.

**ელენე ჯიმშელეიშვილი:** - ამ საკითხზე ნანა დევდარიანთან მივიტანე განცხადება, მაგრამ არ დაიტოვეს. მითხრეს, რომ ეს არ არის ადამიანის უფლებათა დარღვევა, რომ ეს არის სოციალური, საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესება. თუმცა ისიც გვითხრეს, იმდენი მასალა გაქვთ მოგროვილი, აშკარაა, რომ ეს უკანონობაა და სასამართლოს მიმართეთო. მაგრამ მე სწორედ იმის მეშინია, რომ სასამართლო არ იქნება ობიექტური. ეგეც არ იყოს, ერთადერთი საყრდენი, რაც გვაქვს, არის ბინა და როცა ლამის ბინებში გვეჭრებიან, მზეს და ჰაერს გვართმევენ, როგორ შეიძლება, რომ ეს არ იყოს ადამიანის უფლებების დარღვევა.

**აქციის ერთ-ერთი მონაწილე:** - არაოფიციალური წყაროდან, სამწუხაროდ, გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ ტერიტორიაზე გარკვეული ინტერესები არსებობს. ამ სახლებში, რაც არ უნდა ღრმად გათხარონ მიწისქვეშა გარაჟები, მაინც ვერ დააკმაყოფილებენ მცხოვრებლების მოთხოვნებს. სასტუმრომ გაყიდა მიმდებარე ტერიტორია. ორივე სტრუქტურას სჭირდება დამატებითი სივრცე და ხელს აძლევთ, რომ ეს სახლები დაინგრეს. ამ საკითხზე ფარული მოლაპარაკებები მიმდინარეობს. თუ ჩვენი სახლები დაინგრა, მიწისძვრით დაზარალებულთა მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მერე შეგვასახლებენ სადმე, კვლევით ინსტიტუტებში, კარვებში... ჩვენ სხვა გზა აღარა გვაქვს, არასტანდარტულ და ჩვენთვის უჩვეულო მეთოდებს უნდა მივმართოთ საკუთარი ბინების დასაცავად.

**ნანა ნემსაძე:** - აღმაშფოთებელი რამ ხდება, აქაც და სხვაგანაც. ბარნოვის ქუჩას რომ აჰყვები, უამრავი ახალი კორპუსია და ყველა ძველ კომუნიკაციებზე ჯდება. და კიდევ მინდა ვთქვა ის, რაც პირადად ჩემთვის მთავარია. ჩემთვის მარტო იმ ოთახს კი არა აქვს მნიშვნელობა, სადაც ვცხოვრობ, არამედ ეზოს, გარემოს. ეს ჩვეულებრივი ბიოლოგიური ფაქტორია. მე არ მინდა, რომ საცხოვრებლად გადავიდე მაღალ კორპუსში. ხომ მაქვს ამის უფლება?! მაგრამ მიქმნიან ისეთ პირობებს, რომ შეიძლება იძულებული გავხდე, ვიცხოვრო სწორედ იქ, სადაც არ მინდა. როგორც ვიცი, არსებობს კანონი, რომ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მოსახლეობის მონაწილეობით, მაგრამ ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. დასაკარგი აღარაფერი გვაქვს. კატეგორიულად მოვითხოვ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მოვიდნენ, შეგვხვდნენ, გვაჩვენონ, პირველყოვლისა, უბნის განაშენიანების გეგმა და გავარკვიოთ, რომ ჩვენ კაპრიზების შესრულებას კი არა, კანონის აღსრულებას მოვითხოვთ.

**მზია ერისთავი:** - ქალაქის მერმა დიდის ამბით მიგვიღო, დახმარებას დაგვპირდა, მაგრამ ამით დამთავრდა ყველაფერი. ეს ხომ ცინიზმია!

### რედაქციის მინაწერი:

ვერაზე სასტუმრო "საქართველოს" უკან კიდევ ერთი ცხრასართულიანი კორპუსის მშენებლობა არის უკვე ტრადიციად ქცეული შემთხვევა იმ არქიტექტურული საქმიანობისა, რომელსაც თბილისის ხელისუფლება ახორციელებს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც უგულებელყოფილი იქნება საზოგადოებრივი ინტერესი და მომქმედი ნორმატიული კანონმდებლობა, სავარაუდოდ, მოხელეთა კერძო ინტერესებისა და უძრავი ქონების ბიზნესით დასაქმებულთა სასარგებლოდ.

მეზობელთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოკვეთილია ორი პრობლემა, ერთი - შენობის უზომოდ დიდი გაბარიტები და მეორე - ახალმშენებლობის გამო მის გარშემო არსებულ შენობათა დაზიანება, რაც სამართლიანად გახდა მოსახლეობის პროტესტის საფუძველი.

შევეცდებით, მოკლედ განვმარტოთ მიზეზი წარმოქმნილი კონფლიქტური პრობლემებისა.

2001 წლის აგვისტოდან (თითქმის ერთი წელია) თბილისის ტერიტორიაზე საკრებულოს გადაწყვეტილებით მოქმედებს ნორმატიული დოკუმენტი "უფლებრივი ზონირება" (რეგლამენტი), რომელიც თბილისის არქიტექტურული სამსახურის მიმართ ხაზგასმულად სავალდებულოა. ამ დოკუმენტის მიზანია, განისაზღვროს ასაშენებელი შენობის: ფუნქცია, განთავსება და გაბარიტები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სწორედ ზემოხსენებული ნორმატიული დოკუმენტის გათვალისწინება არ ჩანს და სავარაუდოდ არც იქნება, რადგანაც ეს დოკუმენტი (რეგლამენტი) არ გახდიდა შესაძლებელს ისტორიულად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში (როგორსაც ამ შემთხვევაში ვერის უბანი წარმოადგენს) ჰიპერტროფირებული გაბარიტების შენობების აშენებას. ხუთ სართულამდე შენობის აშენება კი კომერციულად მომგებიანი არ არის, ამიტომ, სავარაუდოდ, გამოსავლის ძიება მოხელეებსა და მენაშენეებს შორის გარიგებაში უნდა ვეძებოთ. კანონმდებლობისა და საზოგადოებრივი ინტერესების იგნორირების ხარჯზე ხელისუფლება ამტკიცებს ცხრასართულიანი სახლის პროექტს და ამით წარმოშობს კონფლიქტებს საზოგადოებაში. კონფლიქტების გადასავადებლად მიმართავს სხვადასხვა ნაცად ხერხს: მანამ, სანამ შენობა არ დაიდგმება; შემდეგ ამბობს, აქ ხალხი ცხოვრობს და ხომ არ დავანგრევო.

რაც შეეხება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც კორპუსის აშენებით არის დაინტერესებული, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების და მოგების მიზნით: ყველას აქვს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უფლება, მაგრამ არა სხვების საცხოვრებელი გარემოს გაუარესების ხარჯზე.

ჩვენი აზრით, პრობლემების მოგვარების გზა კანონიერების დაცვის მოთხოვნაშია. მიზნის ვერმიღწევის შემთხვევაში კი მუნიციპალური ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაში.

რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევაში წარმოქმნილ მეორე პრობლემას: როდესაც ახალი შენობის აშენებით ზიანდება გარშემო არსებული შენობები, მშენებლობის პროცესის კონტროლი ხელისუფლების მოვალეობაა, რასაც ის ან ვერ, ან არ ასრულებს. ამიტომაც, დღეს არსებული ხელისუფლების იმედად ყოფნა თავის მოტყუებაა. რაც შეეხება ახალი შენობის მშენებელს, მისი ინტერესია იაფად აშენება და ძვირად გაყიდვა; ამ მიზნის მისაღწევად, რაც შეიძლება, მეტ დაპირებებს გასცემს. ჩვენი აზრით, ყველაზე ეფექტური და, სამწუხაროდ, იძულებითი გზაა: ადამიანებმა თვითონ უნდა დაიქირავონ კვალიფიციურ სპეციალისტთა ჯგუფები, რათა დაიცვან საკუთარი უძრავი ქონება და გარემო. ეს ჯგუფები მუდმივ მეთვალყურეობას გაუწევენ სამშენებლო პროცესს. გვესმის, რომ დღევანდელ ეკონომიკურ ფონზე ეს რთული საქმეა, მაგრამ პრობლემის მოსაგვარებლად სხვა ეფექტური გზა არ ჩანს.

# ლეგენდები „ევრო-თბილისზე„

## დიდი მადლობა ზუმბას მშვენიერი ტერმინისთვის - "ევრო-ჯორჯია"



თბილისი. აბანოთუბანი.

ბესო ბულაშვილის ფოტო



ნეპალი.

ვატო ლეჟავა

ყველა საკუთარი თავის პატივისმცემელ ქალაქს გააჩნია ლეგენდა დაარსებაზე და ლეგენდები წარსულზე, რომელთა გარშემოც ხდება მოქალაქეთა თვითიდენტიფიკაციის ფორმირება (კევინ ლინჩი, ქალაქის სახე). ჩვენს ქალაქსაც გააჩნია ასეთი ლეგენდები.

ლეგენდა იმიტომაც არის ლეგენდა, რომ მისი შემადგენელი ნაწილი, არის როგორც ნამდვილი ამბავი, ასევე შეთხზული ისტორიაა.

ქალაქის დღევანდელი ხელისუფლება და მისი სატელიტები ცდილობენ ახალი ლეგენდები მოგვაწოდონ, რომელთა გარშემოც, მათი ვარაუდით, უნდა მოხდეს ჩვენი გაერთიანება და ჩვენი საცხოვრებელი გარემოს ახლებური აღქმა. თუმცა, დროის მიერ გამოცდილი ლეგენდებისაგან განსხვავებით, ახალი ლეგენდების საფუძველს გამოგონილი ისტორიები წარმოადგენს, სიმართლის მცირეოდენი ნაზავით.

მივყვეთ ახალ ლეგენდებს და ვცადოთ გამოვარკვიოთ, რა არის მისი ინგრედიენტები.

### ლეგენდა №1

*ის, რაც თბილისში ხდება (ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით) არის ქალაქგანვითარების ნორმალური პროცესი.*

ეს ალბათ ყველას უნდა გვახარებდეს. ჩვენც ნორმალურები ვართ! თუმცა, "ნორმალურობა" ფარდობითი კატეგორიაა და, მგონი, მნიშვნელოვანია განვიხილოთ, რა თვალსაზრისით ვართ "ნორმალურები".

ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით ხდება ის, რომ ქალაქის ისტორიულ და ცენტრალურ ნაწილში ხდება სიმჭიდროვეების გაზრდა ფასეული განაშენიანების ხარჯზე, ხოლო პერიფერიაზე ელიტური დასახლებები იქმნება ფასეული ლანდშაფტების ხარჯზე.

მსოფლიო გამოცდილების ერთი თვალის გადავლებაც კი ცხადყოფს, რომ ასეთი "ნორმალური" პროცესები მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს. მხოლოდ ის არის საგანგაშო, რომ ასეთი ადგილები პლანეტაზე მესამე სამყაროს მეტროპოლიებს წარმოადგენენ, სადაც საზოგადოებას არა აქვს ძალა, რომ დაიცვას ქალაქების ისტორია და ლანდშაფტი, ხოლო მმართველ ნომენკლატურას გააჩნია იმდენი კაპიტალი და თავხედობა, რომ აქტიურად "აითვისოს" ყველაზე ფასეული საქალაქო სივრცეები.

ის, რომ ტიპიური მესამე-სამყაროს-ქალაქის ტიპიურ ნიშნებს ვიძენთ, ჩვენი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაც ადასტურებს. ტრანსპორტის დაგეგმარების ერთმა გერმანელმა პროფესორმა, რომელთანაც საუბრის პატივი მხვდა წილად, მას შემდეგ, რაც რამდენიმე ნიშნით დავუხასიათე ჩვენი ურბანული პოლიტიკა, გამოთქვა ვარაუდი, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის საფუძველი ჩვენთან მიკრო-ავტობუსები (ე.წ. მარშრუტკები) იქნებოდა. ჩემი კითხვა, იყო თუ არა თბილისში ნამყოფი ან გაეგო თუ არა რამე თბილისზე, მოკლე პასუხით დააკმაყოფილა: არ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთ ურბანულ პოლიტიკას ასეთი სატრანსპორტო სისტემა ახასიათებს და ეს ტიპიურია განვითარებადი სამყაროსათვისო. ხედავთ, "ნორმალური" ყოფილა.

ამასთან, ასევე ერთი თვალის გადავლებაა საჭირო იმის ამოსაცნობად, რომ ქვეყანაზე ასევე არსებობს სხვა მრავალი ქვეყანა, რომელთა ურბანული განვითარების მთავარი ფსონი სწორედ კულტურული მემკვიდრეობის და ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვა-რეაბილიტაცია და ჯანსაღი სატრანსპორტო სისტემის გამართვაა. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი ქვეყნები უფრო ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებითა და კონტროლირებადი ნომენკლატურით ხასიათდება. პრაღის, ბუდაპეშტის, რიგის, ტალინისა და სხვა მრავალ ქალაქთა გახსენება ცხადს ხდის, რომ ასეთი ურბანული პოლიტიკა მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ფუფუნება არ გახლავთ.

მაშ, რა ვქნათ, დავიჯეროთ, რომ ის, რაც ხდება, "ნორმალურია"? შეგვიძლია. მხოლოდ, ის აღარ უნდა დავიჯეროთ, რომ ჩვენ ცივილიზებული საზოგადოების აშენებას ვაპირებთ. არჩევანი ჩვენზეა.

### ლეგენდა №2

*თბილისის "აღმშენებლობაში" არის "ცალკეული ნაკლოვანებები", მაგრამ ეს გარდამავალი პერიოდისათვის ტიპიურია.*

ესე იგი, ცოტასაც მოვიცდით და ყველაფერი კიდევ უფრო "ნორმალურად" იქნება. ტერმინი "გარდამავალი ეკონომიკა" გაჩნდა 90-იანი წლების დასაწყისში იმის ჩასანაცვლებლად, რასაც "გეგმური ეკონომიკა" აღწერდა. არსებობდა სამი ტიპის ეკონომიკა: განვითარებული, განვითარებადი და გეგმური. ხოდა, რახან გეგმური გაქრა, და ის, რაც შეიქმნა, არც განვითარებული იყო და არც განვითარებადი, გამოგვიგონეს "გარდამავალი". თანაც, საერთაშორისო და შინაურ საზოგადოებაშიც იგულისხმებოდა, რომ ეს "გარდამავლობა" იყო გზა "გეგმურიდან" "განვითარებულამდე". მრავალმა "გარდამავალმა" ქვეყანამ სწორედ ეს გზა აირჩია. ჩვენი ქალაქის განვითარება (და არა მხოლოდ ქალაქის) ცხადყოფს, რომ ჩვენ საპირისპირო გზა აგვირჩევია და გვინდა "გეგმურ-სოციალისტური" ქალაქის საფუძველზე განვითარებადი ქვეყნის მეტროპოლისი ავაშენოთ. ლეგენდა უწყის, რომ ცოტაც უნდა მოვიცადოთ და "მესამე სამყაროს" კლასიკური ქალაქი შემდგარი ფაქტი იქნება.

მაინც რა ძირითადი განსხვავებაა "განვითარებულ" და "განვითარებად" მეტროპოლისებს შორის? როგორც ერნანდო დე სოტო თავის (უცხოეთში) ლამის სამაგიდო წიგნად ქცეულ ნაშრომში "კაპიტალის მისტერია" ამტკიცებს, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს ერთ დროს სწორედ "განვითარებადი ეკონომიკა" გააჩნდათ: ევროპას - 200, ხოლო ამერიკას 150 წლის წინ. ამ თეზისს თუ გავყვებით, ქალაქგანვითარების თვალსაზრისით, "განვითარებადობა" ურბანიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პროცესის შესატყვისი ყოფილა. ჩვენ ამ პროცესს დავუბრუნდით ყველა ნიშნის მიხედვით. 150-200 წლის წინ ევროპისა და ამერიკის ქალაქები დაეჯახნენ დილემას, რომ ეკონომიკის სისტემის ცვლილებასთან ერთად, ფეოდალური მეთოდებით ქალაქების მართვა კაპიტალისტურ სამყაროში შეუძლებელი გახდა. საჭირო გახდა ახალი ბერკეტების გამოგონება, რათა თავისუფალი კაპიტალი არა საზოგადოების საზიანოდ, არამედ სასარგებლოდ წარგემართათ. ასე რომ, ახალი ლეგენდის თანახმად, ჩვენც რამდენიმე ათეული წელი დაგვჭირდება "ველური კაპიტალიზმის" პერიოდის გასავლელად, "სოციალისტურ-ფეოდალური" წყობიდან "ჰუმანურ კაპიტალიზმზე" გადასასვლელად. ეს ასეც არის, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ისტორიის მწარე გაკვეთილები ხელისგულზეა და კონტრ-ინსტრუმენტებიც უკვე საუკუნეზე მეტი ხანია ცნობილია. უფრო მეტიც, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენმა საკუთარმა ქალაქმა სწორედ ამ გაკვეთილების საფუძველზე გაიარა უმტკივნეულოდ "პირველი ურბანიზაცია" და "კაპიტალისტური" ქალაქი (გაიხსენეთ "სოლოლაკი" და "პლეხანოვი"), დელიკატურად, შუასაუკუნოვანი ქალაქი კი არ გადააშენა, არამედ შექმნა ახალი ფასეულობა, რაც დღეს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ინტეგრირებულ ნაწილს წარმოადგენს.

მაშ, რა ვქნათ, მოვიცადოთ? შეიძლება. ცოტაც მოვიცადოთ (ერთიორი ათეული წელი), სანამ თავიდან აღმოვაჩენთ, რომ ლიბერალური ეკონომიკის პირობებში ქალაქგანვითარებას ახალი ინსტრუმენტები სჭირდება. მაშინ გამოსასწორებელიც არაფერი დარჩება. არჩევანი ჩვენზეა.

### ლეგენდა №3

*ურბანული (არქიტექტურული) პოლიტიკის ფორმირება პროფესიონალების პრეროგატივაა და მასში საზოგადოება (პროფანები) არ უნდა ჩაერიოს.*

ძნელია ამ თეზისთან კამათი, თითქოს არც არაფერია საკამათო. ჩვენ ქალაქში საქმე "პროფესიონალურად" კეთდება. მაგრამ საზოგადოება (საკმაო ნაწილი) უკმაყოფილოა. ჩვენ გვამშვიდებენ: მრავალი პროფესიონალის მოღვაწეობაც ხომ ვერ ფასდებოდა სათანადოდ თანამედროვეთა მიერ. ესე იგი, ან უნდა მოვიცადოთ, სანამ "ავმაღლდებით" იქამდე, რომ ჩვენი თანამედროვე "პროფესიონალების" ნამოქმედარს ადეკვატურად აღვიქვამთ, ან რაღაც არ არის წესრიგში.

წესრიგში კი ბევრი რამ არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ურბანული განვითარება არ შეიძლება გამოცალკევებული იყოს იმისაგან, თუ როგორ აღიქვამს მას თანამედროვე. ამ თვალსაზრისით ის სპორტს ჰგავს, რომელსაც მაყურებლის იმწამიერი რეაქციის გარეშე აზრი არ აქვს. ეს მართებული შედარება მომქმედ ურბანიზაციის მინისტრს ეკუთვნის. წარმოვიდგინოთ ფეხბურთის გუნდი, რომლის თამაშიც მაყურებელს არ მოსწონს (თანაც სულ აგებს დიდი ანგარიშით!) და რომლის მოთამაშეებიც ამტკიცებენ, რომ მათი არ ესმით და ეს მოუმზადებელი მაყურებლის ბრალია. ასევეა ურბანული პოლიტიკა, რადგან იგი საზოგადოებისათვის (მაყურებლისათვის) არის, თუ საზოგადოება ვერ ახდენს გატარებულ პოლიტიკასთან თვითიდენტიფიცირებას, ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკაა უვარგისი და არა პირიქით. ამიტომაც არის, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურბანული პოლიტიკის ფორმირების ქვაკუთხედს ე.წ. "თანამონაწილეობრივი დაგეგმარება" წარმოადგენს. ანუ, პროფესიონალიზმი განისაზღვრება არა მარტოსულის პოზაში დგომით, არამედ საზოგადოებასთან დიალოგით და დიალოგის შედეგების ურბანულ პოლიტიკაში ადეკვატური გადათარგმნით.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. გადაწყვეტილებებს ურბანული პოლიტიკის შესახებ იღებენ არა პროფესიონალები (ისინი გადაწყვეტილებებს ამზადებენ), არამედ ხელისუფლება. ხელისუფლება კი მაშინ არის "პროფესიონალი", როდესაც ის ზუსტად ასახავს საზოგადოების განწყობას. როგორც აბრაჰამ ლინკოლნმა 1863 წელს ბრძანა: მმართველობა ხალხის სახელით, მმართველობა ხალხის მიერ, მმართველობა ხალხისათვის. სწორედ ამიტომ არის, რომ არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ პოპულარულ ხელისუფლებას ძალუძს, რადგან პოპულარობა მხოლოდ დიალოგის საფუძველზე იქმნება. არაპოპულარული ხელისუფლების არაპოპულარული პოლიტიკა არ შეიძლება იყოს მართლზომიერი. რამდენადაც არაპოპულარულია ხელისუფლება, იმდენად ძლიერი უნდა იყოს საზოგადოებასთან დიალოგის ინტენსივობა და სურვილი. ამდენად, დიალოგს ქალაქის განვითარების და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ არც ერთ შემთხვევაში არ აქვს ალტერნატივა. ჩვენი "პროფესიონალები" მათი სოციალისტური წარსულიდან გამომდინარე კი მხოლოდ ხელისუფლებასთან "დიალოგს" არიან ჩვეული, საზოგადოება კი მათ დიალოგში ხელისშემშლელი "მესამეა".

კიდევ ერთი ასპექტი. ჩემი კიდევ ერთი ნაცნობი, დოქტორი კოლინ ჯი, ასე განსაზღვრავს პროფესიონალიზმს: ეს არის საქმის კარგად კეთების უნარი მოცემულ დროში. ანუ უსასრულოდ დიდ ვადაში, თეორიულად, ყველა შეძლებს ამოცანის სწორად გადაწყვეტას. გავიხსენოთ, როგორ აკეთებენ აპელირებას ჩვენი "პროფესიონალები" დროზე. მათთვის დრო ან ძალიან ცოტაა (ვერ მოესწრო), ან ძალიან დიდია (ეს ჯერ ადრეა, საზოგადოება მზად არ არის). მათი "დრო" არ არის. შესაბამისად, კოლინ ჯის თუ დავუჯერებთ, პროფესიონალებიც არ უნდა იყვნენ. ცნობილი გამოთქმის პერეფრაზი რომ გავაკეთო: ისეთი ფეხსაცმელი, რომელიც მათ ცეკვაში ხელს არ შეუშლიდა, ბუნებაში არ იძებნება.

რა ვქნათ, მივენდოთ? შეიძლება, იმ იმედით, რომ ჯი მტყუანია და უსასრულოდ დიდ დროში ისინი საქმეს კარგად გაართმევენ თავს და ჩავთვალოთ, რომ ჩვენ ის მაყურებელი ვართ, რომელმაც მათ "ფეხბურთს" მხოლოდ რამდენიმე წლის დაგვიანებით ვიდეოჩანაწერში უნდა უყუროს. ან, არ უნდა დავიჯეროთ, რომ ჩვენი საცხოვრებელი გარემოს ფორმირება ჩვენი აქტიური მონაწილეობის გარეშეა შესაძლებელი და მოვითხოვოთ დიალოგი. არჩევანი ჩვენზეა.

### ლეგენდა №4

*თბილისში ვითარდება უძრავი ქონების ბაზარი და "მენაშენეები" (უძრავი ქონების განვითარების ფორმები) დიდად სასიკეთო საქმეს აკეთებენ.*

ნახეთ რამდენი შენდება! ზოგჯერ ეს პროცესი "მშენებლობის ბუმადაც" კი ინათლება. ნახეთ რამდენი ოჯახი იუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს! ჩვენ წინ მივდივართ და ეს უნდა მოგვწონდეს.

მაგრამ არის საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც ამოვარდნილია ამ "კონტექსტიდან", რომელსაც ეს არგუმენტები დამაჯერებლად არ მიაჩნია. შეიძლება ნორმალური ადამიანი "შენების" წინააღმდეგი იყოს? მხოლოდ გიჟი ან ბოროტი.

მე არ მომწონს ეს პროცესი და, მგონი, არა მარტო მე. ესე იგი ჩვენ ან გიჟები ვართ ან ბოროტები. მაგრამ იქნებ არც მთლად ასეა საქმე.

უძრავი ქონების ფასის ფორმირებაში გადამწყვეტია მისი გარემო (უბანი, ინფრასტრუქტურა, სოციალური ატმოსფერო). მაგალითისათვის მოვიყვან, რომ ყველაზე საუკეთესო სახლიც კი ქალაქის პერიფერიაზე ერთი-ორი თანრიგით ნაკლები ღირს, ვიდრე ყველაზე ცუდი სახლი ე.წ. პრესტიჟულ უბანში. ანუ გარემო ფასის დადგენისა და ფორმირებისათვის გადამწყვეტია.

ახლა შევხედოთ ჩვენს მშენებლობებს და "სამენაშენეო" პრაქტიკას: ასიდან ოთხმოცდაჩვიდმეტ შემთხვევაში ახალი ფასეულობა (ნაგებობა) იქმნება გარემოს (უბანი, ინფრასტრუქტურა, სოციალური ატმოსფერო) გაუარესების ხარჯზე და უკვე ასიდან ოთხმოცდაჩვიდმეტ შემთხვევაში შექმნილი ფასეულობა (ნაგებობის სახით) ბევრად უფრო ნაკლებია საზოგადოების მხრიდან იმ დანაკარგებთან შედარებით, რომელიც გარემოს დეგრადაციით არის გამოწვეული. ანუ "მენაშენეები" (ფირმები) იგებენ, ჩვენ (საზოგადოება) - ვაგებთ. გამოდის, რომ ისინი "პრივატიზებას" უკეთებენ იმას, რაც არსებობს და ჩვენ გვეკუთვნის (ფასეული გარემო). ისინი ახალ ფასეულობას (დამატებულ ღირებულებას) კი არ ქმნიან, არამედ არსებული საზოგადოებრივი ფასეულობის (ღირებულების) განკერძოებას ახდენენ.

მსგავსი მაგალითები ჩვენს უახლოეს ისტორიაში უკვე არსებობს. გაიხსენეთ ინფლაცია. მარტივად რომ ვთქვათ, ინფლაციის არსი არის ფულის კუპიურების ტირაჟირება იმის გარეშე, რომ ეს საბანკო ნიშნები უზრუნველყოფილი იყოს შესატყვისი ეკონომიკური ფასეულობით. ისიც კარგად გვახსოვს, რომ ამ პროცესის შედეგად ჩვენს ჯიბეში აღმოჩენილი რიცხვობრივად უფრო დიდი რაოდენობის ფული სულაც არ ნიშნავდა, რომ ჩვენ უფრო მდიდრები გავხდით. ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს - ამ პროცესის ხარჯზე უმცირესობამ მოახერხა ჩვენს ხელთ არსებული ეკონომიკური ღირებულებების საკუთარ ჯიბეში გადაქაჩვა.

სწორედ მსგავსი პროცესი მიმდინარეობს თბილისის ცენტრალურ და ისტორიულ ნაწილებში. ხდება კვადრატული მეტრების ტირაჟირება. ჩვენ (საზოგადოებას) უფრო მეტი "კვადრატული მეტრი" გაგვაჩნია, თუმცა (ინფლაციისა არ იყოს) ჩვენ უფრო მდიდრები, უფრო დიდი ფასეულობის მფლობელები არ ვხდებით. ჩვენი საცხოვრებელი გარემო უარესდება და ახალი "კვადრატული მეტრები" ჩვენი საერთო უძრავი ქონების ჯამურ ღირებულებას კი არ ზრდის, არამედ ამცირებს. ახალი "კვადრატული მეტრები" ახალი ფასეულობით გამაგრებული არ არის და მათი ფასეულობით უზრუნველყოფა უკვე არსებული ფასეულობის გადანაწილებისა და დეგრადაციის ხარჯზე ხდება. ანუ "მენაშენეები" (უძრავი ქონების ფირმები) არსებული ფასეულობის (კარგი უბანი, კარგი გარემო) პრივატიზებას ახდენენ და არა ახალი ფასეულობის შექმნას. საცხოვრებელი გარემოს "პრივატიზაციის" პროცესი მხოლოდ არსებული ფასეულობის უსამართლო გადანაწილება კი არ არის, არამედ ჯამური ფასეულობის შემცირებაა. მათი "მოღვაწეობის" შედეგად ჩვენი ქალაქი კოტრდება და მასთან ერთად კოტრდება ყოველი ჩვენგანი. მიმდინარეობს თბილისის, როგორც ურბანული სივრცის, ინფლაცია.

რა ვქნათ, დავიჯეროთ, რომ ჩვენ გიჟები და/ან ბოროტები, ხოლო "ისინი" "აღმაშენებელ-დამამშვენებლები" არიან, დავტკბეთ მათი "აღმშენებლობა-დამშვენების" პროცესით? შეგვიძლია. თუმცა, მაშინ ისიც უნდა შევძლოთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მშვიდად ვისმინოთ, როგორ აღმოჩნდა ზოგიერთი კომერსანტისათვის ბიზნეს-ოქროს-ხანად პერიოდი, როდესაც თბილისი იქცეოდა და ჩვენ ვკოტრდებოდით. ანდა უნდა დავიჯეროთ, რომ ჩვენ არც გიჟები, და მითუმეტეს, არც ბოროტები ვართ და ყოჩაღად დავიცვათ ჩვენი ფასეულობა "საზოგადოებრივი ქონების ბოროტი დამტაცებლებისაგან". არჩევანი ჩვენზეა.

■ ■ ■

წარმოდგენილი ოთხი "ლეგენდა" მრავალ სხვა მსგავს "ლეგენდასთან" ერთიანდება ხელისუფლების შეთხზულ კომპლექსურ ლეგენდაში, რომელსაც შეიძლება "ლეგენდა ევროთბილისზე" ვუწოდოთ. ჩვენ თბილისს "ევრო-რემონტს" ვუტარებთ! წინსართი "ევრო" თბილისზე ახალი ლეგენდის მამების თვალით დანახული ევროპაა, არა ჭეშმარიტი ევროპული ფასეულობა, არამედ ის "ფასეულობები", რომელთა აკრეფასაც ისინი გზად "დიუთი ფრის", "შოფინგსა" და "კაზინოს" შორის ახერხებენ. მეორე მხრივ, "ევრო" შეიძლება აღნიშნავდეს ფულის ერთეულ ევროს, იმის ნიშნად, რომ მონეტარული განზომილება მათთვის უმაღლესი ფასეულობაა.

ის, თუ მართლა რა არის ევროფასეულობა, სწორედ ევრო-კუპიურიდან ჩანს. დიდი ხანი დასჭირდა დებატების დასრულებას თემაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო გამოსახული ევრო-კუპიურებზე. დებატები დასრულდა შეთანხმებით, რომ ვერც ევროპელი გენიოსები, ვერც ევროპული ფლორა და ფაუნა და ვერც სხვა რამ ისე ვერ გამოხატავს ერთიან ევროპულ ისტორიას, კულტურასა და ბედისწერას, როგორც არქიტექტურული მემკვიდრეობა და სამშენებლო კულტურა. ევრო-კუპიურაზე არქიტექტურული დეტალები (თაღები) და ხიდებია გამოხატული.

არტ-კლუბი

# უცხოელები უკეთ ხვდებიან ძველი უბნების მნიშვნელობას

## საუბრობენ დათო მაღრაძე და გუგა კოტეტიშვილი

*დათო მაღრაძე:* **- ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით, ბოლო რამდენიმე წელიწადში, თბილისის ძველ თუ ახალ უბნებში მომრავლდა თქვენი ნამუშევრები. თქვენი ხელწერით აღბეჭდილ დიზაინს ვხვდებით სრულიად სხვადასხვა დანიშნულების უწყებებში, კაფე იქნება ეს, ბანკის შენობა, ოფისი თუ სასტუმრო - სხვადასხვა სპეციფიკის, შინაარსობლივი დატვირთვის, განწყობილების ნაგებობებში. რამ განაპირობა თქვენი ესთეტიკა, რომელსაც იმდენად ჩამოყალიბებული და მკაფიო სახე აქვს, რომ ადამიანი ერთი შეხედვით ცნობს თქვენს ხელწერას? რა საფუძველზე აღმოცენდა ეს ძალზე საინტერესო სამყარო?**

*გუგა კოტეტიშვილი:* - ჩემთვის ამოსავალია ჰარმონია. ეს ესთეტიკა თავისთავად გაჩნდა და დამკვიდრდა. ახლა კეთდება მიმსგავსებული ავეჯი, მაგრამ ყველაფერი ჩემი არ არის. პოპულარობა მოიპოვა სტილმა, რომელიც თავიდანვე მოვნახე - ფარდაგით გაწყობილმა ლითონის ავეჯმა. ეს არის კონკრეტული მიზნისთვის გაკეთებული ავეჯი. ის, რასაც ჰქვია გამოყენებითი ხელოვნება, პირველ რიგში, მართლა გამოსაყენებელი უნდა იყოს და ამავდროულად, ესთეტიკური ფუნქციაც ჰქონდეს. ძალზე მნიშვნელოვანია, რას ემსახურება ეს ნივთები, რა დანიშნულება აქვს შენობას, როგორი გარემოა.. რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან, ვთქვათ, გაეროს ოფისის დიზაინი და სასტუმრო, რომელიც უცხოელებისთვისაა გათვალისწინებული და ქართულ-კავკასიურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ამას წინათ გავაფორმეთ საბავშვო საავადმყოფოს ფოიე. რაც იქ გაკეთდა, არის სრულიად სხვა ტიპის დიზაინი - ფერადი საღებავებით შეღებილი ცხოველების ფორმის ავეჯი. ჩვენი იყო დიზაინი და არა შესრულება, რადგან ჩვენ, ძირითადად, რკინით ვმუშაობთ. სხვა მასალისთვის ესკიზებს, ნახაზებს ვამზადებთ. ერთი სიტყვით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარემოს. სხვათა შორის, სწორედ გარემოსადმი დამოკიდებულება იყო მიზეზი ჩემი აღშფოთებისა არქიტექტორებით. ეს რატომღაც არქიტექტორებთან ბრძოლად ჩამომართვეს. ჩემთვის აღმაშფოთებელია, რომ არქიტექტორები არად აგდებენ იმ გარემოს, სადაც აშენებენ. ეს მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი ქალაქის ძველ უბნებში, სადაც ახლის შენებისას მეტი დაფიქრება გვმართებს. არქიტექტორის შრომა ყველაზე უფრო საპასუხისმგებლოა იმ მხრივ, რომ თუ, ვთქვათ, მე გავაკეთებ ცუდ სკამს ან მხატვარი გააკეთებს ცუდ ნახატს, ამას მაინც ლოკალური მნიშვნელობა აქვს - ასეთი სკამი ან ნახატი თუ ვინმეს მოეწონება, იყიდის, შინ წაიღებს და გარემოს არაფერი დაუშავდება. მაგრამ როცა ძველ უბანში ცხრასართულიანი კორპუსი იდგმება, ნებისმიერი ჩვენგანი, უნდა თუ არ უნდა, ამის მაყურებელი ხდება და იძულებულია შეეგუოს მდარე ხარისხის, საეჭვო არქიტექტურული ღირებულების შენობას, რომელიც არღვევს ქუჩის სტრუქტურას, უბნის სტრუქტურას, გარემოს. დღითიდღე ნადგურდება ის, რასაც თბილისის ძველი უბნები ერქვა. ფაქტიურად, ხელიდან გვეცლება ადგილები, სადაც, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ტურისტი მაინც შეიძლება მიიყვანო და აჩვენო. მთავარი არგუმენტია - ინგრევა და აბა, რა ვქნათ. ტურისტი შეიძლება მიიყვანო, ვთქვათ, აბანოთუბანში, და უთხრა - აი, ძველი თბილისის ნაშთები; მაგრამ კორპუსის სანახავად ვერ მიიყვან. ახლის შენების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და არც ის მინდა, რომ მშენებლობები შეწყდეს, მაგრამ ეს გონივრულად, კანონის დაცვით უნდა გაკეთდეს. ელემენტარული კანონები ჯერ კიდევ საბჭოეთის დროიდანაა შემორჩენილი. მაშინ გამორიცხული იყო, ბაღის, პარკის ტერიტორიაზე ჩაგედგა ჯიხურიც კი, და მითუმეტეს, მოზრდილი ნაგებობა. აღარაფერს ვამბობ ტროტუარებზე... ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოში სულ ათიოდე არქიტექტორია, ვინც სერიოზულ, ნამდვილ ხელოვნებას წარმოგვიდგენს. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ არცა გვაქვს არქიტექტურისა და მრგვალი ქანდაკების ტრადიცია. ალბათ, ესეცაა მიზეზი, რომ რაც იდგმება, ძალიან ცუდია; და იძულებული ვართ, დღევანდელი ბავშვების თაობა ამის შემყურე გაიზარდოს. კონკურსი მაინც გამოცხადდეს უწინდებურად, რომ ახალგაზრდებს საშუალება მიეცეთ, თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინონ. ვინც მილიონებს ხარჯავს მშენებლობისთვის, იქნებ იმან დააფინანსოს ამგვარი კონკურსი, რათა რაც შეიძლება მეტი ნამუშევარი გახდეს განხილვის საგანი.

**- ჰემინგუეი ამბობს, ჩემი სტილი ჩემი შეცდომებია, რომლებსაც ვერ გამოვასწორებო...**

- მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელ თბილისს განუმეორებელი, უნიკალური სტილი აქვს...

**- შეიძლება, ის, რაც ხდება, არქიტექტორების ბრალი ნაკლებად იყოს, ვიდრე იმ ჩინოვნიკებისა, ვინც ამ მშენებლობების ნებართვას გასცემს. თქვენ ბრძანებთ, რომ დიზაინერი ინტერიერს ისე აწყობს, რომ გარემოს მიუსადაგოს. არქიტექტორმა ხომ უფრო უნდა გაუწიოს ანგარიში გარემოს. ამის რეგულირება ხომ მხოლოდ არქიტექტორების ან მხოლოდ პროფესიონალების კვალიფიკაციაზე ან ესთეტიკაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ქალაქის სახეს უნდა იცავდეს ადამიანი, ვინც კანონს აღასრულებს. ქალაქის სახე უნდა დაიცვან ადამიანებმა, ვინც შესაბამის პოსტებზე არიან დანიშნული. ისინი კი აღასრულებენ თავიანთი დამმნიშვნელის მსოფლმხედველობას და ეს ჩვენს ყოფაზე, დღევანდელ მდგომარეობაზეა არეკლილი. ჩვენ აღშფოთებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ არ არის დაცული კანონი, რომ გასაქანი ეძლევა თვითნებობას, თავხედობას, ანგარებას, კორუფციას, მაგრამ არ მახსენდება, რომ მათი ზემდგომი პირი ამის გამო აღშფოთებულიყოს. პირიქით, სხვადასხვა ფორმითა და ფრაზებით აქებს ამ ტენდენციას და აღმშენებლობის პროცესად ნათლავს. ეს ქალაქი ვისთვის შემოსავლის ზრდის, სიმდიდრის მოხვეჭისა და პირადი კეთილდღეობის წყაროა, ვისთვის - სამშობლო. კონფლიქტის საფუძველიც ეს არის.**

- ყოველთვის ასეთი ვითარება იქნება ყველა სფეროში, სანამ არ მოიშლება დაუსჯელობის სინდრომი. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ადამიანებს, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრიათ, პოლიციის მაღალი რანგის მოხელე იქნება ის თუ მინისტრი. ამ ადამიანებისთვის კი ყველაზე მკაცრი სასჯელი ან სამსახურიდან გათავისუფლებაა, ან სხვა, მაღალ პოსტზე გადაყვანა. ვიღაცა მილიონებს მოიპარავს და - არაფერი, უბრალოდ, სამსახურიდან გაათავისუფლებენ. ამ დროს ციხეში გზავნიან დამშეულ ქალს, რომელმაც რვა ლარი მოიპარა, ან ვიღაც საცოდავ ნარკომანს, რომელიც საკუთარ თავს ვნებს, ავადმყოფია და დაპატიმრება კი არა, მკურნალობა სჭირდება. დავუშვათ, აშენდა შვიდსართულიანი სახლი, რომელიც დამტკიცებული პროექტით ოთხსართულიანი უნდა ყოფილიყო. ამ სახლს არავინ ანგრევს. უბრალოდ, მისი პატრონი იხდის ჯარიმას - ვთქვათ, 500 ლარს ყოველი ზედმეტი სართულისთვის და საქმეც მოგვარებული აქვს. ეს ხელს აძლევს ყველას - ჯანსაღი საზოგადოების გარდა; ამგვარი საქმეებით გვარიანად ითბობენ ხელს ჩინოვნიკები. და სანამ არ ამუშავდება მექანიზმი, რომ უნდა დაისაჯოს ის, ვინც დასასჯელია, ჩაკეტილ წრეში ვიტრიალებთ.

**- მაგრამ გულხელდაკრეფილი ჯდომაც არ ივარგებს. ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, რომ კანონი დაიცვას. როგორც ჩანს, ამას თავისით არ გააკეთებს. ან რატომ გააკეთებს, როცა ყველაფერი გასდის. ის, რაც ნადგურდება, ჩვენი სახელისუფლებო წრეებისთვის არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს, ასე რომ, დანანების გრძნობა არა აქვთ; კანონს არღვევენ და ამისთვის პასუხს არავინ სთხოვთ, პირიქით, შემოსავლის წყარო ეზრდებათ, მდიდრდებიან, ზულუქდებიან. რატომ გაუშვებენ ამას ხელიდან, თუ არ ვაიძულეთ.**

- საზოგადოებამ უთუოდ უფრო მკვეთრად უნდა მოითხოვოს კანონის დაცვა. თუნდაც მერკანტილური მიზნით. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძველ უბნებში სახლების ფასი ეცემა. სულ ცოტა ხნის წინ, ვთქვათ, ვერაზე, სახლები ყველაზე ძვირი იყო. ამ უბანს ფასი ჰქონდა, რადგან ქალაქის ცენტრშიც იყო და მშვიდი, წყნარი ადგილი გახლდათ. მაღალი კორპუსების შენებამ უკვე გააუფასურა ამ უბანში სახლები. ყველა ქვეყანაში, ყველა ქალაქში უძრავ ქონებას სხვადასხვა უბანში სხვადასხვა ფასი აქვს, მაგრამ ძვირ უბანში აშენებული ოთხი სართული უფრო ძვირია, ვიდრე სხვა უბანში - რვა სართული. დღეს კი ვერაზე სახლების ფასი ეცემა, რადგან ბევრს არანაირი სურვილი აღარა აქვს არც იმ კორპუსებში და არც მათ "ჩრდილში" ცხოვრებისა.

**- რაც ახლა ხდება, არაბუნებრივი პროცესია. ბუნებრივი ის იყო, რამაც თავის დროზე ხიბლი შესძინა თბილისს - აღმოსავლეთისა და დასავლეთის შერწყმა. სხვათა შორის, მალე გამოვა ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანების კრებული "აღმოსავლურ-დასავლური დივანი", რომელიც მკითხველისთვის საუკეთესო საჩუქარი იქნება. ეს წიგნი იმიტომ ვახსენე, რომ აქაც გაერთიანებულია აღმოსავლეთი და დასავლეთი და ერთმანეთის გვერდით წაიკითხავთ ევროპელი და აზიელი საუკეთესო პოეტების, თუნდაც ჰაფეზისა და რილკეს საუცხოო თარგმანებს. ჩემი აზრით, ძალზე ნიშანდობლივია, რომ კრებულში ერთად იბეჭდებიან აღმოსავლელი და დასავლელი პოეტები; ასე შედგენილი წიგნი თვალსაჩინოდ გამოხატავს თბილისელი კაცის მსოფლმხედველობას. ჩვენთან ეს ორივე ნაკადი ყოველთვის მძლავრად იყო გამოხატული, ლიტერატურაშიც, მხატვრობაშიც და ყველაზე თვალსაჩინოდ - არქიტექტურაში.**

- დიახ, ამის სანიმუშო მაგალითია სოლოლაკი, სადაც სახლები გარედან დასავლური ყაიდისაა, ეზოს მხრიდან კი - თავისი აივნებით, დახვეული კიბეებით, - აღმოსავლური. ალბათ ყველაზე თბილისური ადგილი იყო რიყე, რომელიც, ჩვენს თაობას, სამწუხაროდ, ფოტოებითღა შემორჩა. სწორედ რიყის მხრიდან იშლება საუცხოო ხედი და საცოდაობაა, იქ რომ მაღალი კორპუსები იდგმება.

**- სხვათა შორის, ამას წინათ იუნესკოდან ჩამოვიდა მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტი, რომელსაც ძველი თბილისი უნდა წარედგინა მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად. მაშინ სახელისუფლებო წრეებში იყო ერთი ნაწილი, რომელსაც უნდოდა, მხოლოდ ზემო და ქვემო კალა წარედგინა. ჩვენ გვინდოდა, ნუსხაში ძველი თბილისი მთლიანად შეეტანათ. ამ სრულიად უცხო კაცმა, რომელმაც ოთხი-ხუთი დღე გაატარა თბილისში, მითხრა და დაწერა კიდეც, წარმოუდგენელია ამ კონტექსტის, ამ ჰარმონიის გახლეჩვა, რადგან აქ ყველაფერი ისეა შერწყმული, რომ კალა და XIX საუკუნის თბილისი უთუოდ ერთად უნდა იქნას წარდგენილი; შეიძლება, ძველი თბილისი სწორედ ამ ჰარმონიის გამო შევიდეს ნუსხაშიო.**

- ჰო, როგორც ჩანს, უცხოელები უკეთ ხვდებიან ძველი უბნების მნიშვნელობას. იქნებ, ეს ქართული ხასიათია - არ მოუფრთხილდე იმას, რაც გაქვს და მხოლოდ დღევანდელი დღით იცხოვრო; ან იქნებ ის, ვისაც მაღალი პოსტი უკავია, ცდილობს, რომ მოასწროს და, სანამ ამ თანამდებობაზეა, მაქსიმალური ქონება დააგროვოს? სხვათა შორის, ჩვენს დაუდევრობასთან დაკავშირებით გამახსენდა: სახელოსნოს დაქირავება მინდოდა და კიროვის ქარხნისკენ დავიწყე ადგილის ძებნა. მაშინ ვნახე კუპონებით შეძენილი ფაბრიკები, სადაც 300-400 კვადრატულმეტრიანი ფართები ცარიელია. მუშა ჩარხები ჯართად გაიყიდა ირანში. მაგალითად, სამტონიანი ჩარხი (ასეთი სულ ორი ცალი ყოფილა საბჭოთა კავშირში) 50 ლარად გაუყიდიათ. ჯართად გაყიდეს დანადგარები, რომლებიც იმდენ პროდუქციას გამოუშვებდნენ, რომ მთელ მსოფლიოს დააკმაყოფილებდა. ახლა ყველაფერი გაპარტახებულია, თავიდან აწყობა უკვე შეუძლებელია და ყველაფრის მიზეზი ისაა, რომ ეს საწარმოები რამდენიმე კაცის ჯიბის გასასქელებელ წყაროდ იქცა. არის საშიშროება, რომ ამავე მიზეზით გაპარტახდეს ძველი უბნებიც. ნუთუ ვერ უნდა შევძლოთ, რომ ძველი თბილისის პატარა ტერიტორია შევინარჩუნოთ. მაგრამ გამუდმებით იყიდება ეს ტერიტორია. აგერ, ამერიკის საელჩო შენობაში ვერ ეტევა, ყიდულობს მიმდებარე სახლებს, კეტავს ქუჩას. ხომ შეიძლება, საელჩოებს სადმე, სხვაგან მისცე ნაკვეთი და თვითონ ააშენონ. სოლოლაკი ისე გაიჭედა სამინისტროებით და საელჩოებით, რომ უკვე სიარული ჭირს. რატომ უნდა იყოს ყველანაირი დაწესებულება მაინცდამაინც ამ უბანში!

**- ამ ტენდენციას სათავე დაუდო კანცელარიის (ადრე ცეკას) შენობამ, რომელიც სიმბოლოსავით გამოიყურება. ეს იყო ამ უბანში ერთ-ერთი პირველი მოძალადე სახლი. სოლოლაკის არაჩვეულებრივ გარემოში ამ შენობის ჩადგმა იყო ნამდვილი ძალადობა კულტურაზე; ამ სახლიდან მისი ფორმის შესაბამისი მსოფლმხედველობა ვრცელდებოდა; აქ დასხდნენ ადამიანები, ვისაც ისეთივე დისონანსი შემოჰქონდათ ქართულ კულტურაში, როგორც თვით შენობას - ძველ უბანში. ეს ინერცია დღემდე გრძელდება. ისევ ის ადამიანები ან მათი სულიერი მემკვიდრეები განაგრძობენ საბჭოეთის პერიოდში დაწყებულ საქმეს. და ამ მსოფლმხედველობის ადამიანების გადასაწყვეტი ხდება ქალაქის ბედი, ქვეყნის ბედი.**

- ეს ბუნებრივია, რადგან თანამდებობებზე იგივე ხალხია, ამიტომაც იგივე ხდება. ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა მოგინდეს, რომ ვორონცოვის სასახლეს, კოშკს, სადაც ერთ დროს ვიოლინოზე უკრავდნენ, პარკის ნაწილი ჩამოაჭრა და იქ მახინჯი შენობა ჩადგა. მაგრამ, ვთქვათ, ვიღაცას ასეთი სურვილი გაუჩნდა, რატომ არ უნდა ხერხდებოდეს, რატომ უნდა იყოს შეუძლებელი ასეთი უკულმართი სურვილების ალაგმვა?

**- შეიძლება ცოტა უცნაური პარალელი გამოვიდეს, მაგრამ დღეს იგივე ტენდენციაა, რაც 30-იან წლებში იყო. ფიზიკურად მოსპეს მიხეილ ჯავახიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ევგენი მიქელაძე. მერე ბრძანეს, სახელოვნებო სამყაროს რიგები შეთხელდა, რადგან მავნებლებისგან გავწმინდეთ და ახლა მუშებითა და გლეხებით უნდა შევავსოთო. შეავსეს კიდეც. დღეს იგივე ხდება ძველ თბილისში - ნადგურდება, ინგრევა ქართული კულტურის ნიმუშები და მათ ადგილებს იკავებს მდაბიური ნაგებობები.**

- ვიზუალურად ყოველთვის ძველი სახლები სჯობია, მაშინაც კი, როცა მათ სრულიად უბრალო ფასადი აქვთ, ელემენტარული დეკორით. ხომ შეიძლება, ამ სახლების ასლები გაკეთდეს. დავიცვათ ეს სტილი, ნუ დავარღვევთ ქალაქის და ქუჩის სტრუქტურას, გარემოს. უამრავი სახლი აშენდა ამ ქალაქში, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ - რომელია ახალი სიტყვა არქიტექტურაში?

**- მარტო ახალი სიტყვის თქმაც არ არის საკმარისი. თქვენ რომ ხატავთ, ან მე რომ ვწერ, გალაკტიონის სტილში ხომ არ შემაქვს შესწორებები, მის ხარჯზე ხომ არ ვწერ. იმას პატივს მივაგებ, მოკრძალებით ვეკიდები და მერე ჩემსას ვწერ; ან თქვენ - კლასიკოსის ტილოს ხომ არ ჭიმავთ თქვენს მოლბერტზე და ზედ ხომ არ ხატავთ. არქიტექტურაში კი პირიქით ხდება - ძველი ქალაქის ჩამოყალიბებულ, არაჩვეულებრივ ანსამბლში იჭრებიან; რაც არ უნდა კარგად ჩაერიო არქიტექტურულ ანსამბლში, ეს მაინც დანაშაულია. თუ ნიჭიერ არქიტექტორს სურვილი აქვს, თავისი სიტყვა თქვას, საამისოდ ფართო ასპარეზია, რაღა მაინცდამაინც ძველი გარემო უნდა დაარღვიოს... ისე, კაცმა რომ თქვას, ნიჭიერი კაცი არც მოინდომებს ძველი უბნის სტრუქტურის დარღვევას. ეს იგივეა, ფიროსმანის ტილოზე რომ რამე დახატო.**

- მე ვფიქრობ, ნაკლები პრეტენზია უნდა გვქონდეს მესაკუთრის მიმართ. მესაკუთრეს ფული აქვს, ლამაზი სახლი უნდა და ჰგონია, რომ რასაც უშენებენ, ლამაზია. დამნაშავე ისაა, ვინც უმტკიცებს, ეს კარგიაო. ბოლოს და ბოლოს, ელემენტარული კოლეგიალობის გამო მაინც ხომ შეიძლება, ძველი არქიტექტორების ნამუშევრებს გაუფრთხილდნენ. მასშტაბი მაინც დაიცვან. ამაზე პასუხობენ ხოლმე, რომ ინვესტორს მოგება უნდა დარჩეს. მაგრამ თუ სტანდარტები დაცული იქნება, ასეთ უბანში სახლი გაცილებით ძვირი ეღირება. კანონი თუ სრულდება, ყველაფერი თავისთავად გვარდება, ოღონდ ეგ არის, მაშინ ჩინოვნიკი ხელს ველარ მოითბობს.

**- ალბათ ამიტომაცაა, თუ ვინმე საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშნეს, დიდის ამბით ულოცავენ. სინამდვილეში კი, ჩვენს დროში, ეს მისალოცი ნამდვილად არ არის.**

- სინამდვილეში ასეთ პოსტზე მუშაობა, თუ მართლა საქმის გაკეთება გინდა, სატანჯველია.

**- თუ კაცი თანამდებობაზე იმისთვის მიდის, რომ საქმეს უშველოს და პასუხისმგებლობას გრძნობს, კი არ უნდა მიულოცო, უნდა მიეხმარო.**

- უნდა უთანაგრძნო. მაგრამ ჩვენთან კანონი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა. ეტყობა, ქართულ აზროვნებაშია ჩამჯდარი, რომ კანონის დარღვევა არ არის დანაშაული. მე მგონია, რომ ეს ხანგრძლივი ოკუპაციის შედეგია. საბჭოთა კავშირში ოკუპირებული ქვეყანა ხარ და თვლი, რომ ეს არ არის შენი კანონი, რომ რუსებმა მოგახვიეს თავზე და რასაც წაგლიჯავ, ალალია. მაგრამ ახლა ხომ დამოუკიდებლები ვართ, ეს ბიუჯეტი ხომ ჩვენია, ქვეყანა ხომ ჩვენია.

**- მაშინდელი და ახლანდელი განწყობილება ერთია: როცა დანაშაულებრივია ხელისუფლება, გასაქანი ეძლევა უკანონობას და აგრესიას და შენს კანონს შენ თვითონ წერ.**

- როცა ყველა თავის კანონს წერს, ქაოსია. და დღეს ჩვენთან სწორედ ასეთი ვითარებაა.

**- თვითონ კანონებიც უნდა გამარტივდეს. კანონი ისეთი მარტივი უნდა იყოს, რომ ყველამ იცოდეს, რისი უფლება აქვს. ჩვენთან ისეთი ტექსტებია, რომ საშუალებას იძლევა, ქოთანს საიდანაც გინდა, ყური იქიდან მოაბა.**

- გავრცელებული ფრაზაა: გენიალობა ნიშნავს ნიჭისა და ზომიერების გრძნობას. სწორედ ეს ზომიერების გრძნობა არ გაგვაჩნია - მშენებლობაში იქნება, გამოსვლებში თუ ხელოვნებაში. ჯობია, რაღაც დამაკლდეს, ვიდრე მომყირჭდეს, მომჭარბდეს. იგივე სპექტაკლში, კინოში, ლიტერატურაში, თუ შეიძლება რაღაცის ამოღება, ესე იგი, ის რაღაც ზედმეტია, შესამცირებელია.

**- თუ შეიძლება სახელისუფლო შტოებში ვიღაც ამოვიღოთ ქალაქის ბედის გადამწყვეტთა ნუსხიდან, ესე იგი, ის ვიღაც ზედმეტია, შესამცირებელია.**

- კი ბატონო, დავუნიშნოთ პენსია, შეღავათები.

**- მათ ამ ქალაქის დამახინჯების ხარჯზე იმდენი რამ იშოვეს, რომ პენსიები იქით უნდა გასცენ.**

- არ შეიძლება, ცხოვრება მოიწყო სხვის ხარჯზე.

**- არ შეიძლება, ქალაქის უბედურებაზე აშენო შენი ბედნიერება. თან მათი ბედნიერება ძალიან ძვირი უჯდება ქალაქს. ქალაქის ბედი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და ეს ალბათ თითოეულ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რათა ყველანაირი საშუალებით დავიცვათ ეს ქალაქი.**















ქალაქური პროზა

აკა მორჩილაძე

# ძირს სიმინდის რესპუბლიკა!

*რომანის გაგრძელება. დასაწყისი იხ. "ქომაგი" NN9-10, 2002, „24 საათი“ N0, 13, 27,41*

## XI თავი

იქ მიმიყვანა იმ გოგომ და, რო გამოვიდნენ, დამანახა, აგე, ეგ არიო. კაი, გასუქებული, კაი, ნაჭამი და კაი ხასიათზე. მეტროში თუ ჩამასწრო, სმერტია-მეთქი. მეტროში მე აზრზე არა ვარ. ვერ მოვედი აზრზე, იმიტო რო ამათი დაწერილი არ მესმის. მე, სანამ მანქანა იყო, იმენნა მანქანით გატარებიებდი თავს, იმიტო რო, აქეთა რული არ ვიცი. ვერ დავამუღამე, როცა მარცხნიდან უნდა შეხვიდე, რატო უნდა შეხვიდე მარჯვნიდან, ან როგორც არი. აი, ხო არეული მაქ. თან აქ მაგრა ნელა დადიან. ხო, ეგ ახლა, რა? ვაბშე უფულო ვარ, რაც მამუკა წავიდა გერმანიაში, მეც უფულო დავრჩი. მეც ხო თბილისში უნდა ჩავიდე და იქიდან გერმანიაში, სადაც მამუკამ შემოთვალა, რო მომ-ჯდარა. იქ ახლა ეს ვიზაც გადის და ვაბშე უფულოთ ვარ, თორე ეგეთი რამეები მაგრა მეზარება. განა არ არი, რო გასაწენი ვერ იპოვო, მარა ეგ არი ბოლო პასადკა. ისეთი საქმე არ არი, რო მართლა საქმეა. ერთხელაც გაწეწავ და თუ თბილისში კანეცი არა აქ, დაგაყენებს აქაურ ძაღლებს. თან რამდენი უნდა გაწეწო, ფული აქ ვის აქ, მეტროთი დადიან.

ამიტო ორასი მანეთის ამბავი იყო. ორასი ფუნტის. რატო არა, რო? პასტუპოკი არ მოგიწონესო, ვერ იტყვიან. ნათესავიაო, ვიტყვი. თან ვინ გაიგებს. შობა მოდის, მათხოვარი ვარ? მამუკა სანამ იყო, პლანიც იყო, კოკაც იყო, იმის ბარიგას მეც ვიცნობ, მარა ნისიაზე მივიდე? გაეცინება მაგის ნაწნავები დამეხვიოს.

ამიტო, რა, ეს გოგო მაგარი ნაბოზარი გოგოა. ის კიდე ჩემი ტოლა ბიჭია და სასწავლებელში დადის. ცოლი ყავს, ქალი ყავს, სასწავლებელში დადის და ახლა კიდე ერთი ქალი ყავს. ამ ქალებში ისეა, როგორც კაზინოში. აბა ფიშკები და ალაგებს და ალაგებს. ცვეტნოია, რო ფული არა აქ და აკლდება. ამ სამზე. კაზინო რაა, აი, მაღლა რო ქუჩა მიდის, კიდე იმ თათრის მაღაზია როა, შუქებჩამოკიდებული, იქამდე არი კაზინო, მე და მამუკა დავდიოდით, ერთს გამოვართვი კოსტუმი. აი, ვითომ იქ არი და სუ წაგებაშია. პროცესში აგებს მაგრათ. პროცესში კიდე ეს მაგის ქალიც აგებს და ცოლიც აგებს და უფრო წააგებენ, ის მესამეც თუ გააძრო.

გადაუხვია ქუჩაზე და ამ გოგომ, დავაიო, დაეწიეო და დავეწიე, ერთი წუთი-მეთქი, მეგობარო, ორი სიტყვა. ეს ჩათლახი ინგლისურათ არ მპასუხობს? უსწავლია იმ სასწავლებელში, ლაპარაკი და ეგრევე კურტკის ბოლო მოვიფარე და წკლაპ! გავუხსენი, მეთქი, ეგრე ელაპარაკე, შე ნაბოზარო ზანგები რო გამოვიდნენ იმ შენი სასწავლებლიდან და უსვაგლაზები რო გამოყვენ. ეგრე, მაგათ ელაპარაკე და ერთი აბა, მივდგეთ. ადგილი იყო ისეთი, წინ რო მაღაზიებია და ქუჩას რო ამოყვები, ამ მაღაზიების უკანა კარებები როა და დიდი სორნიაშიკები და მივაყენე. ეს დანა წკლუპ და ჯიბეში და მე უთხარი, ეგრევე, ჩემი სახელია ჯამბულა და დასაშტრაფი ხარ-მეთქი და ისიც უთხარი, რო თამუნას ნათესავი ვარ და პროსტო არ გაპატიეფ ამ გოგოს რასაც უშვები. რას ვუშვებიო, აქ ჩამოვიყვანეო, ბინა გავაჩალიძეო, სასწავლებელიო, ახლა სამუშაოც გამოჩნდებაო და ოჯახის დანგრევა ეგრე იოლი კი არ არიო. ნასესხები ფულით წამოვიყვანე და გათავდა ეგ ფულიო. ახლა მე რო ცოლისძმისგან მაგასთან გადმოვიდე, სუ დავკარგავთ ყველაფერსო. ყველა ორ ოთახში ვართ შეჭედილიო, იმ პონტში, რო ცოლს შეურიგდიო და იმიტო შეურიგდი, რო ეგ წამომეყვანაო. და გაუშვა და გაუშვა. ლაყბობს, ენა იმსიგრძე, გადებ წყალზე დიდ საათთან, მეორე მხარეს გახვალ.

ეს ვაცალე და აი, რა მაქ შენახული ჯიბეში: და ის ერთი გოგო როა, რო დამწვარი ხარ, პატარა გოგოს რო ნახულობ და ებაზრები და ებაზრები და რა ვიცი, კიდე რა-მეთქი? ძაან შორს დაიჭირა, დაიგინა, გამოიგინა. გათეთრდება, გალურჯდება, ისევ გაწითლდება. წითელია, ვაშლივით. ამ ქალების ხო არ იცი? ქონიანი და წითელი-მეთქი, როგორი დამწვარი ხარ. და არაო. მე გამოვყავარ სიაბანდი. და ერთი გავიხედ-გამოვიხედე, ზანგის ბებიამ ჩაიარა და ეს დანა, ეგრევე გაუხსნელად, დავაი შუბლში, ერთი, ორი, სამი. მეთქი - კოპი ედოს, რო ფული უფრო კოხტად მოვიდეს, ამის გაწვალებული ქალებისგან.

არაო.

რა არა, ბიჭო, გინდა ბალში* გაგიყვანო და დაგმარხო? ციყვის მეტი ვერ გიპოვის ვერავინ-მეთქი, ბიჭო. დასაშტრაფი ხარ და არა მაქო. ვიცი, რო არა გაქ, რო გქონდეს, ეს გოგო რაზე აწევდა ამბავს? მეთქი, არი, ის მესამე? არი ოჯახი? ან მოიყვანე ჩემი ნათესავი, ან თავი გაანებე. თუ არ ანებებ თავს, მაშინ შეინახე და ის მესამე გოგო გაქრეს.

ახლა ვუყურებ. არც მოყვანა უნდა, არც თავის დანებება, არც იმ მესამე გოგოს დათმობა და ცოლთანაა კარგათ არი. ეგეთია და ორასი მანეთის გულისთვის მართლა ხო არ გავჭრი? მარა ვაწვები და უცბათ მეუბნება, შენო, არ იციო, ის მესამე გოგო სხვა პონტიაო. ეგ ქალის პონტი არ არიო. ახლა გამეცინა. წამოდიო, დავჯდეთ კაფეშიო, ვილაპარაკოთო, ჩემი თამუნას ნათესავი ყოფილხარო, ეგება ერთადაც კარგად გავჭრათ რამეო. ისეთი გაუშვა, ჩემზე კაი დღეში არ იყო ნაღდათ და სალფეთქი, ან ცხვირსახოცი რო მქონოდა, იმ დასიებულ შუბლზე დავადებდი სველ-სველს.

რა არი-მეთქი, რა არი? და საქმეაო, მაგარი ფულის გაჭრა შეილებაო. მარტო ვჩალიჩობდი, მარა, რახან ეგრეაო, დავაი, წილში იყავიო. ერთ კაი ათპროცენტიან წილში ჩაგსვამო. მეთქი, პროცენტებს მერე დავითვლით, ახლა ჯერ თქვი. შავი პივა ამილო, მე რო მევასება ის. კუთხეში მივჯექით, გავახვიე ჩემი ტაბაკი დაიმანაც გასახვევი ამოილო.

ეს გოგოს ამბავი ყოფილა. თბილისიდან მომაქ ეგ ამბავიო, ვეძებე და მივაგენი მაგ გოგოსო და ახლა ისეთი რამეა, რო დავერიაში შევდივარ, იმ კამპოტში, რო ვითომ მიყვარსო და მერე გაიასნდებაო. რა, მეთქი და, ფიროსმანი გაგიგიაო?

ფიროსმანი გამიგია-მეთქი, ვეუბნები, რო თქვა, არ გამიგიაო, ხაიაა. რა იცი, რა ბაზარია? ხოდა, ეგ გოგო და ბაბუამისი აქ ადრე ჩამოვიდნენო და ბაბუამისმა აქ ექვსი ფიროსმანი ჩამოიტანაო. გადმოატარა საზღვარზე ექვსი დახვეული ფიროსმანიო და მერე აქ მოკვდა ბაბუამისიო. ეს ექვსი ფიროსმანი ამ გოგოს აქ სახლშიო და არ იცის, ყველაზე სწორედ როგორ გაასაღოსო, მარა, ნამდვილი ფასი არ იცის და სიაბანდზე გადატარება შეილებაო, ან საერთოდ, გაყიდვინება და ფულის დათრევაო. ძაან სერიოზული საქმეაო, იმიტო დავდევ მაგ გოგოს, ფული არა მაქ, თორე მაგისი გაწუწული ქათამი თავი რა ვთქვი, ქალის მეტი რა არიო.

ახლა კარგი. მარა მე რო არ ვიცი, ეს ფიროსმანი არ არი? ჯერ ვიფიქრე, რო კენჭებია, ბრილიანტებივით, მარა, თუ ბრილიანტებივით არი, დახვეული როგორ გამოიტანა? მერე ვიფიქრე, რო ხო არ არი ურანი. ურანი ხო გააქვთ ჩუმათ. გეუნები, რამხელებია ეს ფიროსმანები და გაშალა ხელები და აი, ამხელა და ამხელაო, ზომავს ჰაერში. მე არ მინახავსო, მარა ფიროსმანები ხო დიდებია საერთოდო. მიდი ახლა და გაიგე. გინახავს ფიროსმანებიო, თბილისში მუზეუმშიო? მუზეუმში ჯამბულა. ფიროსმანები. მე კიდე ვეუბნები აზრზე ვარ მეთქი და თითო რა ფასიანი იქნებათქო. თითოს, გააჩნიაო, გაყიდვაა ძნელიო, თუ გაყიდე, როგორც აქ იყიდება მთელი საბუთებით, მიარტყამს თითო სამასი ათასსო... დოლარს-მეთქი და ხოო. თუ მოჩალიჩე ტიპებში გაიტანე, ალბათ ნაკლებს, მარა საბუთები არ უნდაო, ისინი ჩუმათ გადააბარიგებენო.

ახლა ნახე... ჯერ დათვალე. იმ თამუნას ვენაცვალე. მამუკ, მაიცა, მაიცა, ძლივს რაღაცა მოდის. ეს გასიებული ბედსა მწევს.

ახლა მე ვეუბნები: კაი საქმეა და ჩემი სიტყვაც მოისმინე. ერთი, რაც როგორ წავა, ნახევარი ჩემია-მეთქი. რის ნახევარი, სულ წავართმევ, მარა ეგრე ვეუბნები. ნახევარი ბევრიაო. ბევრი შენთვის არი-მეთქი და დაადუმე ახლა. ორი, შენ ინგლისური იცი, დასტუპები გაქ, ამიტო ვისთან, როგორ, რა დავაბარიგოთ, შენ უნდა გააიასნო. სამი, გოგოს მე ვეჩალიჩები, ერთი, რო თამუნას ვანახოთ რო შენ გაჩერდი იმ გოგოს ამბავში და მეორე, რო მე ეგეთები მესმის და უფრო გავაიასნებ, დავერიას დაუჭერ, მე შენზე სიმპათიური ვარ და ბაზარში დავაბოლებ. ვითომ რაღაცის თქმა უნდა, მარა-მეთქი, პაპა რიმსკი გელაპარაკება, ბიჭო, სახლამდე ხო უნდა მიხვიდე და გამოვკითხე ოტიდო, ვინ არი ეს გოგო, რა პალაჟენიეზე არი, სად არი. ერთი იქითის იქითა უბანი მითხრა, მეტროთი სასიარულო, იქ მუშაობს გასტრანომშიო,** ვიდიანი გოგოაო, მე სულ ორჯერ შევხვდიო, გასტრონომში შევედი და ვითომ რამეს ვყიდულოფ და ქართველი გამოვდექიო, ეგრე გავედი მაგაზეო და მერე შეხვედრა დავუთქვიო და კიდე ერთხელ დავპატიჟეო. ფული უნდა, რო დავერიაში შეხვიდე, გაატარო, თეატრში წაიყვანოო, სოჰოში ჩამოაჯინოო. ეგ სოჰო მეც ვიცი. მაგარია. ძაან მაგარია. მამუკა რო იყო, ავიდოდით იმ პლოშადიდან ბავშვის ძეგლი როა*** და სულ ხან ქალების გახდას ვუყურებდით, მერე კიდე, ქალებთან ავდიოდით, ის კლიენტი იყო, ჯერემია, ზანგი იყო, იმას ვეტყოდით, სუ პადიეზდთან იდგა, შევიდოდა, გვეტყოდა, ამოდით.

ზანგის გოგო მენატრება.

აი, აქა ვარ და ზანგის გოგო მენატრება. გავჭრით, აბა, რას ვიზამთ. სუ ჩინელებში ვჭამდით. და მეთქი, ხვალ ამ დროს, ჩემი ლამაზი და კაი ბიჭი, შევხვდებით შენ სასწავლებელთან და მიმიყვან იმ გასტრანომთან, აქედან რო შორია. დანარჩენი მერე. აქეთ ცხოვრობსო. ხოდა, მაშინ სახლთან დამაყენე-მეთქი. თუ იქით მუშაობს და აქეთ ცხოვრობს.

იმ გოგოს სახელი - ნინი.

მე მქვია ჯამბულა. ისე, მამაჩემმა გია დამარქვა.

მე კიდე ახლა ვფიქრობ, ფული ხო მინდა სადვიჟენიო? გოგოს ყავა უნდა, რამე, ცოტას დალევს, მეტს ილაპარაკებს. ვინ შევაწუხო ახლა ფულზე? და გამახსენდა. ბაღის მეორე მხარეზე, მაღლა შეუბერავ. ბლომათ სასიარულოა ფეხით. იქ დიდი მაღაზიაა, ქართველებიც რო იდგენ ხოლმე. იმის მაღლა, არი რა... მარჯვნივ... კაროჩე, სესხათ-მეთქი და მერე თუ ფული გაიჭრა, ვალს კი არა, რესტორანი თუ არ ვიკისრო... კაი ბიჭია, პატიოსანი ბიჭია, იშოვის. რამდენჯერ მამუკას რაღაცები გააიასნებინა. ღამეც მიძინია მაგასთან. ძან პატარა უბორნია აქ, უბორნიაც არი და დუშიც. გეგონება დუშშია უბორნია. კაი ბიჭია, გავალ თავს გავახსენებ.

ფული მინდა.

გოგოსთან ისე რა დავერიაში შეხვალ? თან თურმე მარტოა, კარი სულ ჩაკეტილი...

ახლა, კიდე ის რო .

## ისინი ჩამოვიდნენ

სადგურის ბაქანზე მდგომი სამი ადამიანი, ერთი შეხედვით ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ძველ და ახალ რუსულ ფილმებში გამოიყურებიან ხოლმე ბაქანზე მდგომი ქალი, კაცი და პატარა ბიჭი. ოღონდ, ძველ ფილმებში მათ ბედნიერი სახეები აქვთ და ერთ ოჯახად არიან. ახალგაზრდა ინჟინერი დიდ მშენებლობაზე ჩამოსულა და ცოლ-შვილიც ჩამოუყვანია. სახეზევე ეტყობა, რომ სიძნელეებს დაამარცხებს და ოჯახობაც ბედნიერი ეყოლება. ახალ რუსულ ფილმებში კი ამ ქალს, კაცს და ბავშვს დამფრთხალი სახეები აქვთ. იმ ბედნიერი გმირების თანამედროვენი არიან, მაგრამ კაცი ქურდია, ქალი მატარებელში გაცნობილი და ტამბურში უკვე გაიმასქნებული მარტოხელა დედა, ბიჭის მამა კი უცნობია. ასე მოითხოვა დრომ. ის ლაყე ბედნიერება ამ ლაყე უბედურებად გარდაისახა. ხოლო ის კაცი, ვინც ცოლ-შვილთან ერთად მართლა იდგა ბაქანზე ზუსტად იმ დროს, როდესაც სხვადასხვა ეპოქის გმირები ტყუილად იდგნენ და მებარგულს ელოდებოდა, რათა რამდენიმე ყუთი და ორი შეჭედილი ჩემოდანი ურიკაზე შემოეგდო, არც ბედნიერი იყო და არც დამფრთხალი. ის დაღლილი გახლდათ. დაღლილი იყო მისი ცოლიც, აშკარად რუსი, სადა და მკრთალი იერისა. ხუთი წლის ვაჟს კი კეპი კეფაზე გადაეგდო და უაზროდ ღრღნიდა ბლითს.

"ჩამოვედით", თქვა კაცმა და კოხტად შეკრეჭილ ულვაშზე ჩამოისვა ხელი, "აი, თბილისი გალკა"...

ცხრამეტი წელიწადი არ ყოფილიყო აქ და ხეირიანად აღარც ახსოვდა. უფრო იმიტომ, რომ როცა წაიყვანეს, ბავშვი იყო, ახლა კი ოცდაათი წლის კაცი, რომელსაც უკვე ცოლიც ჰყავდა და შვილიც. აქ მას საერთოდ არავინ იცნობდა. მისიანებიდან აღარავინ იქნებოდა ცოცხალი, ამიტომ არც არავის ეხსომებოდა მისი ბავშვობის სახელი მიხო. ახლა იყო მიშა მაჭავარიანი, ლაგერისა და გადასახლების ხალხისგან მიულია გრუზინად წოდებული. უწლოვანის ლაგერში ჩამოზრდილს, თავიდან უფროს ძმასთან ერთად მოხვედრილს. არჩილა 1939 წლის შემდეგ აღარ ენახა. ამბები კი მოსდიოდა, მაგრამ ძმას ვეღარ იცნობდა. არჩილას სახელი კი უწლოვანებშიაც შველოდა, დიდებში მოხვედრილი არჩილა სულ მალე რამკიანი ქურდი შეიქნა და მერე ომში წასვლაზეც უარი თქვა. ომი ოთხი თვის დამთავრებული იყო, როცა მიხო დიდების ლაგერში გადაიყვანეს. ოთხ წელიწადში კი თავისუფალ გადასახლებაში გაამწესეს, მისნაირებით სავსე ქალაქში, სადაც გეოლოგიური ტექნიკუმი დაამთავრა და სამუშაოდაც მოეწყო...

ბევრი არ უფიქრია, ჩაალაგეს და წამოვიდნენ. რეაბილიტაციაში ყველაზე კარგი ის ეგონა, რომ შინ დაბრუნება შეიძლებოდა. გალკა უფრო ფრთხილობდა. არც სახლი, არც კარი. "ხუთ წელიწადში ვიყიდით", უთხრა მიხომ, "მანამდე რაღაცა იქნება. იმხელა სახლი გვქონდა"... სამი წლის შემდეგ გალკამ ამოიოხრა, "მიშ, ჩვენ არასდროს გვექნება რამე". მიხო გეოლოგიურ სამმართველოში, ერთ-ერთ ლაბორატორიაში მსახურობდა ლაბორანტად. რახან უნივერსიტეტი არ დაემთავრებინა, უფრო შემოსავლიან თანამდებობას ვერაფრით დაიკავებდა. ახლაღა სწავლობდა დაუსწრებელზე. "კი", გააწყვეტინა მიხომ, "გალკა, ჩვენს ძველ სახლს მივაგენი. იმ სახლს ვიყიდი"...

გალკას გაუკვირდა. მიხომ კი იცოდა, რასაც იზამდა. იმ საქმეს უნდა მიჰყოლოდა, რაც გეოლოგიაზე უკეთ იცოდა. მიხოს ბანქოს თამაში შეეძლო, ნებისმიერი თამაშისა. ლაგერში არასოდეს უთამაშია. უყურებია კი. მერე, გადასახლებაში, ბანქოც ჰქონდა და ამოცანებიც ამოუხსნია. ეს ერთადერთი გასართობი იყო. მაგრამ მიხო აცხობდა, რომ ამ საქმეს შეძლებდა. დაისვამდა ხოლმე გალკას და ეთამაშებოდა. მერე მეზობლის პატარა ბიჭებს ართობდა სულ სხვადასხვანაირი თამაშებით, სამსახურშიც იოლად გააწევინა გვერდით ჭადრაკი და თუმცა, საბჭოთა კავშირში ბანქო აზარტული, თითქმის აკრძალული რამ იყო, მისი ეს გატაცება არავის სცემია თვალში. ერთ მშვენიერ დღეს მიხომ ეს ყველაფერი შეწყვიტა და გალკას ჰკითხა: "აბა, თბილისი როგორი ქალაქია?" "კარგი", მიუგო გალკამ, "მზეა და ჩრდილი". "უფრო კარგი იქნება", .

ვერის სასაფლაოს კიდეზე ერთი ქურდი ცხოვრობდა, რომელსაც ცობეცა ერქვა. ცხოვრობდა დიდად მართალი ნათქვამი ვერ გამოვიდოდა, რადგან ბებერი ცობეცა დის ოჯახს მიკედლებოდა სვაბოდიდან სვაბოდამდე. დიდად გაუკვირდა ამ დას, როცა კოხტა ულვაშიანი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა ეზოში და ცობეცა იკითხა. ცობეცა უკანა ოთახში იწვა, ჭერს ასცქეროდა სიბნელეში. როდის როდის გამოიტანა გარეთ დაგრეხილი და ნატანჯი სხეული.

"სალამი", უთხრა უცნობმა. ცობეცამ თავი დაუქნია. "მე არჩილას ძმა ვარ"...

"არჩილა რომელი?" დაიჯღანა ცობეცა. თუ არ დაიჯღანებოდა, ვერ ფიქრობდა.

"არჩილა სიბირსკი", მიუგო უცნობმა.

"ვაჰ", წყნარად თქვა ცობეცამ, "მე არ შევხვედრივარ. ჩვენი ძმა არი. ძან ძლიერათ არი რამკებში... ნახამ, ცობეცას მოკითხვა უთხარი. მერე?"

"მე თამაში მინდა".

"ვაჰ, რის თამაში, ზარის?"

"არა. ლაგერნი თამაშების, რაც კარტშია", დარწმუნებით შეაგება ახალგაზრდა კაცმა. "მე სულ რუსეთში ვიყავი. ვიჯექი. მერე სილკა. იქ ვთამაშობდი..."

"რაზე იჯექი?"

"ბავშვობიდან ვზივართ, მე და ჩემი ძმა". აბა ვინ იცოდა, როგორ ენატრებოდა არჩილა ენახა, ვერც იცნობდა.

"პოლიტიკურით გაგვიშვეს".

"პისიატ ვასმოით მჯდარხართ", ჩაილაპარაკა ცობეცამ.

"მაგით დავჯექით მალალეტკებში. მერე ჩემი ძმა ქურდულ ცხოვრებას მიაწვა და დიდებში რო მოხვდა, იქ წამოაყენეს. შკურა ვორმა და სერპუხოვსკიმ", აუხსნა მიხომ.

"შენ კიდე კარტოჟნიკი ხარ, არა?" ცობეცა თავის შიშველ ფეხებს დასცქეროდა. "ახლა ხო იცი, რო თუ მელიცანერი..."

"აქ არ ვიცნობ. მე ძალიან შორს ვიყავი. ვითამაშებ..." თქვა მიხომ, "რაც იყო, გითხარი. გაიკითხე..."

"კარგი. ქურდის ძმა პატიოსანი ბიჭი ხარ. გექნება შენი თამაში. კვირის ბოლოს მოდი, მაღლა, ეკლესიის უკან. ახლა გვიან ღამდება ხოლმე. ხუთზე მოდი, ვნახოთ, რა არი... ბიჭები არი"

"აი, აი, ამ ოთახში მეძინა, გალკა, ახლა კოტიკო დაიძინებს აქა... ამ ფანჯრიდან კიდე რამდენი რამე ჩანდა".

ეს ამბავი სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა გალკას პასუხზე მივიდნენ. ზურა თოფურიამ ხელები იფშვნიტა, ინერვიულა, ბევრი ილაპარაკა, ათასგვარი ტერმინი ახსენა და ბოლოს მთავარის უთქმელად გამოისტუმრა. მანქანაში რომ სხდებოდნენ, მიხომ უთხრა გალკას: "ქუდი დამრჩა, გალკა. ზურას ოთახში დამრჩა ქუდი..." და აბრუნდა. ზურა ელოდა.

"ის არის?" ჰკითხა მიხომ. ზურამ თავი დაუქნია.

"რამდენი დაგვრჩა?"

"თუ ყველაფერი ისე იქნა, რომ... წელიწადი. ხო იცი... ამაზეც ვერ დავდებ თავს. ზეგიდან კურსი დავიწყოთ და შევხედავთ. მე..."

"კარგი, შენი ბრალი ხომ არ არის?" გამოტრიალდა მიხო.

"მიშ, თქვენ ჩემთვის... მე ხო გითხარი".

"ხოდა, დაწყნარდი", და წამოვიდა, გალკა შინ დატოვა და ქუჩაში გამოსულს, ზედ კიროვის ქუჩაზე დაუქნიეს ხელი. მილიცია არ იყო, რადგან გენერლები ემეგობრებოდნენ. "რა არი?" თავი გადმოყო ფანჯრიდან.

"ერთი წუთით, თუ შეიძლება, მანქანა გადააყენეთ და ჩვენს მანქანაში დაბრძანდით", დავარცხნილმა ახალგაზრდა კაცმა ალისფერი წიგნაკი დაანახა და სასწრაფოდ შეინახა ჯიბეში.

მანქანაში ორნი ისხდნენ, ერთიც ეს დავარცხნილი. უკანა ჭაღარა იყო, მუხლებზე საქაღალდე ედო. სწორედ ის ლაპარაკობდა.

"ბატონო მიშა, ჩვენ კომიტეტიდან ვართ".

"სალამი", გაეცინა მიხოს, "ვეღარ ამოვიდა ჩემი ოჯახი თქვენი ვალიდან?"

"არ გინდათ ასეთი ლაპარაკი, ბატონო მიშა. ჩვენ ისიც ვიცით, თქვენ რა საქმიანობას ეწევით, ისიც ვიცით, რომ ბევრი მეგობარი გყავთ ინტელიგენციასა და შავ სამყაროში და ისიც ვიცით, რომ დღეს საკმაოდ მძიმე ამბავი შეიტყვეთ, მაგრამ საბჭოთა კავშირის ინიურკოლეგია სასწრაფოდ ითხოვს თქვენს ხელმოწერას და დრო არა გვაქვს, ამიტომ, ასე, უბრალო ვითარებაში ვამჯობინეთ... მამათქვენი კონსტანტინე მაჭავარიანი, თვენახევრის წინ გარდაიცვალა ლონდონში სამოცდათვრამეტი წლის ასაკში. ინიურკოლეგიამ მიიღო შეტყობინება, რომ მან მთელი თავისი ქონება დაგიტოვათ თქვენ და თქვენს ძმას, რომელიც რახან გარდაცვლილია, ვერაფერს მიიღებს, ამიტომ დარჩით თქვენ..."

მიხომ ვერ ჰკითხა, როდის გარდაიცვალა არჩილაო.

ჩუმად იყო და უყურებდა იმ ჭაღარა კაცს.

"ახლა, ჩვენი თხოვნა არის, აი, ამ საბუთებზე მოგვიწეროთ ხელი. ინგლისურადაა შედგენილი და აგერ რუსული ასლიც, რომ ეს ყველაფერი მიიღეთ..."

მიხო თითქოს უაზროდ დასცქეროდა ქაღალდებს.

* ჰოლანდ პარკი იგულისხმება. ეს ამბავი მის შორიახლოს ხდება.

** იგულისხმება "სეიFვეის" სუპერმარკეტი.

*** პიკადილი სირკური.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## პერსონაჟები რომანისთვის



გვარის ისტორიულობას სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ის ასოციაციებიც ასაზრდოებს, რომლებიც მისი ხსენებისას უმალ ჩნდება ხოლმე. მაგალითად, იტყვიან - ხერხეულიძეები და ჩაგესმება ყურში პირგამეხებული მეომრის საბრძოლო ყიჟინა, ცხენების ჭიხვინი და ხმლების ჯახაჯუხი, გონებაში ამოტივტივდება ციფრი - ცხრა...

ამ ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანები ლეგენდარული ძმების შთამომავლები არიან: ზურაბ ხერხეულიძე და მისი ოჯახი - მეუღლე ოლღა, შვილები - გრიგოლ (გიგო), სოფიო და მიხეილი.

გასული საუკუნის დასაწყისია. ზურაბ ხერხეულიძე უკვე მეორე ათეული წელია თბილისში ცხოვრობს. ის 1889 წელს ტოვებს ქართლის სოფელ დგვრისს, სადაც მამულები აქვს და დედაქალაქში ჩამოდის. ავქსენტი ცაგარელის ხელშეწყობით, რომელიც იმხანად თბილისის სადგურის უფროსია, რკინიგზაზე იწყებს მუშაობას და ნაძალადევში აღებულ მიწის ნაკვეთზე იშენებს სახლს. ბავშვები სათავადაზნაურო გიმნაზიაში იწყებენ სწავლას. მათ ოჯახში ხშირად იყრიან თავს გამოჩენილი და ცნობილი ადამიანები: აკაკი წერეთელი, ივანე გომართელი, ნატო გაბუნია...

რას წარმოიდგენს პატარა სოფიო, სავარძელზე რომ დასკუპებულა და იატაკს ძლივს რომ უწვდენს ფეხებს, სულ რაღაც ათ-თერთმეტ წელიწადში საშინელი, პირქუშ წიგნებშიაც ძნელად აღმოსაჩენი შემთხვევა რომ დაუნგრევს იმ სამყაროს, რაც ყველა ბავშვის წარმოდგენაში მარადიული და მყარია...

ილუპება გიგო, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა კაცი, დორპოტის (ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, სამშობლოში არდადეგებზე ჩამოსული...

ილუპება მეგობრის ძმის ხელით, მეგობრისა, ვინც მანამდე ტყვია იკრა შუბლში და ვისთანაც პოლიტიკაზე მოუვიდა კამათი. მეორე დღეს თავს იკლავს მისი საცოლე - ლიზიკო ორჯონიკიძე...

კარგა ხნის შემდეგ, სოფიო, უკვე დიდი ქალი, მოგონებებში წერს, რომ იმ პერიოდში, როცა მისი ძმები თეატრით იყვნენ გატაცებულნი და სცენის მოყვარულებთან ერთად (ცხინვალის კლუბ "როტონდაში") რეჟისორობდნენ და თამაშობდნენ, გიგო უფრო დრამატულ როლებს ეტანებოდა, მიხეილი კი, ორივეს - კომიკურსაც და დრამატულსაც...

დრამატული როლების შესრულებისკენ მიდრეკილ გიგოს ცხოვრებამ ტრაგიკულზე ტრაგიკული როლი არგუნა, მიხეილმა კი, შედარებით დიდხანს იცოცხლა და სამოცი წლისა აღესრულა...

მაშინ, იმ საბედისწერო 1916 წლის ივლისში, მშობლებმა, ზურაბ და ოლღა ხერხეულიძეებმა არავითარი სურვილი არ გამოამჟღავნეს მკვლელის დაპატიმრებისა - "ის ისედაც დაღუპული და შერცხვენილიაო"... სხვა მრავალთან ერთად, ესეც კიდევ ერთი მსაზღვრელი ისტორიული გვარის კეთილშობილებისა.

## საპატიო თბილისელები

# კოლია ქაშაკაშვილი

**ამას წინათ, გალერეა TMS-ში, გაიმართა თემო მაჭავარიანის ნამუშევართა გამოფენა. მხატვარმა ეს ექსპოზიცია მიუძღვნა კოლია ქაშაკაშვილის ხსოვნას.**



ადამიანი - აზრა, ადამიანი ვესტერნიდან, ადამიანი - ოქტავა, ადამიანი ბორგავს, თამბაქოს ბოლით გაჟღენთილი, ადამიანი - ბგერა, ადამიანი - ჯაზი...

- იცი რას ნიშნავს სინკოპე? დაასხი, გეტყვი.

ჯაზმენი "მუხამბაზიდან", ხრინწიანი, ჩახლეჩილი ტემბრი, სანდომიანი დარდიმანდი, სპორტსმენი, ცისფერი კუბოკრული პერანგი, გარუჯული სახე, სიგარეტგაჩრილი ღიმილი...

- გინდა ნაღდი მუსიკა?

კარუზო, შალიაპინი, მაგიდაზე - გრაფინი არყით - გოგი ქაშაკაშვილის ოჯახში...

- ხელი მიჩმახებს, ვარჯიში მჭირდება, ახალი რაღაცები დავწერე, სოფიკო კმაყოფილია, მოსწონს.

სადღაც... სტუმრად... ხილიანზე... - ბატონო კოლია, ძალიან გთხოვთ, "ყვავილების ქვეყანა", რაა?..

- არ მევასება, რა გამიხურეს, სხვა რამეს დავუკრავ, ჩემსას... - ბოლოს მაინც უწევს ანგარიშს კდემამოსილ საზოგადოებას - "საჩმოს" ხმით "კოჯრის ტყის სიზმრებიდან".

გარიჟრაჟია, დეკემბერი. ჭავჭავაძის გამზირზე შორიდანვე ვცნობთ ერთმანეთს...

- ბიძინასთან, კავსაძეზე, უკვე იქ არის, გველოდება...

ფისგარმონია - გოგიტასთან, ატენზე. ცარიელი ბოთლები, ჩნდება სავსეც. იმპროვიზაცია. რეზო ყუფარაძე... უკრავს კოლა. ვუსმენთ, ვსვამთ, თენდება.

"ბულდოგა" - ულევი სიცოცხლის ილაჯი, "ჯარგვალი" ანტრესოლზე, ცარიელი კედლები, - მახლას, დავლიოთ.

ზამთარი. ბელინსკის ქუჩა. რედაქციის უკან გარინდული სკვერი. ხის სკამი. ორი არაყი. ორიც ხურმა. - გესმის ჩიტის გალობა? ნამდვილი ჯაზია...

თემო მაჭავარიანის სახელოსნოში: დიმა ბათიაშვილი, კოლა. გავთბით. ენიო მორიკონე - "ერთხელ ამერიკაში".

- ჰერბი ჰენკოკი, ჩიკ კორეა, ტელონიუს მონკი, აი მუსიკა, ესენი აზრზე არ არიან, ტო, მარსელ პრუსტი წაუკითხავთ და გონიათ...

რესტორანი "დარიალი". მამუკა სალუქვაძის მარიფათი - სამი ხარჩო, ექვსი "შუამთა". ქერად თმაშეღებილი მიმტანი ქალი: - რა ბიჭი იყავი, კოლია!

**გიორგი მირზაშვილი**
*18.07.02. ბათუმი. "ინტურისტი"*

## მოსალოდნელი ეპილოგი

**ფრაგმენტი "პოპარტიდან"**

პეროვსკაიას ქ. №16
ამ სახლში 1926-1977 წწ.
ცხოვრობდა მხატვარი
ავთო ვარაზი

სახლის ფასადზე დადგება აზრა,
როგორც ქალაქზე ნაკლული მთვარე.
ჩაინავლებენ ფანჯრები მაგრამ
ერთი მგზავრი ხომ დარჩება გარეთ.

ვინც დაუნიშნავს პაემანს წვიმას
რიდით იკითხავს ღამის კაფეში:
- აქ, რომ მხატვარი ცხოვრობდა
წინათ,
... და ლექსს გააკრავს
ხსოვნის აფიშად.

სახლის ფასადზე დადგება აზრა, -
ანით ჰოემდე იელვა მაგრად.
ნეკერჩხლის ჯვარცმის
ამინდში გაქრა
და განწირული ხომალდის აფრად
სახლის ფასადზე დადგება აზრა.

ღამენათევი ვარდები სუფრას
შეაშრებიან ღვინის ლაქებად,
გამოწვდილ თასზე ამცდარი სუნთქვა
დაორთქლავს რვეულს ჩვეულ
ჰანგებით.

დუელის შემდეგ დამდგარი კვამლი
დარჩება აზრად სადარბაზოზე,
ქარი ხანძრიდან მოხვეტილ ნავლით
კედელს შეაყრის ფერფლის ასოებს.

სარეცხის თოკზე გაფენილ პერანგს -
აღსარებიდან მომავალ ცოდვილს
არ ასცილდება ირიბი მზერა
დღესასწაულის დათარსავს ლოდინს.

მახლას, ერთხელაც წყნარად
ჩაივლის
ჯებირებიდან გასული მუზა,
და ჩაუჭკნება ხელში ყვავილი
საწვეულებოდ მიმავალ ჰუსარს.

ველარ განახლდა შარშან აშლილი
ღარიბი სუფრა და პიანინო...
აღარც Коля-ა ქაშაკაშვილი,
ძველი მოტივი კვამლს მიაფინოს...

სად ჩაიჩოქებს სტეპში აქლემი,
სად გაჭრის მზის სხივს
კოზირის ტუზი,
... თუ ჰქონდა ცოდვა უფრო ნაკლები
და ანგელოზი სასთუმლად უზის...

ყვითელ ფოთლებად ძველი რვეული
გაიძენძება ოქტომბრის ქარში,
საკრავი მუხლზე გადამსხვრეული
გაიწკრიალებს მწუხარე მარშით.

სველი რიჟრაჟი ნებით განგების
მოსახლეს სატრფოს თვალთა უპეთა,
როგორც ცის ვარსკვლავს
ისე ამკენკავს
დატბორილ ქუჩის
ერთი გუბედან.

დაეკიდება წამწამზე
ლეშხი,
დღესასწაულის ცაში
დამჭერი.
ვით ზამთრისპირზე
გომბორის ტყეში
ნატვრის ხის ტოტზე
ჭრელი ნაჭერი.

ვით მეომარი ველზე უებრო
დავიკარგები სადმე
უაბროდ,
ერთხელ დამცდება სიტყვა:
- მშვიდობით
ისიც ნათქვამი
უამინდობით.

კრძალვით ვეტრფოდი
საყვარლის მერდინს,
არა ვპრანჭავდი
კეკლუცად ხაზებს,
დღესასწაული მტკიოდა, -
ვწერდი,
შეკავებული ცრემლების
ზღვარზე.

**დათო მაღრაძე**

ტროტუარებო, წერეთ თქვენი მემუარები

# ცხელი ღვეზელის სუნი

## ანუ დაკარგული მოთხრობები, დაკარგული ქალაქი

ნუგზარ შატაიძე

სამოციან წლებში მარჯანიშვილის მოედანს ჯერ კიდევ "კიროჩნს" ეძახდნენ, რადგან იქ, წინათ, გერმანელების ეკლესია - კირხა მდგარა. ეს ყოფილა გოთური სტილის ლამაზი, შპილებიანი საყდარი, რომელიც, როგორც ბევრი სხვა რამ, ქალაქის განაშენიანების მაშინდელ "გენგეგმას" შეეწირა.

"კიროჩნის" ერთ კუთხეში, მზა ტანსაცმლის მაღაზიის თავზე, "ცისკრის" რედაქციას რამდენიმე ოთახი ეჭირა. მაშინ მე იქვე ახლოს, პლეხანოვის 61-ში ვცხოვრობდი... ოცდასამი წლისა ვარ, რაღაც-რაღაცებს ვწერ, რედაქცია სადაც არის, ვიცი, მაგრამ მიტანა მიჭირს - მრცხვენია, მეშინია, არ ვიცი.

იმ დროს უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე საზღვარგარეთის ლიტერატურის კურსს მიხეილ კვესელავა კითხულობდა და უმაღლესი მათემატიკითა და მხაზველობითი გეომეტრიით გაბეზრებული პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები მის ლექციებს ხშირად ვესწრებოდით.

ერთ საღამოს, ბატონი მიხეილი შინამდე მივაცილეთ - გმირთა მოედანზე ცხოვრობდა - გზაში სულ ლიტერატურაზე ვსაუბრობდით, რაღაცაზე შევეკამათე და მკითხა, შენ ხომ არაფერს წეროო. ვწერ-მეთქი. მომიტანეო და შევიდა სადარბაზოში.

მეორე დღესვე მივუცუნცულე...

თექვსმეტი პატარა მოთხრობა იყო, კარგად, სუფთად გადაწერილი. საქაღალდე რომ გამომართვა, იქვე გახსნა, გადაათვალიერა და გმადლობთო, მითხრა.

ერთი კვირის მერე მივაკითხე.

"მნათობის" რედაქციაში მიდი, შენი მოთხრობები პროზის განყოფილებას ჩავაბარეო.

ელდა მეცა: "ცისკარში" კიდევ ჰო, "ცისკარში" კიდევ შეიძლებოდა დაგებეჭდა ლექსი ან მოთხრობა, მაგრამ ამით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა არ გეკისრებოდა, ამით შიშისა თუ მოკრძალების ალმძვრელ ზღვარს თუ მიუახლოვდებოდი, თორემ ვერ გადასცდებოდი, ვერ გადასცდებოდი იმ მიჯნას, რომლის იქითაც ჩვენი საყვარელი მწერლების ლანდები იდგნენ.

მართლაც, მივდიოდით "ცისკარში", მიგვქონდა ლექსები, მოთხრობები, ზოგს რომანებიც კი და ისინიც გვიბეჭდავდნენ. იმ პუბლიკაციის აღსანიშნავად გაიშლებოდა სუფრაც, გაიშლებოდა "ინტურისტის" ბაღში ან სასტუმრო თბილისის რესტორანში, - მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ეს რესტორნები და ჟურნალში აღებული ჰონორარითაც შეიძლებოდა სუფრის გაშლა. გვადღეგრძელებდნენ ამ ახლადგამომცხვარ "მწერლებს" ჩვენი სტუმრები - "ცისკრის" მაშინდელი თანამშრომლები, თვითონაც ჯერ ისევ ახალგაზრდა პოეტები და პროზაიკოსები, გვილოცავდნენ "მწერლობის რთულ, ნარეკლიან გზაზე" დადგომას და ჩვენც, ამ ჩვენი ახლადშეძენილი უფროსი მეგობრების სიტყვებით გახარებულები, რაღაცნაირად აფოფინებულები ვიჯერებდით, რომ მართალი იყო ეს ყველაფერი, მართლაც უკვე შევდგით ფეხი "დიდი მწერლობის გზაზე" და ეგრე გახარებულები ვიყავით მანამ, სანამ ღვინის თალხ ბურუსში მოულოდნელად არ დავინახავდით იმ შორეულ მიჯნას და იმის იქით მდგომი ჩვენი საყვარელი მწერლების დამცინავად მოღიმარ ლანდებს...

მე კი ჯერჯერობით "ცისკარშიც" ვერ ვბედავდი მიტანას და ამას "მნათობში" არ მიეტანა?! მაგრამ რაღას ვიზამდი, მივედი "მნათობში". მაშინ ეს რედაქცია გმირთა მოედანზე იყო, მგონი მთლად ბატონი მიშას სადარბაზოში, მეორე სართულზე. ერთი ვიწრო, გრძელი ოთახი მიმასწავლეს. შევედი, ხელის გულები მიოფლიანდება... იქ ერთი ახალგაზრდა, ნაადრევად გაჭაღარავებული კაცი დამხვდა... მიხეილ კვესელავა ვახსენე... მახსოვსო, როგორ არაო და საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო. ეძება, ეძება, მაგრამ რაკი ვერაფერი იპოვა, ის მიხურა და ახლა მეორე გამოაღო. ასე ამოქექა ყველა უჯრა, მაგიდაზეც კარგა ხანს აფათურა ხელები, მაგრამ ამაოდ. მე ვდგავარ და ჭირის ოფლი მასხამს, ნეტავი ფეხი მომტეხოდა და აქ არ მოვსულიყავი-მეთქი, ვფიქრობ.

საკუთარი რომ მოითავა, ახლა მეზობელ მაგიდას მიადგა და ისიც საგულდაგულოდ გაჩხრიკა, მაგრამ რაკი ის ჩემი ცოდვით სავსე მოთხრობები ვერც იქ იპოვა, მომიბრუნდა და მითხრა - შენ ნუ გეშინია, არ დაიკარგება, ეტყობა შინ წავიღე წასაკითხად და იქ მოვძებნი, ერთ კვირაში გამომიარეო...

რაღას ვიზამდი, გავუარე...

არაო, მითხრა, შინაც ვერ ვნახეო. ერთი პატარა ბიჭი მყავს, ცელქი, ცელქი, რომ მეტი არ იქნება და ნამდვილად ის დახევდაო. წადი, დედანი გექნება და მომიტანეო...



ბესო ბულაშვილის ფოტო

სადა მქონდა, დედანიც ის იყო და მამანიც!

წამოვედი გამტკნარებული. ბატონი მიშასი მრცხვენია, რა ტყუილად ვაწვალე ის პატიოსანი ადამიანი-მეთქი.

ახლა რომ ვუფიქრდები, ვხვდები - სადმე სახინკლეში დარჩებოდა. იქ ერთხანს იქნებ ინახავდნენ კიდეც, მაგრამ ბოლოს, რაკი აღარავინ გამოჩნდა, დახლიდარი ხელსაწმენდებად დაჭრიდა.

სახინკლეები, მოგეხსენებათ, მაშინაც ბევრი იყო ქალაქში, მაგრამ ყველას "ველიამინოვისა" სჯობდა, სადაც მშვენიერ ხინკალს ახვევდნენ და ეს აზრი მაშინვე რომ მომსვლოდა, ჩემს მოთხრობებს უსათუოდ იქ მოვიკითხავდი.

ამ შემთხვევამ გული ვერ გამიტეხა - ვწერ ისევ.

ბოლოს, როგორც იქნა გავბედე და მივედი "ცისკარში", მანამდე კი ავტომატურ სასადილოში სიმხნევისათვის ორი ჭიქა კონიაკი დავლიე.

პლეხანოვზე, კინო "კომკავშირელის" გვერდით ფეხსაცმელების მაღაზია იყო, მერე ღვინისა, იმის იქით - რკინა-კავეულისა, უფრო იქით კი ის "ავტომატური სასადილო". ეს დაწესებულება მაშინ ახალი გახსნილი იყო და ჩემნაირი ჯიბეგაფხეკილი სტუდენტებისათვის სწორედ რომ ზედგამოჭრილი რამ გახლდათ: შეხვიდოდი, იყიდიდი სხვადასხვაფასიან თითბრის ჟეტონებს, ჩააგდებდი ათკაპიკიანს და ჩამოუშვებდა თეფშით შვეიცარულ ყველს, ჩააგდებდი თხუთმეტკაპიკიანს და ახლა ძეხვს ჩამოუშვებდა, ხოლო ოცკაპიკიან ჟეტონს თუ ჩააგდებდი, ავტომატი კათხაში ლუდს დაგისხამდა. იყო ორმოცდაათკაპიკიანი ჟეტონებიც, რომლითაც ასი გრამი კონიაკის დალევა შეგეძლო.

"ცისკრის" რედაქციას ერთი მაღალი, ჭუჭყიანი და ჭრიალა კარი ჰქონდა, იატაკიც საშინლად ჭრიალებდა და იმ ჭრიალმა ისე დამაფრთხო, კინაღამ უკან გამოვბრუნდი, მაგრამ მიშველა ათშაურიანმა კონიაკმა და შევედი.

დამხვდა იქ ერთი ცქვიტი სახის ბიჭი, შემატყო უხერხულობა და გამეხუმრა, სტალინზე ლექსი ხომ არ მოგიტანიაო? არა-მეთქი. აბა, ლენინზეო? ლექსებს საერთოდ არ ვწერ-მეთქი. მალადეცო! აბა, აქ რა გინდაო? მოთხრობები მოვიტანე-მეთქი. წამოდი, წამოდიო! და მიმიყვანა მეორესთან. იმან ეჭვიანად ამათვალიერა, - მოიტა, აბაო! - მივეცი. დაჯდა და დაიწყო კითხვა. ვატყობ, ეღიმება, ერთი-ორჯერ გაეცინა კიდეც. გავთამამდი, სიგარეტი გავაბოლე, დალევა მომინდა. ფული მაქვს, ახლა აღარ მახსოვს, საიდან, მაგრამ მაქვს.

სულ სამი თუ ოთხი მოთხრობა იყო, თითო 5-6 გვერდიანი და ხელდახელ ჩაარიხინა.

ყოჩაღ შენაო, - შემაქო, - ოღონდ ღორი კი არ ჭყივის, ჭყვირისო.

ამ დროს ის პირველი ბიჭიც შემოვიდა: - ჰა, როგორ არი საქმეო, და ამან, ამ მეორემ მაღლა აშვერილი ცერა თითი უჩვენა.

რას მელაპარაკებიო! - იმან. აბაო! - ამან და მაშინ გავიფიქრე, მოდი, ამ კაი ხალხს ავტომატურ სასადილოში დავპატიჟებ - კონიაკს ავიღებ, ლუდს, შვეიცარულ ყველსა და ძეხვს, პატივსა ვცემ-მეთქი, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე, შემეშინდა სხვა რამეში არ ჩამოერთმიათ, თანაც რეზო ჭეიშვილს უკვე დაწერილი ჰქონდა ის ნოველა, დამწყები ავტორი თოჯინების თეატრის თანამშრომლებს, სახინკლეში რომ ეპატიჟება...

უკვე სამოცდაათიანი წლების დასაწყისია, მშენებლობაზე ვმუშაობ, დღედაღამ ობიექტზე ვაგდივარ, მაგრამ ასე თუ ისე წერას მაინც ვახერხებ. "ცისკრის" რედაქცია უკვე ლენინის მოედანზე, სამსართულიანი სახლის მესამე სართულზეა მოთავსებული. მივიტანე ცხრა პატარა ნოველა, ჩავაბარე პროზის განყოფილების გამგეს და წავედი ჩემს საქმეზე - ნავთლუღში, ხმელნიცკის ქუჩაზე კავშირგაბმულობის სამინისტროს გარაჟს ვაშენებ და თავის მოსაფხანად არ მცალია. ისე ვარ საქმეში გართული, იშვიათადღა მახსენდება "ცისკარი" და ის ჩემი ნოველები, მაგრამ როცა კი გამახსენდება, მაშინვე გავრბივარ და კიოსკში ჟურნალის ახლადგამოსულ ნომერს ვყიდულობ. ნოველებს არ ბეჭდავენ.

გავიდა ხანი, გარაჟი ჩავაბარე, მივედი რედაქციაში, შევედი მთავარ რედაქტორთან და ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი, ვუთხარი.

ჯანსულ ჩარკვიანმა გაკვირვებით შემომხედა - რა მოგიტანია, რას ეძებო?!

როგორ არ მომიტანია, პროზის განყოფილებას ჩავაბარე-მეთქი!

დაუძახა განყოფილების გამგეს და შემოვიდა სულ სხვა კაცი - ჩემი საყვარელი მწერალი რეზო ჭეიშვილი, თურმე ახლა ეს დაუნიშნავთ გამგედ.

სად არის ამის მოთხრობებიო? - შეეკითხა.

მე რა ვიციო, - გაუკვირდა რეზოს, - არც მოთხრობებისა ვიცი რამე და ამ ავტორსაც პირველად ვხედავო.

მართალი იყო, მართლა პირველად მხედავდა.

დაიწყეს ამათაც უჯრების ქექვა, მთელი რედაქცია გადააბრუნეს, მაგრამ ვერ იპოვეს. ბოლოს რეზომ გაბრაზებულმა შემომხედა და მითხრა: ე ბიჭო, რას გვაწვალებ, წადი, დედანი გექნება და ის მოიტანეო!

კიდევ კარგი ამჯერად მაინც მქონდა...

"ცისკარის" რედაქციაში მუშაობდნენ პოეტები: ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, გივი ძნელაძე, ემზარ კვიტაიშვილი. სულ პირველად რომ მივედი, მთავარ რედაქტორად კონსტანტინე ლორთქიფანიძე ჰყავდათ, მაგრამ სანამ ის იქ იყო, ჩემს მოთხრობებს დაბეჭდვა არ ღირსებია, ჯანსულის დროსღა დაიბეჭდა.

ერთი ცოცხალი პოეტი მანამდეც მყავდა ნანახი:

ვარ, ასე, ხუთი ან ექვსი წლისა. მე და მამაჩემი რუსთაველზე, ოპერის პირდაპირ, წიგნის მაღაზიასთან ვდგავართ, მგონი, ავტობუსს ველოდებით. ცივა. ქრის ნოემბრის ან იქნებ თებერვლის ცივი ქარი. მამა ცდილობს პაპიროსს მოუკიდოს, მაგრამ ქარი ასანთს უქრობს, აწვალებს.

ქუჩაში კანტიკუნტად მიმოდიან "ემადინები", "პობედები", "მოსკვიჩები". კანტიკუნტად მიმოდის ხალხიც. ომი ახალი დამთავრებულია და ადამიანებს დროის შესაფერისად აცვიათ გრძელი, ჩაფართხუნებული პალტოები, შინელები, კირზის ჩექმები, ახურავთ ხაკისფერი კეპები და ყურებიანი თბილი ქუდები.

ქალაქის თავზე ჩხავილით, მძიმე-მძიმედ დაფრინავენ ყვავები.

მამა ბოლოს და ბოლოს უკიდებს პაპიროსს და მადიანად აბოლებს. ქარი თამბაქოს მოლურჯო კვამლს პირიდან სტაცებს.

- შეხე! - მეუბნება უეცრად და ქუჩის გადაღმა, ოპერის შენობისკენ მახედებს.

იქ, ჭადართან ვიღაც შავწვერა, ახოვანი კაცი დგას, ხელში ტყავის ჩანთა უჭირავს.

- ხედავ?

- ვხედავ.

- ეგ გალაკტიონია!

- ვინ?

- გალაკტიონ ტაბიძე, პოეტი!

მე ჯერ სკოლაშიც არ დავდივარ და ამიტომ ეს სახელი და გვარი არაფერს მეუბნება. სამაგიეროდ სიტყვა "პოეტი" ჩემთვის ნაცნობია - უკვე ზეპირად ვიცი შიო მღვიმელისა და იოსებ გრიშაშვილის ლექსები, კიდევ ძია სტალინის "დილა".

ის კაცი, პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ოპერის წინ ერთ დიდ ჭადარს მხრით მიყრდნობია, აცვია მუქი, გრძელი ლაბადა, უჭირავს ტყავის დიდი ჩანთა. უქუდოა. ქარი თმაწვერს უწეწავს. მეჩვენება, რომ პოეტი იმ ქარს ებრძვის, უძალიანდება, ცდილობს არ წაიქცეს, ჭადარს ცალი, თავისუფალი ხელით ეხვევა (მეორეში ის დიდი ჩანთა უჭირავს).

ვდგავართ და ვუყურებ. უყურებს მამაც, თან პაპიროსს ეწევა, ზოგჯერ თავს ჯავრიანად გადააქნევს და ღრმა ნაფაზს დაურტყამს. ქარი მოლურჯო კვამლს პირიდან სტაცებს.

- წავიდეთ, წავიდეთ! - ამბობს უცებ, ხელს მკიდებს და თითქმის ძალით მიმათრევს.

მე თვალები უკან მრჩება, მინდა იმ კაცს დავუკვირდე - პოეტს, გალაკტიონ ტაბიძეს, მინდა დავიმახსოვრო, რომ მერე დედას ვუამბო, როგორ ვნახეთ ქუჩაში მე და მამამ პოეტი. მართალია, ეს არც შიო მღვიმელია, არც გრიშაშვილი და, მით უმეტეს, არც ძია სტალინი, მაგრამ პოეტი ხომ არის, ნამდვილი, ცოცხალი პოეტი!

მაგრამ მამას მაგრად უჭირავს ჩემი ხელი, ჩქარი ნაბიჯით მიდის და მეც კისერმოღრეცილი სირბილით მივდევ უკან...

ასე ვნახე სულ პირველად პოეტი.

გავიდა ხანი - თითქმის ათი წელი. ამასობაში ვისწავლე გალაკტიონ ტაბიძის რამდენიმე ლექსი. მეჩვენებოდა, რომ ეს ლექსები იყო რთული და ცოტა ბუნდოვანი. მათი კითხვისას მუდამ მაგონდებოდა ჭადართან ჩახუტებული მთვრალი პოეტი, ქართან მებრძოლი, თმაწვერგაშლილი.

ერთხელ მე და ჩემი უბნელი ბიჭები - ლოვა და ქურთი ჯემალა კინოში წავედით. პლეხანოვზე, კინოთეატრ "კომკავშირელში" მაშინ დილის სეანსზე ბილეთი ათი კაპიკი ღირდა, გულ-ღვიძლის ღვეზელი კი, რომელიც იქვე, ქუჩის გადაღმა გასტრონომში იყიდებოდა - ექვსი კაპიკი. აბაზად სამი ცალი ღვეზელი მოგვდიოდა, ხოლო თუ სამი კაპიკიც გვქონდა, ვყიდულობდით უგემრიელეს სიროფიან წყალს "კრემ-სოდას".

მივედით, სალაროში ავიღეთ კინოს ბილეთები და გადავირბინეთ მეორე მხარეს. გასტრონომში თბილოდა, იდგა ნავთიანი ნახერხისა და ცხელ-ცხელი ღვეზელების სუნი. ვიყიდეთ სამ-სამი ღვეზელი და დავიწყეთ ჭამა...

უეცრად, გალაკტიონ ტაბიძე დავინახე! - იქვე, ხელის ერთ გაწვდენაზე, მარმარილოს მაგიდასთან იდგა და ღვეზელს მიირთმევდა. ეცვა ისევ ის შავი ლაბადა, ეჭირა ისევ ის ათი წლის წინანდელი ტყავის დიდი ჩანთა.

ლუკმა პირში გამიჩერდა: ვუყურებდი, როგორ ჭამდა გალაკტიონი ღვეზელს - პირს რომ გააღებდა, გრძელი წვერი დაბლა ეწეოდა და მკერდზე ეფინებოდა. ვხედავდი, როგორ ეჭირა ქაღალდშემოხვეული ღვეზელი ორი თითით, როგორ კბეჩდა, როგორ ღეჭავდა...

თითქმის თავზარდაცემული შევცქეროდი ამ სურათს, მაგონდებოდა ერთი ლექსი, რომელიც სწორედ იმ ხანებში ვისწავლე:

ატმის რტოო, დალალულო
რტოო,
ატმის რტოო, სიმშვიდეა შორი.
ქარიშხალი მოდის საიმდროო,
ყვავილების ქარში მიჰქრის
ტბორი.
მოცდა არ ღირს, თუ ისევე უცდი,
ამ გრიგალში დრო არ არის]
სხივის.
დალალული ყვავილი ხარ სუსტი.
ქარი კივის, ქარი კივის, კივის.
ნაპრალებზე გადაიმსხვრა ნარგი,
ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის
დროა,
თუ გადარჩი, ხომ გადარჩი,
კარგი...
ატმის რტოო, დალალულო
რტოო.

ლოვა და ჯემალა არხეინად ილუკმებოდნენ. თავისები უკვე შეეჭამათ და ახლა ჩემს ღვეზელებს უყურებდნენ.

- რა მოგივიდა? - თანაგრძნობით მკითხა ჯემალამ.

- არაფერი.

- ვის უყურებ, ტო! - დაინტერესდა ლოვაც.

- იცით, ის კაცი ვინ არი?

- ვინა.

- გალაკტიონი!

- ვინა?!

- გალაკტიონ ტაბიძე, პოეტი!

გალაკტიონმა ეტყობა ყური მოკრა საკუთარ გვარსა და სახელს, ჭამა არ შეუწყვეტია, ისე გამოიხედა. ჩვენი თვალები ერთი წამით შეხვდნენ ერთმანეთს და მომეჩვენა, რომ გამიღიმა. არ ვიცი, იქნებ არც მომჩვენებია, იქნებ მართლაც გამიღიმა!

თვალს ვეღარ ვაცილებდი. ვუყურებდი, როგორ გემრიელად ილუკმებოდა, როგორი სიამოვნებით ჭამდა. ზოგჯერ მარმარილოს მაგიდიდან ჭიქას აიღებდა და "კრემ-სოდას" მოსვამდა. შავ, ჭაღარაშერეულ წვერში ღვეზელის ნამცეცები ჩაბნეოდა.

- ეს პერაშკი აღარ გინდა? - მორიდებით მკითხა ჯემალამ.

- არა, ჭამე, - ვუპასუხე და უეცრად რაღაც უცნაურმა გრძნობამ დამრია ხელი, არ ვიცი, რა დამემართა, ყელში ხორკლიანი გორგალი გამეჩხირა, თვალები ამეწვა და ბიჭებს ცრემლი რომ არ შეემჩნიათ, ვიტრინისკენ შევბრუნდი.

გარეთ თოვლი იდო. ციოდა. ნაცრისფრად ჩაბურუსებული ციდან ფარფატით ცვიოდა თეთრი ფიფქები. ქუჩის გადაღმა, კინოთეატრის წინ ხალხი ირეოდა. ადამიანები ტროტუარზე მიმოდიოდნენ. ახლა აღარავის ეცვა სამხედრო შინელი, კირზის ჩექმები, აღარავის ეხურა ხაკისფერი კეპი. ახლა უკვე ვიწრო, "ბუტილკა" შარვლები და კაუჩუკის სქელლანჩიანი ფეხსაცმელი შემოსულიყო მოდაში.

კარგა ხანს ვიდექი ეგრე. როცა მოვბრუნდი, გალაკტიონი იქ აღარ დამხვდა.

თეფშზე ერთი ცალი ღვეზელიღა დარჩენილიყო, რომელსაც ჩემი ამხანაგები ხარბად დასჩერებოდნენ.

- ჭამე, - ვუთხარი ლოვას.

- მერე, შენა?

- მე არ მინდა.

- ავად ხო არა ხარ? - მკითხა ჯემალამ.

- არა, რა ავად...

ლოვამ ღვეზელი აიღო და მოკრძალებულად შეუდგა ჭამას. მადლიერი და გაკვირვებული თვალებით მიყურებდა.

ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე გარდაიცვალა. დაკრძალეს მთაწმინდაზე. გასვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო. გაზეთები წერდნენ, რომ გალაკტიონ ტაბიძე იყო დიდი ქართველი პოეტი, ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელი, ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მაგრამ არავის უთქვამს, სიტყვა არავის დასცდენია, რომ გალაკტიონმა თავი მოიკლა...

ახლაც, ამ ორმოცდახუთი წლის შემდეგაც, როცა ამ მოგონებას ვწერ, მახსენდება ნავთიანი ნახერხისა და ცხელ-ცხელი ღვეზელების სუნი. მაშინ ისეთი ღვეზელები პლეხანოვის გარდა იყიდებოდა რუსთაველზეც - ძველი უნივერმაღის შესასვლელში, მარცხენა მხარეს. იქ უფრო გემრიელიც კი იყო, მაგრამ იქაც ზუსტად ექვსი კაპიკი ღირდა.

ახლა ისეთ ღვეზელებს თბილისში აღარავინ აცხობს.

ალტერნატივა

# რიყის განაშენიანება - პრობლემები და წინადადებები

მარინა თუმანიშვილი



რიყის განაშენიანებაზე ლაპარაკი ისევ აქტუალურ თემად რჩება. რამდენიმე წლის წინ ჩატარდა არქიტექტურული კონკურსი, არსებობს სხვადასხვა პროექტები და წინადადებები. ამასობაში რიყე ივსება ე.წ. "დროებითი ნაგებობებით" - რესტორნებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომსახველი ე.წ. "ტრადიციული ნაგებობებით". ამასთან ერთად, არსებობს რიყის ტერიტორიის დანაწევრების და ნაწილ-ნაწილ გასხვისების წინადადებებიც.

ძნელად წარმოსადგენი არ არის, რომ ეს ნაკვეთები გაშენდება სხვადასხვა ფუნქციის და არქიტექტურული სტილის შენობებით, მათი მესაკუთრეთა ფანტაზიის და გემოვნების შესაბამისად. მთავარი კრიტერიუმი, ამ შემთხვევაში, იქნება მომგებიანი ბიზნესი, ანუ მაქსიმალური ანაზღაურების მიღების სურვილი, რაც უდავოდ განსაზღვრავს დანარჩენ პარამეტრებს, როგორიცაა ნაგებობების ფუნქციური დატვირთვა და არქიტექტურული სახე. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ ნაგებობათა ერთობლიობა ვერ განაპირობებს რიყის ანსამბლურ განაშენიანებას.

როგორც ცნობილია, რიყე 1985 წლიდან ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვითი ზონის საზღვრებში შედის. ის მტკვრის მარცხენა სანაპიროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და შემოფარგლულია ისეთი ღირსშესანიშნავი ობიექტებით, როგორიცაა ბარათაშვილის ხიდი, ბარათაშვილის აღმართი და მეტეხის კომპლექსი. ამ ელემენტების ერთობლიობა განუმეორებელ სივრცით კომპოზიციას ქმნის. ეს პანორამა უკვე თბილისის სიმბოლოდ იქცა. ამრიგად რიყის ტერიტორიას ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების იერსახის შენარჩუნებაში. ეს განაპირობებს დიდი სიფრთხილისა და წინადადებათა შეჯერების აუცილებლობას მის განაშენიანებასთან მიმართებაში.

და მაინც, რა უნდა იყოს რიყეზე? რა ფუნქციური და ესთეტიკური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას, გამომდინარე ამ ადგილის უნიკალურობიდან? რა ესაჭიროება ყველაზე მეტად თბილისს და თბილისელებს? რა საკანონმდებლო და ზნეობრივი პრინციპები და შეზღუდვები არსებობს? რა ალტერნატიული წინადადებების შემოთავაზება იქნებოდა მიზანშეწონილი ამასთან დაკავშირებით?

ჩვენი აზრით, ამგვარ ალტერნატიულ წინადადებას წარმოადგენს რიყეზე საერთო საქალაქო ცენტრალური პარკის (ბაღის) გაშენება. როგორი უნდა იყოს ეს ბაღი და რა დასაბუთება შეიძლება იყოს მოყვანილი ამ წინადადების სასარგებლოდ?

პარკის გაშენების მიზანშეწონილობა განპირობებულია თბილისში საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორიების მწვავე დეფიციტით. ამჟამად ქალაქში არსებული საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების ფართი ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა გათვლებით შეადგენს 2,3-5,2 კვადრატულ მეტრს. ფიქსირდება, აგრეთვე, ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია. ადრე არსებული მაჩვენებელი შეადგენდა 6,3 კვადრატულ მეტრს ერთ მცხოვრებზე. აღსანიშნავია, რომ ნორმების მიხედვით საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების (პარკები, ბაღები, ბულვარები, სკვერები) წილი ერთ სულ მოსახლეზე უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 10 კვადრატული მეტრისა. ქალაქის ბოლო გენერალური გეგმის მიხედვით, 2001 წლისათვის გათვალისწინებული იყო ამ მაჩვენებლის გაზრდა 20,5 კვადრატულ მეტრამდე, რაც, სამწუხაროდ, პროექტის დონეზე დარჩა. ამავდროულად, თბილისელები თავად აღიარებენ პარკების, ბაღების და სკვერების ნაკლებობას. ავტორის მიერ 1983 წელსა და 2000 წელს თბილისის სხვადასხვა უბნებში და მათ შორის, ძველი თბილისის ფარგლებში ჩატარებულმა სოციალურ-ქალაქთმშენებლობითმა გამოკვლევამ გამოავლინა ამ პრობლემის სტაბილური ხასიათი. უბნის გარემოს მახასიათებლებს შორის, რომლებიც დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას, პირველ რიგში, სწორედ მწვანე ნარგავების ნაკლებობა - ბაღების და სკვერების უქონლობა იყო დასახელებული. ეს საკითხი წლების მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად რჩება.

ასევე გასათვალისწინებელია მეცნიერთა აზრი, რომლის თანახმად ქალაქებში ეკოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებლად და ჟანგბადის გარკვეული რაოდენობით უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია არა ქუჩების გასწვრივ გამწვანება (რაც ხშირად უკუეფექტს იწვევს), არამედ საკმაო ფართობის მწვანე მასივების შექმნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქის ცენტრში არავითარი თავისუფალი ტერიტორია არ არსებობს, მით უფრო გასაფრთხილებელია რიყის ტერიტორია და ამ სივრცის გამოყენება საპარკო მშენებლობისათვის.

ევროპის ქვეყნების არაერთ დედაქალაქს გააჩნია ამგვარი პარკები და ბაღები. მაგალითად, პარიზში - ლუქსემბურგის და ტიუილრის ბაღები. XVII საუკუნეში ცნობილი არქიტექტორის ლე ნოტრის გეგმის მიხედვით შექმნილი ტიუილრის ბაღი დღემდე მოიხსენიება გზამკვლევებში, როგორც პარიზის ცენტრის "საუკეთესო სამკაული". ხოლო ლუქსემბურგის ბაღი ითვლება პარიზის ერთ-ერთ ულამაზეს ბაღად და პარიზელების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, დასვენებისა და შეხვედრების უსაყვარლეს ადგილად. თბილისშიც სასურველი იქნებოდა, რომ მის ცენტრალურ რაიონში გაჩენილიყო ამგვარი "სამკაული", რომელიც დაამშვენებდა ამ ძირძველ ადგილს და თბილისელების, განსაკუთრებით კი ცენტრალური უბნების მოსახლეთა დასვენების ადგილად იქცეოდა.

რიყის ტერიტორიაზე სასურველი იქნებოდა განსაკუთრებული ხასიათის სპეციალიზებული ბაღის გაშენება. მაგალითად, საქართველოს ფლორისათვის დამახასიათებელი, უნიკალური მცენარეების კოლექციის შექმნა. ამით ბაღი, გარდა სხვა ფუნქციებისა, შემეცნებითი ხასიათის დატვირთვასაც შეიძენდა. ეს გაზრდიდა მის მნიშვნელობას და მიმზიდველობას არა მარტო თბილისელებისათვის, არამედ ჩამოსული ტურისტებისათვის.

ბაღის გაშენების განხორციელება მიზანშეწონილი იქნებოდა ლანდშაფტური არქიტექტურის ჭრილში ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გამარჯვებული პროექტის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით უნდა დავძინოთ, რომ საქართველოში ძალიან მწირია ლანდშაფტური არქიტექტურის ნიმუშები. ამავდროულად, არსებობს სპეციალისტების საკმაო რაოდენობა, რომლებსაც არ მიეცათ ასპარეზი თავისი ნიჭის გამოსავლენად. სამხატვრო აკადემიაში 1970 წლიდან არქიტექტურის ფაკულტეტზე არსებობს ლანდშაფტური არქიტექტურის სპეციალიზაცია და ამჟამად 27-ე გამოშვება შეუდგება პრაქტიკულ საქმიანობას. საქართველო არც შესაბამისი სპეციალისტების - დენდროლოგების დეფიციტს განიცდის. არსებობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის კოლექტივი, რომლის დახმარებითაც ალბათ შეიძლება ამ ამოცანის შესრულება.

ამ წინადადების სათანადო დონეზე განხორციელების შემთხვევაში ეს პარკი შეიძლება მომავალი თაობის მიერ შეფასდეს, როგორც ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლი და შესაძლოა, იმ მცირეოდენი ობიექტების ნუსხაში შევიდეს, რომლითაც ჩვენი თაობა შეავსებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდს.

ცენტრის განვითარების თვალსაზრისით, რიყის ტერიტორიას კიდევ ერთი ქალაქთმშენებლობითი ამოცანა აკისრია. აქ აღმოცენებული ობიექტი ერთნაირად მიმზიდველი უნდა იყოს როგორც მარცხენა სანაპიროს, ისევე მარჯვენა სანაპიროს მცხოვრებლებისათვის. მან უნდა განაპირობოს განივი კავშირები, რაც კალას უბნების და მეტეხის კვანძის ფუნქციურ გამთლიანებას შეუწყობს ხელს. ამავდროულად, აქ რეკრეაციული ზონის გაჩენა განაპირობებს (სხვადასხვა არქიტექტურული ხერხების, მაგალითად, ფეხმავალთა ხიდების მეშვეობით) მდინარის ჩართვას პარკის კომპლექსში და გადაწყვეტს ქალაქის მტკვრისაკენ "შემობრუნების" პრობლემას, რაც ქალაქის განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად ითვლება. აღსანიშნავია, რომ სიტყვა "რიყე" თავისი ეტიმოლოგიით მდინარეს უკავშირდება. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, "რიყე - წყლის პირის ქვავნარს" ნიშნავს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ძეგლების არეალში გამოირიცხება ისეთი საქმიანობის განხორციელება, "რომელმაც შეიძლება დაზიანების, განადგურების, ან აღქმის გაუარესების საფრთხე შეუქმნას კულტურულ ფენებს, უძრავ ძეგლებს, ძეგლთა ანსამბლებსა და მათ გარემოს" (თავი V, მუხლი 32). საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, "ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას" (მუხლი 37). რიყის ტერიტორიაზე მწვანე მშენებლობის ნაცვლად მოცულობითი ობიექტების აღმოცენების შემთხვევაში ძნელად წარმოსადგენია ამ მოთხოვნების შესრულება.

პრობლემის განზოგადების ჭრილში აღსანიშნავია, რომ გადასახედია თბილისის, და კერძოდ, მისი დაცვითი ზონის, ურბანული მიწების გასხვისების საკითხი. იმ პრინციპებით და ტემპებით, რომლითაც მიმდინარეობს ეს პროცესი ამჟამად, ჩქარა ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით "ხელის განძრევის" საშუალება აღარ იქნება და მომდევნო თაობისათვის მხოლოდ "გაყიდული მიწების" გადაბარება იქნება შესაძლებელი. საჭიროა არსებული ტრადიციების და ქალაქის მემკვიდრეობითი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს თბილისისათვის შესატყვისი საკანონმდებლო ბაზა, სადაც მთელი საზოგადოების ინტერესი იქნება გათვალისწინებული (მუნიციპალური საკუთრებით, მიწის იჯარით გაცემის პრიორიტეტით და ა.შ.).

და ბოლოს, თბილისს დიდი ტრადიციები ჰქონდა ბაღების არსებობის მხრივ. ცნობილია ორთაჭალის, სოლოლაკის, გარეთუბნის ბაღები. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ წინა საუკუნის დასაწყისში სწორედ მოსაზღვრე მიწების შესყიდვის გზით მოხერხდა ბოტანიკური ბაღის ფართობის გადიდება. ამრიგად, ამ ტრადიციების აღსადგენად, გარდა რიყისა, საერთოდ მთელ ქალაქში აუცილებელია სასწრაფოდ გამოვლინდეს ტერიტორიები მწვანე მშენებლობისათვის. ეს პრიორიტეტულ სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც დღევანდელი მაჩვენებლები მეტყველებენ იმაზე, რომ საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავებით დაკავებული ფართობი შეადგენს თბილისის ტერიტორიის მხოლოდ 2%-ს, რაც ყოვლად დაუშვებელია სამხრეთის ქალაქისათვის და მძიმე ეკოლოგიურ სურათს აყალიბებს. ამ პრობლემის გადაწყვეტის გზაზე ყოველი გადადგმული ნაბიჯი თბილისელთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის წინაპირობას წარმოადგენს.

# SOS



ფუნიკულიორის პლატო



ინგოროყვას ქუჩა

ბესო გულაშვილის ფოტოები

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში

... იგი ამბობდა:
- აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას: ლოგინში რომ წვები, თუ წუთით მაინც შეგიპყრობს ფიქრი, - სადღაც ვიღაცას სცივა, სადღაც ვიღაცას ენატრება ლოგინი, სადღაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოველი წკმუტუნით ილოკავს ჭრილობას, - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ.

რევაზ ინანიშვილი

www.24hours.ge 24

D



90 წელს გადაცილებული პოლ ბრეგი, ამერიკელი სპეციალისტი სიცოცხლის გახანგრძლივების დარგში, ყოველდღე ვარჯიშობდა ჰანტელებით, დარბოდა ხუთკილომეტრიან დისტანციაზე, აწყობდა ექსპედიციებს, წერდა წიგნებს, კითხულობდა ლექციებს და მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში.

იგი 96 წლის ასაკში დაიღუპა წყლის თხილამურებზე სრიალისას, რადგან აზვირთებულმა ტალღამ ჩაითრია.

ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ პოლ ბრეგს ყველა ორგანო ჯანმრთელი ჰქონდა და კიდევ დიდხანს იცოცხლებდა, ტრაგიკულ შემთხვევას რომ არ ემსხვერპლა.

"ცხოვრებაში რა არის ჩემთვის ყველაზე ძვირფასი?" - ასეთი კითხვა ყველა მოაზროვნე ადამიანმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს ერთ მშვენიერ დღესო, ამბობდა პოლ ბრეგი და იქვე იხსენებდა კომედიური მსახიობის, ედ უინის ჭკვიანურ გამონათქვამს: "სიმდიდრე და დიდება ფუჭია, თუ ჯანმრთელობა არ გიწყობს ხელს!"

ახლა ზაფხულია - არდადეგების, დასვენების, გაკაჟების ხანა. სწორედ რომ დროა, შევიმუშავოთ და დავგეგმოთ ჯანმრთელი ცხოვრების წესი საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

მთავარია, დავიწყოთ!





# თამაშები პერსონალურ კომპიუტერზე

## DELTA FORCE
### TASK FORCE DAGGER

საყოველთაოდ ცნობილი თამაშის Delta Force: Land warrior – ის ამ გაგრძელებაში თქვენ მიიღებთ მონაწილეობას ანტიტერორისტულ სამხედრო ოპერაციაში, რომელიც ახლაც მიმდინარეობს ავღანეთში. თქვენ გექნებათ საშუალება, ამოირჩიოთ მებრძოლი მოცემული 10 ვარიანტიდან. ათივე ჯარისკაცი წარმოადგენს საკმაოდ ცნობილი სხვადასხვა ქვეყნების სპეცრაზმელს: 2/75 Ranger, SEAL Team 6, CIA spec ops, UK SAS 22 Regiment, SFOD-SF Viper team (მწვანე ბერეტები), ავსტრალიის SASR, კანადური JTF-2, საზღვაო ქვეითები, USAF CSAR და SFOD-DELTA! თქვენი მოქმედების არეალი ფაქტობრივად მთელ ავღანეთს მოიცავს: ყანდაგარი, მაზარი შარიფი, ტორა-ბორა და ასე შემდეგ...

შესასრულებელი მისიები 25-ზე მეტია და საკმაოდ მრავალფეროვანი: მტრის შტაბების განადგურება, საკვანძო აეროპორტის დროულად დაკავება, მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო საშუალებების განადგურება, ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა, მტრის საბრძოლო ტექნიკის გადაადგილების აღკვეთა და ასე შემდეგ...

ამ თამაშის წინა ვერსიასთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია გრაფიკა და შეიარაღების არჩევანი, ზედმიწევნითაა დახვეწილი ანიმაცია.

## STAR WARS
### JEDI KNIGHT: JEDI OUTCAST

უკვე სამი თვეა, რაც ეს თამაში გამოსულია გაყიდვაში და ჯერ კიდევ არ დაუკარგავს პოპულარობა. იგი შექმნილია სტუდია Lucas Film – ის მიერ გადაღებული გახმაურებული ფილმის "ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი პირველი" – ის მოტივებზე და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ თამაშმა თავისი დახვეწილი გრაფიკა-ანიმაციით, არაპირდაპირი ხაზოვანი სიუჟეტით და უამრავი მოქმედი პერსონაჟით დამსახურებულად მოიპოვა საერთაშორისო აღიარება მოთამაშეთა შორის.

თამაში შექმნა Lucas Film – ის ქვეგანყოფილება Lucas Art – მა Quake III – ის გაუმჯობესებულ ანიმაციურ ბირთვზე.

თამაშის მიმდინარეობისას თქვენ შეგეძლებათ გამოიყენოთ შეიარაღების ფართო სპექტრი, რომელშიც ცალკე აღნიშვნის ღირსია ჯედაის ლაზერული ხმალი (როდესაც ბრძოლის დროს ავტომატში გამოგელევათ ტყვიები, შეგიძლიათ იშიშვლოთ ხმალი და გაანადგუროთ მომხვდური). ეს თამაში ძნელია მიაკუთვნო თამაშების რომელიმე ტიპს, აქ არის გარკვეული მისიების შესრულებაც, ხმალაობაც, თავსატეხების ამოხსნაც, მოგზაურობის მომენტიც და აზარტული "3D SHOOTER", ანუ ცეცხლსასროლი იარაღიდან ქანცის გამცლელი სროლა. თამაში სხვადასხვა ეტაპებზე გვაგონებს ძველ ჰიტებს: HALF-LIFE, QUAKE III, TOMB RAIDER, მაგრამ, ამასთან ერთად, არ კარგავს თავის სახეს.







## კომპიუტერული სპორტი - სპორტის ახალი სახეობა საქართველოში

9 ივლისს ინტერნეტ კლუბ "მატრიცაში" შედგა ოფიციალური ტურნირის – "თბილისის ღია პირველობის" ფინალური შეხვედრა პოპულარულ კომპიუტერულ თამაშში Counter-strike –ში.

კომპიუტერულ სპორტში გამართულმა პირველმა ოფიციალურმა ტურნირმა საქართველოში სტარტი აიღო ამა წლის პირველ ივლისს. შეჯიბრის ორგანიზატორად გამოვიდა მაისში შექმნილი საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაცია. სპონსორობა ითავა სატელეფონო კომპანია "ჯეოსელმა", საინფორმაციო მხარდაჭერა უზრუნველყო რადიო "იმედმა". ტურნირში მონაწილეების რაოდენობამ 130-ს გადააჭარბა, მათგან შედგენილი 29 გუნდი გადანაწილდა 8 ქვეჯგუფში. მონაწილეთა საშუალო ასაკი 14-18 წელს შეადგენდა. ქვეჯგუფებში ჩატარებული შეხვედრების შემდეგ გაირკვა მომდევნო ეტაპზე გასული 16 გუნდი, რომლებმაც განაგრძეს ბრძოლა სისტემით "Dubble elemination" ანუ 2 წაგებამდე. აღსანიშნავია, რომ 16 საუკეთესოთა შორის მოხვდა ყველაზე პატარა მოთამაშეებისაგან დაკომპლექტებული გუნდიც, რომელმაც მოთამაშეთა ასაკის მიუხედავად, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. ვირტუალური ბრძოლები გუნდებს შორის მიმდინარეობდა საოცარი აზარტით და დაძაბულობით, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი შეხვედრა: Eagles - Devils და Eagles – Guts. საათნახევრიანი დაძაბული ვირტუალური ბრძოლის შემდეგ Counter-strike -ის ფინალში გაიმარჯვა გუნდმა Guts – დავით კუპრაშვილის, ზურაბ დენტოშვილის, ალექსი ბარამიძის, როლანდ მარქაროვის და ზურაბ ენაგელის შემადგენლობით. ფინალური მატჩის დამთავრებისთანავე მოხდა მათი დაჯილდოება. პრიზები მონაწილეებს გადასცა საქართველოს სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა და "ჯეოსელი"-ს წარმომადგენელმა. ამჟამად კი კომპიუტერული სპორტის ფედერაციის ეგიდით მიმდინარეობს ტურნირი Heroes III – ში.

## მოკლედ

### გასული თვის საუკეთესო თამაშები:

1 Operation Flashpoint: Resistance Codemasters
2 Baldur's Gate II: Shadows of Amn Interplay
3 Warcraft III: Reign of Chaos Blizzard
4 Imperium Galactica II: Alliances GT Interactive
5 Baldur's Gate Interplay
6 Grand Theft Auto 3 Take 2 Games
7 Civilization III Infogrames
8 Grand Prix 4 Infogrames
9 Tomb Raider: The Last Revelation Eidos Interactive
10 Elder Scrolls III: Morrowind Bethesda Soft.

### გასულ თვეში გამოსული თამაშები:

Grand prix 4
Zanzarah: the hidden portal
Return the castle Wolfenstain: Gotie
Danger island
Titanic
Mechwarrior IV: Inenr sphere mech pak
Micro tracks
Duke nukem: Manhattan project
Delta force: task force dagger
Michael Schumacher racing world cart 2002
Atrox
Migth & magic IX
Hero X
Stuart Little 2
Neverwinter nights
Warcraft III: reign of chaos
Project Earth
Space HoRSE
Shadow of destiny

### მომავალ თვეში გამოვა:

| | |
|---|---|
| 03.08.2002 | Road Trip 2002 Wasatchware |
| 06.08.2002 | Wildlife Park Fishtank Interactive |
| 10.08.2002 | Horizons: Empires of Istaria Artifact Entertainment |
| 13.08.2002 | Thing Kalisto Entertainment |
| 13.08.2002 | Aliens vs. Predator II: Primal Hunt Sierra Entertainment |
| 14.08.2002 | Call of Cthulhu: Dark Corners of the Earth Fishtank Interactive |
| 14.08.2002 | Beam Breakers Fishtank Interactive |
| 14.08.2002 | Counter-Strike: Condition Zero Sierra Entertainment |
| 15.08.2002 | Ghost Recon: Desert Siege Ubi Soft |
| 15.08.2002 | World War II: Panzer Claws Zuxxez Ent. |
| 15.08.2002 | Grom CDV Software |
| 15.08.2002 | Game of Death Burns Games |
| 15.08.2002 | Haegemonia: Legions of Iron Cryo Interactive |
| 15.08.2002 | Knights of the Cross Cenega |
| 16.08.2002 | Big Scale Racing SummitSoft |
| 18.08.2002 | Ultima I: A Legend is Reborn Electronic Arts |
| 19.08.2002 | Divine Divinity CDV Software |
| 19.08.2002 | Earth & Beyond Online Electronic Arts |
| 20.08.2002 | Destroyer Command SSI |
| 20.08.2002 | Excalibur Auran |
| 20.08.2002 | Troma Project Zuxxez Ent. |
| 20.08.2002 | Beach Life Eidos Interactive |
| 20.08.2002 | Necrocide: the Dead Must Die NovaLogic |
| 20.08.2002 | Vivisector: Creatures of Dr. Moreau Action Forms |
| 20.08.2002 | Chrome Techland |
| 21.08.2002 | Tiger Hunt: Armor Clash in Normandy WizardWorks |
| 22.08.2002 | Karma: Immortality Dragonfly |
| 22.08.2002 | Celtic Kings: Rages of War Strategy First |
| 23.08.2002 | Dark Ore Raylogic |
| 24.08.2002 | Tsunami 2265 Got Game Entertainment |
| 25.08.2002 | Savage Skies iROCK Interactive |
| 27.08.2002 | Mafia: The City of Lost Heaven Talon Soft |
| 27.08.2002 | Unreal Tournament 2003 Infogrames |
| 27.08.2002 | IceWind Dale 2 Interplay |
| 27.08.2002 | G.I. Combat Strategy First |
| 29.08.2002 | O.R.B. Strategy First |
| 31.08.2002 | Industry Giant II JoWood Productions |
| 31.08.2002 | Farscape Simon & Schuster |
| 31.08.2002 | Warbirds III: Fighter Pilot Academy Simon & Schuster |

გვერდი მოამზადა ზურა ბოკერია


მეორე სერია

# ვეძებოთ ოჩოპინტრე!


ილია ჭრელაშვილის ნახატი
ირაკლი ბილაშვილის კომპიუტერული დიზაინი

"24 საათის" რედაქციაში სანამ შეხვალ, ლიფტიდან ჰოლში უნდა გამოხვიდე და კარისკაცს საბუთი უნდა აჩვენო.

ეს უცნაური კაცი, ოჩოპინტრე, რა საბუთს აჩვენებდა?!

ეცა, თურმე, კარისკაცს: "რედაქტორთან შემიშვით, საბავშვო დამატებაში უცხოელი ცხოველების წერილები მიმაქვსო!"

შეშფოთებული კარისკაცი დაცვის გამოძახებას აპირებდა უკვე, როცა მე გამოვედი ლიფტიდან. ახლა ჩემთან მოვარდა ოჩოპინტრე, გაბურძგნული თმებით და გაჩეჩილი წვერებით, ყურების პარტყუნითა და მანჭვაგრეხით ირგვლივ შემომიარა, ბატიფეხურით ნაჯღაბნი ფურცლების გროვა გამომიწოდა და ასე მითხრა:

- როგორც ვატყობ, ესენი მე აქ არ შემიშვებენ, მათხოვარი ვგონივარ ყველასო! თქვენო, ბატონო, სერიოზული კაცი ჩანხართ, მომეხმარეთ, იქნებ, როგორმე მივაწოდოთ ეს წერილები ჩვენს ბავშვებსო.

- ვინ ბრძანდებით და რა წერილებია-მეთქი, - ვკითხე.

- მეო, ბატონო, საქართველოს ცხოველთა და ფრინველთა გამგებელი ვარ, ჩვენი რეგიონის ოჩოპინტრე. რამდენიმე დღეა, რაც თბილისში ჩამოვედი, ზოოპარკში გამომწყვდეული ჩვენებური ცხოველების საკითხებს ვაგვარებ, მაგრამ რას მოაგვარებ, - უცხოელი ცხოველებისთვის ვერ მოგვივლია და აქაურს ვინ დაეძებსო! ხომ იცით, ყველა უცხოელს თავის გამოჩენა როგორ უყვარს: ორი ღერი ქართული უსწავლიათ და უკვე წერილების გამოქვეყნება მომთხოვეს. თუ კაცი ხარ, ნუ გამაწბილებ, რამდენიმე დღეში მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან ცხოველთა და ფრინველთა გამგებლები, მოკლედ, მსოფლიოს ოჩოპინტრეთა სიმპოზიუმი იმართება თბილისში და შევრცხვებით, ერთი თხოვნა მაინც რომ ვერ შევუსრულო უცხოელ ცხოველებსო!

სანამ მე ამ წერილებს ვათვალიერებდი, ლიფტის კარები გაიღო.

- აბა, თქვენი იმედი მექნება, კარგად განახეთო! - მომაძახა ოჩოპინტრემ, შეხტა ლიფტში და - ფაფუ!

სად არ ვეძებეთ, ვინ არ ჩავრიეთ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერსად მივაგენით ოჩოპინტრეს კვალს.

არადა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ თბილისშია. სიმპოზიუმის დამთავრებამდე, არა მგონია, თავის ტყეს დაბრუნებოდა!

უფრო, ჩემი ფიქრით, ზოოპარკის მიდამოებში შეიძლება შეგხვდეთ. არც ისაა გამორიცხული, თბილისის ზღვასთან, ან კუს ტბაზე, ანდა, სულაც, გლდანში, თემქაზე ან ვარკეთილში მოჰკრას რომელიმე თქვენგანმა თვალი.

დაუყოვნებლივ შეგვატყობინეთ!

ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი საინტერესო ამბის მოყოლა შეუძლია ამ უცნაურ კაცს: იგი ხომ დღენიადაგ ტყე-ღრეში დაეხეტება, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული ფეხითა აქვს შემოვლილი!

პატივისცემით,
**დამატება "საბავშვოს"**
**რედაქტორი**



## ლომის წერილი

ცოდვას ვერ ვიტყვი, ახლა კარგი კვება გვაქვს.

ერთი პერიოდი იყო, საჭმელიც არ მოჰქონდათ. რა ვაჭამოთო, რა ვქნათო, ომია, უბედურებაა, რა დროს ზოოპარკიაო!

"გამიშვით, მერე, თქვე დალოცვილებო, ლომი ვარ, ცხოველთა მეფე, საჭმელ-სასმელს ველარ ვიშოვი ჩემთვის-მეთქი?"

ეეჰ, ვინ გაგიშვებს! ასე უნდა ვიყო მთელი ცხოვრება, გისოსებში გამომწყვდეული. თავისუფლებადაკარგულო ლომი ლომია?! ჩემს სანახავად მოსული ბავშვებისთვის, კი ბატონო, ლომი ვარ, მეფეთ-მეფე, ცხოველთა რისხვა (ამას რომ გავიფიქრებ, ხანდახან, ყველაფერი მავიწყდება და მე რომ შემეფერება, ისე დავიღრიალებ ხოლმე), სინამდვილეში კი ვინ ვარ? კატა! დიდი, ვეებერთელა, არაფრისმაქნისი კატა ვარ და მეტი არაფერი!

ასე დაბოღმილი როცა ვარ, ლექსს ვამბობ ჩემთვის და ვიოხებ გულს. ეს ლექსი აქაურმა ჩიტმა მასწავლა: - შემოფრინდა ჩემთან და რამდენჯერმე წამიკითხა. არ იყო ძნელად დასაზეპირებელი ლექსი:

"ლომი მიაწყდა მკერდით
გალიას,
თავისუფლება
დამიბრუნეთო!
ადამიანის გაჩენისათვის
დედას გიტირებთ,
მაიმუნებო!"

სხვა რა დამრჩენია? ვკითხულობ ამ ლექსს და ვიკლავ ბოღმას.



## თევზის წერილი

მე წერა-კითხვა ვიცი, მაგრამ ფარფლებით წერა არ შემიძლია და ჩემს მეზობელს, პითონს ვაბარებ: "იცოდეს ყველამ, ბევრი რამე მაქვს სათქმელი, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსე!"





## მაიმუნის წერილი

უცხოელს ვერც კი დავარქმევ ჩემს თავს, - რომ გავჩნდი, უკვე ამ ზოოპარკში ვიყავი, გისოსებში გამოკეტილი. სადაც დაიბადები, შენი სამშობლოც ის ქვეყანაა. მაგრამ, რანაირად ვარ მე ქართველი? ჩვენი გალიის გისოსებზე რომ დაფაა გაკრული, მოდით და წაიკითხეთ, რა წერია იმ დაფაზე: "ჰავიან ჰამადრილი", ე.ი. ჩვენს ჯიშს ჰქვია ჰავიან ჰამადრილი, გავრცელებული ვართ ეთიოპიაში და ჩრდილოეთ სომალში, აგრეთვე გვნახავთ ჩრდილოეთ-ალმოსავლეთ სუდანში. აბა, ახლა მე თქვენ გეკითხებით, სადაური ქართველი მე ვარ?

იმ დაფაზე წერია, 20-25 წელი ცოცხლობს საშუალოდო!

მეტი არაა ჩემი მტერი, მე ამ გალიაში 20-25 წელი ვერ გავძლო!

## აქლემის წერილი

რომ ვაკვირდები, ზოოპარკში შემოსული ბავშვები არც ერთ ცხოველთან იმდენ ხანს არ ჩერდებიან და არც ერთ ცხოველზე იმდენ შეკითხვას არ უსვამენ მშობლებს, როგორც ჩვენზე, აქლემებზე.

- დედიკო, მართლა შეუძლია ამას ერთი თვე უწყლოდ გაძლება?

- დედიკო, რა მახინჯია, არა?

- დედიკო, ამ კუზებში ინახავს საჭმელს?

- დედიკო, ახლა შემაფურთხებს?!

კაცო, არ გაგიჟდები? რატომ უნდა შევაფურთხო, რანაირი ლაპარაკია ეს?

ჩვენ, აქლემებს, ოდითგანვე გვიცნობენ მსოფლიოში, როგორც დინჯ, გამძლე და ჭკვიან ცხოველებს, უდაბნოში ჩვენი ფასი არავინ ჰყავს ადამიანს. "უდაბნოს ხომალდიო", - ასე დაგვარქვა ერთმა ბრძენმა. განა შეიძლება, ხომალდი ულამაზო იყოს?

ძალიანაც მომწონს ჩემი თავი. მოდით და დამაკვირდით - არა ვარ ლამაზი?



## ბეჰემოთის წერილი

მდაა... კარგიი... წერილის წერას ნამდვილად სჯობიან, წყალში ჩავწვე!

ძლივს არ დაცხა, კაცოო! მდაა... კარგიი... წავედით აუზისკენ!

პრობლემები თუ გაქვთო, იმ ოჩოპინტრემ...

მაგან მოუაროს იმ ჯიხვს, ეგერ, ზემოთ, კლდეზე რომ შემდგარა და მთელი დღე არ ჩამოსულა. ჯიხვი, კი ბატონო, მაგის რეგიონის ცხოველია და მიხედოს იმას. ბეჰემოტი ოჩოპინტრეს არ ეკუთვნის...

მდაა... ესეც წყალი... ძლივს არ დაცხა, კაცოო!



## სპილოს წერილი

დიდი ხანი არაა, რაც ამ ზოოპარკში მოგვიყვანეს მე და ჩემი ძმა. აუზი დაგვახვედრეს კარგი, სასიამოვნოა ამ სიცხეში ბანაობა, მაგრამ რად გინდა, საკვებს გვაძლევენ ცოტას.

როგორ გინდა გააგებინო ამ ადამიანებს, რომ ჩვენ ვართ ვეგეტარიანელები. ჩვენი საკვები იმდენად არაკალორიულია, კარგად რომ დავნაყრდეთ, ბევრი უნდა ვჭამოთ. შემოღობილის იქით, სანამდეც მივწვდით, სულ მოვასუფთავეთ ბალახი, მაგრამ ეს წყეული ხორთუმი უსასრულოდ კი არ იწელება!

ღმერთმა გაზარდოს ეს პატარები! ცდილობენ, ძალიან უნდათ, რომ მოგვეხმარონ: მოპუტნიან იმ ერთი ციცქნა ხელებით ბალახს და გადმოგვიყრიან გისოსებს აქეთ, მაგრამ რას გვეყოფა ორი მუჭა, როცა ტონამდე საჭმელი გვჭირდება.

ზოოპარკის ადმინისტრაციამ, კიდევ, ტრაფარეტი გამოგვიკრა, რომელიც ბავშვებს აფრთხილებს: "გთხოვთ, სპილოებს უცხო საკვებს ნუ მიაწოდებთო!"

ეეჰ, აფსუს, აფრიკის ჯუნგლებო!



## სირაქლემას წერილი

რა იქნება, ერთი, ამ შემოღობილს მომაშორებდეს ვინმე, გავიქცეოდი, გავიქცეოდი, გავიქცეოდი და გავიქცეოდი.

არა, თუ გინდა, უკანაც დავბრუნდებოდი - სულ კი არ გავიქცეოდი! მერე უკან გამოვიქცეოდი, გამოვიქცეოდი, გამოვიქცეოდი... რას ვირბენდი!?



## ვეფხვისებური პითონის წერილი

სსს... რა უნდა მოგწეროთ, ერთი, თავი დამანებეთ, - ჩემი ჭკუაგონებისა თქვენ, უტვინო ადამიანებმა, რა უნდა გაიგოთ?! ტყავი გამოვიცვალე ახლახან, თან ცოცხალი კურდღელი გადავყლაპე ორი დღის წინ და იმას ვინელებ. დამანებეთ თავი!





## ნიანგის წერილი

ჯერ პატარა ნიანგი ვარ. მაცალეთ, გავიზარდო!

მერე ამ საპყრობილეში ველარავინ დამაკავებს!

სულ სორომ-გორომად მოგიქცევთ ამ ეგზოტარიუმს, თუ რაც ქვია... ჯერ რა სიტყვაა - ეგზოტარიუმი! აქ რომ შემომიყვანეს, კარებზე წავიკითხე: "აკვასამყარო". მე თუ "აკვასამყარო" ვარ, გაჩვენებთ ყველას! ერთი, გავიზარდო!

ეს მწვანე იაგუანაც რა შტერივით იყურება. ერთი, ამასთან შესვლა შემეძლოს, ვაჩვენებდი სეირს. უყურეთ, უყურეთ, როგორ მომჩერებია!

ღმერთო, რამდენი გამოშტერებული ცხოველია ამ ქვეყანაზე!





მარიკა ამურველაშვილის ფოტოები

# ჩვენი ჭერამი

გიორგი ლეონიძე

გამოჩენილი ქართველი პოეტის, გიორგი ლეონიძის სახელი ყველა თქვენგანისთვის ცნობილია, მაგრამ ბევრმა, შეიძლება, არც იცოდეს, რომ შესანიშნავ ლექსებთან ერთად ბატონმა გოგლამ მოთხრობებისაგან შემდგარი, უზადო ქართულით დაწერილი წიგნი - "ნატვრის ხე" დაგვიტოვა. სწორედ ამ წიგნის მოტივებზე გადაიღო დიდმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ ამავე სახელწოდების ბრწყინვალე ფილმი. გთავაზობთ ერთ პატარა მოთხრობას წიგნიდან "ნატვრის ხე".

იორზე, ვენახში დიდი ჭერამი გვედგა, - შებუთქვილი, დახუნძლული.

თუ თავდაპირველად იგი ჩემი საყვარელი ხე იყო, მერე იგი მხოლოდ სევდას იწვევდა ჩემში, თან რაღაც ზიზღსაც კი; მერე ისე გაიარა ჩემმა ბავშვობამ, ზედ ერთხელაც აღარ ავსულვარ, აღარც მისი ტოტი დამირხევია. თითქოს უმძრახად ვიყავ ამ ხესთან, გვერდით გავუვლიდი, ზედაც არ შევხედავდი. მერე დაბერდა, გახმა, წაიქცა, არცა მწყენია, თითქოს კიდევაც გამეხარდა.

გულში მფიფქავდა ერთი მოგონება, თორემ უმიზეზოდ რათ შევიძულებდი ნაადრევი ხილით გამხარებელ ხეს?

მაშინ კახეთის რკინიგზა გაჰყავდათ. გზა ჩვენს ივრის ვენახებზე გადიოდა. მალე დაიწყო ჯოჯოხეთური მუშაობა. მექანიზმები მაშინ არ ჰქონდათ და ხელით ებრძოდნენ სალიანდაგო სათხრელ მიწას. დიდძალი მუშა ტრიალებდა - ქართველები, სომხები, რუსობაც ბევრი იყო. ადგილი იყო დახაშმული, ჰაერი - ბოტორო. ივრის მწვანე ჭაობნარი, ჭყანტობები, ჭანჭრობები, ლიები საწყალ მუშებს უხვად ასაჩუქრებდნენ ციებ-ცხელებით, სიცხე სუნთქვას აგუბებდა, სახეს სწვავდა თონის ალმურივით. მუშას სასმელი წყალიც კი არ ჰქონდა, მღვრიე იორის გარდა. ავად ხდებოდნენ, იქვე მიწაზე ჭერეხებივით ეყარნენ. პატრონი ვინ იყო? ზედამდეგები, შინამდეგები უყვიროდნენ, აგინებდნენ, ხოლო ქედწაგრეხილი მუშები უსიტყვოდ ასრულებდნენ მათს ბრძანებას.

საღამოობით, სამუშაოს აშვებისას, ახალგაზრდა მუშები ცდილობდნენ ვითომც გამხიარულებას, მაგრამ წელმოწყვეტილი დათუთქული ადამიანის ლხინი ვის გაუგონია? ერთხელ, ორჯერ მოსწევდნენ გარმონს, მაგრამ გულს ხალისი არა ჰქონდა, ხოლო მარჯვენას - ღონე და გარმონი იქვე მიყუჩდებოდა, თითქოს შორიდან ვილაცამ დაიკვნესაო! სიცხისაგან გათანგულ მუშებს საუბარიც კი ეზარებოდათ.

მათი ერთადერთი იმედი, გახარება და გასართობი ივრის ვენახების ხილი იყო. ჩვენი ვენახიც ხომ ზედ ივრის პირას იდგა!

ვენახები ულეველი ხილით იყო სავსე: ბალი, თუთა, ჭერამი, თაფლა მსხალი, გულაბი, პანტა, ატამი, ვაშლი, კომში, ფშატი... ყურძენი ხომ იყო და იყო! შიგ და შიგ თავკარავიანი კაკლები იდგა, რომლის ტოტებზე ბალერინასავით დახტოდა ყვითელი მოლაღური და "ბიჭო გოგიას" დაგვძახოდა.

უთვალავი ხეხილი ზედ გზის პირას იდგა ლალ-ზურმუხტისფრად, მაგრამ არც ერთ მუშას არასოდეს უკადრია ხილის მოპარვა. მხოლოდ ფულის შემოძლევა კი იცოდნენ. გლეხებს ეხათრებოდათ ფულის აღება და ისე შესთავაზებდნენ ხოლმე, მაგრამ მუდამ ხომ არ შეიძლება თავაზა? და აი, თითქოს მიწიდან ამოცვივდნენ ჩარჩები, ვაჭრუკანები, დაერივნენ ჩვენს ვენახებს და თვითეული ხე, ძალითა თუ ნებით, შეისყიდეს, რათა მერე ერთი ათად გადაეყიდათ მუშებზე. ერთი ხეც კი აღარ დარჩა სადმე ბავშვების პირის ჩასატკბარუნებლად. როგორც მახსოვს, თითო ხეში ექვს შაურს, ათ შაურს, სამ აბაზს და ასე, მანეთამდე იძლეოდნენ, თვითონ კი თუმნობით იგებდნენ.

ხეხილის მსხმოიარობით გახარებული საწყალი ბავშვი მიადგებოდა უხვად დასხმულ ხეს, მაგრამ უეცრივ მოაგონდებოდა სასტიკი სიტყვა "გაყიდულია" და გველნაკბენივით უკან გამობრუნდებოდა. ასე დაემართათ ჩემს ფეხშიშველა ამხანაგებს - ფიფონას, ბათულას, აგლიას, არსენას. ვინ წაართო ეს თაფლივით ჭერამი?! იმ ვერცხლის ათშაურიანმა, რომელიც მათმა მამებმა ჩაიდეს დახეული ახალუხის ჯიბეში.

აი, ქურდულად მიიხედ-მოიხედავს ბავშვი, - მერე რა მსხალია! მსხლებს რომ პირი ჰქონდეთ, ხომ ერთმანეთს დასჭამდნენ! მაგრამ დიდედას მუხლქვეშ გაზრდილებს ქურდობისა ეშინოდათ, თან ყურში ჩასძახოდათ ის სიტყვები, ჩარჩმა რომ დააყვედრა მათ მამებს ათშაურიანის მიცემისას.

- აბა, გაბრო, ამ დასხმულ ხეს გაბარებ. ასევე უნდა დამახვედრო, ბავშვებმა არ მომიკრიფონ.

გაბროც მამის სულს დაიფიცავდა, შეჰპირდებოდა პატიოსნებას, მაგრამ რატომ თავისი ქერა ბიჭი ფითონა არ ეცოდებოდა? ბარემ... მაგრამ ჩარჩის ათი შაური სიღარიბის რომელიღაც ჭუჭრუტანას ამოუვსებდა ბეჩავ გაბროს.

შეიკრა, გაიფიცა ბავშვების წინაშე ივრის ხეხილი. ვის გაეგონა წინათ ხილის აკრძალვა? მთელი ივრის ხილი ხომ ჩვენი იყო. ჩიტებივით დავნავარდობდით ტოტებზე ბალღები, ახლა კი, მთელი ივრის ბაღნარები ჩვენთვის შეკრული, მოკვეთილი აღმოჩნდა; ამ მოულოდნელმა რისხვამ დაგვამუნჯა. მეტად მოულოდნელი და შემზარავი იყო. გულზე ჯანღად დაგვედო.

ივრის ბაღნარი კი ისევ შრიალებდა. ჭრელ-ჭრელი ხილი ისევ თვალს გვტაცებდა, ჩვენ კი თითქოს ერთ დღეში დავბერდით; თითქოს ბავშვობა აგვიკრძალეს იმ ხილის აკვეთით და ხილთან ერთად ხომ თვითონ იორიც იკრძალებოდა. რაღა საქმე გვქონდა იორზე, რაღათ უნდა ჩავქანებულიყავით სოფლიდან ივრის ჭალებში?

იორი კი ჩვენი ემბაზი და ასპარეზი იყო - საბანაო, სათევზაო. ივრის მორევში ჩაწოლილ კამეჩის გახეშილ კისერზე ჯდომა - დიდი ნეტარება იყო. ერთი სიტყვით, მთელი დღე იორზე ვეყარენით... და აი, ახლა ისე დამუნჯდა იორი, თითქოს შაჰ-აბაზი მეორედ შემოგვესია და ბავშვები მთლად გაუჟუჟიაო თუ კევრით გაულეწიაო. მგონი, ჩიტებიც კი აღარ ჭიკჭიკებდნენ ბავშვების ცოდვით.

მე ერთი ვიყავი იმედიანად, მე ხომ მქონდა იორზე საკუთარი ხელუხლებელი ჭერამი? ჰოდა, ჩემს ფეხშიშველა მეგობრებს ჩავიყვანდი ჩვენს ვენახში და ვეტყოდი:

- ადი ბიჭო, დაარხიე, დაკრიფე, გაიხარე!

და აი, ერთ კვირა დილას, ჩავცვივდით იორზე - მთელი უბნის ბალღობა მყავდა დაპატიჟებული; ახლა რას გვიზამს ჩარჩის აკრძალვა? ჩემი ხეა და ჩემად შევინახავ, ფულზე არ გამიცვლია! მაგრამ, იცით, რა მოხდა! შორიდანვე დავინახე, ჩვენ ჭერამთან იდგა ჩარჩი მელქო, გოდრებით აკიდებული ცხენი იქვე ეყენა და გულმოდგინედ კრეჭდა ჩემს ჭერამს.

თურმე დედაჩემს ჩვენი ჭერამიც გაეყიდნა: ცოდონი არიან მეზობლის ბავშვები, რომ მარტო შენ გქონდეს ხილიო! არაუშავს რა, შენც მათთან ერთად იმარხულეო და გადმომცა სამი ვერცხლის აბაზიანი.

- შენი საყვარელი წიგნები იყიდეო!

მე მართლაც ვიყიდე ორიოდე წიგნი, მაგრამ მალე შემძულდნენ ის წიგნებიც და მათი დამწერნიც.

აი, რა მიზეზით იყო, რომ ჩვენი ჭერამი მხოლოდ სევდას და სიძულვილს იწვევდა ჩემში.

იგი სასტიკად მოექცა ჩვენს უდარდელ ბავშვობას. მისმა მსხმოიარე ტოტებმა დაჩხვლიტეს, დაკბინეს ჩვენი ბავშვური უზრუნველობა.





მარიკა ამურველაშვილის ფოტო



მორის ფოცხიშვილი

## ვინ რა ინატრა

ჩიტმა - ცა,
თევზმა - წყალი,
მგზავრმა - გზა,
ცხენმა - ნალი.
ვირმა - ბზე,
აფრამ - ქარი,
ტურამ - ტყე,
მგელმა - ცხვარი.
ჯამმა - რძე,
ყველმა - პური,
ვაზმა - მზე,
გულმა - გული!



მორის ფოცხიშვილი

## ვინ იცვლება, ვინ - არა

ემატება წუთებს წუთი,
დღეებს - დღე და კვირას - კვირა,
გადაიქცა გოჭი ღორად,
კნუტი - კატად,
ლერწი - სტვირად,
ხბო - ხარად და
ბარდი - ბუჩქად,
გზა - შარად და
შარა - ქუჩად,
ბარტყი - ჩიტად,
კიჭი - კბილად,
მელაკუდა - ნამდვილ მელად,
მარტო რწყილი დარჩა რწყილად,
ჭიანჭველა - ჭიანჭველად!

გიორგი წერეთელი

## ნაცარქექია

ხელში რომ წიგნი გეჭიროს,
ბექაო, ჩემო ბექაო,
ვინ გკადრებს, ვინ გაგიბედავს:
ზიხარ და ნაცარს ქექავო?!

მაშინ ხომ ასე იტყვიან:
დაჯდა და წიგნებს ქექავსო!
წიგნიქექია არა სჯობს
ნაცარქექიას, შე კაცო?!



მზია შარაშიძის ნახატები



## ყველა გუგული როდი ტოვებს შვილებს!

თავისი ევროპელი "დაიკოებისაგან" განსხვავებით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკის მშრალ დაბლობებში მცხოვრები გუგული თვითონ იშენებს ბუდეს და თავის ბარტყებსაც თვითონვე ზრდის. ეს გუგული მიწაზე ცხოვრობს და ფრენა ნაკლებად უყვარს, სამაგიეროდ, სირბილით ყველა ცაში მფრენ ფრინველზე სწრაფად დარბის - საათში 25 კმ სიჩქარეს ავითარებს! სირბილისას მუხრუჭისა და საჭის მაგივრობას ამ უცნაურ გუგულს გრძელზე გრძელი კუდი უწევს!

## ყველაზე დიდი სეტყვის მარცვალი

ყველაზე დიდი სეტყვის მარცვალი მსოფლიოში კანზასში, ამერიკის შეერთებულ შტატებშია ნაპოვნი და დაფიქსირებული. მისი სიგანე 19 სმ იყო და შესახედავად პატარა ნესვს ჰგავდა.

## ბუზი - გიგანტი!

4-5 სანტიმეტრს აღწევს სიგრძეში გიგანტური ზომის ბუზი, რომელიც აზიის სტეპებში ბინადრობს. იგი დაუნდობელი მტაცებელია, რომელსაც შეუძლია თითქმის ნებისმიერი მწერის მოხელთება და განადგურება. თქვენ წარმოიდგინეთ, ბუზი-გიგანტი ფუტკრებთან შებრძოლებასაც არ უშინდება და თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

ყველაფერთან ერთად ეს ბუზი ისეთი ღორმუცელა და გაუმაძღარია, თითქმის განუწყვეტლივ ნადირობაშია ჩართული. მხედველობასაც არ უჩივის ბუზი-გიგანტი - წამში შეუძლია შეაფასოს მოძრავი მწერის შესაძლებლობები: თავდასხმა სჯობს თუ უკეთესი იქნება, თვითონვე დაიმალოს. მაგრამ თუ თავდასხმის გადაწყვეტილება მიიღო, იცოცხლეთ, მტაცებელი ბუზი მსხვერპლს წამში დააყრის შავ დღეს!



## ყველაზე დიდი ნაყოფი

ინდოეთში გავრცელებული პურის ხის ნაყოფი ერთ-ერთი ყველაზე გიგანტურია ნაყოფებს შორის.

ხშირია შემთხვევა, როცა ნაყოფის წონა 40 კილოგრამს აღწევს.



## უდაბნოში ხეები არ ხარობს?

ბევრს ჰგონია, რომ უდაბნოში ხე არ იზრდება, მაგრამ ეს მთლად ასე არაა. სამხრეთ აფრიკის უდაბნოებში გვხვდება უცნაური ხე - "ველვიჩია". მისი ღერო სიმაღლეში სულ რაღაც ნახევარ მეტრს აღწევს, სისქე კი ორჯერ მეტი აქვს. ამ ჯუჯას მხოლოდ ორი ცალი ფოთოლი გამოსდის, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორები! წარმოიდგინეთ დაახლოებით 1 მეტრი სიგანის თასმა, რომელიც სიგრძეში 6 მეტრამდეა გაწელილი.

"ველჩავია" ძალიან ნელა იზრდება. ზოგიერთი ასეთი ხის ასაკი ორი ათასი წელიც შეიძლება იყოს.







## ყველაზე ხმამაღალი

მსოფლიოში ყველაზე დიდ ხმას ცხოველებს შორის უზარმაზარი ცისფერი ვეშაპი გამოსცემს. როდესაც იგი ყვირის, მისგან 850 კილომეტრზე მცურავ "ნათესავებს" თავისუფლად შეუძლიათ გაიგონონ ვეშაპის ძახილი.

## ჯომოლუნგმაზე წყალს უცებ აადუღებ!

დედამიწის ზურგზე ყველაზე მაღალ წერტილზე, მწვერვალ ევერესტზე წყალი დუღილს უკვე 70°C-ზე იწყებს. რაც უფრო დაბალია ატმოსფერული წნევა, მით უფრო კლებულობს სითხის დუღილის ტემპერატურაც.

## რკინის ხე

კასპიის ზღვის სამხრეთის სანაპიროებთან მაღალმთიანი ზონის ტყეებში უცნაური ხეები გვხვდება. ამ ხეებს ისეთი მაგარი მერქანი აქვს, ვერანაირი ნაჯახით ვერ გაჭრი, რკინის იარაღი პირველივე შემოკვრაზე ბლაგვდება. ამიტომ ამ ხეს დაარქვეს რკინის ხე. რკინის ხეები ახლო-ახლოს დგანან და ხშირად ისე გადაეგრიხებიან ხოლმე ერთმანეთს ტოტებით, ველარ გაარჩევ, სად მთავრდება ერთი ხის ტანი და სად იწყება მეორე.

## თავს 360 გრადუსით ატრიალებს

ღამის ფრინველს, ბუს, საკმაოდ შეზღუდული მხედველობა აქვს - იგი მარტო თვალწინ მყოფ საგნებს ხედავს, მაგრამ, სამაგიეროდ, ღმერთმა კისერი მისცა უცნაური: ბუს შეუძლია თავი შემოატრიალოს 360 გრადუსით!



# ვინ გამოიგონა ველოსიპედი?

(ისტორიის მოყვარულთათვის)













ველოსიპედის პირველი წინამორბედი საფრანგეთში გაჩნდა 1791 წელს. იგი გრაფმა - მედე დე სივრაკმა გამოიგონა და სახელად უწოდა "სელერიფერი" (სიტყვასიტყვით: "სისწრაფის შემქმნელი"), თუმცა მისი ხისკორპუსიანი და ხის ბორბლებიანი, უსაჭო და უპედლებო "სატრანსპორტო საშუალება" ნაკლებად ჰგავდა თანამედროვე ველოსიპედს.

ეს სიახლე, თუმცა "სელერიფერი" ვერ უხვევდა და მხოლოდ სწორ გზაზე დადიოდა, ამასთან, მგზავრის ფეხებსაც დიდი ჯაფა ადგებოდა მიწიდან არეკვლისას, მაინც ძალიან პოპულარულ გასართობად იქცა ინგლისში, სადაც მას "ხობბი-ხორზს" ("სათამაშო ცხენს") ეძახდნენ, შემდეგ კი - გერმანიაშიც. თავად ფრანგებისათვის კი მართლაც რომ მოდად იქცა ელისეს მინდვრებზე ამ "სათამაშოთი" სეირნობა.

1792 წელს გერმანელმა ოფიცერმა, თავად ბადენსკის კამერგერმა და მეტყევემ, კარლ ფრიდრიხ დრეზმა სელერიფერს მოძრავი სამართავი წინა ბორბალი დაუყენა.

1830 წელს კი ისევ გერმანელმა ფილიპ ფიშერმა შექმნა ეკიპაჟი ორმეტრიანი წინა ბორბლით, რომელზეც დამონტაჟებული იყო პედლები. მის ველოსიპედს პატარა უკანა ბორბალი ჰქონდა. ბორბლები ერთმანეთს უკავშირდებოდა მილით, რომელზეც სავარძელი იყო დამაგრებული.

მომდევნო 50 წლის მანძილზე ეს მანქანები, რომლებსაც გარეგნობის გამო "ობობებს" ეძახდნენ, ზედმიწევნით დაიხვეწა და უფრო ელეგანტური გახდა.

ველოსიპედით მგზავრობა უფრო საინტერესო გახდა 1847 წლის შემდეგ, როცა შოტლანდიელი რ. ტომპსონის მიერ გამოგონებული ერთიანი რეზინის საბურავები ლორდ ლორენმა გასაბერ კამერიანი საბურავებით შეცვალა.

1853 წელს გერმანელმა მორიც ფიშერმა ააგო ეკიპაჟი, რომელსაც წინა ბორბალზე ჰქონდა პედლები, ხოლო უკანაზე - მუხრუჭი.

სწორედ ამ დროს ანალოგიური კონსტრუქცია დამოუკიდებლად შექმნა პარიზელმა ხელოსანმა პიერ მიშომ. ამ კარეტების ოსტატის პატივსაცემად დაერქვა მის ქმნილებას "მიშოლინა", ხოლო სულ ცოტა ხანში მთელს ევროპაში ახალ მანქანას ეწოდა ფრანგული სახელი - "ველოსიპედი" (ლათინურად velox ნიშნავს სწრაფს, pes - ფეხს).

1860 წლიდან სწრაფად დაიწყო ველოსიპედის მოდერნიზება. ვინ რა არ შეჰმატა ახალ მანქანას, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონება ეკუთვნის ინგლისელ სტარლეის, რომელმაც პედლებსა და ბორბალს შორის დამაკავშირებელი ჯაჭვის გაჭიმვა მოიფიქრა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე შექმნილია ველოსიპედების უამრავი ნაირსახეობა. ცირკის არენაზე თქვენ შეხვდებით ერთბორბლიან ველოსიპედს, პატარა ადამიანებისთვის გამოდის სამბორბლიანები, დიდებისთვის - ოთხბორბლიანიც კი გააკეთეს.

ტრანსპორტის სხვა სახეობებთან შედარებით ველოსიპედი იაფიცაა - მას არ სჭირდება საწვავი, ეკოლოგიურადაც სუფთაა და ჯანმრთელობისთვისაც სასიკეთო, ამასთან, ველოსიპედისთვის საშიში არაა ქუჩის "საცობები" დიდ ქალაქებში.

ველოსიპედის მოყვარულთა შორის კაცებსაც და ქალებსაც ერთნაირად ნახავთ. ამ ტრანსპორტის პოპულარობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია, თუმცა ზრდის ტემპი ყველგან შეიმჩნევა.

ჰოლანდიას, მაგალითად, უველოსიპედოდ რა ეშველებოდა, კაცმა არ იცის: აქ 14 მლნ მოსახლეზე 10 მილიონი ველოსიპედი მოდის!

საქართველოს ქალაქებიდან კი ამ დარგში პირველობა უდავოდ ეკუთვნის სამტრედიას.





# "აბა, სად ნახულა, ან სად გაგონილა..."

ვიქტორ დრაგუნსკი

ცნობილი საბავშვო მწერლის, ვიქტორ დრაგუნსკის მიერ მოგონილი დენისკა კორაბლიოვის სასაცილო თავგადასავლები სატირულ-იუმორისტულ საბავშვო ჟურნალ "ერალაშში" გექნებათ ნანახი, მაგრამ ვინც წაიკითხავს ქალბატონ მიმოზა ახვლედიანის მიერ ქართულად გადმოთარგმნილ "დენისკას მოთხრობებს", ნამდვილად არ ინანებს. აი, ნახეთ, როგორი მოთხრობებია ამ წიგნში:

შესვენებაზე ჩემთან უფროსკლასელმა ლუსიამ მოირბინა და მითხრა:

- დენისკა, შეგიძლია კონცერტზე გამოხვიდე? ჩვენ გადავწყვიტეთ, ორი პატარა ბიჭი მოვამზადოთ და სატირიკოსებად გამოვიყვანოთ. გინდა?

- მე ყველაფერი მინდა! მხოლოდ ამიხსენით, რა არის სატირიკოსი? - მივუგე მე.

ლუსიამ მითხრა:

- რა და, ჩვენ სხვადასხვა ნაკლოვანებები გვაქვს... აი, მაგალითად, გვყავს ოროსნები და ზარმაცები, ჰოდა, ისინი უნდა გამოვამზეუროთ. გაიგე? იმათზე ისეთი რამეები უნდა ვთქვათ, რომ ყველას გაეცინოს. ეს მათ გამოაფხიზლებს.

- მერე, მთვრალები ხომ არ არიან, უბრალოდ, ზარმაცობენ.

- ასე იტყვიან ხოლმე: "გამოაფხიზლებსო", - გაეცინა ლუსიას. - ჰოდა, მართლაც, ეს ბავშვები დაფიქრდებიან, ითაკილებენ და გამოსწორდებიან. ხომ გაიგე? ერთი სიტყვით, ნუ აჭიანურებ: ან ჰო თქვი, ან - არა!

- კარგი, თანახმა ვარ! - ვუთხარი მე.

მაშინ ლუსიამ მკითხა:

- პარტნიორი გყავს?

- არა.

ლუსიას გაუკვირდა.

- უამხანაგოდ როგორ ცხოვრობ?

- ამხანაგი მყავს - მიშკა. პარტნიორი კი - არა.

ლუსიას კიდევ გაეღიმა:

- თითქმის ერთი და იგივეა. ეგ შენი მიშკა მუსიკალურია?

- არა, ჩვეულებრივია, - მივუგე მე.

- სიმღერა შეუძლია?

- ძალიან ხმადაბლა მღერის. მაგრამ ნუ გეშინიათ, მე ვასწავლი სიმღერას.

ლუსიას გაუხარდა.

- გაკვეთილების შემდეგ მცირე დარბაზში მოიყვანე. იქ გვექნება რეპეტიცია!

მე მაშინვე მიშკას საძებნელად მოვკურცხლე. ის ბუფეტში იდგა და სარდელს შეექცეოდა.

მე ვუთხარი:

- მიშკა, გინდა სატირიკოსი იყო?

- დამაცადე, შევჭამო, - მიპასუხა მიშკამ.

მე ვიდექი და ვუყურებდი, როგორ ჭამდა. თვითონ პატარა იყო, სარდელი კი - იმის კისერზე უფრო მსხვილი. ორივე ხელით ეჭირა და გაუფცქვნელად, პირდაპირ მთელს ჭამდა. კბილს რომ დააჭერდა, კანი ტკაცანით სკდებოდა და ცხელი, სურნელოვანი წვეთი აქეთ-იქით იფრქვეოდა. მე ვეღარ მოვითმინე და დეიდა კატიას ვუთხარი:

- თუ შეიძლება, სარდელი მეც მომეცით, მხოლოდ ცოტა ჩქარა?

დეიდა კატიამ სწრაფად მომაწოდა ჯამი. მე ძალიან ვჩქარობდი, რომ მიშკას ჩემთვის არ მოესწრო სარდელის გათავება, რადგან მარტოკას ისე გემრიელი აღარ მომეჩვენებოდა. მეც ორივე ხელში დავიჭირე ჩემი სარდელი და არც მე გამიფცქვნია, ისე დავუწყე ჭამა. ჰოდა, რომ ვკბეჩდი, ცხელი სურნელოვანი წვენი აქეთ-იქით იფრქვეოდა. აი ასე, ორივე ერთად ვჭამდით, პირს ვითუთქავდით, ერთმანეთს ვუყურებდით და ვუღიმოდით.

მერე კი მოვუყევი, ჩვენ რომ სატირიკოსები უნდა ვყოფილიყავით, და ისიც დამეთანხმა. ძლივს გავძელით გაკვეთილების დამთავრებამდე, მერე კი გავიქეცით მცირე დარბაზში, რეპეტიციაზე. ჩვენი ხელმძღვანელი ლუსია უკვე იქ დაგვხვდა და მასთან კიდევ ერთი ბიჭი იდგა, დაახლოებით მეოთხეკლასელი იქნებოდა, ძალიან ულამაზო იყო, პატარა ყურები და ვეებერთელა თვალები ჰქონდა.

ლუსიამ თქვა:

- აი, ესენიც მოვიდნენ! იცნობდეთ, ეს ჩვენი სკოლის პოეტი ანდრეი შესტაკოვია.

- გამარჯობა! - მივესალმეთ ჩვენ და მოვტრიალდით, რომ თავს არ წასვლოდა.

პოეტმა კი ლუსიას უთხრა:

- რა, ესენი არიან შემსრულებლები?

- ჰო.

- ნუთუ ამათზე დიდები ვერ გამოძებნეთ?

- სწორედ ამხელები გვჭირდება!

მაგრამ ამ დროს მოვიდა ჩვენი მუსიკის მასწავლებელი ბორის სერგეევიჩი. მაშინვე როიალს მიუჯდა:

- აბა, დავიწყოთ! სადა გაქვთ ლექსები?

ანდრიუშკამ ჯიბიდან რაღაც ფურცელი ამოიღო და თქვა:

- აი, ზომა და მინამღერი მარშაკის ზღაპრიდან ავიღე, ჩოკინაზე, ბებიასა და შვილიშვილზე რომ აქვს: "აბა, სად ნახულა, ან სად გაგონილა..."

ბორის სერგეევიჩმა თავი დააქნია:

- ხმამაღლა წაიკითხე!

- აი ესენი!

- რა გაეწყობა, - თქვა ბორის სერგეევიჩმა, - მიშკას კი საკმაოდ კარგი სმენა აქვს... ცოტა დენისკას ეშლება ხოლმე.

- სამაგიეროდ, ხმამაღლა ვმღერი, - ვუთხარი მე.

ჰოდა, ჩვენ დავიწყეთ ლექსების გამეორება მუსიკის თანხლებით. ალბათ ერთი ორმოცდაათჯერ და ათასჯერ მაინც გავიმეორეთ. მე ძალიან ხმამაღლა ვღრიალებდი, ჰოდა, ყველანი მამშვიდებდნენ და შენიშვნებს მაძლევდნენ:

- შენ ნუ ღელავ! ცოტა ხმადაბლა! წყნარად! ძალიან ხმამაღლა ნუ მღერი!..

უფრო კი ანდრიუშა ცხარობდა. პირდაპირ საქმე გამიჭირა, მაგრამ მე მაინც ხმამაღლა ვმღეროდი, ხმადაბლა არ მინდოდა, იმიტომ, რომ ნამდვილი სიმღერა მაშინ გამოდის, როცა ხმამაღლა მღერი!

...და, აი, ერთ დღეს, სკოლაში რომ მივედი, გასახდელში დავინახე განცხადება:

"ყურადღება!

დღეს, დიდ შესვენებაზე, "მცირე დარბაზში" შედგება მფრინავი პატრულის "სატირიკონის" გამოსვლა! დუეტს შეასრულებენ პატარები ყოველდღიური ჭირ-ვარამის თემაზე! გიწვევთ ყველას!"



მზია შარაშიძის ნახატი

ანდრიუშკამ კითხვა დაიწყო:

"ვასიას მამა ჰყავს
მათემატიკოსი,
ჰოდა, ამოცანებს ის უყვანს
ადვილად.
აბა, სად ნახულა, ან სად
გაგონილა,
მამა რომ სწავლობდეს
შვილის მაგივრად?"

მე და მიშკას სიცილი წაგვსკდა. რა თქმა უნდა, ბავშვები, მართლაც, ხშირად აყვანინებენ მშობლებს ამოცანას, მერე კი მასწავლებელს აჩვენებენ, ვითომდა, ჩვენა ვართ ასეთი ყოჩაღებიო. დაფასთან კი ხმა ჩაუწყდებათ ხოლმე და ორიანებს იღებენ! აბა რა იქნება! ყოჩაღ, ანდრიუშკა, კარგად მოახვედრა!

ანდრიუშკამ წყნარად და დარბაისლურად განაგრძო კითხვა:

"კვადრატებს ხაზავენ
ასფალტზე ცარცით,
ტანია და მანეჩკა სულ ზედ
დახტიან,
აბა, სად ნახულა, ან სად
გაგონილა,
"კლასობანა" სურთ, კლასში
არ დადიან?!"

ესეც მშვენივრად გამოუვიდა. ჩვენ ძალიან მოგვეწონა! ეს რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილა ანდრიუშკა, ნამდვილი პუშკინია, რაღა!

ბორის სერგეევიჩმა მოისმინა და თქვა:

- არა უშავს, კარგია! მუსიკაც სულ უბრალო იქნება, აი, დაახლოებით ასეთი... - მან ანდრიუშკას ლექსები გამოართვა, თავისთვის, ხმადაბლა დაუკრა და სათითაოდ დაამღერა.

ძალიან შეწყობილად გამოვიდა, ტაშიც კი დავუკარით.

ბორის სერგეევიჩმა კი თქვა:

- აბა, ჩვენი შემსრულებლები ვინ არიან?

ლუსიამ ჩემზე და მიშკაზე მიუთითა:

მე გული შემიფრთხიალდა და კლასში გავიქეცი. მიშკა იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა.

- მაშ, დღეს უკვე გამოვდივართ! - ვთქვი მე.

მიშკამ კი უცებ ჩაილუღლუღა:

- მე არ მინდა გამოსვლა...

პირდაპირ სახტად დავრჩი. რაო, არ მინდაო? ეს რა თქვა! ჩვენ ხომ რეპეტიცია გავიარეთ? მერე რა პასუხი გავცეთ ლუსიასა და ბორის სერგეევიჩს? ანდრიუშკას? ანდა ბავშვებს? იმათ ხომ აფიშა წაიკითხეს და ყველანი უკლებლივ მოცვივდებიან?

- შენ ხომ არ გაგიჟდი? გინდა ხალხი მოატყუო? - ვუთხარი მე.

მიშკამ კი საცოდავად დაიკრუსუნა:

- მე მგონი, მუცელი მტკივა.

- ეგ შიშისაგან მოგდის. მეც მტკივა, მაგრამ უარს მაინც არ ვამბობ!

მიშკა კი მაინც რაღაც ჩაფიქრებული იყო. დიდ შესვენებაზე ბავშვები მცირე დარბაზს მიაწყდნენ, მე და მიშკა ძლივს მივჩანჩალებდით უკან, იმიტომ, რომ აღარც მე ვიყავი გამოსვლის გუნებაზე. მაგრამ სწორედ ამ დროს ჩვენთან მოირბინა ლუსიამ, ხელი ჩაგვჭიდა და წაგვათრია, მე ფეხები თოჯინასავით მქონდა მოდუნებული და სიარულის დროს მეხლართებოდა. ალბათ მიშკასაგან გადამედო.

დარბაზში, როიალის ახლოს, ერთი ადგილი შემოღობილი იყო. გარშემო კი ყველაკლასელ ბავშვებს მოეყარათ თავი, დამლაგებელიცა და მასწავლებლებიც აქ იყვნენ.

მე და მიშკა როიალთან დავდექით.

ბორის სერგეევიჩმა თავისი ადგილი დაიკავა და ლუსიამ დიქტორის ხმით გამოაცხადა:

- ვიწყებთ ჩვენი "სატირიკონის" გამოსვლას საჭირბოროტო თემებზე. ტექსტი ანდრეი შესტაკოვისა, ასრულებენ მსოფლიოში ცნობილი სატირიკოსები მიშა და დენისი! გთხოვთ!

მე და მიშკა ცოტა წინ წავდექით. მიშკა კედელივით თეთრი იყო, მე კი არა მიშავდა რა, მხოლოდ ცოტა პირი მქონდა გამშრალი და ხორკლიანი, თითქოს შიგ ზუმფარა მედო.

ბორის სერგეევიჩმა დაუკრა. დაწყებით მიშკას უნდა დაეწყო, იმიტომ რომ პირველ ორ სტრიქონს ის მღეროდა, მე კი შემდეგი ორი სტრიქონი უნდა მემღერა. და აი, ბორის სერგეევიჩმა დაუკრა, მიშკამ კი მარცხენა ხელი გაშალა, როგორც ლუსიამ ასწავლა, ჰოდა, სიმღერა დააპირა. მაგრამ დააგვიანდა და, სანამ დაიწყებდა, ამასობაში ჩემი ჯერი დადგა, მუსიკის მიხედვით ასე გამოდიოდა. მაგრამ რაკი მიშკას დააგვიანდა, მე აღარ ვიმღერე. აბა, რატომ უნდა მემღერა!

მიშკამ ისევ თავის ადგილზე დაუშვა ხელი. ბორის სერგეევიჩმა კი ახლიდან დაიწყო დაკვრა, უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ. როგორც წესი და რიგი იყო, მან კლავიშებს სამჯერ დაჰკრა ხელი, მეოთხე დაკვრაზე კი მიშკამ ისევ გაშალა მარცხენა მკლავი და დაიწყო:

"ვასიას მამა ჰყავს
მათემატიკოსი,
ჰოდა, ამოცანებს ის უყვანს
ადვილად."

მე სწრაფად ჩამოვართვი და შევძახე:

"აბა, სად ნახულა, ან სად
გაგონილა,
მამა რომ სწავლობდეს
შვილის მაგივრად?!"

დარბაზში ყველას გაეცინა, ჰოდა, მე ცოტა გულზე მომეშვა. ბორის სერგეევიჩმა კი განაგრძო. კლავიშებს ხელახლა დაჰკრა სამჯერ ხელი, მეოთხე დაკვრაზე კი მიშკამ დროზე გაშალა მარცხენა მკლავი და რატომღაც ისევ თავიდან დაიწყო:

"ვასიას მამა ჰყავს
მათემატიკოსი,
ჰოდა, ამოცანებს ის უყვანს
ადვილად."

მაშინვე მივხვდი, რომ მიშკა დაიბნა! მაგრამ რაკი ასე დაემართა, გადავწყვიტე, ბოლომდე ჩამეთავებინა: რაც იქნება, იქნება-მეთქი. ჰოდა, ავდექი და გავაგრძელე:

"აბა, სად ნახულა, ან სად
გაგონილა,
მამა რომ სწავლობდეს
შვილის მაგივრად?!"

მადლობა ღმერთს, დარბაზში სიჩუმე იყო, ეტყობა, ყველა მიხვდა, მიშკა რომ დაიბნა, ჰოდა, იფიქრეს: მერე რა ვუყოთ, ხდება ხოლმე, ხელს ნუ შევუშლითო.

მუსიკა კი უკრავდა და უკრავდა. მაგრამ მიშკა რაღაცნაირად გამწვანდა.

მუსიკა იმ ადგილამდე რომ მივიდა, ისევ გაშალა მარცხენა ხელი და მოშლილ ფირფიტასავით მესამეჯერ წამოიწყო:

"ვასიას მამა ჰყავს
მათემატიკოსი,
ჰოდა, ამოცანებს ის უყვანს
ადვილად."

ძალიან მომინდა მიშკასთვის კეფაში მძიმე რამე ჩამეცხო, ჰოდა, გაბრაზებულმა საშინლად დავიღრიალე:

"აბა, სად ნახულა, ან სად
გაგონილა,
მამა რომ სწავლობდეს
შვილის მაგივრად?!"

- მიშკა, შენ, გეტყობა, მთლად შეიშალე ჭკუიდან! ერთი და იგივე სამჯერ წამოიწყე? მიდი, ახლა, გოგოებზე!..

მიშკამ კი თავხედურად მომიგო:

- უშენოდაც ვიცი! - და ბორის სერგეევიჩს თავაზიანად სთხოვა: - ბორის სერგეევიჩ, გთხოვთ, გააგრძელოთ!

ბორის სერგეევიჩმა დაიწყო დაკვრა, მიშკა კი უცებ გათამამდა, ისევ გაშალა თავისი მარცხენა ხელი და მეოთხე დაკვრაზე, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, შემოსძახა:

"ვასიას მამა ჰყავს
მათემატიკოსი,
ჰოდა, ამოცანებს ის უყვანს
ადვილად."

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ღმერთების ხაზინა

რადიარდ კიპლინგი

ყველა თქვენგანისთვის ცნობილი "მაუგლის" ავტორს, ინგლისელ პროზაიკოსსა და პოეტს რადიარდ კიპლინგს ისე უყვარდა ინდოეთი, მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხის ყოფა და ზნე-ჩვეულებები, რომ თავისი მოთხრობების ციკლს ინდოეთის შესახებ დაარქვა "მოთხრობები ჩემი ხალხის ცხოვრებიდან". გთავაზობთ ერთ პატარა მოთხრობას ამ ციკლიდან, რომელიც ინგლისურიდან თარგმნა ედიშერ გიორგაძემ.

დჰანი ჩაბარაში საღამოთი, ვახშამს რომ მორჩნენ, მოხუცმა ბერებმა ყალიონი გააბოლეს და ხელი მიჰყვეს კრიალოსნის მარცვლას.

შემობაკუნდა ერთი ციცქნა, ტიტლიკანა ბავშვი, ცალ ხელში ნარგიზის ყვავილების კონა ეჭირა, მეორეში კი თამბაქოს ხმელი ფურცლების კეცა.

მან დააპირა დაეჩოქა და თაყვანი ეცა გობინდისათვის, მაგრამ მსუქანი იყო, გადასძლია გადახოტრილმა თავმა. ჯერ წინ გადაკოტრიალდა, მერე კი განზე.

ბავშვს ფეხები მაღლა აეშვირა და ქლოშინებდა. ამასობაში თამბაქოს ბღუჯა ერთ მხარეს გაიბნა, ყვავილები კი მეორე მხრით.

გობინდმა გაიცინა, ხელახლა წამოაყენა ფეხზე, თამბაქო ჩამოართვა და ყვავილები დაულოცა.

- მამამ მოგართვათ, - თქვა ბავშვმა. - ციებამ შეუტია და ვერ მოვა. ილოცებთ მისთვის, მოძღვარო?

- რა თქმა უნდა, პატარავ, ოღონდ იცოდე, არ ვარგა შემოდგომით ასე დედიშობილა ტანტალი, მიწაზე თრთვილი ჰფენია და ჰაერში ღამეული თოში ტრიალებს.

- ტანსაცმელი არა მაქვს, - თქვა ბავშვმა, - მთელი დღე წივას ვეზიდებოდი ბაზარში, ძალიან ცხელოდა და მაგრადაც დავიღალე, - მას ოდნავ გააჟრჟოლა, რადგან მართლაც ცივი საღამო იდგა.

ბერიკაცმა ხელი გამოიწოდა ფართო, გრძელი ჭრელი საბნიდან და ბავშვს თავისაკენ მოუხმო. მანაც არ დააყოვნა, იღლიის ქვეშ შეუძვრა და იქ მოკალათდა.

გობინდმა ხელახლა გააწყო თითბრის ფართო ბუნიკებით მოპირკეთებული ტყავის ნარგილე.

როცა ჩუბარაში მივედი, შევნიშნე საბნიდან გამოჩრილი გადაპარსული თავი, კოსროზე დატოვებული თმით, ელავდა გიშერივით შავი თვალები - გეგონებოდათ, ციყვი იყურება თავისი ბუდიდანო. იგი წვერს უჩეჩავდა გობინდს და ბერიც იღიმებოდა.

მინდოდა ალერსიანი სიტყვა მეთქვა, მაგრამ დროულად გამახსენდა, ბავშვი რომ ავად გამხდარიყო, ჩემზე იტყოდნენ, გათვალაო. და მტერს და ავს, რაც მე მელოდა.

- აბა, წყნარად, ცეროდენავ, - ვუთხარი მე, როცა ბავშვმა ადგომა მოინდომა და გაქცევა, - სად არის შენი ასპიდის დაფა? ანდა მასწავლებელმა რად დართო ნება ამ ეშმაკის ფეხს, ქუჩაში გამოსულიყო, იქ ხომ პოლიციის ჭაჭანებაც არაა, ვინღა დაგვიცავს ჩვენ, უსუსურებს. ახლა გადაჰყვები მაგ ფრანს და სადღაც ეზოში გადაიჩეხები, არა?

- არა, საჰიბ, არა, - თქვა ბავშვმა, გობინდის წვერებში ჩამალა სახე და მოუსვენრად აწრიალდა.

- სკოლაში არდადეგები იყო და ზეიმი მოაწყვეს. ყოველთვის ფრანებს როდი ვუშვებ. მე კრიკეტსაც ვთამაშობ, ვისზე ნაკლები ვარ?

კრიკეტი ნაციონალური თამაშია. კრიკეტს თამაშობს ყველა, დაწყებული პანჯაბის ტრიალ მინდორზე გამართული სკოლის შიშველ-ტიტველი მოწაფეებიდან, კარად რომ ნავთის ბიდონი უდგიათ, დამთავრებული უნივერსიტეტის ბაკალავრებით, რომელთაც ჩემპიონობის სარტყელისათვის დაუდგამთ თვალი.

- ნუთუ შენ კრიკეტს თამაშობ, თავად ჩოგანის ნახევარიც ვერ იქნები სიმაღლით, ჩოგანი კი არა და, ღამურას ოდენაც ვერ იქნები.

ბავშვმა დასტურის ნიშნად დააქნია თავი, - დიახ, ვთამაშობ, მე ვიცი ყველაფერი, - და მან დამახინჯებულად წარმოსთქვა ის სიტყვები, კრიკეტის თამაშისას რომ გაიძახიან.

- ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ლოცვა არ უნდა დაივიწყო, - თქვა გობინდმა, რომელიც მაინცდამაინც დიდ პატივს არა სცემდა კრიკეტსა და დასავლეთიდან შემოსულ სიახლეებს.

- არც მავიწყდება, - წაიდუდუნა ბავშვმა.

- პატივი მიაგე აგრეთვე მასწავლებელს; ღვთის კაცსაც წვერში არ უნდა სწვდე, ონავარო შენა, - მოეფერა გობინდი.

ბავშვმა კვლავ ჩამალა სახე ფართო, გრძელ, თეთრ წვერში, ასლუკუნდა, გობინდმა კი დაუყვავა და დაჰპირდა ისეთ სანუკვარს რამეს, რითაც მსოფლიოს ყველა ბავშვს აჩუმებენ - ზღაპრის მოყოლა აღუთქვა. - სულაც არა მსურს დაგაშინო, შემხედე, აბა, თვალებში, რა მეტყობა სიბრაზის? არე, არე, არე! მეც ვიტირო? მაშინ ჩვენი ცრემლები დიდ ტბას დააყენებს და ორთავე დავიხრჩობით, მერე კი მამაშენს ველარაფერი უშველის, აღარც შენ ეყოლები და ვინღა აუჩეჩავს წვერს? იყუჩე, იყუჩე, მე მოგიყვები ღმერთების ამბავს. ზღაპარი ბევრი იცი?

- ძალიან ბევრი, მამაო!

- აი, ისეთ ამბავს მოგითხრობ, ჯერ რომ არ გქონდეს გაგონილი. დიდი ხნის წინათ, როცა ადამიანები და ღმერთები ერთად იარებოდნენ, ისევე, როგორც ახლა - ოღონდ ესაა, რწმენა დავკარგეთ და თვალზეც ბინდი დაგვეკრა, - ღმერთებს შორის უდიადესი შივა და მისი ცოლი პარბატი ტაძრის ბაღში სეირნობდნენ.

- რომელი ტაძრის? ნანდგაონის უბანში რომ დგას, იქა? - ჩაეძია ბავშვი.

- არა, უფრო შორს, ვგონებ, ტრიმბაკსა ანდა ჰუდრკარში, სადაც შენც მოგიწევს მომლოცველად წასვლა, როცა ასაკში შეხვალ. ჰოდა, იმ ბაღში უნაბის ხის ძირას იჯდა მათხოვარი, რომელიც ოთხი ათეული წელი თაყვანს სცემდა შივას. იგი ცხოვრობდა ღვთისნიერ ადამიანთა მოწყალებით და დღითა და ღამით მისცემოდა თავის ფიქრებს.

- ო, მოძღვარო, ის კაცი შენ ხომ არ იყავი? - თქვა ბავშვმა და თვალები გაუფართოვდა.

- არა, მე ვთქვი, რომ ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, თანაც მათხოვარი ცოლიანი იყო.

- იგი შესვეს ცხენზე, თავზე ყვავილების გვირგვინი დაადგეს და უთხრეს, მთელი ღამე თვალი არ მოხუჭოო, არა? მეც ასე მომექცნენ, როცა ცოლი შემრთეს, - თქვა ბიჭმა, რომელიც ინდური წესით, ბავშვობაშივე დააქორწინეს ამ რამდენიმე თვის წინ.

- შენ რას აკეთებდი? - შევეკითხე მე.

- ვტიროდი, სხვები მტუქსავდნენ; მერე ავიღე და სილა გავარტყი გოგონას; მერე ორთავენი ავტირდით.

- მათხოვარი ასე არ გარჯილა, - თქვა გობინდმა. - ის ხომ წმინდანი იყო, თანაც უპოვარი. იგი დედიშობილა იჯდა ტაძრის კიბეებზე, სადაც ხალხი ადი-ჩადიოდა. ასეთ ყოფაში იხილა იგი პარბატიმ და შივას შესჩივლა: რას იტყვის ხალხი იმ ღმერთებზე, რომლებიც ასე აგდებულად ექცევიან მორწმუნეთ. ეგ გალმელი კაცი ორმოცი წელი გვცემდა თაყვანს და ახლა მის წინ მხოლოდ რამდენიმე ხორბლის მარცვალი და გატეხილი კაური ყრია. ეს ხომ ბევრ ადამიანს აუცრუებს გულს. შივამ მიუგო, მე მივხედავო მაგ საქმეს. და მან შეიძახა მისი ძის, სპილოს თავიანი განეშის სამყოფელო ტაძარში:

- შვილო! ტაძრის ბჭესთან ერთი მათხოვარია - არაფრის მქონე. შეგიძლია რითიმე დაეხმარო?

ძილისაგან გამოერკვა ბნელში შეყუდრული სპილოსთავიანი განეში. ასე მიუგო: - რაკი აგრე გსურს, სამ დღეში იგი გახდება ლაქჰი რუპიას მფლობელი. მერე კი შივა და პარბატი წარვიდნენ. მაგრამ ნარგიზის ბუჩქებში იმალებოდა ერთი მევახშე.

ბავშვმა დახედა ხელში ჩამუჭულ ყვავილებს.

- დიახ, ყვითელ ნარგიზებს შორის და მას ჩაესმა ღმერთის ნაუბარი. ხარბი კაცი იყო, ბოროტი გულისა, და თვითონ უნდოდა ხელში მოეგდო ის ფული. მივიდა მათხოვართან და ჩაეძია: - რამდენს გაძლევენ დღეში ღვთისმოსავნი? მათხოვარმა მიუგო: - ვერ გეტყვი, ზოგჯერ მცირეოდენ ბრინჯს, ხან ცოტა ბოსტნეულს, ხან კი რამდენიმე კაურის. ასეც ხდება, მანგოს ხის დამჟავებული ნაყოფიც მრგებია და ხმელი თევზიც.

- ეგა მქონდეს ახლა, - თქვა ბავშვმა და ტუჩები მოილოკა.

მაშინ მევახშემ უთხრა: - დიდი ხანია გაკვირდები, სანატრელია შენი მოთმენის უნარი. გულით შეგიყვარე. მოდი, მე მოგცემ ხუთ რუპიას ყველაფერ იმის საზღაურად, რასაც შენ შემდგომ სამ დღეში შეაგროვებ. ოღონდ, ხელი უნდა მოაწერო ერთ პირობაზე. მათხოვარმა იფიქრა: ეგ რა უგუნურობაა. მე ხუთ რუპიას ხომ ორ თვეშიაც კი ვერ შევაგროვებო და საღამოს ყველაფერი უამბო თავის ცოლს.

- მევახშისაგან სად გაგონილა ასეთი გარიგება? მგელი ფარაში ყოველთვის მსუქან ცხვარს ირჩევს. ჩვენი ბედი ღმერთების ხელშია. სამი დღითაც კი არაფერს დაჰპირდე, - ჩააგონა ცოლმა. დაბრუნდა მათხოვარი და უარი განუცხადა მევახშეს. ეს ავგული კაცი კი აღარ მოეშვა, სულ უფრო და უფრო მეტ თანხას სთავაზობდა, ჯერ ორმოცდაათ, მერე ას რუპიას - იმ სამი დღის მონაგარის საზღაურად. და რადგან არ უწყოდა, თუ როდის გაიღებდნენ ღმერთები წყალობას, ათასობით რუპიაც კი არ დაიშურა. ბოლოს ნახევარ ლაქჰის ოდენ რუპიამდე ავიდა. მაშინ მათხოვარმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ხელი მოაწერა თამასუქს. ფული ვერცხლით გადაუხადეს. დიდმა თეთრმა ხარებმა ურმით მოზიდეს ეს ფული. ოღონდ ეს იყო, ამ ფულის გარდა მათხოვარმა ღმერთებისაგან ვერაფერი მიიღო და მევახშესაც გული გადაელია ლოდინისაგან. ამიტომაც, მესამე დღეს, შუადღის ჟამს, მევახშე შეიპარა ტაძარში, რათა მალულად ყური დაეგდო ღმერთების თათბირისათვის, შეეტყო, თუ რა გზით უნდა მიეღო მათხოვარს ნობათი. როცა ის ლოცულობდა, ქვები დაშორიშორდა, გაჩნდა ნაპრალი, მერე პირი შეკრა და მევახშის ქუსლი მოიყოლა შიგ. ამ დროს მოესმა სვეტებშუა მომავალი ღმერთების ფეხის ხმა. მოესმა, როგორ მოუხმო შივამ თავის ძეს, განეშს: შვილო, რა იქნა ის ლაქჰი რუპია, მათხოვარს რომ შეჰპირდი? როგორც ჩანდა, განეშმა გაიღვიძა, რადგან მევახშემ გაიგო მისი ხორთუმის ყრუ შრიალი.

- მამავ, ნახევარი იმ ფულისა გადახდილია, მეორე ნახევრის მოვალე კი აქა მყავს ქუსლით დაჭერილი, - ასე მიუგო განეშმა შივას.

ბავშვი სიცილისაგან ჩაბჟირდა.

- და მევახშემ გადაუხადა მათხოვარს? - იკითხა მან.

- რა თქმა უნდა, ვინც ღმერთებს ქუსლით ჰყავთ დაჭერილი, მათ ყველაფერი ბოლომდე უნდა ზღან. იმ საღამოსვე მიადგა მათხოვარს ვერცხლით დატვირთული დიდი ურემი. ასე შეასრულა განეშმა თავისი სიტყვა.

- ნატუ, ო, ნატუ!

საღამოს ბინდბუნდში ეზოს ჭიშკართან მომდგარი ქალი ეძახდა ბავშვს.

ბავშვი მოუსვენრად აწრიალდა.

- ეს დედაჩემია, - თქვა მან.

- წადი, პატარავ, - უთხრა გობინდმა, - მოიცა ერთ წამს.

მან ჩამოახია დიდი კალთა თავის დაკემსილ, ტანზე მოსხმულ საბანს, ბავშვს მოახურა და ისიც გარეთ გატანტალდა.



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი, ირაკლი ბილაშვილის კომპიუტერული დიზაინი

## "აბა, სად ნახულა, ან სად გაგონილა..."

მე-10 გვერდიდან

ამ დროს დარბაზში სიცილისაგან ერთი წივილ-კივილი ატყდა. ჰოდა, ხალხში შევამჩნიე, როგორი უბედური სახე ჰქონდა ანდრიუშკას, კიდევ დავინახე, სახეაწითლებული და თმაგაწეწილი ლუსია შეჯგუფებულ ხალხში ჩვენკენ რომ მოიკვლევდა გზას. მიშკა კი პირდაღებული იდგა, თითქოს თავისი საქციელი თვითონვე უკვირსო. მე დრო ვიხელთე და ხმამაღლა დავაბოლოვე:

"აბა, სად ნახულა, ან სად
გაგონილა,
მამა რომ სწავლობდეს
შვილის მაგივრად?!"

ახლა კი საშინელი ამბავი ატყდა, გეგონებოდა, ხოცავენო, ყველანი ისე ხარხარებდნენ, მიშკას კი მწვანე ფერი იისფერში გადაუვიდა. ჩვენმა ლუსიამ მიშკას ხელი სტაცა და თავისკენ წაათრია. თან მე მიყვიროდა:

- დენისკა, მარტომ იმღერე! არ გვიმტყუნო!.. აბა, მუსიკა! დაიწყე!..

მე როიალთან ვიდექი და გადავწყვიტე, არ მემტყუნა. უცებ ვიგრძენი, რომ ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი იყო, და მუსიკა რომ იმ ადგილამდე მივიდა, რატომლაც უცებ მეც მარცხენა ხელი გავშალე და სრულიად მოულოდნელად დავიღრიალე:

"ვასიას მამა ჰყავს
მათემატიკოსი,
ჰოდა, ამოცანებს ის უყვანს
ადვილად."

მერე რა მოხდა, კარგად არ მახსოვს, რალაც მიწისძვრას კი ჰგავდა, ჰოდა, ვიფიქრე, სადაცაა ქვესკნელში ჩავვარდები-მეთქი, გარშემო კი ყველანი სიცილით იხოცებოდნენ - დამლაგებელი ქალიც, მასწავლებლებიც და ყველანი...

მიკვირს კიდეც, ამ წყეულ სიმღერისაგან რომ არ მოვკვდი. ალბათ, მოვკვდებოდი კიდეც, სწორედ ამ დროს ზარი რომ არ დარეკილიყო...

არა, მე არასოდეს აღარ ვიქნები სატირიკოსი!

რეზო ჭეიშვილი

ცნობილი მწერლის, რეზო ჭეიშვილის წიგნი "მუსიკა ქარში" ერთმანეთზე აკინძული პატარ-პატარა ნოველებისგან შედგება. დასაგემოვნებლად შეგირჩიეთ რამდენიმე მათგანი. ვფიქრობთ, ეს ნოველები ძალიან მოგეწონებათ, მერე წიგნსაც იშოვით და თავიდან ბოლომდე წაიკითხავთ.

## ლანდები ჭაში

დამტოვეს წალვერში, ბავშვთა დასასვენებელ ბანაკში. თითქმის ყველაზე უმრწემესი აღმოვჩნდი და ჩემი თავი ჩააბარეს უფროსკლასელ ორ გოგონას და მომვლელ ქალს, ჩვენს ნათესავს თუ ნათესავის ახლობელს. გოგონები, რომელთაც ჩემი მეურვეობა იკისრეს, თვითონაც დამფრთხალნი და შეშინებულნი ჩანდნენ პირველ დღეს. შემდეგ, ალბათ, მალე გაშინაურდნენ და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, აღარც ჩემს მიმართ გამოუჩენიათ განსაკუთრებული ყურადღება.

სადღაც წაგვიყვანეს, სადღაც მთელ ბანაკს გადაგვიღეს სურათი. მეორე დღეს მოვიდა ფოტოგრაფი და მოიტანა ფოტოსურათები.

ყველამ შეიძინა ფოტოები ჩემს გარდა. ზოგმა ერთი იყიდა, ზოგმა - ათი, ალბათ. ფული არ მქონდა. არავინ შემიწუხებია, ჩემს მაგივრად არავინ შეწუხებულა და დავრჩი ხელცარიელი.

მთელი დღე იმ ფოტოებს დააფრიალებდნენ ბავშვები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გული დამწყდა, ვიდარდე დაძინების წინ. გვიან ჩამეძინა და სიზმარიც კი ვნახე.

ვხედავ, მეორე დღეს იმ ფოტოსურათების ნაკუწები ყრია ძირს. სურათი ვიღაცას დაეხია და დაეფანტა პირდაპირ დერეფანში. უნებურად დავიხარე, ავიღე ერთ-ერთი ნახევი და ზუსტად ჩემს თავს გადავაწყდი. თითქოს საგანგებოდ ვიყავი ამოგლეჯილი საიდანღაც. ჩამოვჯექი მერხზე იმ სურათის ნაკუწნაგლეჯიანად. ვზივარ, ვუყურებ ჩემს გამოსახულებას. ახლაც ვხედავ ნათლად და ბუნდოვნად.

...ჭაში ვიცქირები თითქოს ოდესღაც. ძლივს ვწვდები გვიმს. ფეხის ცერებზე აწეული ჩავყურებ წყლის სარკეს და ჩემსავე ლანდს ვაკვირდები.

ქვიტკირის ნამცეცს ვაგდებ. გამოსახულება იმსხვრევა. ტორტმანებს, წრეებად იგორგლება, ცოტა ხნის შემდეგ წრეები ერთხაზდება, მთლიანდება. კიდევ ვისვრი ქვიტკირის ნამცეცს, კვლავ იშლება და მთლიანდება გამოსახულება. დავყურებ წყლის სარკეს, ფოტოსურათის ნაგლეჯს, - ხან გარკვევით, ხან ბუნდოვნად, როგორც ახლა და მაშინ, ვხედავ და ვერ ვხედავ ჩემს გაუკულმართებულ გამოსახულებას.

წამომდგომია თავზე უფროსი ბიჭი და დამჩერებია. მე ნახევს ვუყურებ, ის მე მიყურებს და ნახევსაც. ეს უფროსი ბიჭი, მგონი, რაღაც რაზმის ხელმძღვანელი, თუ რაღაც იმდაგვარი თანამდებობის მქონე პირი, გულკეთილი ადამიანი უნდა ყოფილიყო და ჩემი შეწუხებული სახის შემხედვარე არანაკლებ შეჭირვებული მზერით იყო გაჩერებული. მისი მზრუნველი, ალერსიანი გამოხედვა დავიჭირე თუ არა, ფოტოსურათის ნახევი გადავაგდე და წავედი.

ბიჭმა ის ნახევი აიღო, დახედა, სინანულით გააქნია თავი და, როგორც ჩანდა, უფროსებს მოუყვა, რაც ნახა.

უფროსები კი თანაგრძნობით მიყურებდნენ ვახშამდე. იღიმებოდნენ, ჩურჩულებდნენ და კვლავ მე მომჩერებოდნენ. პირში ლუკმა აღარ ჩამდიოდა ამათ მაყურებელს. ძალად ვჭამდი, უდარდელად ვიხედებოდი აქეთ-იქით, თითქოს ბაიბურში არ ვიყავი, თითქოს ვერაფერს ვერ ვხვდებოდი. მოვკვდი და აღარ დავრჩი, სინამდვილეში.



ვიღას ვახსოვდი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მომდევნო დღეებშიც თანაგრძნობით მაკვირდებოდნენ. იქ გაჩერება აღარ მინდოდა და წამიყვანეს კიდეც, საბედნიეროდ.

სახლი აშენებული დამხვდებოდა, მეგონა, მაგრამ არ აშენებულიყო. სამაგიეროდ, სახლობა ეტყობოდა, დაჩენოდა ადამიანის ხელი. ქვედა სართული ამოეშენებინათ, გადაენივნივებინათ და მეორე სართულის აგურის კედელი ამოჰყავდათ ერთდროულად ორივე მხარეს.

წითელი, გაპრიალებული აგურის კედლები, ხარიხად აყოლილი, დიშლად და ტარაღად გამოკოპიტებული კუთხის ქვები და კარნიზები ამშვენებდა უკვე შენობას, რომელიც მალე იქცეოდა სახლად, სადაც უნდა გვეცხოვრა, გვეძინა, გვესვა, გვეჭამა და დავხოცილიყავით, ბოლოს და ბოლოს. ცოტა უცნაური კი იყო ეს ყველაფერი, ჩემთვის ძნელი და რთული ასახსნელი, თუმცა თავისმტვრევად ღირებული, რადგან ბავშვთა დასასვენებელი ბანაკი და იქ გატარებული დღეები გადამავიწყდა. ძილის წინ კი მაინც ბანაკი გამახსენდა. დავინახე ფოტოსურათების დაფანტული ნაკუწები, ჭაში ჩასული ლანდები, წყლის სარკეზე დამსხვრეული ხატება, რომელსაც უაზრო თანაგრძნობით, ნაძალადევი ღიმილით და ჩურჩულით ათვალიერებდნენ ოდესღაც, შეიძლება ჩემს დაბადებამდე.

- მე სკოლაში არ წავალ გაისად... - ვთქვი მეორე დღეს, შუადღისას, სადილობის დროს.

- რატომ არ წახვალ? - გადმომხედა მამამ და გაზეთი დაკეცა.

- იმიტომ.

- მაინც?

- აბა, რატომ დამტოვეთ წალვერში!..

- ხედავ, რა თქვა!.. - დედაჩემს გასძახა გაოცებულმა მამამ, - რა კავშირი აქვს წალვერს და სკოლას ერთმანეთთან?

ხმა აღარ გამიღია, მართლაც და რა საერთო უნდა ჰქონებოდა სკოლას და ბანაკს. გაიგებ?.. ისე კი, ძალიან ძნელი ასატანია, შესაბრალისი რომ გახდები თავმოყვარე კაცი, მაგრამ, თუკი გვითანაგრძნობენ, თუკი ადამიანი შენს მაგივრად შეწუხდება, რა უნდა გქონდეს სასაყვედურო და გულში ხინჯად ჩასატოვებელი? არაფერი. და მაინც, ერთი ფოტოსურათი ეჩუქებინათ სამახსოვროდ, ყველაფერს აჯობებდა.

## სად არის გეგელიძე



ქვების მრავალრიცხოვან ლაბირინთებს გაცდება რიონი, გაიმდორებს და უცნაური ლოდები, ნაწისქვილართან რომ იწყება და ახალ ხიდამდე არ თავდება, ქრება მხედველობიდან. ვიწრო კალაპოტი კი თეთრი ხიდიდან ფართოვდება და ქვების უკანასკნელ გროვასთან, კოკის ჩქერებთან იშლება საბოლოოდ. გვერდებიდან დახრამული და დაკბილული, ზემოდან გლუვი, მაგრამ უსწორმასწორო ქვები მეტად რთული ბარიერია გამოუცდელი მოცურავისათვის, განსაკუთრებით, გაზაფხულის მიწურულს, წყალდიდობის დასასრულს.

როცა წყალი აიქოჩრებოდა, აიფოფრებოდა, როცა მთლიანად გადასილისფერდებოდა, ყველა ქვასა და ლოდს რომ გადაფარავდა, მაშინაც კი შევდიოდი შიგ და თავისუფლად მივცურავდი სახიფათო გასაძრომ-გასასვლელებში; მოხერხებულად ვუვლიდი ხოლმე გვერდს კლდის შენიღბულ ქიმებს.

ყველაფერი მიჩვევაზეა. თანდათანობით, ცოტცოტაობით ყოველივეს შეეგუები, დიდი სირთულე დიდ საზრიანობას, სიმარჯვეს გამოგაჩენინებს, კოკი კი, ალბათ, მდორე წყალში, დამშრალ კალაპოტში დაიხრჩო. დაიხრჩო მაშინ, როცა სააღდგომოდ გადარჩენილ გოჭს საპნით ბანენ შუა მდინარეში.

ყველაფერს ბედი უნდა. რატომ უნდა დამხვრჩვალიყო ეს ბავშვი მაინცდამაინც აქ, ამ ალაგას. იმიტომ ხომ არა, რომ მისი სახელი დარქმეოდა აქაურობას. კანონზომიერება, - ბედისწერა და შემთხვევითობა მშვენივრად ეთავსებიან ერთმანეთს და ერთიმეორეს, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავენ.

იმ დღეს სახიფათო მოსახვევიდან დავუყევი კოკის ჩქერებს, ქვებსა და ქვებშუა გავიკვლიე გზა, გავყევი გადარეულ მდინარებას და აღტაცებული შევძვერი გადაბრუნებულ გობის მსგავს სპონდიოზე. შევძვერი და ვიღაც ბიჭიც ამოფოფხდა, გახურებულ, იმჟამად ჩემს მიერ დასველებულ გობზე. ეს საიდანღა გაჩნდა-მეთქი, გამიკვირდა. წყლის ხმაურში არც კი გამიგია, თუ უკან ვინმე მომყვებოდა.

ლოდს ჩაფრენილი, მზისგან განარინჯისფერებული ბიჭი მიცინოდა, ჩამოშლილი თმიდან ჩამოღვრილი წყლის იქედან აელვარებდა კბილებს.

- ვახ, გიგლა!

ჩემი სკოლის ამხანაგის უმცროსი ძმა ვიცანი. იმ ადგილებში ადრე არ შემინიშნავს და რა ჩქერს და წყალს ჩამოყვა, ვერ გავიგე. გაზრდილიყო, კიდევ უფრო ჩასუქებულ-ჩამრგვალებულიყო. უმცროსობას ვეღარც კი დასწამებდი ეგრე იოლად.

როგორა ხარო, მკითხა სერიოზულად.

კარგად-მეთქი. თვითონ კითხვა აღარ ჭირდებოდა.

- სად არის შენი ძმა?

- მოკვდა. - მითხრა გიგლამ და უცბად მოიწყინა. მწუხარების ჩრდილმა გადაუარა მრგვალ სახეზე.

- მოკვდა? - გავიმეორე მე და ამ სიტყვამ საშინლად შემაშფოთა.

უმცროსი გეგელიძე ხმას აღარ იღებდა. არ იცოდიო, მეკითხებოდა თანაგრძნობით.

- როდის მოკვდა?

- წლისთავი გადავუხადეთ.

წლისთავი. როგორ. საიდან? რამდენიმე თვის წინ არ ვნახე გეგელიძე? ჩაკეტილ ოთახში არ მივაკითხე ამ გაზაფხულს?

...თუმცა ბოლო ერთი წელი გეგელიძეს სკოლაში აღარ უვლია. წლის ბოლოს მე თვითონ გადავედი სხვა სკოლაში. ერთი წელი, სრული ერთი წელი გასულიყო მართლაც. ერთი წლის წინათ გარდაცვლილა ჩემი სკოლის ამხანაგი გეგელიძე. სად არის ახლა ნეტავი? სად უნდა იყოს? მიწაში!

...ვეღარ ისწავლის, ვეღარ ითამაშებს, ფერად ქაღალდებს ვეღარ დააწეპებს ერთმანეთს, მუყაოსაგან ვერ გამოჭრის უცნაურ სათამაშოებს. რა უაზრობაა, წარმოუდგენელი უაზრობა.

- ასეა... - დიდივით თქვა ჩემი მწუხარებით მადლიერმა ბიჭმა, წყალში ჩასრიალდა და ნაპირისკენ გაცურა.

დღიდან სკოლაში მოსვლისა ავადმყოფობდა გეგელიძე, გაკვეთილებს აცდენდა ხშირად. მასწავლებლები არ ურტყამდნენ, სწავლასაც არ თხოვდნენ ჩვენსავით, თუმცა სხვაზე მეტად მონდომებული და მეცადინე ბავშვი იყო. გულკეთილს და მოსიყვარულეს მოყვითალო ფერი ედო მუდამ სახეზე. ყვრიმალებზე ღინღლი ჰქონდა წამოზრდილი და ეს ღინღლი კიდევ უფრო უგრძელებდა ისედაც მოგრძო სახეს. რა უნდა გეთხოვა, რომ არ მოეცა, ან არ ენათხოვრებინა. გულკეთილი იყო ძალიან ჩემი ამხანაგი გეგელიძე.

...მამა ომში ჰყავდა უგზო-უკვლოდ დაკარგული. დედა, ტანდაბალი, ჩემი შეტყობითაც კი, ნერვული ქალი, რომელიღაც ფაბრიკაში მუშაობდა. ხან დღე გადიოდა ცვლაში, ხან - ღამე. ბიჭები კი ნახევრად ბნელ ოთახში ჰყავდა ამ დროს გამომწყვდეული. ოთახში ისხდნენ ძმები ზაფხულობითაც. გარედან გადაკეტილ კარს ვერ მიღებდნენ და ფანჯრიდან ველაპარაკებოდით ერთმანეთს.

ფანჯარაზე ვერ გადმოვალ, ავადა ვარ, არ შეიძლება, დედაჩემი მომკლავს, რომ გაიგოსო, მეუბნებოდა გეგელიძე. დედამისის შიშით ვერც მე შევდიოდი შიგ და ვერც გეგელიძე მეპატიჟებოდა თავგამოდებული. ვიდექით ფანჯარასთან და ისე ვლაპარაკობდით.

ზოგჯერ, მართალი გითხრათ, გულიც კი მომდიოდა გეგელიძეზე. სულ სახლში რა აჩერებს, ავადმყოფობა როგორ არ სწყინდება, ამნაირი მოურჩენელი არ მინახავს არაფერი-მეთქი, ვბრაზობდი ჩემთვის. ზამთრის ცივ და ნესტიან ამინდში ფანჯარასაც ვერ მიღებდა და თუკი დედამისიც შინ არ იყო, შუშაზე სახემიბჯენილი ვიდექი სარკმელთან და ვხედავდი, როგორ ჭრიდა გეგელიძე მაკრატლით ფერად ქაღალდებს, ქაღალდებს მუყაოზე აწეპებდა და რაღაც უცნაური ფიგურები გამოჰყავდა. ძმა ხელს უშლიდა, აწვალებდა, კი არ ეხმარებოდა, ნამუშევარს უფუჭებდა და ზოგჯერ სცემდა კიდეც: ამის დანახვაზე ვგიჟდებოდი, სიბრაზისგან ვიხრჩობოდი, უმცროს გეგელიძეს გარედან ვემუქრებოდი, მუჭებს ვაჩვენებდი. ჩემი ამხანაგი ოთახიდან მიღიმოდა, მანდ თუ იდექი, რატომ არ გამაგებინე, რატომ არ დამიკაკუნეო, ამას ნუ უყურებ, გიჟიაო. სულ ერთია, ვცემ, გარეთ გამოვათქვა, ვანიშნებდი ფანჯრიდან. გიგლა ამ დროს ოთახიდან მეჭყანებოდა, ცხვირზე გაშლილ თითებს იდებდა, იგრიხებოდა და კიდევ უფრო მაცოფებდა.

გნახავ ხვალ სკოლაში-მეთქი, ვექადნებოდი უკვე ხმამაღლა და გუნებაში ვანგარიშობდი, რამდენს წავუთაქებდი მეორე დღეს. მარტო ამის წარმოდგენაზე ვწყნარდებოდი და მაინც შეწუხებული მივდიოდი შინ. ვდარდობდი. ალბათ, საჭმელსაც გიგლაია უჭამს, იმიტომ არის ჩემი ამხანაგი გამხდარი და ავადმყოფი-მეთქი.

ვაი, რა საცემი იყო უმცროსი გეგელიძე. კაცი პატრონი არ ჰყავდა გამლახავი. სკოლაში ერთად მოსულ ძმებს რომ დავინახავდი, მეორე დღეს როცა შევხედავდი, როგორ ფრთხილად, მზრუნველობით მოყავდა უფროს ძმას მამა აბრამის ბატკანივით გალურსული უმცროსი, ყველაფერი მავიწყდებოდა; ამას რომ თითი ვინმემ დააკაროს, ჩემ ამხანაგს ეტკინება-მეთქი, ვფიქრობდი და საკუთარ თავს ვკიცხავდი სულსწრაფობისათვის. გეგელიძესაც უხაროდა, მის ძმას რომ აღარ ვერჩოდი, ეღიმებოდა, გადაღლილ, უსიცოცხლო თვალებში სიყვარულის შუქი უდგებოდა.

მომკვდარიყო საწყალი გეგელიძე.

...ჩახუთულ ოთახში თბილოდა და დაორთქლილი ფანჯრის მინიდან ჩანდა გეგელიძის ფერმიხდილი, მოგრძო სახე. მაკრატლით ჭრიდა მუყაოს, ფერად ქაღალდებს აწეპებდა ზედ. გეგელიძის ლანდთან ერთად მოძრაობდა მაკრატელი, ფოლადზე არეკლილი უსიცოცხლო თვალთა სხივის ათინათი. რატომ ჭრიდა მუყაოს, რატომ აწეპებდა ფერად-ფერად ქაღალდებს? ვინ ურჩია, ფერად-ფერადებით შეიყოლიე თავი ამ ცის ქვეშეთში ცოტა ხნითო.

...საშინაო დავალებას წერდა გეგელიძე, წერდა სუფთად, წყნარად, უხმაუროდ, ბურუსში და ფანჯრის მიღმა დამდგარ ნისლში გამოჰყავდა ასოები. სწორხაზობრივად, აუჩქარებლად მოძრაობდნენ ასოები, გამხდარი ხელი და უსიცოცხლო თვალების სხივები; მისი გარსის გარშემოწერილობა ირხეოდა ჩაგმანულ ოთახში, დიდი ბინის ერთ უჯრედში. ბინა ქალაქის საკუთრებას შეადგენდა და ნისლში გახვეული ქალაქი უფრო ნელა და შეუმჩნევლად მოძრაობდა სამყაროს დეკორაციაში. რატომ ვერ მოასწრო გეგელიძემ თავისი როლის შესრულება. იქნებ მოასწრო და შეასრულა კიდეც. სად არის ახლა იგი. კეთილი, წყნარი, მოგრძო სახის, ყვრიმალებზე ღინღლდაჩენილი ბიჭი, ჩემი ამხანაგი გეგელიძე?

## წისქვილის სათავეში წვერა დავიჭირე

სინამდვილეში ნელ-ნელა, ერთი შეხედვით, ერთდროულად დაიცალა ქალაქი. ფრონტზე წავიდნენ კაცები. ბიძები, ნათესავები, ახლობლები, მეზობლები. მაღაზიებთან გაჩნდა უთავბოლო რიგები, თუმცა ჰალვის გარდა ბევრი რამე გაქრა და აორთქლდა უკვალოდ.

გამაგზავნეს წისქვილში. გამაყოლეს კერატაშვილებს, დედას და ქალიშვილს. ამკიდეს სიმინდი ერთი ბათმანი, - დაახლოებით იმდენი კილო, რამდენი წლისაც ვიყავი. ტვირთი ავიმჩატე სახლიდან გამოსვლისას, რა უნდა ამის წაღებას-მეთქი, გავიფიქრე კიდევაც, მაგრამ სიმინდი თანდათან დამძიმდა, გზა უსაშველოდ გაგრძელდა; მუხლებმა მიღალატა, ყურებმა ბჟუილი დამიწყო. მეტი ილაჯი აღარ იყო, შევდექი, ტვირთი ჩამოვიღე, სული მოვითქვი. კერატაშვილებიც გაჩერდნენ. ისინიც მიუჩვეველნი იყვნენ ტვირთის ზიდვას, მათაც პირველად მიჰქონდათ საფქვავი. იდგნენ, ჩემკენ იხედებოდნენ. გახურებულ სახეს იგრილებდნენ გაკეცილი გაზეთით.

ზუსტად იმ ადგილზე ვისვენებდი შემდეგ ყოველთვის. ავიმჩატებდი სიმინდს ასაპალნებისას, მსუბუქად გავაჩაქჩაქებდი ერთხანს, თავისუფლად წავიღებდი მეგონა ბოლომდე და იმავე ალაგას მომწყდებოდა წელი. ნაადრევი იყო ჩემთვის კურტანი, ახლა ვხვდები.

ჩავედით იმ დღეს, როგორც იქნა, ხიდამდე. წყალწითელაც პირველად ვნახე ასე ახლოდან და წისქვილის გზაც დავიმხარი.



მდინარეს, ხიდს, არხს, საგუბარს, ხის დუქნებს და სამჭედურს ერთდროულად გადავავლე თვალი და ამ სანახაობით გაბრუებული დავწინაურდი კიდეც. ქალები ჩამოვიტოვე სათავესთან და წისქვილს, ძნელი საცნობი არ ჩანდა, მივაპირდაპირე. საჩეხში შევჩერდი და გასავათებული ქალებიც წამომადგნენ. საჩეხშივე გაიგრილეს გაზეთით დასიცხული გულმკერდი და წისქვილში შევიდნენ.

კერატაშვილის ქალიშვილი, მეშვიდე კლასის მოსწავლე დედაზე ტანადი და მაღალი ჩანდა. მამა არ ყავდა და, მგონი, არც ყოლია. ომი ისე ჩათავდა, შვილს ობლობა, დედას უქმრობა და ორთავეს უფერხორცობა არ დატყობია.

წისქვილში საკმარისზე მეტი ხალხი დაგვიხვდა. ხრილი მოდებოდა ულამფოდ დარჩენილ კოჭებს, კედლებს, კრიჭას და დოლაბის სახურავს. წისქვილის როშვას, დედაკაცების ლაპარაკს მივუგდე ცოტა ხნით ყური და გარეთ გამოვედი, სათავის ქვიტკირის ყორესთან, რაფთან ახლო ჩამოვჯექი და ხვინჭსა და ღორღზე გახურებული და დახეთქილი ფეხები გადავაწყვე გრილ წყალში.

ხიდქვეშ ბიჭები ბანაობდნენ. ზევით, ჯებირთანაც უამრავი ტიტლიკანა ბავშვი ირეოდა. თავთხელ წყალში და ფლატეებთან თევზაობდნენ კიდეც ხელითა და ანკესით.

გავგრილდი, დაღლილობამ გამიარა და ბანაობის სურვილიც გამიქარწყლა. შეიძლება წყალში ჩასვლა მომერიდა კიდეც, თუმცა ცურვა ვიცოდი.

ვატყაპუნებ წყალში ფეხებს, ვუყურებ ნარეკლიან, ნაცრისფერ, კირქვიან გორებს, გოდოგნისა და კვახჭირის შემოგარენს, ზეგანზე მიმავალ ორთქლმავალს, ბოლში გახვეულ მატარებელს. ფეხების ტყაპუნში, ხელების ფათურში, ფიქრსა და ოცნებაში ჩემდაუნებურად, ღარსა და ყორეს შორის გაკვეხებულ თევზს წავატანე ხელი. მოულოდნელობისაგან გავშეშდი, თუმცა დრო არ დამიკარგავს, თევზი ჩავკლანჭე და მტკავლიანი წვერა გამოვათრიე. ხელში ამისხმარტალდა, კინაღამ გამისხლტა, წყალში კინაღამ გადამიხტა, მაგრამ მოვთოკე რის ვაივაგლახით.

დამეხვიენ ბიჭები, როგორ, საიდან, სად, რა ალაგას დაიჭირეო. დავიჭირე-მეთქი, ვპასუხობდი ბუნდოვნად და მრავალმნიშვნელოვნად. ტრაბახისა და თავის მოწონების დროც აღარ იყო, რადგან რამდენიმე გაზანგული ყმაწვილი ავად მომჩერებოდა უკვე. ბედად კერატაშვილები გამოვიდნენ წისქვილიდან და ტანსრული ქალების დანახვაზე შიშველი ბიჭებიც ჩამომშორდნენ თანდათან.

კერატაშვილის ქალიშვილი წისქვილში შებრუნდა, ძველი, ტუჩმოტეხილი ქოთანი გამოიტანა, წყლით გაავსო, ჯერ კიდევ ცოცხალი თევზი გამომართვა და შიგ ჩასვა. სულმლაფავმა თევზმა უხალისოდ მოიქნია კუდი ქოთანში და სადღაც ფსკერთან მოიბრუნა ამომავალი სული.

ჩვენი ჯერი კარგახანს არ ჩამოდგება, საღამოს უნდა მოვიდეთო, თქვა უფროსმა კერატაშვილმა და სახლისკენ წავედით. ქოთანი ქალიშვილმა წამოიღო. ვეხვეწე და ხელში არ დამაჭერინა. გაგიტყდება, დავიღუპებითო. ამას მე მოვუვლი, გავზრდი და გაჩვენებო, დამაიმედა; სახლთან მიმატოვა, თევზიან-ქოთნიან-დედამისიანად წავიდა.

იმ თევზს რაღა გაზრდიდა. მთელი ბავშვობა მას შემდეგ წყალწითელაზე გავატარე და თვალით არ დამილანდია იმოდენა წვერა, რომელმაც, მე მგონი, გზაში, ქოთანშივე დალია სული.

შებინდებისას ჩავბრუნდით დაფქულის ამოსატანად.

შენი თევზი კარგად არის, იზრდებაო, მითხრა კერატაშვილის ქალიშვილმა, თუმცა არაფერი მიკითხავს.

რაღა უნდა მეკითხა. შეხრამუნებული ჰქონდათ. ზედ არ ეტყობოდათ!

## სურათებიანი წიგნი

მოკლეშარვლიანი ბიჭი მოდის ქუჩაში, ხელში გადაშლილი, მოხატული წიგნი უჭირავს. მოდის მარტოდმარტო. გამვლელ-გამომვლელებს ზედაც არ უყურებს, ის არის და მისი წიგნი. ნელ-ნელა მოიწევს ჩემკენ, ნელ-ნელა მიახლოვდება.

ვდგევარ საკირის ქუჩის გადაღმა, შუშის ქარხანასთან. ჩემს ქვევით სადგურის მივარდნილი ნაწილია. გაუქმებული ლიანდაგები, გამაზუთიანებული შპალები რელსსა და რელსსშუა ამოსული სარეველა ბალახი და გაშავებული ღორღი ჩანს. მოკლეშარვლიანი ბიჭი კი აუჩქარებლად მიახლოვდება. გაშლილი, სურათებიანი წიგნი მჭრის შორიდან თვალს.

გათავებული ამბავია, უნდა წავართვა! აქ ხომ ერთმანეთს გლეჯენ და ართმევენ ყველაფერს; ყველაფერი მიაქვთ, რაზედაც კი ხელი მიუწვდებათ. საქმე მორევაზეა. თუ ერევი, უნდა წაართვა კიდეც; რისი წაღებაც შეიძლება, უნდა წაიღო; რისი წაგლეჯაც შეიძლება, უნდა წაგლიჯო. ხელში თუ არაფერი უჭირავს, თავზე თუ არაფერი ახურავს, უადგილო ადგილას მიკერებული ღილი მაინც უნდა ააწყვიტო. უნდა ცემო, უნდა გალახო, უნდა ატირო, აბღავლო, აღრიალო. სუსტი ძლიერს ჩაგრავს, ღონიერი - უღონოს. დედამიწაზე ჯუნგლის კანონია გამეფებული. "ჯუნგლის კანონი" მაშინ, მგონი, არ ვიცოდი, მაგრამ რომ არ მცოდნოდა, თვითონვე მოვიგონებდი, ისეთ ხასიათზე ვიყავი.

როგორ ძარცვავდა ამ დროს დიდი პატარას, ჯანმრთელი სუსტს, ღონიერი უღონოს? ათასნაირად. ყველა ხერხისა და მეთოდის ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, ამიტომ მხოლოდ ერთზე შევჩერდებით. "მათხოვეს" პრინციპი უფრო პრაქტიკული და მოხერხებული უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენში ამ დროს ეს მეთოდი სხვაზე მეტად იყო გავრცელებული. მაინც რაში მდგომარეობდა იგი? ახლავე მოგახსენებთ:

ადამიანს, რომელსაც გაძარცვას უპირებდი, მათხოვეო (მნიშვნელობა არ ჰქონდა რა უნდა გენათხოვრებინა) უნდა გეთქვა თავდაპირველად, თუ გათხოვებდა (სულერთი იყო - რას) აღარ უნდა დაგებრუნებინა, თუ არ გათხოვებდა, მათხოვე, მათხოვეს ძახილით უნდა გაგეხვრიტა ტვინი, თუ გაჭრიდა, ხომ კარგი, თუ არა და უნდა წაგერთმია, მოგცემო, წაგლეჯის დროს უნდა გეთქვა და რასაკვირველია, აღარ უნდა მიგეცა. ეს იყო და ეს ამ მარტივი მანიპულაციის თავი და ბოლო, ერთი შეხედვით.

გული უსიამოდ შემეკუმშა, როცა წარმოვიდგინე, როგორ მორთავდა ის მოკლეშარვლიანი ბიჭი ტირილს და ჩხავილს.

- მოდი აქ! - ვეტყოდი მე.

- არ მოვალ... - მიპასუხებდა გამომწვევად და უკან-უკან დაიხევდა.

- მოდი, ნუ გეშინია, სულერთია, დაგიჭერ, ვერ გამასწრებ!!

ჩერდება. დგას. გაქცევას ვერ ბედავს. ვუახლოვდები.

- რა არის ეს?

- წიგნი.

- მათხოვე ეგ წიგნი!

- არ გათხოვებ.

- მათხოვე!

- არა.

თუ არა და შენი აჯობებს, და ასე შემდეგ, ღრიალი, ჭყივილი, ქიჩავ-ქიჩავი; ბოლოს ჭიტლაყი და მისი ჯანი. იტიროს, რამდენიც უნდა, და მაინც, ძნელი წარმოსადგენია ყოველივე ეს წინასწარ. ალბათ, რამდენს ნერვიულობდნენ ძარცვის წინ გზაშარაზე გამოსული საწყალი ყაჩაღები.

ბიჭი გამითანასწორდა, ჩემი დაჟინებული მზერა იგრძნო, შემხედა, თვითონვე შეჩერდა.



მზია შარაშიძის ნახატები

- მოდი აქ!

მოვიდა.

ნათელი, მრგვალი სახე, მოკლე, თხელი წაბლისფერი, წმინდად გადავარცხნილი ქოჩორი და ღია ლურჯი თვალები აქვს. იღიმება. მიყურებს.

- რა არის ეს?!

- წიგნი.

- მათხოვე ეგ წიგნი!

მაძლევს.

გვერდზე პატარა ხის ხმალი კიდია, ადრე რომ ვერ შევამჩნიე. ისიც ჩამოვართვი. ისევ ღიმილით მიყურებს. გახარებულია, მეც რომ დავინტერესდი მისი სურათებიანი წიგნით და ხის ხმლით. თავის აღტაცებაც უნდა გადმომადოს თითქოს. არადა, მართლაც მშვენიერი, თვალისმომჭრელი, მკვეთრი ფერებით აფერადებული წიგნია. წიგნი კი არა, ნახატებით და ჩემთვის გაუგებარი წარწერებით აჭრელებული ალბომია. ღმერთო, რა საოცარი სურათები ეხატა შიგ.

მიჭირავს ეს კარგი წიგნი ხელში, ხმალი იღლიაში მაქვს ამოდებული. ნახატებს ჩავყურებ. სურათები თვალს მჭრის, მანათებს, მათბობს, მაშინებს და რაღაც უხილავი, არნახული სამყაროსაკენ მიმაქანებს.

- შენია ეს ხმალი?

- ჩემია.

- კარგი ხმალია! - იარაღი შევუქე, ბეჭზე ჩამოვკიდე.

- ეს წიგნიც შენია?

- ჩემია.

- კარგი წიგნია, ძალიან! - მოვუწონე და დავუბრუნე.

ბიჭი წავიდა, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შეჩერდა, მოიხედა, გამიღიმა, და ჩემი მიხვედრით, ცოტა შეფიქრიანებულმა განაგრძო გზა. ვერ გაიგო, რატომ ვიდექი ასე გახევებული და შეწუხებული შუა გზაში.

გარკვევით ვხედავ იმ დღეს გამოცხადებულ სახენათელ ბავშვს. ზოგჯერ, როცა უხილავს და უმაღლესს ჩემი არსისას, ადგება ბნელი, ისევ და ისევ იმ გამოცხადებულ სახეს დავინახავ და სულში რაღაც განათდება წამით, განათდება, როგორც მზეში გადაშლილი სურათებიანი წიგნი.

ვალერი ჭინჭარაძე

## სანამ სკოლაში შევიდოდი

ჩემი ძმა სკოლიდან რომ მოვიდა, ორი ჯამი ლობიო შესანსლა, რაც წყალი იყო, ისიც ერთიანად დააყოლა, მაგრამ წარამარა გაიძახოდა:

- რა ცხარე ლობიოა, დედა, წყალი კიდევ მინდაო.

შემეცოდა, წავიღე ცარიელი დოქი და ჭასთან ჩავედი.

მაინცდამაინც მაშინ გამოტეხეს მეზობლის წიწილებმა.

- იამზე, გამოიქეცი, რა გიჩვენოო, - დამიძახა ეთერ ბიცოლამ.

გადავძვერი ღობეზე და საბუდარზე მივირბინე. მეც მივედი და ბოლო წიწილაც გამოიჩეკა. ყვითლები იყვნენ, საყვარლები, კვერცხის ნაჭუჭებზე ადიოდნენ, ფორხილობდნენ, ერთი სულაც უკუღმა გადატრიალდა და ძლივს წამოდგა ფეხზე.

კრუხი ქოთქოთებდა, ერთ ამბავში იყო.

- ესენი სამზადში უნდა შევიყვანოთ, თორემ კატა შეჭამსო, - თქვა ეთერ ბიცოლამ, გოდორს ფსკერზე თივა დაუფინა, ჯერ კრუხი ჩასვა შიგ, მერე წიწილები და გოდორი სამზადში წავიღეთ.

კრუხი დაწყნარდა, გაჩუმდა და შვილებს დაუწყო თვალიერება.

ისეთი კარგები იყვნენ, ისეთი კარგები, მოკლედ, არ ვიცი.

ავიყვანე ერთი წიწილა და ხელის გულზე დავისვი. ძლივს იდგა ფეხზე, შავი ნისკარტი ჰქონდა და შავი თვალები. მივადე ცხვირი ნისკარტზე. ვუყურებ, ვუყურებ, ვერ ვძღები ყურებით.

უცებ კივილის ხმა გავიგონეთ და გარეთ გავცვივდით.

ვხედავ, ჩვენს ჭასთან ხალხს მოუყრია თავი. დედაჩემი მოთქვამს:

- მიშველეთ, ხალხო, დავიღუპეო!

ჩვენი მეზობელი, ინდიკო ბიძია, აწყნარებს, - აქვე იქნება, სადმე, ნუ გეშინიაო!

- აბა, დოქი რომ დგას ჭასთანო, - არ ცხრება დედაჩემი, - ჩავარდა ნამდვილად. ასე იცოდა მაგან, თითის წვერებზე აიწევდა, გადაყოფდა თავსა და თავის ანარეკლს უყურებდა ჭაშიო.

მივხვდი, რომ ჩემზე იყო ლაპარაკი.

- დედიკო, აქა ვარ, ნუ ტირიმეთქი, - დავიძახე და ღობეზე გადავძვერი. ჩამიკრა დედაჩემმა გულში, დამიწყო კოცნა, თან ცრემლები მოსდიოდა ღაპა-ღუპით.

ჩემი ძმა მოშორებით იდგა, ხეზე იყო მიყუდებული და ისიც ზლუქუნებდა.

ყველა რომ ტიროდა, მეც ავტირდი. თან ვფიქრობდი: " მართლა ხომ არ ჩავვარდნილვარ ჭაში და რა გვატირებს, რომ ვტირით-მეთქი".

როცა ეს ამბავი მოხდა, ძალიან პატარა ვიყავი, ერთი წელი მაკლდა სკოლაში შესვლას. ახლა ცერებზე შედგომა აღარ მჭირდება, ისე ჩავყურებ ჩემს ორეულს წყალში და არც არავის ეშინია, იამზე ჭაში ჩავარდებაო.



გია გელაშვილის ნახატი

## ცხენები

გუშინ ცხენები ჩამოიყვანეს მთიდან ჩემმა ბიძაშვილმა გოგიამ და იაკინთე ცხვედიანმა. გოგიას თავზე "შლაპა" ეხურა, იაკინთეს არაფერი არ ეხურა და ხელში მათრახი ეჭირა.

- კაი, გოგია ახალგაზრდაა და აფრენს, შენ რაღამ აგაცუნდრუკა, შე საცოდავო, რაღა დროს შენი ცხენებზე პროწიალიაო! - დაუცაცხანა იაკინთე ცხვედიანს მისმა ცოლმა, პელაგია ბიცოლამ. იაკინთემ არაფერი უპასუხა, ცხენს მათრახი გადაჰკრა და შარაგზაზე გააჭენა, თან ჩექმის ქუსლებს ურტყამდა ფერდებზე. ჩემი ბიძაშვილი გოგიაც უკან მიჰყვა.

- კაცების მეტი რა იყო ქვეყანაზე, რაღა ეს შემახვედრე, ღმერთო, - თქვა პელაგია ბიცოლამ და ჭიშკარში შევიდა.

დავრჩი მე მარტო. ვხედავ: შემოაბრუნეს ცხენები გოგიამ და იაკინთემ მაღაზიასთან, ახლა აქეთ გამოაჭენეს. გოგიამ გამოასწრო, ცოტათი წინ წამოვიდა და რომ მომიახლოვდა, ყალყზე შეაყენა, გააჩერა. მთლად სველი იყო გოგიას ცხენი, დაღლილი. ნესტოებიდან ოხშივარს უშვებდა, თავს აქნევდა და პირში ამოდებულ ბაწარს ღეჭავდა. იაკინთემ გვერდით ჩაგვიქროლა და ტირიფებისკენ გააჭენა.

- ახლოს მოდი, ნუ გეშინია, - დამიძახა გოგიამ.

სულ არ მეშინოდა. მივედი ახლოს. გოგიამ ამიყვანა და ცხენზე შემისვა, "აჩუ, აჩუო," - დაიძახა და წავედით ჯერ ნელა, თოხარიკით, მერე კი უცებ გავაჭენეთ. მე ფაფარში ვიყავი ჩაჭიდებული და წინ ვიყურებოდი. მალე ამხედრებული იაკინთე შემოგვხვდა და გოგიას დაუძახა:

- ცოტა ხანს კიდევ ვაჭენოთ და მერე გავუშვათო!

- კარგიო, - უპასუხა გოგიამ.

ამასობაში სოსიამ ჩამოიარა, ჩემმა ამხანაგმა, და დამინახა, ცხენზე რომ ვიჯექი. მეტს არავის ჩამოუვლია. სოსია პირდაღებული მიყურებდა. მე ცალი ხელი გავუშვი ფაფარს და სოსიას ავუწიე.

ტირიფებთან რომ მივედით, იაკინთე ცხვედიანმაც მოაჭენა თავისი წითურა.

- გავუშვებ, აწი, ამას, თორემ სახლში აღარ შემიშვებს პელაგია, - ჩამოქვეითდა იაკინთე ცხვედიანი, მოხსნა ბაწარი ცხენს და მხარზე გადაიკიდა, - უჰ, კაია ცხენი, კაიო!

- ღელემდე ჩვენ გავირეკავთ წითურას და მერე მთისკენ შევუძახებ ორივეს, დაღამებამდე ფარაშიც მივლენო, - უთხრა გოგიამ.

ღელეში ჩვენს ცხენსაც მოვხსენით ბაწარი და გავუშვით. დაფეთებულნი გაიქცნენ აღმართში ორივენი, მე კი სულ სველი მქონდა შარვალი.

- ახლა წვიმა რომ დაიწყოს, გაცივდებიან და მოკვდებიან ის ცხენები-მეთქი, - ვუთხარი გოგიას. გაეცინა: ნუ გეშინია, არ მოვა წვიმაო!

სკოლაში რომ მივალ, ნათიას მოვუყვები, ცხენზე როგორ ვიჯექი. თუ არ დამიჯერა, სოსიას ჰკითხე, - იმან დამინახა-მეთქი, - ასე ვეტყვი.



ლევან კიკალიშვილის ნახატი

თქმულება ანდაზითურთ

## მწყერი და ღამურა

გალიაში დამწყვდეული მწყერი მარტო ღამღამობით ჭუკჭუკებდა. ღამურამა ჰკითხა:

- რატომ დღისით არ ჭუკჭუკებო?

- კიდეც დღისით ჭუკჭუკმა ჩამაგდო ამ ვაგლახშიო, - უპასუხა მწყერმა.

- ეგ ჭკუა წინათ უნდა გეხმარნა, თორემ ახლა რაღას გიშველისო, - უთხრა ღამურამ.

**ანდაზა: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდება.**






# ზღაპარი ოსტატისა და შეგირდისა




ქართული ხალხური ზღაპარი



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი, ირაკლი ბილაშვილის კომპიუტერული დიზაინი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი, ჰყავდათ ერთი შვილი. როცა ბიჭი წამოიზარდა, ცოლმა უთხრა ქმარს: წაიყვანე, მიაბარე სადმე ხელობაზეო.

წაიყვანა კაცმა ის ვაჟი ხელობაზე მისაბარებლად. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ წყაროსთან და დაისვენეს. დაიბანეს ხელ-პირი და დალიეს. მამამ რომ დალია წყალი, თქვა: - ახ, რა კაი წყალი ხარო!

ამ დროს წყლიდან ამოძვრა ერთი კაცი და უთხრა: - აი, მე გახლავარ ახრაკაი, რა გნებავს, რისთვის მეძახდიო? - მე შენ არ გეძახდი, - უთხრა კაცმა, - წყალი დავლიე და წყალს ვუთხარ: - ახ, რა კაი წყალი ხარ-მეთქი! - მაინც სად მიხვალო? - ჰკითხა ახრაკამ. - ეს შვილი მიმყავს, მინდა ხელობაზე სადმე მივაბარო შეგირდადო, - უთხრა კაცმა. - მოდი, მე მომაბარე. წლის თავზე მოდი და, თუ იცან შენი შვილი, წაიყვანე, თუ ვერ იცან და მე დამრჩებაო! - ძალიან კარგიო! - უპასუხა კაცმა.

ბიჭი იქ დარჩა, კაცი შინ წავიდა. გავიდა წელიწადი. მოვიდა კაცი შვილის წასაყვანად. დალია წყალი და თქვა: - ახ, რა კაი წყალი ხარო!

გამოვიდა ახრაკა და წაიყვანა კაცი თავის ბინაზე. თერთმეტი შეგირდი სხვა ჰყავდა, მეთორმეტე ის იყო. შეგირდები ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. კაცმა ვერ იცნო შვილი, შვილმა კი იცნო მამა.

ახრაკას ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. ყველაზე მეტად ქალს იმ კაცის ვაჟი უყვარდა. მამა რომ მოუვიდა, ქალმა დაიბარა იმ კაცის ვაჟი და ერთი შეგირდი, დაარიგა: - სადილად რომ დასხდებით, ერთი იქით მიუჯექით, ერთი აქეთ, შენ მამაშენს სავსე ჭიქა დაუსხი, შენ კი ნაკლული. მამაშენს ეგრე უთხარი, ყური გიგდოთ და მაშინ გიცნობს. როცა გიცნობს, მამაჩემი გკითხავს: რა ისწავლე ჩემგანო? შენ ეტყვი: შენ რა იცოდი, მე რა უნდა მესწავლა-თქო!

სუფრას რომ მიუსხდნენ, შვილი ჭიქას აუვსებს, ის მეორე ნაკლულად დაუსხამს. იცნო მამამ შვილო, ახრაკას აბა რა ესიამოვნებოდა! ბიჭსა ჰკითხა: - რა ისწავლეო? - შენთვის რა იცოდი, მე რა უნდა მესწავლაო! - უთხრა ბიჭმა. მერე გზა დაულოცა ოსტატმა და გაისტუმრა.

წავიდნენ მამა და შვილი. შვილმა უთხრა: - იარე და მოგეწევიო!

მიბრუნდა ჯაგებში, იქცა ოქროს ცხვრად, გამოვარდა, გაურბენს და გამოურბენს მამას წინა. დასდევს მამა დასაჭერად. შევარდა ისევ ჯაგებში, იქცა ბიჭად და გამოვიდა მამასთან.

მამამ უთხრა: - სად იყავ შვილო? - ერთი ოქროს ცხვარი გამოვარდა ჯაგებიდან, ვდიე, ვდიე, მაგრამ ვერ დავიჭირეო.

- ალბათ ჩვენი იღბალი არ იყო და ვერ დაიჭირეო!

ამ დროს თავადიშვილები მოდიან სანადიროდ.

შვილმა უთხრა მამასა: - მამა, მე ეს ხელობა ვისწავლე: რადაც მინდა, ვიქცევი. ახლა კი, თავადიშვილები რომ მოდიან, მწევრად ვიქცევი და შემოგევაჭრებიან. რომ გკითხონ: ჰყიდიო? - ვყიდი-თქო! - დაგაფასებინონ, სამოც თუმნად დამაფასე. თოკი კი არ გამატანო თანაო.

იქცა მწევრად. ისეთია, სულ თითის ფრჩხილებზე დგება. ჩამოიარეს თავადიშვილებმა: - კაცო, მწევარს არა ჰყიდი? - ვყიდი, ბატონო! - რა ღირსო? - სამოცი თუმანიო!

მისცეს სამოცი თუმანი და წაიყვანეს. მოსამსახურეები თოკიანად ართმევდნენ. ბერიკაცი არ ანებებდა. მერე თავადიშვილებმა უთხრეს: აჩუქეთ ეგ თოკი, მაგით რა იქნებაო!

წაიყვანეს. გზაზე ერთი კურდღელი გამოუვარდათ. გამოუდგა მწევარი, დაიჭირა და მოუყვანა. მეორეც ასე დაუჭირა. მესამეს რომ მიუტიეს, შეჰყვა ტყეში, იქცა ბიჭად, მოეწია მამას და წავიდნენ გზაზე.

იარეს, იარეს და ერთი ხელმწიფის სახლთან მივიდნენ. შვილმა უთხრა მამასა: ოქროს ცხვრად ვიქცევი, წამიყვანე და ხელმწიფის კარზე გამატარე და გამომატარე. გეტყვიან: როგორ აძლევო? - შენ უთხარი: ას თუმნად-თქო, მოგცემენ, თოკი კი თან არ გამატანო.

მისცეს ასი თუმანი. ბიჭები თოკს ართმევდნენ, მაგრამ ხელმწიფემ დაუშალა: გაუშვით, წაიღოსო.

შეიყვანეს ცხვარი ხელმწიფის სასახლეში. როცა ფეხის ხმა მიწყდა, იქცა ბიჭად და წამოვიდა. დაეწია მამას.

- მე ჯორად ვიქცევი, შენ ზედ შემაჯექ და ამატარე და ჩამატარე ქალაქში, ალვირი კი თან არ გამატანოო.

გაუგია ოსტატს, რომ ჩემს შეგირდს ჩემი ხელობა გაუტანიაო. წამოვიდა და შეხვდა ამ კაცსა, - ჰყიდი, ბერიკაცო, მაგ ჯორსა? - ვყიდი! - როგორ აფასებო? - სამას თუმნადო!

მისცა და გამოართვა ჯორი. ალვირს არ ანებებდა, მაგრამ ძალით წაართვა. შეჯდა. დაჰკრა მათრახი და ცას მიაკრა. კარგად რომ მოფეთქა, თავის სახლში წაიყვანა. მიაკრა ხეზე და ხმალს დაუწყო ლესვა, თავი უნდა მოეჭრა.

სანამ ის ხმალს გალესავს, ქალი მივიდა, წააძრო თავიდან ალვირი, იქცა ბიჭად და გაიქცა.

ოსტატმა ნახა, რომ ჯორი იქ აღარ ება. გამოუდგა უკან. მოიხედა ბიჭმა. ხედავს ოსტატი საცაა დაეწევა, იქცა ვაშლად. ხელმწიფის შვილს ქორწილი ჰქონდა. ნეფეს კალთაში ჩაუვარდა. ოსტატი იქცა დანად და ვაშლში ჩაერჭო. შეგირდი იქცა ფეტვად და დაიფანტა. იქცა ოსტატი კრუხად, დაახვია წიწილები და დაუწყეს ფეტვს კენკვა. იქცა შეგირდი ნემსად, გაუძვრა ქვეშ და წავიდა. იქცა ოსტატი ძაფად, გაეყარა ყუნწში და გაჰყვა თან.

შეგირდმა დაინახა, მინდორში მწყემსებს ცეცხლი უნთიათ. გაიარა ნემსმა ცეცხლში და ოსტატი ცეცხლში დასწვა.

იქცა ვაჟად და წამოვიდა. მოვიდა ოსტატის სახლში, ქალს უთხრა: - შენ იმდენი სიკეთე მიყავი, რომ მე ვერაფრით გადაგიხდი, შენ და იყავ, მე- ძმაო, - არა, - უთხრა ქალმა, - შენ ქმარი და მე ცოლიო!

ძალიან გაუხარდა. შეირთო ცოლად. დანარჩენი შეგირდები ყველა თავთავის სახლში გაგზავნა. რაც ქონება ჰქონდათ, წაიღეს თან. დაიწერეს ჯვარი და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.



## ავღანური ჰექიათები (ჰექიათი - მინიატურული ზღაპარი)



### ჩვენში რომელი უფრო დიდია?

ერთხელ კაცმა გუნებაში გაიფიქრა: მიწაც და ცაც ღმერთმა ჩემთვის შექმნა. მაშასადამე, ყველა სულიერზე უდიდესი ვარო.

ამ დროს კოღო მოფრინდა, ცხვირზე დააჯდა და დაიწუვლა:

- ნუ ამაყობ იმით, კაცო, რომ ღმერთმა ცაც და მიწაც შენთვის შექმნა. სამაგიეროდ, შენ შეგქმნა ჩემთვის! მაშ, ვინ ყოფილა ჩვენ შორის დიდიო?

### ბრმა და კუტი

ერთხელ ბრმა და კუტი საშინელ, უწყლო უდაბნოში მოხვდნენ.

რა უნდა ექნათ, როგორ უნდა მიეღწიათ ოაზისამდე?

ბრმას შეეძლო სიარული, მაგრამ რას გააგნებდა გზასა და კვალსა?

კუტს მხედველობა კარგი ჰქონდა, მაგრამ საით წავიდოდა უფეხოდ?

მაგრამ ბრმაცა და კუტიც იმ საგანძურის მფლობელი იყვნენ, რომლის სახელიც მეგობრობაა!

სწორედ ამ მეგობრობამ იხსნა ისინი უბედურებისაგან:

ბრმამ ზურგზე შეისვა კუტი და გასწია იქით, საითაც მისი თვალხილული მეგობარი მიუთითებდა.

ასე დაუსხლტა ორი საპყარი მრისხანე უდაბნოს.

**თარგმნა ლადო მრელაშვილმა**





**თარაზულად**: 2. ყველაზე დიდი ცხოველი; 6. ძაღლი, უოლტ დისნეის მულტფილმების გმირი; 7. სათევზაო მოწყობილობა; 8. უფროსი სუფრაზე; 10. თოფის ნაწილი; 11. ნაგებობა, სადაც მელია ხშირად დადის სტუმრად; 15. ის, რასაც საათი გვიჩვენებს; 16. რესპუბლიკა კავკასიაში; 18. ტორტის ან ნამცხვრის მოსართავი ფერადი ტკბილი მასალა; 19. ის, რაც ზაფხულში იკბინება; 20. დასაძინებელი სიმღერა; 23. ცნობილი რუსი ილუზიონისტი; 24. მიუნჰაუზენის ტიტული; 25. საიდანაც ცივი წყლის ამოღება შეიძლება; 26. ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე "ჭკვიანი" ორგანო; 28. აქლემისა და ერთი რამის ქურდი - ორივე ქურდია; 29. დიდი ქართველი მსახიობი ქალის სახელი.

**შვეულად**: 1. მრგვალი, გაბერილი სათამაშო; 2. ქართული მულტიპლიკაციური ფილმი; 3. ის, რასაც ადამიანი არასოდეს კარგავს; 4. რა ეკიდება პურს?; 5. მულტფილმ "თოვლის დედოფლის" გმირი; 9. გზებზე დამდგარი წყალი; 11. რისი გადაგდებაც არ შეიძლება; 12. კაცი, რომელსაც ქუდი ეწვის; 13. სადგომი ცხენებისათვის; 14. ციტრუსოვანი ხილი; 15. მუსიკალური ნოტი; 16. ქათმების საჭმელი; 17. ის, რაც ზოგჯერ ჭამის დროს ყელზე ადგებათ; 20. ძველებური სასროლი იარაღის "ტყვია"; 21. მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც ვერავინ გადახერხა; 22. რიგში ჩაყენებული ასოების ოჯახი; 26. ცხოველთა თავშესაფარი; 27. სირაქლემას ნათესავი ფრინველი.



სიმეტრიის პრინციპით დაასრულეთ ნახატი და გააფერადეთ

კურდღელი: თუ სწორად შეასრულებთ ამოცანას, პეპელა გაცოცხლდება და იმ წუთში დავიჭერ!




სოსო გუმბერიძის ნახატები

## წინა კროსვორდის პასუხები



**შვეულად:** 1. ჯამბაზი; 2. ჯადოქარი; 4. ამირანი; 6. კინო; 7. ანდაზა; 9. ზარმაცი; 10. გვირილა; 15. ჩაპლინი; 16. ფხა; 19. ლონდრე; 21. სია; 23. ტურა; 24. ფანარი; 25. აღმართი; 28. ისანი; 33. ელვა; 34. ანცი.

**თარაზულად:** 1. ჯუჯა; 3. ვაზი; 5. სკოლა; 8. მედუზა; 11. პინგვინი; 12. ფანქარი; 13. და; 14. ფაფარი; 16. ფიქრია; 17. ვაზა; 18. ცელი; 20. ასი; 22. სტაფილო; 26. ენა; 27. ასაკი; 29. ნინო; 30. რაჭა; 31. მთვარე; 32. ფრე; 35. ჩიპოლინო; 36. ჯარი.